ISSN–0132–6058

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოლოგიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

2

2012

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

ისტორიის არქეოლოგიის ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

Series of History, Archeology, Ethnology and Art History

თბილისი
Tbilisi

2. 2012

სარედაქციო კოლეგია:

ზურაბ აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, მარიამ დიდებულიძე, სერგო ვარდოსანიძე, ალექსანდრე თვარაძე, ბუბა კუდავა, გიორგი ლორთქიფანიძე (პასუხიმგებელი მდივანი), გურამ ლორთქიფანიძე, დავით ლორთქიფანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ლია მელიქიშვილი, როინ მეტრეველი (რედაქტორი), დავით მუსხელიშვილი, ოთარ ჟორდანია, კიაზო ფიცხელაური, კახა შენგელია, ოთარ ჯაფარიძე.

Editorial Board:

Zurab Abashidze, Zaza Aleksidze, Mariam Didebulidze, Sergo Vardosanidze, Buba Kudava, David Lordkipanidze, Georgi Lordkipanidze (Editorial Manager), Guram Lordkipanidze, Mariam Lordkipanidze, Lia Melikishvili, Roin Metreveli (Editor), David Muskhelishvili, Otar Zhordania, Kiazo Pitskhelauri, Kakha Shengelia, Alexander Tvaradze, Otar Japaridze.

რედაქტორ-კორექტორი: ირმა რუხაძე

Corrector-editor: Irma Rukhadze

კომპიუტერული უზრუნველყოფა: პაატა ქორქია

Computer design: Paata Korkia

© Georgian National Academy of Sciences, 2012

0108, თბილისი, რუსთაველის გამზ. 52, ტელ.: 293-10-67,
matsnehistory@science.org.ge

52, Rustaveli Ave., 0108, Tbilisi, Georgia, Tel.: 293-10-67,
matsnehistory@science.org.ge

შინაარსი

პატრიარქის იუბილე

მისი ყოვლადუწმიდესობის მსოფლიო პატრიარქის ბართოლომეოს I-ის სიტყვა წარმოთქმული ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში 5

ირმა რუხაძე. მწყემსი კეთილი 15

ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავი

როინ მეტრეველი. ექვთიმე ღმრთისკაცი 17

საქართველოს ისტორია

დავით მუსხელიშვილი. აღმოსავლელქართველ ტომთა გაერთიანებანი ქართლის სამეფოს წარმოქმნამდე 27

ალექსანდრე თვარაძე. V ჯვაროსნული ლაშქრობა და ლათინურ-ქართული კონტაქტები XIII საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში 37

მარიამ ხალდასტანიშვილი. კიდევ ერთხელ ათაბაგთა განკერძოების შესახებ 50

ვახტანგ გურული. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში (1918-1921) 61

არქეოლოგია

გურამ ლორთქიფანიძე, მარიკა მშვილდაძე. არქეოლოგიური მონაცემები ბიჭვინთის (პიტიუნტი) ადრექრისტიანული თემის შესახებ 69

ეთნოლოგია

ტარიელ ფუტკარაძე. „ენის ქარტია“ და ეთნიკურ უმცირესობათა ავტოქთონობის საკითხი 76

ნინო მაისურაძე. კავკასიური ცივილიზაციის შესახებ 89

ხელოვნების ისტორია

მანანა აბუთიძე. ანტონ კათალიკოსის დავითნის ისტორიული სცენების ამსახველი მინიატურების იკონოგრაფიისათვის 98

პუბლიკაცია

გოჩა საითიძე, იზა აღლაძე. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური გუსტავ რადე ქალაქ ართვინისა და მისი შემოგარენის შესახებ (1893 წ.) 111

მიხეილ ბახტაძე. ერთი დოკუმენტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შესახებ (1920 წელი) 125

საქართველო-რუსეთის კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობების ისტორიიდან

Л.С. Ермолаева. Грузинская Филология на Восточном Факультете Санкт-Петербургского - Ленинградского Университета 135

ქართული ეკლესიის ისტორიიდან

გიორგი ალიბეგაშვილი. წმ. ათანასე დიდის ლავრა და ქართველი წმ. მამები 147

გეოპოლიტიკა

დავით პაიჭაძე. საქართველო და დასავლური ცივილიზაცია – მითი და რეალობა 155

ისტორიის ფილოსოფია

გიორგი კუჭავა. ცივილიზაციათა ციკლურობის კონცეფცია არნოლდ ტოინბის „ისტორიის ფილოსოფიაში“ 171

დიპლომატიკა

გონელი არახამია. სასისხლო სიგელთა შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები 184

მეცნიერის არქივი

ფარნაოზ ლომაშვილი. პოლიტბიუროს საიდუმლო არქივიდან 197

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლია მელიქიშვილი, გურამ ლორთქიფანიძე. შემობრუნება სულიერებისაკენ 207

მაგდანა გურგულიანი. მნიშვნელოვანი გამოკვლევა შუა საუკუნეების აზერბაიჯანის შესახებ 211

მეცნიერის ინტერვიუ

Валентин Никитин. Исторические процессы обратимы 214

ქრონიკა და ინფორმაცია

სამეცნიერო კონფერენციები 216

ახალი წიგნები 218

CONTENT

THE JUBILEE OF PATRIARCH

Speech Delivered by His all Holiness Ecumenical Patriarch Bartholomew I in Saint Androws Georgian University 5

I. Rukhadze. The kind Shepherd 34

EQVTIME TAKAISHVILI – 150 YEAR ANNIVERSARY

R. Metreveli. Eqvtime the Man of God 34

GEORGIAN HISTORY

D. Muskhelishvili. Eastern Georgian Tribal Units before the Formation of Kartli Kingdom 34

A. Tvaradze. V Crusade and Latin-Georgian contacts in the 10th and 20th years of the XIII century 47

M. Zaldastanishvili. Once Again about the Separatism of Atabegs of Samtskhe 59

V. Guruli. Ottoman-Russian rivalry in the South Caucasus (1918-1921) 66

ARCHAEOLOGY

G. Lordkipanidze, M. Mshvildadze. Archeological Data on Early Christian Communities of Bichvinta (Pitiunt) 73

ETHNOLOGY

T. Putkaradze. "European Charter for Regional or Minority Languages" and the Questions of Ethnic Historical (autochthonous) Minorities 85

N. Maisuradze. About the Caucasian Civilization 95

ART HISTORY

M. Abutidze. To the Iconography of Miniatures Reflecting Historical Scenes of the Anthony's Psalter 105

PUBLICATIONS

G. Saitidze, I. Agladze. The German Scientist and Traveler Gustav Rade about the City of Artvin and it's Surroundings (1893) 111

M. Bachtadze. One Document about the Armed Forces of Georgian Democratic Republic (1920 Year) 122

FROM THE CULTURAL-SCIENTIFIC HISTORY OF GEORGIA-RUSSIA

L.C. Ermolaeva. Georgian Philology on the Western Faculty of St. Peterburg-Leningrad University 123

FROM THE HISTORY OF GEORGIAN CHURCH

G. Alibegashvili. Great Lavra (Athos) and Georgian Holy Fathers 142

GEOPOLITICS

D. Paichadze. Georgia and Western Civilization; Myths and Reality 157

THE PHILOSOPHY OF HISTORY

G. Kuchava. The Concept Cycling of Civilizations in "Histories of Philosophy" Arnold Toinbi 172

DIPLOMATICS

G. Arakhamia. The Perspectives of Study Vergeld Documents (XIV-XVII) In Georgia 184

FROM THE ARCHIVES OF THE SCIENTIST

P. Lomashvili. From the Secret Archives of the Politbureau 187

SCIENTIST'S INTERVIEW

V. Nikitin. The Historical Processes are Reversible 196

CRITICISM AND BYBLIOGRAPHY

L. Melikishvili, G. Lordkipanidze. Turning Back to Spirituality 196

M. Gurguliani. An Important Researches about Middle Centuries Azerbaijan 196

CURRENT EVENTS AND SCIENTIFIC INFORMATIONS

Scientific conferences 149

New books 151

ჟურნალ „მაცნეს" რედაქცია ულოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების ოცდათხუთმეტსა და დაბადებიდან ოთხმოც წლისთავს. მკითხველს ვთავაზობთ მსოფლიო პატრიარქის, ყოვლად უწმიდესი ბართოლომეოს I-ის მილოცვას ილია II-ისადმი (გამოსვლა შედგა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში).

მისი ყოვლადუწმიდესობის მსოფლიო პატრიარქის ბართოლომეოს I-ის სიტყვა წარმოთქმული ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში

უნეტარესო და საყვარელო ძმაო, მთავარეპისკოპოსო მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქო სრულიად საქართველოისა ***უფალო ილია,***
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარევ,
ბატონო ***დავით უსუფაშვილო,***
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტო,
ბატონო ***თამაზ გამყრელიძე,***
თქვენო აღმატებულებავ, საქართველოს განათლების მინისტრო ბატონო ***გიორგი მარგველაშვილო,***
ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის რექტორო, ბატონო ***სერგო ვარდოსანიძე,***
საყვარელნო ბატონო პროფესორებო,
კურთხეულნო და საყვარელნო ძმანო და მღვდელმთავარნო,
ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებო,
საყვარელო სტუდენტებო,
გამორჩეულო და საყვარელო ძმანო, მამანო და უფლისმიერნო შვილნო.

„დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი, და ვერვინ შემძლებელ არს მადლისა მიცემად საკვირველებისა შენისა“ (დიდი აიაზმის ლოცვა).

ჭეშმარიტად ვადიდებთ ღმერთს, ბრწყინვალებას მამისა, ძისა და სულისა წმიდისა და „ვემსახურებით ღმრთის ქმნილებას, ერთობლოიბას ხილულისა და უხილავისა, მქადაგებელს მისივე დიდი და საკვირველი დიდებულებისა“– მოვიხმობთ კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსის, წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვებს, ამ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ეხება რელიგიასა და კულტურას; მიუხედავად იმისა, რომ არა ვარ მეცნიერი, არამედ ვარ მაცქერალი ღმრთის ქმნილებათა სიბრძნისა, რომელმაც აქ „იშენა თავის თჳსისა სახლი“ (იგავნ. (9,1), რათა ყოველმა ქმნილებამ „უგალობოს და ადიდოს ღმერთი.“

დიდია ჩვენი სიხარული, რადგან თქვენთან ერთად ვიმყოფებით „სახლსა ამას“ ღმრთის მზრუნველობისა და მეცნიერებისა, უნივერსიტეტში წმიდა ანდრია პირველწოდებულისა, რომელიც ამავე დროს ჩვენი, კონსტანტინეპოლის ეკლესიის დამაარსებელი, მფარველი და მზრუნველიცაა.

უნეტარესო, საყვარელო და პატივცემულო ძმაო, საქართველოს პატრიარქო, ბატონო ილია, ამჯერად ჩვენი აქ ყოფნა ემთხვევა თბილისის საყდარზე თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობის 35 და დაბადებიდან 80 წლისთავს. ჩვენს სიხარულს კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ამ უნივერსიტეტის დამაარსებელი ხართ თქვენ, რითაც საქართველოს ახალგაზრდებს საშუალება მიეცით, რომ თანამედროვე მეცნიერების მიღწევებთან ერთად, დაეუფლონ მართლმადიდებელი ქრისტიანობის სულიერ მონაპოვარს და ეროვნულ, ქართულ მემკვიდრეობასა და ტრადიციას, ვითარცა აუცილებელ ბერკეტებს თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაციისა.

საქართველოს მეგობრული და მოწამეობრივი ხალხის კულტურა, ცხოვრება და ისტორია მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ქრისტიანობასთან და მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამ კურთხეული ხალხის სულიერი ცხოვრება უმთავრესად მართლმადიდებელი სარწმუნოების ლოდზე აღმოცენდა და აშენდა. ამ რწმენამ გადაარჩინა ის ისტორიის სარბიელზე და არ დაუშვა მისი გაუჩინარება აურაცხელი და მკაცრი დამპყრობლებისგან, რომლებიც თუ ხშირად არა, ზოგჯერ მაინც უფრო საშინელნი და არადამიანურნი იყვნენ, ვიდრე პირველი საუკუნეების ქრისტიანობის მდევნელნი. მართალია, ქრისტეს სარწმუნოების გამო ქართველმა ხალხმა მრავალი ტანჯვა და დევნა განიცადა, მაგრამ ყოველი ის დევნა „ობობას ქსელზე უფრო ადვილად დაირღვა, კვამლზე უფრო მარტივად გაიფანტა, მტვერსა და ბუღზე უსწრაფესად გაქრა“, – როგორც ამას ამბობდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო საყდარზე მყოფი ჩვენი წინაპარი, იოანე ოქროპირი.

და მაინც, ყოველმა იმ დევნამ და საქართველოზე თავდასხმამ „მრავალთა მოწამეთა დასი შექმნა“, რომელიც საქართველოს წიაღში დარჩა, ვითარცა მისი ეკლესიის „უკვდავი განძი, სვეტი და კოშკი“, და რომელმაც საქართველოს არა მხოლოდ სიცოცხლით, არამედ აღსასრულითაც დიდი სარგებელი მოუტანა.“

* * *

ქრისტემ, ნინამორბედმა სიტყვამ მამისა, რომლის განკაცებაც ამ რამდენიმე დღის წინ ვიდღესასწაულეთ, და ახლა ვიმყოფებით იმ კვირეულში, როდესაც მის გამოცხადებას ვდღესასწაულობთ, თავისი მოსვლით თან ადამიანური კულტურაც მოიტანა. უფალმა ჩვენმა, რომელიც ჩვენთან ადამიანის სახით დამკვიდრდა, შეიმოსა კაცობრივი ხორცითა და გონებით და მარტივად გვითხრა, რომ „ყველაფერი, ცოდვის გარდა, ადამიანურია" (აბა დროთეოსი, წმ. გრიგოლის ზოგიერთი გამონათქვამის განმარტება).

ღვთაებრივი გამოცხადებისათვის გამოყენებულ იქნა ს ი ტ ყ ვ ა და ადამიანური დამწერლობა. ღმერთმა ს ი ტ ყ ვ ა მ მიიღო რა ადამიანის სახე, პირველ ყოვლისა, ნება დართო ადამიანებს, რომ მისი ხატი შეექმნათ. თავად კი შეიმოსა ადამიანის სამოსით, რომელიც ასევე კულტურის ნაყოფი იყო: „ხოლო კუართი იგი რომელი იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად" (იოან. 19,23). და ეს კვართი, ვითარცა უძვირფასესი სულიერი საგანძური და, კულტურის ნაყოფი ინახება აქ, საქართველოში.

ამ გზით ს ი ტ ყ ვ ი ს მიღმიერი მშვენიერება ღებულობს და იმოსება შეგრძნებადი მშვენიერებით, რომლისკენაც ადამიანი ისწრაფვის, რადგან „მადლი და სილამაზე თვალს იტაცებს" (სიბრძნე ზირაქისა, 40,22).

შეიძლება ითქვას, რომ განკაცება ძისა და მამის სიტყვისა კაცობრივი კულტურის ისტორიაში დასაბამს აძლევს ახალ ფურცელს, რომელიც ეკლესიის წიაღში კაცობრივიდან ღმერთკაცობრივად იქცევა. დაუსაბამო და დასაბამისეული ერთმანეთს ერწყმის; ხრწნილი თავის თავში უხრწნელს მოიცავს და საბოლოოდ უხრწნელად იქცევა. მატერია ღვთაებრივ ენერგიას მოიცავს და ღვთაებრივი მადლის მატარებელი ხდება, ისევე როგორც დაცემული და მოკვდავი ადამიანი, მადლის მეშვეობით, ღმერთად იქცევა.

მადლი ღმრთისა მატერიალურ სამყაროსაც იმავე გზით განაახლებს, ანიჭებს რა მას ზეშეგრძნებად სილამაზეს, მისგან კი იღებს ხრწნილსა და გაცვეთილს და, ერთგვარი ახალი გზით, ღვთაებრივი ენერგიის მატარებლად აქცევს.

ამრიგად, უბრალო ადამიანური ქმედებებით, ხელოვანებითა და მინიშნებებით გარდასახავს მათ სათაყვანებელ საგნებად, რომლებიც გამოსცემენ მადლს, რომელსაც იღებენ წყაროდან ნათლისა და სიცოცხლისა; ხოლო მათ, ვინც ამ საგნებს რწმენითა და სასოებით მიუახლოვდებიან, ეს მატერიალური საგნები განწმენდენ, განანათლებენ და მათთვის სასნაულებს ახდენენ.

ხატწერაში უფლის, ღმრთისმშობლისა და წმინდანთა სახეები მიწიერი სილამაზით კი არ გამოისახება, არამედ, ცათა სასუფევლის მიუმწუხრებელი ნათლით განათებული, უფლის არსისა და შეგრძნების მიღმიერ სილამაზეს გამოსცემენ და მშვენიერებას ღვთაებრივი სათნოებისას, რომლებიც ამშვენებენ ეკლესიის წმინდანებს.

ეს არის უფლის უდიდესი საჩუქარი სამყაროსადმი, რომელიც ალოგიკურობიდან ლოგიკურად გარდაისახება, როგორც ამას ამბობდა

თანამედროვე თეოლოგიური აზროვნების დიდი კორიფე წმიდა იუსტინე ჩელი სერბეთიდან.

წმინდანთა მშობელმა მართლმადიდებელმა საქართველომ კულტურის უბრწყინვალესი ნიმუშები შექმნა, განსაკუთრებით კი ხატწერაში. როგორც წმინდა დოროთეოსი წერს: „ხატმწერები ხატს პატიოსნად და ბრწყინვალედ ადებენ ფერებს „მეფის ხატის შესაფერისად", ანუ მეფე ქრისტეს შესაფერისად, და ცდილობენ „მეფის მთელი სამოსელი" დახატონ, რათა მისმა მხილველმა დაინახოს ისეთი ხატი, რომელიც გამოხატავს მეფის მთელს ხასიათს და ისეთ შთაბეჭდილებას შექმნის, თითქოს ხედავდეს მეფეს, თავის არქეტიპს" (ამბა დოროთე, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის ზოგიერთი გამონათქვამის განმარტება).

* * *

ეკლესიას, ამავდროულად, სულიერსა და ღვთაებრივ სფეროში გადავყავართ და მოგვიწოდებს, რომ „არ შევბღალოთ ჩვენი არქეტიპი". მართალია, ღმრთის ხატად გავჩნდით, მაგრამ ეს ხატი წმინდად და პატიოსნად უნდა დავიცვათ, არქეტიპის ღირსად უნდა ვაქციოთ, ანუ უნდა განვიწმინდოთ და ამ გზით პატივი მივაგოთ ღმერთს, რომლის ხატადაც ვართ შექმნილნი. ჩამოვაშოროთ მას (ე. ი. ჩვენივე ხატს) ბინი ცოდვისა, რათა სათნოების მეშვეობით, მისი მშვენიერება გამოჩნდეს. განვწმინდოთ ჩვენი ხატი, აი, ეს არის ღმერთის სურვილი.

ცად ამაღლება, გაკეთილშობილება, გარდასახვა, პირველადი მატერიის ბუნების შეცვლა, ადამიანის შემოქმედების შესაცნობად, ეს არის სული მართლმადიდებელი ხელოვნებისა: ხატწერისა, ხეზე კვეთისა, მინიატურებისა, არქიტექტურისა და ა.შ., რომლებზედაც ასე რუდუნებით იზრუნეთ და განავითარეთ თქვენ, თქვენო უნეტარესობავ, საქართველოს უწმინდესო პატრიარქო. და ისიც უნდა ითქვას, რომ ხილული მშვენიერების მეშვეობით, სული ყოვლადსაკვირველ ღმერთამდე აღწევს.

თუმცა, ამის მიღწევა ადვილი არ არის. ამას სჭირდება წვრთნა, ფრენა უფსკრულსა ზედა, სისხლის დათხევა. სწორედ ამით არის განბრძნობილი მთელი შინაგანი სამყარო მართლმადიდებელი ხელოვანისა. სწორედ ამიტომაა, რომ ეკლესიის დიდნი შემოქმედნი იმავდროულად წმიდანებიც არიან. ასე მაგ.: წმ. იოანე დამასკელი ხატმწერი და ერთ-ერთი საუკეთესო ჰიმნოგრაფი იყო. შესანიშნავი მელოდოსები (ანუ კომპოზიტორები), რომანოზი და იოანე კუკუზელისი ღირსნი მამები იყვნენ. ადამიანი, რომელმაც შექმნა უმშვენიერესი ხატი – სიმბოლო ღმრთისმშობლისა და წმ. სამებისა – ანდრეა რუბლიოვი მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანია. დიდია იმ წმიდანთა რიცხვი, რომლებიც იყვნენ ასკეტები, რომლებმაც ქვეყანას აჩუქეს არქიტექტურული შედევრები: ტაძრები, მონასტრები და სავანეები, რომლებიც ზოგჯერ აშენებულია ციცაბო კლდეებზე და ადამიანისათვის მიუდგომელ ადგილებში, მთებსა და ბორცვებზე და ისეთ დაკიდულ კლდეებზე, რომ ადამიანის გონებას ანცვიფრებს მათ მაშენებელთა სულიერი ძალა, შემართება და ფანტაზია.

ამასთან, მართლმადიდებელ კულტურას არასოდეს ავიწყდება თავისი უმთავრესი მისია – ადამიანის განღმრთობა, რომ აღიყვანოს იგი შემოქმედთან. მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველი ლიტურგიკული სელოვნება დოგმატური ხასიათისაა და საიდუმლოდ მოქმედებს ადამიანების გულებში.

მართლმადიდებელი საეკლესიო მუსიკა არ ახარებს მხოლოდ სმენას, არამედ სულის ყველაზე ღრმა შრეებს ეხება.

მართლმადიდებელი იკონოგრაფია ეკლესიის „მეტყველი წიგნია", როგორც ეს შესანიშნავად თქვა ჩვენ მიერ უკვე ხსენებულმა წმიდა აღმსარებელმა და ხატების თაყვანისცემის დამცველმა იოანე დამასკელმა. ეს წიგნი, ყოველთვის თუ არა, ხშირ შემთხვევაში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე სიტყვები და ბგერები.

არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც უსულო და უტყვი მატერია, უფლის განუზომელი კაცთმოყვარეობის მეშვეობით, ასე ენერგიულად იძენდეს მადლს ღმრთისას და ისე ჩანს, თითქოს სულიერი და ლოგიკური იყოს. ამიტომაც გვაქვს ხატები, რომლებსაც თვალებიდან ცრემლი გადმოედინა (ღმრთისმშობელი დაკრიროუსა) ან სისხლი (ღმრთისმშობელი პორტაიტისა); ხატები, რომლებიც ხილულად ალაპარაკდნენ (ღმრთისმშობელი ანტიფონიტრია), ხატები, რომელთა სახის ნაკვთები ისე შეირხა, თითქოს ცოცხლები იყვნენ. ამის შესანიშნავი მაგალითია ღმრთისმშობელი პარამითია ათონის წმიდა მთაზე. ამ ხატთან დაკავშირებულია ცოცხალი დიალოგი ყრმა ქრისტესი და დედა ღმრთისმშობლისა, რათა ცხადი გახდეს ხილული და უხილავი გზით, თუ რაოდენ დიდია კადნიერება ღმრთისმშობლისა თავისი ძის მიმართ.

კულტურა თავად ავლენს თავის შემოქმედს. ნებისმიერი ქმნილება და გამოგონება გამოხატავს თავის შთამაგონებელსა და შემოქმედს. მართლმადიდებელი ხელოვნების უდიდესი შედევრები, რომლებითაც მდიდარია კეთილმორწმუნე ქართველი ხალხი, გამოხატავს მისი შემქმნელის სულის სილამაზესა და მშვენიერებას, ქართული კულტურის ზნესა და სახეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულ სტილს.

ასეთივეა ამ მორწმუნე მართლმადიდებელი ხალხის ხელოვნების ის ქმნილებანი, რომლებსაც დღეს თაყვანს სცემენ წმ. მონასტრებში, რომლებიც ინახება ქვეყნის მუზეუმებში. ისინი გამოხატავენ და გვიჩვენებენ მშვენიერებას, კეთილშობილებას, მგრძნობიარობას, სიფაქიზესა და სილამაზეს მართლმადიდებელი ქართული სულისა და იმ რწმენას, რომელიც ვერ მოახერხა და ვერ წარხოცა ვერც ისტორიულმა პერიპეტიებმა და ვერც ძნელბედობამ საუკუნეების განმავლობაში; ვერც დევნამ და ვერც ადამიანურმა სივერაგემ.

თუკი მართლმადიდებელი კულტურის დასავლეთის კულტურასთან შედარებას მოვინდომებთ, შედეგები მაინცადამაინც სახარბიელო ვერ იქნება, რომ აღარ ვთქვათ უიმედო. პირველში დომინირებს ღმერთკაცობრივი ელემენტი, სილამაზე, მარადიულობა. მეორეში კი ადამიანური, მიწიერი, მატერიალური, წარმავალი. თანამედროვე კულტურაში, ევროპულსა თუ და-

სავლურში, ნებისმიერი ადამიანი ნათლად ხედავს წინააღმდეგობას, შეუთავსებლობას, სილამაზის ნაკლებობას, რაც ნიშნავს შესაბამის შინაგან სამყაროს, ანუ ნაკლებობას ღვთაებრივისა, რომლისგანაც მომდინარეობს მშვენიერება, ჰარმონია, წესრიგი და სილამაზე.

ურთიერთობის დარღვევა ღმერთსა და ადამიანს შორის, რაც ხშირად შემოქმედის მის მიერვე შექმნილისაგან სრულ უგულვებელყოფამდე აღწევს და რაც უმეტესწილად დღევანდელ დასავლეთში (და უფრო ვრცელ არეალშიც) ბატონობს, აღბეჭდილია მისი ცხოვრების ყველა სფეროში, აღბეჭდილია მის კულტურაში, მისივე ადამიანების ქმნილებებში.

ამის საწინააღმდეგოდ, ადამიანის ჰარმონიული დამოკიდებულება ღმერთთან აღბეჭდილია მართლმადიდებელი ხალხის, მათ შორის ქართველთა კულტურის ძველ და ახალ ქმნილებებში.

როგორ მიაღწია ამ ორმა კულტურამ, დასავლურმა და მართლმადიდებელმა ესოდენ დიდ განსხვავებას? რა უდევს საფუძვლად მართლმადიდებელ კულტურას? ცხადია, სახე ქრისტესი, რომელიც ღმერთიცაა და კაციც. ღმერთი კაცად იქცა, რათა აღამაღლოს თავისივე ქმნილება, რათა თავისივე სრულყოფილი შემოქმედების ნაყოფი ღმერთამდე აღიყვანოს. სწორედ ეს არის დასაბამი, დასასრული და მიზანი ღმერთკაცობრივი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. იგი ადამიანს იზოლაციაში კი არ ამყოფებს, როგორც დასავლური ჰუმანიზმი, არამედ ადამიანი ცხოვრობს, აზროვნებს და მოძრაობს ღმერთკაც ქრისტესთან შეერთებული: „მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ“ (საქმე, 17, 28). ადამიანის ცხოვრება არის ცხოვრება ქრისტესი, მისი აზროვნება ქრისტეს აზროვნებაა და მას უძღვნის ყოველივეს: „შენთა შენთაგან შენდა შემწირველნი ყოველთა და ყოვლისათვის...“ (წმ. იოანე ოქროპირის ჟამისწირვიდან).

მხოლოდ ღმერთკაც ქრისტესთან ორგანული ურთიერთობით შეუძლია ადამიანს შექმნას კულტურული შემოქმედების ნაყოფი, რომელიც ქვეყნად უკვდავი რჩება, ანათებს და მაგალითს იძლევა. მხოლოდ ღმერთკაც ქრისტეში პოულობს ადამიანი საკუთარ თავს და სრულყოფილებას, მხოლოდ მისით აღწევს კულტურა ჭეშმარიტ მშვენიერებას, უკვდავებასა და მარადიულობას.

ღმერთკაცი ქრისტე ათავისუფლებს ადამიანს მატერიისა და საგნების ტირანიისაგან. მართლმადიდებელ ადამიანს მთელი ძალისხმევა მიმართული აქვს სულისაკენ, რომელიც უფლის სიტყვის თანახმად, გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე მთელი სამყარო. ამიტომ მართლმადიდებელი კულტურა, პირველ ყოვლისა, არის კულტურა სულისა და არა მატერიისა! რამეთუ სიყვარული ღმრთის მიმართ და სიყვარული მატერიის მიმართ შეუთავსებელი ცნებებია. როგორც ისააკ ასური ამბობს: „ვინც ღმერთი შეიძინა, აუცილებელია ირწმუნოს, რომ სხვა არაფრის შეძენა არ სჭირდება. სხეულიც კი მისით (ანუ ქრისტეთი) უნდა შეიმოსოს. მაგრამ ის, ვინც ამ სამყაროთი შეიმოსება და ამ ცხოვრებას შეიყვარებს, ღმერთით ვერ შეიმოსება, ვიდრე მას (ანუ სამყაროს) არ მიატოვებს, ვინაიდან ეს თავად ღმერთმა დაადასტურა თავისი სიტყვებით: „ვინც ყველაფერს არ მიატოვებს და არ შეიძულებს ცხოვრებას, ვერ გახდება

ჩემი მოწაფე". ხოლო ის წმინდანები, დაუძლურებული სხეულებით, მარხვით გაფერმკრთალებული სახეებით, წმინდა და მშვიდი გონებით, დაცლილნი მიწიერი საზრუნავით, ბედავენ და ესაუბრებიან ღმერთს და აღწევენ ღმრთის დაფარულ საიდუმლოებათა განცხადებამდე... ეხსნებათ გონების თვალი და, თავიანთი სიწმინდის შესაბამისად, ღმრთის ქმნილებათა ძალასა და მშვენიერებას ხედავენ" (ისააკ ასური, „ასკეტიკა").

* * *

ამიტომ მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა უნდა ვიამაყოთ ჩვენი კულტურით. მერე რა თუ ეკონომიურად ძლიერნი არა ვართ. არ გაგვაჩნია „საშუალებები", სახსრები და ბერკეტები, რომლებიც სხვა ხალხებს გააჩნია. თუნდაც სხვა ხალხებზე ღარიბნი ვიყოთ, თუნდაც აუცილებელიც კი არ გაგვაჩნდეს, ჩვენი, მართლმადიდებელთა სიმდიდრე შინაგანია. თავად უფალმა გვასწავლა: „არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ ზმნით ... სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს" (ლკ., 17,20-22). მთელი ხსენებული სულიერი სიმდიდრე იმყოფება სულში, განწმედილში სულიწმიდის მიერ, რამეთუ ღმრთის სასუფეველი არც სასმელია და არც საჭმელი, არამედ არის: სულიწმიდისეული სამართლიანობა, მშვიდობა და სიხარული.

სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ არასულიერი ადამიანი უფრო კარგად აწესრიგებს თავის მატერიალურ საკითხებს, ვიდრე სულიერი. არასულიერი ადამიანი დაკავებულია იმით, რომ უზრუნველყოს თავისი კეთილდღეობა და საბოლოოდ მისი მონა ხდება. სულიერი ადამიანი დაკავებულია თავისი გონებითა და ღმერთთან სიახლოვით, ამ მცდელობაში მას აღარ აინტერესებს თავისი მატერიალური კეთილდღეობა. თუკი მართლმადიდებელი ხალხები მთელს თავიანთ ძალისხმევას მიწიერს მიაპყრობდნენ და არა სულიერს, ალბათ, მოკლე დროში სხვა ხალხებს აღემატებოდნენ როგორც ეს ე.წ. განვითარებული სოციალიზმის ქვეყნებში მოხდა. ვინაიდან მატერიალურზე ზრუნვა განვლილი ეტაპია და, ამასთან, საოცრად მარტივი და ნარმავალია, ვიდრე ის, რაც ღმერთისთვის სასურველი და მარადიულია.

უფალმა დაგვმოძღვრა: „ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი" ანუ მატერიალური, „შეგეძინოს თქუენ " (მათე, 6, 33). ყველაფერი მატერიალური: ჩასაცმელი, საცხოვრებელი, საზრდო არის შემაცსებელი. თანამედროვე დასავლური კულტურა, სამწუხაროდ, პირველ ყოვლისა, შემავსებელზე ზრუნავს და ადამიანი ხარჯავს თავის ნაამაგარს უამრავ უაზრო და ფუჭ რამეში. მართლმადიდებელი ადამიანი, წმინდანი, ეძებს მხოლოდ „ერთს", „არა სახმარს" (ლკ. 10, 42). თავისი თავისა და კაცობრიობისათვის. რა არის ის ერთი? ჩვენივე ხსნისთვის კაცად მოვლენილი ძე და სიტყვა ღმრთისა და ის ყოველივე, რასაც ის აძლევს სამყაროს: მშვიდობა, სამართლიანობა, ხსნა, სიყვარული, ნათელი, კეთილშობილება, სიმშვიდე, უკვდავება. ყველაფერი სხვა, რაც ადამიანს სჭირდება, ამ „ერთთან" შედარებით „არა სახმარ არს" და იმდენად მეორადია, რომ თითქმის არც არის საჭირო.

ადამიანი ღმრთისა საგნებს, იდეებს, გარდაუვალობას, გარშემო არსებულ მდგომარეობას და ლოგიკას კი არ ემონება, არამედ შინაგანად ყველაფრისაგან თავისუფალია და ღმერთთან ურთიერთობაში იმყოფება. მისი ეს ჰარმონიულობა გადაეცემა თავის ნაღვაწს და ამ გზით ადამიანი თავად ხდება ღმერთკაცობრივი კულტურის შემოქმედი: სიტყვით, ხელოვნებით, საქმით, გულისხმიერებით და, რაც მთავარია, ლოცვით.

გავიხსენოთ, რომ ამ ქვეყნად ყველაზე სრულყოფილი ანბანი, ფინიკიური, რომელშიც თითოეული ასო ერთ ბგერას შეესატყვისება, ადამიანს თვით ღმერთისგან ებოძა, რათა ათი მცნება წაეკითხა, რათა მის მიერვე წარგზავნილ მოსეს, უკეთესად გამოეხატა ის, რაც სინას მთაზე იხილა, როდესაც ღმერთი სამყაროს პირადად გამოეცხადა, ვითარცა „არსი" და არა როგორც უსახო, შორეული და მიუწვდომელი უმაღლესი ძალა. ამრიგად, ღვთაებრივი საიდუმლოს მზიარებელი ხდება კულტურის შემოქმედი და მატარებელი, მხილველი ღმერთის პირველი გამოცხადებისა და პირისპირ მოსაუბრე.

* * *

ამიტომ, ძმანო, ქართველო მართლმადიდებლებო, უნდა ვადიდოთ ღმერთი და ვიყოთ ამაყნი, რადგან დაიბადეთ და დავიბადეთ მართლმადიდებლებად და გაიზარდეთ მართლმადიდებელ ქვეყანაში, რომელსაც აქვს ასეთი მდიდარი ისტორია და კულტურა. ნუ მოიხიბლებით თანამედროვე ეპოქის ფენომენალური კულტურული მიღწევებით, რომელმაც ტექნოლოგიის განვითარების თვალსაზრისით ნებისმიერ სხვა ეპოქას წინ გაუსწრო, მაგრამ, ამასთანავე, ახდილია ე.წ. „პანდორას ყუთი", რომლიდანაც შესაძლოა ამოვარდეს ისეთი ძალები, რომლებიც სამყაროს კატასტროფას მოუტანენ. საამისოდ კი საკმარისია თუნდაც „აალებადი ელემენტები" და „ქუეყანაი და მას შინა საქმენი დაიწუნენ" (II პეტრე, 3,10).

ვაი, კაცობრიობას, თუკი დღევანდელი ტექნოგნოსია და ტექნოლოგიური ძალები, რომლებსაც შეუძლიათ მთელი დედამიწა სამოთხედ აქციონ, არ იქნება სათანადოდ გამოყენებული. ჩვენ, ვითარცა ქრისტიანებსა და ზეციური მამის ჭეშმარიტ შვილებს, არ გვეშინია იმგვარი მოვლენებისა, როგორიცაა: სიღარიბე, ეკონომიკური კრიზისი, უსამართლობა, ცილისწამება, ომი, გახშირებული ტერორისტული აქტები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა კულტურას ვერ ქმნის. მართლმადიდებელი კულტურა „ მიწასა და ნაცარს" კი არ წარმოადგენს, არამედ მიღწევა და მისწრაფებაა: „ისწრაფდეთ მოსლვასა მას დღისა მის ღმრთისასა.... ახალთა ცათა და ახალსა ქუეყანასა აღთქუმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკჳდრებულ არს" (II პეტრე, 3, 12-13). სიმართლე კი ჩვენთვის ქრისტეა.

ტექნოლოგიური აღმოჩენებითა და მატერიალური სამყაროთი დაკავებული დასავლელი ადამიანი კვდება და უჩინარდება. ლოგიკის გაღმერთება და ნარცისიზმი მისი სამარეა, რომლიდან აღმოსვლაც შეუძლებელია. ვხედავთ აგრეთვე, რომ ადამიანი სულ უფრო მეტად იპყრობს და ითვისებს სამყაროს, მიფრინავს კოსმოსში და სხვა პლანეტებზე, ცხადია, ღმრთის ნებით, მაგრამ

ვერ გადაუჭრია უმთავრესი ცხოვრებისეული პრობლემები, რათა გამართლება მოუძებნოს თავის არსებობას. მართლმადიდებელ ღმერთკაცს კი ყველა ეს პრობლემა ახსნილი აქვს. და ახსნა თვითშეწირვაშია. თანამედროვე დასავლურ სამყაროში, და არა მხოლოდ იქ, ხალხებს, ტომებს და სახელმწიფოებს, და ასევე ადამიანთა ერთ გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ მხოლოდ მათ აქვთ „საკმარისი გონება" და ამიტომ შეუძლიათ განაგონ მთელი სამყარო. განაერცობენ დოგმას, „მსხვერპლად შეინირე სხვა". ღმერთკაცი ქრისტე და ქრისტეთი ნასაზრდოები ადამიანები კი განაერცობენ დოგმას: „თავი გასწირე სხვისთვის", რამეთუ ძალა ღმრთისა მის უძლურებასა და ჯვარცმაშია, იმისათვის რომ მოიტანოს მისივე აღდგომა, ვითარცა ღმრთისა და მისი ქმნილებისა.

დასავლეთი უძლური და უსუსურია სიკვდილის მარადიული და ამოუხსნელი ფენომენის ნინაშე. ღმერთკაცმა ქრისტემ იგი ახსნა თავისი ვნებით, ჯვარცმით, საფლავში დაფლვითა და აღდგომით. მადლითა და შენევნითა მისითა ჩვენც ვხსნით ამ დილემას მის ვნებებში მონაწილეობით, რათა მასთან ერთად აღვსდგეთ.

* * *

მართლმადიდებელი კულტურა „სიცოცხლით სუნთქავს", ან შეიძლება ითქვას, რომ შთაგონებას „სიცოცხლით მსუნთქავისგან" იღებს და „სულად სიცოცხლისა" (დაბად. 2,7) გარდაისახება იმავე გზით, როგორც „შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმა ქვეყანისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ, და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად" (დაბ. 2,7). ამრიგად, მტვერი და მატერია და ჩამორჩენილი ადამიანის „სული" და „ლოგიკა", გარდაისახება მართლმადიდებელი ხელოვანის მიერ, სულიწმიდის მეშვეობით, და მათ ეძლევათ „სული სიცოცხლისაჲ", მთელი ჩვენი ტრადიცია და რწმენა არის დასტური მართლმადიდებელი კულტურისა, „მადლისა და ჭეშმარიტებისა". ხოლო ჭეშმარიტად და გამოცდილებითაც „მადლი და ჭეშმარიტებაჲ" ქრისტე იესოჲს მიერ იქმნა" (იოან. 1, 17-18).

* * *

უნეტარესნო ძმანო მღვდელმთავარნო, მამანო, ძმანო და დანო, ღვთივ კურთხეულნო ქართველნო, ვისურვეთ დღეს გვესაუბრა ისე, როგორც შეჰფერის მართლმადიდებელს ჭეშმარიტი მართლმადიდებლების წინაშე, ანუ „სულითა და ჭეშმარიტებით". სამყაროს მაცქერალ ხორციელ ადამიანს კულტურულად რომ მელაპარაკა, მოვიხმე უფლის, მოციქულთა და მამათა მოძღვრებები. ის, რაც ჩვენი უმდაბლესობის მიერ მართლმადიდებელი კულტურის შესახებ ითქვა, ჩვენ არ გვეკუთვნის, მიეკუთვნება უფალსა და მართლმადიდებელ ტრადიციას. უფლის ჭეშმარიტებას, რომელიც არის „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე" და არის მადლი, მადლი კი სულიწმინდის საბოძვარია (წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის თეოლოგიური პოეზია, ლექსი 23-ე, გნომები).

როგორი მადლიცაა მიღებული, ისეთივეა ქართული კულტურაც. მადლის გარდამოსვლა, წყალობა და ღმრთის კურთხევაა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლად თქვენი ყოფნაც, უნეტარესო და ძალზე საყვარელო ძმაო, პატრიარქო საქართველოისა ილია, თქვენი წვლილით, ვითარცა მღვდელმა, ვითარცა მღვდელმთავარმა და პატრიარქმა კულტურა შექმენით.

* * *

მადლობას მოგახსენებთ პატივისათვის და ამ სამეცნიერო კონფერენციის საშუალებით, აქ, ამ გამორჩეული აუდიტორიისა და ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტის სტუდენტთა წინაშე საუბრის საშუალება რომ მომეცით. მადლობას მოგახსენებთ მოთმინებისათვის, გულთბილი მიღებისათვის და იმ გულითადი სიტყვებისათვის, რომლებმაც გარეთ არსებული სუსხის მიუხედავად, გულები გაგვითბო.

გისურვებთ, ჩვენმა მფარველმა წმ. ანდრია პირველწოდებულმა, რომელიც თავიდან იოანე ნათლისმცემლის მოწაფე იყო, შემდეგ კი ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარი და მქადაგებელი, დალოცოს თქვენი უნივერსიტეტის საქმიანობა, დაწყებული კონფერენციის მსვლელობა. ყველა აქ მომსვლელს კი თავის საყვარელ მოძღვართან წარუძღვეს.

ირმა რუხაძე

მწყემსი კეთილი

განსაკუთრებით მძიმეა ჯვარი პატრიარქისა, იგი იესო ქრისტეს მიმბაძველია, ერის უძლურებათა და სნეულებათა მტვირთველია, მოციქულთა მემკვიდრეა, მოციქული კი ამბობს: „მარადის სიკუდლი იგი უფლისა ჩუენისა იესოსი ხორცთა შინა ჩუენთა გვიტჳირთავს, რაითა ცხოვრებაიცა იგი იესოსი ხორცთა ამათ შინა ჩუენთა გამოცხადნეს“ და კიდევ: „აღვასრულებ დაკლებულთა მათ ჭირთა ქრისტესთა ხორცითა ჩემითა, გუამისათვის მისისა, რომელ არს ეკლესიაი“.

ბევრი დაწერილა საქართველოს პატრიარქის ცხოვრების გზის შესახებ. მისი ბიოგრაფია ქართველთა უმეტესობამ ზეპირად იცის, ახალს ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ვეცდები, კიდევ ერთხელ მწირი სიტყვებით თქვენს მიმართ მადლიერება გამოვხატო, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო...

მახსოვს, ერთხელ ერთი მონასტრის კურთხევის შემდეგ, როცა ბერ-მონაზვნობას ლოცავდით და აკურთხებდით, თქვენს გარშემო შემოკრებილ სასულიერო დასს პატრიარქ ეფრემ II-ის შესახებ უამბეთ... ის სიზმარში გინახავთ, თქვენი უწმიდესობისთვის უთქვამს: თუ გსურს, საქართველოში ბერ-მონაზვნობა შენი თმასავით გამრავლდეს, ის არასოდეს მოიკვეცოო...

ყოველთვის „მონაგებთა დამტევებლობის“ ლოცვაზე იდგა ერი, მათი სულიერებით საზრდოობდა. გვჯერა, რომ დღესაც ასეა, წუთითაც არაა „ცალიერი“ „ჯვარი იგი ქრისტესი“ და ჩვენს ეკლესია-მონასტრებში აღვლენილი ლოცვა აძლიერებს, ამტკიცებს, ამრავლებს ქვეყანას, შეეწევა ჩვენს სულებს, გვასწავლის სინანულს და მარადიულზე ფიქრისკენ მივყავართ.

რამდენი იშრომეთ, უწმიდესო, რომ სამშობლოსთვის საფუძველი გაგემყარებინათ. 1933 წლის 4 იანვარი ბედნიერ „მოვლენად“ შევა საქართველოს ისტორიაში; 35 წლის მანძილზე „ქართული მოვალეობის შესრულებამ“ წმიდანობამდე აგამაღლათ. მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენი თანამედროვე აღმოვჩნდი.

თქვენი ქადაგება მოსიყვარულე მამის დარიგებას ჰგავდა, გსურდათ, თქვენი სიტყვები მსმენელის გულში მდოგვის მარცვალივით ჩამარხულიყო, გაღვივებულიყო და სარწმუნოების ნაყოფიერ ხედ ეხარა.

თქვენი ქადაგებითა და „მოხსენებითა წადიერითა“ აღვიძებდით ჩვენს გულებს, აფხიზლებდით ჩვენს გონებას და სახარების მარადიულ სიტყვებს ასმენინებდით: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა

და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ... ითხოვდეთ და მოგეცეს თქუენ; ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ; ირეკდით და განგეღოს თქუენ... ყოველი რომელი გინდინ თქუენ, რაითა გიყონ კაცთა, ეგრეთვე თქუენ ყავთ მათა მიმართ... შეეედინ იწროისაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და იწრო არს გზაი, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად და მრავალნი ვლენან მას ზედა. ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ არს გზაი, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას...“

საქართველოს მეგობარმა ფრანგმა ქართველოლოგმა შეხვედრისას გითხრათ: „გმადლობთ იმისთვის, რომ ასე ცოცხალია დღეს ქართული ეკლესია“.

ამისთვის რა რთული და ეკლიანი გზა განვლეთ უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო! თანდათან იხსნებოდა დახურული საყდრები, აღორძინდებოდა დაქვრივებული საეპისკოპოსო კათედრები, შენდებოდა ახალი ეკლესიები — ახალი ადგილები ინთებოდა ზეცისთვის. მაშინ თითქოს სიონის ტაძარი მთელ საქართველოს იტევდა, ახლა ათასობით ეკლესიაა და მრევლს ვერც ერთი იტევს. წმიდა სამების საკათედრო ტაძარი კი თქვენი ღვაწლის გვირგვინად ადგას თბილისს.

დღევანდელი სასულიერო დასის უმრავლესობა წმიდა ნინოს გზიდან „მოდის“. ის გზა, ფოკადან მცხეთამდე, თქვენი ლოცვა-კურთხევით გაიარა უამრავმა მორწმუნემ, სვეტიცხოველისაკენ მოიჩქაროდნენ, იქ მოელოდით მათ და ლოცავდით, წმიდა წიგნებით ასაჩუქრებდით და შემდეგ ისინი ეკლესიის წიაღში მოგზაურობას აგრძელებდნენ.

ყოველთვის ცდილობდით, თქვენი სამწყსოსთვის „იწრო გზაზე“ სიარული შეგემსუბუქებინათ, თითოეულის ჯვარს ტვირთულობდით, საკუთარ სულს გვინაწილებდით და ის ყველას გვყოფნიდა. ჩვენო პატრიარქო, მადლობელი ვართ ამ სიყვარულისთვის.

ახლა, როცა კიდევ ერთხელ გაილია წმინდა მარხვა და უფალი იესო იშვა, როცა კიდევ ერთხელ ზეციდან მოისმა ანგელოზთა გალობა „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“, როცა მთელი საქართველო სანთლებად აინთო, თავს ვიხრით თქვენი უწმიდესობის წინაშე და დალოცვასა და კურთხევას გთხოვთ.

გვჯერა, რომ ეს ქვეყანა გამთლიანდება თქვენი ლოცვით, გვჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

4 იანვარი თქვენი დაბადების დღეა. გილოცავთ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, ჯანმრთელობას გისურვებთ, კიდევ დიდხანს გაგვეგონოს თქვენი კურთხეული ბაგეებიდან სახარების წმიდა სიტყვები: „დაადგერით თქუენ ჩემ თანა და მე თქუენ თანა... მე ვარ ვენახი და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა და მე მის თანა, ამან მიიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თვინიერ ჩემსა არარაი ძალ-გიც ყოფად არცა ერთი...“

ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავი

როინ მეტრეველი

ექვთიმე ღმრთისკაცი

2002 წელს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის თაოსნობით წმინდა სინოდმა ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა

ექვთიმე თაყაიშვილი – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე – ერთი მთლიანი განუყოფელი ფენომენია: ჭეშმარიტი ნიმუშია სამშობლოსათვის თავდადებისა და უანგარო სამსახურისა: იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გამოვიდა და გვერდით დაუდგა ქართული ისტორიოგრაფიის იმ სახელოვან წარმომადგენლებს, რომლებმაც ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს ეროვნული ისტორიის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი წყაროების შეკრების, მეცნიერული შესწავლისა და გამოცემისათვის. ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა ჩააყენა საქართველოს ისტორიის სამსახურში მდიდარი ქართული დოკუმენტური მასალა, ქართული ეპიგრაფიკა, მანამდე შეუსწავლელი ქართული ხელნაწერები და მათი ანდერძ-მინაწერები, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და ყოველივე ამით მყარი ნიადაგი მოუმზადა ქართული ისტორიული მეცნიერების აღმავლობას.

150 წელი შესრულდა დიდი მამულიშვილის დაბადებიდან.

* * *

ექვთიმე თაყაიშვილი 1863 წლის 3 იანვარს (ძველი სტილით) დაიბადა. მშობლები ადრე გარდაეცვალა და ბავშვობა ობლობაში გაატარა. სამიოდე წლის ექვთიმეს საბედისწერო მარცხი მოსვლია: ხიდან გადმოვარდნილა და მარჯვენა ფეხი მოუტეხია. ბავშვისთვის ყურადღება დაუკლიათ და იგი სამუდამოდ დაკოჭლებულა. 7 წლის ექვთიმე ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანეს.

შემდეგ ექვთიმე სწავლას ქუთაისის გიმნაზიაში აგრძელებს, რომელიც 1883 წელს დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაემგზავრა. აქ იგი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა მსმენელად. ექვთიმე თაყაიშვილი მონდომებით მეცადინეობდა, ეწაფებოდა ცოდ-

ნას. 1887 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა და საქართველოსკენ გამოსწია.

1887-1894 წლებში მასწავლებლობს თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში, ასწავლის ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. 1894-1904 წლებში სათავადაზნაურო გიმნაზიას განაგებს. „იმხანად, – წერს ე. თაყაიშვილი, უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი... შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის, ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად, რაც შეიძლება მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის, ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში, იმ რწმენით, რომ... ჩვენში გამოჩნდებოდნენ მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიგროვებდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“.

ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო ექვთიმე, როცა იგი დაუსწრებლად აირჩიეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრად. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგი მთელი არსებით ებმება საზოგადოების მუშაობაში. მისი ენერგიის წყალობით გროვდება ძვირფასი წიგნები სიგელ-გუჯრები, სხვადასხვაგვარი სიძველენი.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი, ეპიგრაფიკის მკვლევარი, მთხრელი არქეოლოგი, ქართული მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების ისტორიული გეოგრაფიისა და სამართლის ისტორიის მკვლევარი.

საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა. ექვთიმე თაყაიშვილმა საზოგადოების დაარსების უმალ შემოიკრიბა თითქმის მთელი ქართველი ინტელიგენცია (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და მრავალი სხვ.). საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფართო და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. მის შექმნას დიდი რეზონანსი ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ყველა განათლებული ქართველი თავის მოვალეობად თვლიდა საზოგადოების წევრი გამხდარიყო და რაიმე ამაგი დაედო მისთვის. ფართო ხასიათის მრავალმხრივმა სამეცნიერო საქმიანობამ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა საზოგადოებას. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ოფიციალურ დოკუმენტებში მოიხსენიება როგორც „ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“.

საზოგადოებამ გამოსცა ორი სერია „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. პირველ მათგანში იბეჭდებოდა გამოკვლევები, რეფერა-

ტები და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა, ხოლო მეორეში – სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა აქტები.

ექვთიმე თაყაიშვილი ხშირად გამოდიოდა მეცნიერული მოხსენებებით. მის ყოველ ნაშრომში იგრძნობა უდიდესი ერუდიცია, მასალის ღრმა ცოდნა, მეცნიერული კეთილსინდისიერება. მისმა ღრმა მეცნიერულმა და მეტად მნიშვნელოვანი მასალების შემცველმა ნაშრომმა „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის" იმთავითვე მიიპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. მას მაღალი შეფასება მისცა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ და 1911 წლის 28 მარტს საზოგადოების დიდი მედლით დააჯილდოვა.

* * *

დიდია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი ივანე ჯავახიშვილთან ერთად იმთავითვე იყო არჩეული „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების" კომისიაში. როგორც ცნობილია, 1918 წლის 26 იანვარს (ძვ. სტილით) უნივერსიტეტი გაიხსნა. ექვთიმე თაყაიშვილი კითხულობდა ლექციებს არქეოლოგიაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი გულისხმიერება, რომლითაც იგი თავის სალექციო მოღვაწეობას ეკიდებოდა. 1918 წლის 21 მაისს თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ ექვთიმე თაყაიშვილს მიანიჭა დოქტორის ხარისხი. 1920 წლისათვის ე. თაყაიშვილის ლექციები საქართველოს სიძველეებს შეეხებოდა. იგი სამ სალექციო კურსს უძღვებოდა. ერთი უნივერსიტეტში ახლად შემოსულთათვის იყო და მოიცავდა შესავალს საქართველოს სიძველეებისას – ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანას ზოგადად და, კერძოდ, საქართველოში, და საქართველოს ისტორიული დროის სიძველეთა ზოგად მიმოხილვას. ამასთან ერთად მეცნიერი კითხულობდა ეპიგრაფიკას და ეკლესია-მონასტრების ისტორიას.

ექვთიმე თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროსაც არ ივიწყებდა საქართველოს სიძველეებს და მათ დაცვა-შესწავლას. იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა.

* * *

ექვთიმე თაყაიშვილსა და მის თანამედროვეებს „არქეოლოგია" ფართოდ ესმოდათ. კერძოდ, მასში გულისხმობდნენ ტაძართა და საეკლესიო წიგნთა აღწერას, წარწერების გადმოღებას, ამოკითხვასა და აღწერას, მიწაში დაფლული ნაშთების გათხრას და სხვ. ამდენად, ბუნებრივია, ასეთი ფართო საქმიანობის გასაშლელად ბევრი უნდა ემოგზაურათ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და, მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე თაყაიშვილს მძიმე ფიზიკური ნაკლი ჰქონდა, მას არ დაუტოვებია საქართველოს არც ერთი კუთხე, ფეხით რომ არ მოევლოს, აქ არსებული ყველა ისტორული ძეგლი არ აღეწეროს და არ შეესწავლოს. ამიტომ არის ასე ფასდაუდებელი მისი არქეოლოგიური მოგზაურობანი. ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს: „ერთი სიტყვით, საზოგადოების (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება – რ.მ.) წევრი რომ გავხდი,

მივიხედ-მოვიხედე, შევატყვე, რომ ის ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოვკიდე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა და ვიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალახალსაც ვაგროვებდი. შემოწირულსაც აღარ ვჯერდებოდი, საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე“.

ექვთიმე თაყაიშვილმა პირველი არქეოლოგიური მოგზაურობა მოაწყო 1889 წლის 17 თებერვალს მცხეთაში, სადაც დიმიტრი ბაქრაძემ წაიყვანა. მათი მიზანი იყო ხელნაწერი წიგნების ჩამოტანა. კარგი ხელნაწერები მხოლოდ სვეტიცხოველში უნახავთ და წამოულიათ. შემდგომში ექვთიმე თაყაიშვილი დამოუკიდებლად იწყებს ფართო შემოქმედებით საქმიანობას, რომლის ერთგვარი დაგვირგვინება იყო მის მიერ 1890 წელს გამოცემული „სამი ხრონიკა“, მას მოჰყვა „წმინდა ნინოს ცხოვრება“, რომელიც წინა ნაშრომის გაგრძელებას ნარმოადგენდა. ამ გამოცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე. ექვთიმე თაყაიშვილის, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბება თანდათანობით ხდებოდა. მის მუშაობაში ისახებოდა ერთი მთავარი მიზანი: რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, შეეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის, დაღუპვა-დაკარგვისაგან გადაერჩინა ძეგლები და მისაწვდომი გაეხადა მკვლევართათვის. ექვთიმე თაყაიშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჩვენში გამოჩნდებოდნენ მკვლევარები, რომელთათვის სასარგებლო იქნებოდა მისი ნაღვაწი.

ექვთიმე თაყაიშვილმა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სისტემატური კვლევისა და ძებნის შედეგად ბევრი ახალი, სრულიად უცნობი პირველხარისხოვანი ძეგლი აღმოაჩინა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის მიერ აღმოჩენილ „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ხელნაწერებს. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის ზოგი მეტად საყურადღებო იყო როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით, საერთოდ კი 24 ხელნაწერის შესახებ მოკრიბა ცნობები.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ თავმოყრილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლისა, რომელიც საზოგადოებამ ვინმე კორინთელისაგან შეიძინა. საზოგადოების შენაძენთა შორის არის აგრეთვე მეფე გიორგი XI-სათვის 1680 წელს მისი მდივნის ბეგთაბეგის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ხელნაწერი გამოირჩევა არშიებზე მოხატული სამკაულით. „ევროპის, რომელსაც გინდა მუზეუმს რომ მიუტანო, უეჭველად მოგცემენ მილიონსო“, – ამბობდა ამ ხელნაწერის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი.

ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა გადარჩენა პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც სიუჟეტური მინიატიურებით იყო დასურათებული. ამ ხელნაწერის მოკლე ისტორია ასეთია: ერთ საჩხერელ თავადს ნესტორ წერეთელს ცოლად ჰყავდა გურიელის ქალი პელაგია. ნესტორის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება (მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული ხელნაწერი) მის ცოლ-შვილს დარჩა. დედამ შვილებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ყდის გასაკეთებლად გაატანა. ეს უკანასკნელი

მათ ეტლში დარჩენოდათ. მეეტლეს ხელნაწერი სამ თუმნად მიუყიდია კომერსანტ დავით სარაჯიშვილისათვის. დ. სარაჯიშვილმა კარგად იცოდა ასეთი ძეგლების ყადრი, ხელნაწერი შეუძენია და იმხანად თბილისში მყოფ ბარონ დე ბაისათვის განუზრახავს მისი ჩუქება. ექვთიმე თაყაიშვილს ეს ხელნაწერი უნახავს, უთხოვია და დროებით წაუღია დ. სარაჯიშვილისაგან და არ დაუბრუნებია პატრონისათვის მანამ, სანამ ბარონ დე ბაი საქართველოდან არ წასულა. შემდეგში ამ ხელნაწერის მიხედვით ექვთიმე თაყაიშვილმა „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცა კიდეც.

ექვთიმე თაყაიშვილი თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს უკვე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების ფართოდ გატანისა და ახლის აღმოჩენისათვის. პირველი ქართველი არქეოლოგი, რომელმაც ექვთიმე თაყაიშვილზე ადრე მოაწყო გათხრები კავკასიაში, ნიკო მარი იყო. მან გათხარა ძველი, წინაქრისტიანული სასაფლაო დებედის ხეობაში, სოფელ ვორნაკში და მეტად საინტერესო ნივთები აღმოაჩინა, მაგრამ მალე ნიკო მარმა ანისში დაიწყო გათხრები და მთელი ყურადღება იქით გადაიტანა. ვორნაკი რომ უყურადღებოდ არ დარჩენილიყო, იქ თხრის გაგრძელება საიმპერატორო არქეოლოგიურმა კომისიამ ექვთიმე თაყაიშვილს შესთავაზა. ექვთიმე თაყაიშვილი დათანხმდა და დაიწყო საქმიანობა. ეს იყო 1894 წელს. ვორნაკში ბრინჯაოს ხანის სამარხები აღმოჩნდა. საერთოდ, ეს სამარხები მდიდარი იყო. აღმოჩენილ მასალებზე მუშაობამ ექვთიმე თაყაიშვილს გარკვეული გამოცდილება შესძინა. იგი თანდათან წახალისდა და შემდგომში უფრო თამამად მიჰყო ხელი გათხრებს. 1917 წლის რევოლუციამდე ექვთიმე თაყაიშვილი ერთადერთი ქართველი არქეოლოგი იყო, გათხრებს რომ აწარმოებდა. იგი პარალელურად პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. დიდ ყურადღებას უთმობდა მინისზედა ძეგლების აღწერა-შეგროვებას.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ექვთიმე თაყაიშვილს „ახალგორის განძის“ შესანიშნავი მასალების შეგროვებისა და დაცვის საქმეში. მან კვალდაკვალ სდია ამ განძის შემსყიდველ-გადამსყიდველებს, ვიდრე განძის უმეტეს ნაწილს თავი არ მოუყარა და საბოლოოდ კავკასიის მუზეუმში არ დააბინავა.

ექვთიმე თაყაიშვილის გულმოდგინების შედეგი იყო „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერის აღმოჩენა. ეს ხელნაწერი ექვთიმემ ქართლში მოგზაურობის დროს გაპარტახებულ სახლში იპოვა, ნაგავში. ექვთიმე თაყაიშვილი მუდამ ცდილობდა, რომ ყოველივე ის, რასაც აღმოაჩენდა, პირველივე სახით უცვლელად გამოეცა. ასევე მოიქცა აღნიშნული ხელნაწერის მიმართაც. 1920 წლის მაისში თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ „ხელმწიფის კარის გარიგება“ ექვთიმე თაყაიშვილის წინასიტყვაობით გამოსცა. მიუხედვად იმისა, რომ თხზულებამ ჩვენამდე მთლიანად ვერ მოაღწია, მისი მნიშვნელობა მეტად დიდია. „ხელმწიფის კარის გარიგება“ არის სახელმძღვანელო კარის-კაცებისათვის, ხელისუფალთათვის და საერთოდ ყველა მოხელისათვის. ეს არის სხვადასხვა მეფის მიერ დაწესებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის კანონთა კრებული. აღნიშნულ ძეგლს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება

საქართველოს წესწყობილების, სახელმწიფო ყოფა-ცხოვრებისა და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობებს სამხრეთ საქართველოში, ეგრეთ წოდებულ „თურქეთის საქართველოში“ (საქართველოს ეს სამხრეთი ნაწილი ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული). ოქტომბრის რევოლუციამდელი რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად, ეს იყო ყარსის ოლქის ორი „ოკრუგი“ არტაანისა და ოლთისისა და აგრეთვე ბათუმის ოლქის მცირე ნაწილი.

ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს სამხრეთ ნაწილში (თურქეთის საქართველოში) სამჯერ იმოგზაურა. პირველი ექსპედიცია მოეწყო 1902 წელს. ექსპედიციაში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. ახალციხისა და ახალქალაქის ზოგ ძეგლთან ერთად მაშინ მათ გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლებიც, ოლთისის ოლქის ნაწილი. მეორე ექსპედიცია 1907 წელს მოეწყო. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ ხუროთმოძღვარი ანატოლი კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი ედუარდ ლიოზენი. გამოკვლეული იყო არტაანის ოლქის კოლას რაიონის ძეგლები და დამთავრდა ოლთისის ოლქის შესწავლა. მესამე ექსპედიცია 1917 წელს მოეწყო.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ისტორიული ძეგლები შესწავლასა და გამომზეურებას ელოდნენ და ექვთიმეც დიდი მონდომებით ეწეოდა ამ საქმეს. იგი იხსენებს: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისათვის. პირადად ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს“.

ექვთიმემ საკუთარი თვალით იხილა საქართველოს თითქმის ყველა მიწისზედა ძეგლი, თავად შეიგრძნო ბევრი მათგანის სიდიადე, იმ ხუროთმოძღვართა ნიჭი და ძალა, რომელთაც შექმნეს საქართველოს ეს დიდებანი, შესწავლილ იქნა დიდი ისტორიული მასალა. მართალია, ბევრი ძეგლი უკვე აღწერილი იყო არქეოლოგიურად, მაგრამ ექვთიმეს ძველ აღწერილობაში კორექტივები შეჰქონდა, ბევრს ისეთს ახალს ნახულობდა, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ისტორიის მრავალი საკითხის გაშუქებისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა და აღწერა: კახეთში – ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ახმეტა და სხვ., იმერეთში – საჩხერე, ჯრუჭი, კაცხი, ქუთაისი, გელათი და სხვ. სამეგრელოში – მარტვილი, ცაიში, ზუგდიდი, ნალენჯიხა, ბანძა, აბაშა, სუჯუნა და სხვ. რაჭაში – გლოლა, ჭიორა, ღები, ონი, წესი, მრავალძალი, სხვავა, ბუგეული, ნიკორწმინდა და სხვ. ლეჩხუმ-სვანეთში – ლაბეჭინა, საირმე, ლაჯვანა, ორბელი, ლენტეხი, ლაშხეთი, უშგული და სხვ.

1937 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა პარიზში გამოსცა წიგნი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“. მან ლეჩხუმ-სვანეთის

კულტურის ძეგლების აღწერასთან ერთად მნიშვნელოვანი დასკვნებიც გამოიტანა. წიგნში ძირითადად ქრისტიანული დროის კულტურის ძეგლები განიხილა. ავტორის აზრით, ქრისტიანობა სვანებმა ბიზანტიიდან მიიღეს. როცა სრულიად საქართველოს ბაგრატ III-ის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდა 980-იან წლებში, სვანეთი ერთიანი საქართველოს ნაწილი გახდა: ამის შემდგომ საქართველოს მეფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სვანეთს. იფარის ეკლესია დავით აღმაშენებლის მხატვრის მიერ არის ფრესკებით მოხატული. ამავე ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატზე დახატულია დავით V და მოხსენიებულია მისი მეუღლე გვანცა. მუხერის მთავარანგელოზის ხატის წარწერაში ვკითხულობთ: „ადიდენ მეფენი ბაგრატოანნი, დიდნი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილი სანნი“.

ე. თაყაიშვილმა დაამტკიცა, რომ ცხრა მეათედი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას ნათლად მოწმობს სვანიზმები წარწერებში. ოქრომჭედლობა სვანეთში დიდად განვითარებული ყოფილა.

ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიურ მოგზაურობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. ეს ექსპედიცია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოაწყო. მოწვეულ იქნენ სამოქალაქო ინჟინერი ალექსი კალგინი, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, მოხალისე ხუროთმოძღვარი ილია ზდანევიჩი, მხატვარი ლადო გუდიაშვილი და შემდგომში ცნობილი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, რომელიც იმხანად მხატვრობას ეწეოდა. ამ მოგზაურობის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა ინახულა და აღწერა თორთუმის ხეობის ზემო წელში მდებარე ექექის ტაძარი, ამ ტაძრის სამხრეთით მდებარე სოფელ სოხთოროთის ტაძარი, ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი ოთხთა ეკლესია, ასევე ცნობილი პარხლის ეკლესია და სხვ. იმ დროს ტრანსპორტით მოგზაურობა თითქმის არ ხერხედებოდა, მით უმეტეს, ისეთ მთაგორიან ადგილებში, სადაც ჩვენს წინაპრებს ეკლესია-მონასტრები უშენებიათ. რაოდენი სიყვარული უნდა ჰქონოდა ერის ისტორიისა და კულტურისა იმ ადამიანს, რომელიც მტკივანი ფეხით ამდენს დადიოდა, არ ერიდებოდა არავითარ დაბრკოლებას და პირნათლად ახორციელებდა მიზანს, რომელიც ერთხელ დაისახა.

ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიურმა მოგზაურობებმა მეტად დიდი როლი შეასრულა ჩვენი კულტურის ძეგლების აღწერისა და შესწავლის საქმეში.

* * *

1921 წელს, დამყარების უმალ ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ ბათუმს მიაშურა, რათა აქედან ზღვით უცხოეთში გამგზავრებულიყვნენ. ამასთან განკარგულება გაიცა მთელი სამუზეუმო ქონება ყუთებში ჩაეწყოთ და უცხოეთში გაეტანათ. სამუზეუმო განძის მეთვალყურედ დამფუძნებელმა კრებამ ექვთიმე თაყაიშვილი დანიშნა. მძიმე იყო მეცნიერისათვის სამშობლოს დატოვება, მაგრამ საქართველოს ძვირფასეულობას მეთვალყურე სჭირდებოდა, მას კარგად ესმოდა, რომ თუ არა დიდი ყურადღება, შეიძლებოდა

ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები სამუდამოდ დაკარგულიყო საქართველოსთვის. 1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა დატოვა საქართველო და იძულებით კარგა ხანს მოუხდა ემიგრაციაში ყოფნა. განძის პატრონად ფორმალურად მენშევიკური მთავრობა ითვლებოდა.

განძი აუწერელი ფასეულობისაგან შედგებოდა. აქ იყო თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტის ნივთები, ძვირფასი ხელნაწერები, სურათები ეროვნული გალერეიდან, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის სასახლის განძეულობა, რუსული ეკლესიების ქონება, სახაზინო ქონება, ბორჯომის სასახლის ქონება (მდიდარი ბიბლიოთეკებით) და სხვა მრავალი. ნიშანდობლივია, რომ განძის გამტანებს არ დავიწყებიათ დავით სარაჯიშვილისათვის მიძღვნილი ვერცხლის გვირგვინები, რომლებიც მის კუბოს ამკობდა...

საფრანგეთის მთავრობის სრულუფლებიანმა მინისტრმა და უზენაესმა კომისარმა ამიერკავკასიაში აბელ შევალიემ საქართველოს განძეულობა ფრანგულ კრეისერზე „ერნეს რენანზე“ მოათავსებინა. ამასთან იმდენი მოახერხა, რომ ეს კრეისერი დანიშნულ დროზე ადრე გავიდა და ექვთიმე თაყაიშვილი და მისი მეუღლე ნინო, რომელიც მასთან ერთად მიემგზავრებოდა, მას ჩამორჩნენ. ექვთიმე დაქირავებული კატარღით დაედევნა ფრანგულ კრეისერს, რომელიც კონსტანტინეპოლისაკენ მიემართებოდა. კონსტანტინეპოლში განძეულობა სამგზავრო გემ „ბიენ ჰოაზე“ გადაიტანეს და 20 მარტს მარსელისაკენ გაემართნენ. ორმოცდარვა დღის დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ 1921 წლის 10 აპრილს მარსელში ჩასულან. მას შემდეგ, რაც განძი მარსელის ბანკს ჩააბარა, ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლითურთ მეცნიერულ საქმიანობასაც აგრძელებდა. მისი აღიარება იყო, როცა იგი ჯერ პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების (1922 წლის 4 თებერვალი), ხოლო შემდეგ სააზიო საზოგადოების (1925 წ.) წევრად აირჩიეს.

საფრანგეთში საქართველოს განძის ჩატანის ამბავი ფართოდ გახმაურდა და მისი შეძენის ბევრი მსურველიც გამოჩნდა. ნიუ-იორკისა და ბრიტანეთის მუზეუმები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ განძის თუნდ მცირე ნაწილი. ფრანგი ისტორიკოსი მილე ნივთების ფოტოგრაფიულად გადაღების ნებართვას ითხოვდა. ექვთიმე თაყაიშვილი თავს ევლებოდა საქართველოს საუნჯეს და კატეგორიულ უარს ეუბნებოდა ყველას, ვინც კი განძთან დაკავშირებით რაიმეს ითხოვდა. ხედავდა რა უდიდეს ინტერესს განძისადმი, ექვთიმეს აწუხებდა მისი მომავალი ბედი. მას შეუჩივლია 1928 წელს პარიზში ჩასული აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანისათვის: „მოახერხეთ როგორმე, ეს სიძველეები დაუბრუნდეს საქართველოს. ეს რომ ასე არ მოხდეს, ჩემი მეორე სიკვდილი იქნებაო“.

ექვთიმე თაყაიშვილს დიდი მცდელობა დასჭირდა იმისათვის, რომ სასამართლოს წესით უარეყო გრაფ ალექსანდე ობოლენსკის ქვრივის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ დადიანის ასულის სალომე ობოლენსკაიას საჩივარი, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა სამეგრელოს

მთავრის ოჯახიდან გატანილ განძეულობაზე. ექვთიმე თაყაიშვილის გარდა მოსარჩელეს გამოუჩნდა ძლიერი მოწინააღმდეგე. ეს იყო საფრანგეთში უპატრონოდ მიტოვებულ რუსულ ქონებათა, უფლებათა და ინტერესთა დროებითი დამცველი პიერ ჟორდონი. ობოლენსკაიამ ვერ მიიღო ძიებული ნივთები, მაგრამ ისინი აღარც საქართველოს ეკუთვნოდა. საბჭოთა კავშირთან საფრანგეთის დაახლოებამ თავისი გავლენა იქონია სხვადასხვა ემიგრანტული „მთავრობების“ მდგომარეობაზე. გამონაკლისს არც საქართველოს „მთავრობა“ შეადგენდა. იგი კანონგარეშე გამოცხადდა. განძი საფრანგეთმა დაისაკუთრა. ექვთიმე თაყაიშვილი ბევრს ეცადა მიეღწია საფრანგეთის მთავრობის უსამართლო განაჩენის გაუქმებისათვის, მაგრამ ამაოდ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ განძის შენახვის საფასური უსახსრობის გამო საქართველოს წარმომადგენლებს ერთი წლის გარდა ფაქტობრივად არ გადაუხდიათ.

განძმა თითქმის 25 წელი დაჰყო საფრანგეთში, აქედან 13 წელი მარსელში, დანარჩენი – პარიზში. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მხარეს გამარჯვების სასწორის გადახრამ გახადა შესაძლებელი განძის დაბრუნება. 1944 წლის ნოემბერში ექვთიმე თაყაიშვილი შეხვდა სსრ კავშირის ელჩს საფრანგეთში ალექსანდრე ბოგომოლოვს, რომელსაც გააცნო განძთან დაკავშირებული ვითარება და შემწეობა სთხოვა, თანაც გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ დე გოლის სახელზე. დე გოლი მოსკოვში ჩასვლისა და ი. სტალინთან შეხვედრის სამზადისში იყო (ეს ვიზიტი 1944 წლის 2-10 დეკემბერს გაიმართა). რა თქმა უნდა, მის ნაბიჯს გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა მომავალი ვიზიტის წარმატებაზეც. დე გოლს განკარგულება გაუცია საქართველოს საუნჯის დაბრუნების თაობაზე. ამ შთაბეჭდილებითაა დაწერილი ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება: „განძეულობის დაბრუნების საკითხი გადაწყვიტა ამხ. სტალინის უმაგალითო გამარჯვებამ, რის შემდეგ გერმანელებმა მიატოვეს პარიზი და ფრანგებმა სული მოითქვეს. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა სტალინს საფრანგეთში. ფრანგები მასზე ლოცულობდნენ და ამბობდნენ: „ჩვენ მას ოქროს ძეგლს დავუდგამთო“. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ სტალინი ქართველია ტომით, მაგრამ ამას ეჭვის თვალით უყურებდნენ: საქართველო პატარაა და ასეთ პიროვნებას ვერ წარმოშობდაო“.

ექვთიმე თაყაიშვილმა, მიუხედავად მძიმე და რთული ცხოვრებისა, მიუხედავად გაჭირვებისა, ბოლომდე უპატრონა მისთვის მინდობილ საუნჯეს და უკვე ღრმად მოხუცი ამ საგანძურთან ერთად 1945 წლის 11 აპრილს თბილისში დაბრუნდა.

მხცოვან მეცნიერს აკადემიკოს შალვა ამირანაშვილისათვის უთქვამს: „ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე“, ძვირფასი საუნჯის უზადოდ სამშობლოში დაბრუნება მიაჩნდა ექვთიმე თაყაიშვილს თავის უპირველეს მოქალაქეობრივ მოვალეობად და რაკი მისი დიდი მისია წარმატებით დამთავრდა, ბედნიერად თვლიდა თავს და ხმამაღლა აცხადებდა: „მე ძალიან ბედნიერი ვარ და არა მაქვს უფლება ბედს დავემდურო“.

ახლადჩამოსული ექვთიმე თაყაიშვილი კმაყოფილი იყო ახალი საქართველოს ცხოვრებით, განცვიფრებული იყო თბილისის წინსვლით: „პირდაპირ ზღაპრულად გარდაქმნილი და გამშვენიერებული დამხვდა თბილისი, რომ ჩამოვედი... დიდი გაქანებითა და გემოვნებითაა ყველაფერი გაკეთებული...“ სხვაგან იგი წერდა: „თბილისს გარეგნულად ველარ იცნობ, ისე გამწვანებული და გამშვენიერებულია, აუარებელი დიდი და მცირე ნაგებობაა აშენებული, მაგრამ არაფერი არ ჰყოფნის, მცხოვრებთა რიცხვი ნახევარ მილიონზე მეტია“. მეცნიერის სიტყვებში ერთგვარი შეშფოთება იგრძნობა თბილისის მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო. ასევე დიდი გაკვირვება გამოუხატავს ექვთიმე თაყაიშვილს, როცა მისთვის საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვი დაუსახელებიათ. იგი ძალიან დიდად მოსჩვენებია და უკითხავს კიდეც: გვჭირდება კი ამდენიო. დიდი მეცნიერის იმდროინდელი შენიშვნები ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე დღემდე აქტუალურია.

* * *

ექვთიმე თაყაიშვილი ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე თანამშრომლობდა მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტისა და სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ორგანოებში, აქვეყნებდა ძვირფას მასალას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემაზე: 1945 წლის 10 მაისს არჩეული იყო თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად. 1946 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ექვთიმე თაყაიშვილი ჩამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ საჯაროდ წარდგა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე მოხსენებით: „ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართული ძეგლების შესახებ“.

მოხუცებულ, მარტოხელა ექვთიმეს ცხოვრება უმძიმდა, მაგრამ ოპტიმიზმი მაინც არ დაუკარგავს. მიუხედავად ზოგიერთი განგებ შექმნილი დაბრკოლებისა (სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გადაჭარბებული დაინტერესება, ბევრჯერ რეპრესიულ მდგომარეობაში ჩაყენება და სხვ.), რომელიც მას ხვდებოდა, მხცოვანი მეცნიერი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თავდაუზოგავად მუშაობდა.

ექვთიმე თაყაიშვილი თავისი მოწამეობრივი ცხოვრებითა და განსაცვიფრებელი მოღვაწეობით მტკიცედ დამკვიდრდა უკვდავ ქართველ მამულიშვილთა სამარადჟამო პანთეონში.

...ოთხმოცდაათი წლისა გარდაიცვალა ექვთიმე თაყაიშვილი... თებერვლის ერთ ჟამიან დღეს ორმოციოდე კაცმა გააცილა მისი ცხედარი და თითოეულმა თითო მუჭა მიწა მიაყარა. ორმოციოდე კაცმა...

დღეს საქართველომ იცის თავისი დიდი შვილის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ფასი. საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და აქედან მოკიდებული წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცად იწოდება.

დავით მუსხელიშვილი

აღმოსავლელქართველ ტომთა გაერთიანებანი ქართლის სამეფოს ნარმოქმნამდე

უკანასკნელი ხანის გამოკვლევების მიხედვით სავსებით რეალურია ვარაუდი, რომ ძ.ვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან მაინც ხელშესახებად ვისაუბროთ ამიერკავკასიაში ქართველი ტომების მოსახლეობის შესახებ.

ასე მაგალითად, ფიქრობენ რომ უკვე ამ პერიოდიდან დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ანუ ძველი კოლხეთის მოსახლეობა დასავლურქართულ დიალექტებზე მეტყველებდა (1).

თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ ამ დროისათვის წინარე ქართულ დიალექტებზე მოსაუბრე ტომთა დივერგენცია უკვე მომხდარი ფაქტია და ამდენად, ასევე უნდა არსებულიყვნენ აღმოსავლურქართულ დიალექტებზე მოსაუბრე ტომებიც.

ეს ვარაუდიც სავსებით რეალურია.

საქმე ის არის, რომ თანამედროვე ქართული სიტყვა – „ცხოვრება“ – რომელიც ამავე მნიშვნელობით ძველ ქართულშიც კარგად არის ცნობილი, წარმოდგება „ცხოვარ“, „ცხვარ“ ძირისაგან. აქედან დასკვნა, რომ ძველი ქართული ტერმინი – „ცხოვრება“ – თავდაპირველად „მენცხვარეობასაც“ ნიშნავდა (2) და შესაძლებელია – „მესაქონლეობასაც“. რამდენადაც ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის ერთობლივი მონაცემების მიხედვით დღეს სრულიდ უცილობელია ქართველთა წინაპრების ავტოქტონობა კავკასიაში, ამდენად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით ერთადერთი პერიოდი, როდესაც ამ ტომთა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მეცხვარეობას ან საერთოდ მესაქონლეობას იმდენად არსებითი მნიშვნელობა უნდა შეეძინა, რომ იგი „ცხოვრების“ სინონიმად ქცეულიყო (ასევე, მაგალითად, როგორც სლავური „жито“ – პური, რუსებისთვის არსებობის შესატყვისად იქცა: „жить“), შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ე. წ. „შუა ბრინჯაოს ხანა“ ანუ სწორედ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი(3).

თუკი ზემოთქმულს გავიზიარებთ, მაშინ იმის გათვალისწინებით, რომ ტერმინი – „ცხოვრება“ – საკუთრივ ქართული ენის ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება, უნდა დავასკვნათ, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ე. წ. „თრიალეთური კულტურის“ მატარებელი ტომები ძირითადად, მართლაც,

აღმოსავლელქართველი ტომები უნდა ყოფილიყვნენ. დღეისათვის აღმოჩენილი, თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური არტეფაქტები კი აღმოჩენილია, ფაქტობრივად, მთელს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდგომი მხარეებითურთ (მესხეთ-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, ჩრდილო სომხეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი თურქეთი) (4).

თრიალეთის კულტურა რომ ქართველი ტომების შემოქმედება უნდა ყოფილიყო, ამის შესახებ სხვა არგუმენტაციის მოშველიებით ნ. ბერძენიშვილიც საუბრობდა. კერძოდ, იგი ყურადღებას აქცევდა ძველქართულ ტერმინს – „კარი“, რომელიც საქართველოში ბევრგან კომპოზიციური ტოპონიმის შემადგენელ ნაწილად გვხვდება.

ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის მიერ 1905 წელს წამოყენებული იქნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ძველქართული ტერმინი „კარი“ პირველყოფილი – თემური ურთიერთობის დროინდელი ტერმინია და იგი თავდაპირველად გვაროვნულ სამოსახლოს აღნიშნავდა (5). ნ. ბერძენიშვილიც იზიარებდა ამ აზრს.

მისი სიტყვით: „ეს კარები (ყარსი, ბაშკადიკლარები, კლდეკარნი, არზრუმი და სხვა კარები ტაოში) შეიძლება არა მარტო გასავალს, არამედ უფრო ძველად მოსახლეობას, სახლს, გვარს, კერას ნიშნავდნენ... ეს ქვეყანა ამ „კარებით“ შეიძლება იყოს ნაკვალევი ქართის ტომის განსახლებისა უძველეს დროს. თრიალეთის კულტურა ამის ნიშანია... კარი ამ რაიონში მოწმობაა იმისა, თუ რა ენაზე საუბრობდნენ ეს „კარელები“ შუაბრინჯაოს ხანაში და შემდეგ“ (6).

ამგვარად, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის ე. წ. „თრიალეთური კულტურის“ გავრცელების ტერიტორიაზე აღმოსავლელქართველი ტომები ცხოვრობდნენ.

მართალია, შუა და გვიანი ბრინჯაოს ეპოქებს შორის უშუალო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს, მაგრამ უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა ძიებამ, კერძოდ, კახეთში თითქოს დამაჯერებელი სურათი წარმოაჩინა ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტის თვალსაზრისით (7), და ამდენად, მართებული ჩანს ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ „თრიალეთური კულტურა...არ შეწყვეტილა... ის გადაიზარდა მცხეთის ქართლის კულტურაში“(6) ანუ გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურაში.

მართლაც, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ანუ გვიანი ბრინჯაოს ეპოქიდან კიდევ უფრო საბუთიერად შეიძლება ვიმსჯელოთ ქართველი ტომების განსახლების გეოგრაფიაზე ამიერკავკასიაში. კერძოდ, არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად და ტოპონიმიკური მონაცემებითაც ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად, აღმოსავლურქართული ტომები მოსახლეობდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე – დასავლურქართული. სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია (გვიანდელი მესხეთ-ჯავახეთი ჭოროხის აუზიანად)

ტომთა ორი ზემოხსენებული არეალის თანხვედრისა და თანაცხოვრების ადგილი იყო (8).

აღმოსავლელ-ქართველ ტომთა შორის საკუთრივ „ქართის ტომის" პირველსაცხოვრისი – „ქართლი" (ეთნოგრაფიული გაგებით) „ზენა და ქვენა სოფლად" დანაწილებული, როგორც აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული არქეოლოგიური კულტურის ანალიზი გვიჩვენებს, უკვე უნდა არსებულიყო, შუა ბრინჯაოს პერიოდში თუ არა (9), მაინცდამაინც, გვიანი ბრინჯაო – ადრეული რკინის ხანაში. ლოკალური არქეოლოგიური კულტურების სახით შესაძლებელი ხდება ჰერული, კახური და მესხური ტომების ადგილსაცხოვრისის შემოხაზვაც (10). ამავე პერიოდიდან იხსენიებიან პირველად ქართველი ტომები ძველაღმოსავლურ წერილობით წყაროებში.

ე.წ. „ზღვის ხალხების" შემოსევების შედეგად, ხეთების იმპერიის დაცემის (ძვ. წ. XII ს-ის დასაწყისი) შემდეგ, აღმოსავლეთ ანატოლიაში რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რაც გამოწვეული იყო ხალხთა ამოძრავებით. მნიშვნელოვანწილად ეს გაპირობებული იყო ქართველი ტომების, თავისი განსახლების თავდაპირველი ტერიტორიიდან, სამხრეთისკენ მიგრაციით და ჩრდილოეთ შუამდინარეთის იმ ქვეყნების დაპყრობით, რომლებიც ასურეთის იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში შედიოდა. სწორედ ამიტომ ჩნდებიან პირველად ზემოხსენებული ტომები ძვ. წ. XII–XI საუკუნეთა მიჯნაზე ასურეთის მეფის, ტიგლატფილასარ I-ის სამხედრო „ანალებში", სახელდობრ, აღმოსავლელ-ქართველი ტომები „მუშქები" (გვიანდელი „მესხები") და აგრეთვე „ქაშქები", რომლებიც უკანასკნელი ხანის გამოკვლევების საფუძველზე, სავარაუდოა, დასავლელქართველ ტომებს მიეკუთვნებოდნენ(11). ამავე წყაროებში იხსენიება „დაიაენის" ადრესახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც XII-IX საუკუნეებში ასურეთის მეფეები ებრძვიან და რომელიც უფრო გვიან, კერძოდ, VIII ს-ის ურარტულ წარწერებში „დიაოხის" სახელით იხსენიება. დიაოხი, ასურული წყაროების მიხედვით, ვრცელი და ძლიერი ქვეყანა იყო. მისი სამხრეთი პერიფერია აწინდელი თურქეთის ქალაქ არზრუმის გაშლილ ზეგანს მოიცავდა, ხოლო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ჭოროხის აუზს და მტკვრის სათავეებს. მისი ერთ-ერთი მხარე იყო „შეშეთის ქვეყანა" ანუ იგივე ქართული ისტორიული პროვინცია – შავშეთი, მდ. ჭოროხის შემდინარე იმერხევის ხეობა და ამდენად, ცხადი უნდა იყოს, რომ არზრუმის ზეგანის გარდა, დიაოხის ქვეყანა ჭოროხის მთელს აუზს მოიცავდა. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ სწორედ ჭოროხის შუა წელზე და მისი შენაკადის ოლთისის წყლის (აწინდელი ოლთუჩაის) აუზში მდებარეობდა, როგორც ცნობილია, ისტორიული საქართველოს პროვინცია ტაო, რომლის სახელსაც უკავშირებენ სწორედ დიაოხის სახელწოდებას. ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, დიაოხი ტაოელთა ჰეგემონობით შექმნილ ადრეკლასობრივ სახელმწიფოს წარმოადგენდა. რაც შეეხება მისი ძირითადი მოსახლეობის ეთნიკურ კუთვნილობას, ჩემი აზრით, ძვ. წ. XII–VIII საუკუნეებში ასურულ და ურარტულ წყაროებში მოხსენიებული ქვეყანა „დაიაენი-დიაუხი" ფრიად მნიშვნელოვანი აღმოსავლურქართული

სახელმწიფოებრივი ერთეული იყო, შექმნილი ტაოელთა ჰეგემონობით. მისი მოსახლეობა, ძირითადად ქართული იყო ხურიტული ტომების მცირე მინარევით, რომელიც დროთა განმავლობაში ასიმილირებული იქნა ქართველთა მიერ. თვით ტაოელები აღმოსავლურქართულ ტომს წარმოადგენდნენ. ცხადია, არ არის გამორიცხული დასავლურქართულ ტომთა აქ არსებობაც, რაც მცირე რაოდენობის სათანადო ტოპონიმიის მიხედვით სავარაუდოა (12). რა ურთიერთობა ჰქონდა ამ ძველქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს იმ ქართულ სამყაროსთან, რომელიც არქეოლოგიურად დასტურდება მთელი ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ დიაუხის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ურარტული წყაროების „ზაბახას ქვეყანა", უეჭველია ქართულივე ჯავახეთი. ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა, მოპოვებული რეგულარული გათხრების შედეგად, რამდენადაც ვიცი, ამ რეგიონიდან არ არსებობს.

მას შემდეგ, რაც ტაოელთა ჰეგემონობით შექმნილი უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული, დიაუხის სამეფო ურარტუსთან ხანგრძლივი ომებისა და აგრეთვე, ჩრდილოეთიდან „კულხას" შემოტევის შედეგად, ძვ. წ.VIII ს-ის შუახანისთვის დაემხო, ამან, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, ხალხთა ამოძრავება და გადაადგილება გამოიწვია. ამიერიდან ზემო ევფრატისპირა ტერიტორიაზე ურარტუელებს სულ სხვა ტომებთან უხდებათ ურთიერთობა.

ადილჯევაზის (ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო) წარწერაში ურარტუს მეფე რუსა II (ძვ. წ, 685–645) მოიხსენიებს ხათეს, მუშქინის და ხალიტუს ქვეყნებს, რომლებიც მას, ჩანს ძვ. წ. 676 წ. დაულაშქრავს (13). „ხათე" – ხეთების ქვეყანაა, ძველი იმპერიის ნაშთი სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში; „მუშქინი" – მუშქების ქვეყანა „ხალიტუ", რომელიც მუშქების ქვეყნის ჩრდილოეთითაა, იგივე ხალიბების ანუ ხალდების ქვეყანაა, რომელიც მოიცავდა ჭოროხის ზემო დინებას, არზრუმის ზეგანს და შავი ზღვის სამხრეთ სანაპირომდე აღწევდა (14).

ამგვარად, VII ს-ის დასაწყისისთვის ძველი დიაუხის ტერიტორიაზე ახალ დიდ გაერთიანებას ვხედავთ ხალიბების თაოსნობით, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხათეს ანუ მელიდის სამეფოს და მუშქინის ანუ ფრიგიის სამეფოს ტოლფას ერთეულად მოიხსენიება(15).

ხალიბთა ანუ ხალდთა ტომების ქართველობაში ეჭვის შეტანა ამჟამად უკვე ძნელია. ი. დიაკონოვი არზრუმის ზეგანზე მათ შემოჭრას ძვ.წ. VII ს-ის პირველ ნახევარში ვარაუდობს, დიაუხის დაცემის შემდეგ, შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროებიდან. ვარაუდობენ, რომ წარმოშობით ხალიბები-ხალდები დასავლურ-ქართული ტომი უნდა ყოფილიყო. ეს უეჭველია ზღვისპირა ხალდებისათვის, მაგრამ ე.წ. „მთის ხალდების" მიმართ, ჩანს სხვაგვარი ვითარებაა. ყოველ შემთხვევაში, ანტიკური წყაროების ანალიზი იმაზე მიუთითებს, რომ ჭოროხის ხეობაში და არზრუმის პლატოზე – ყოფილი დიაოხის ტერიტორიაზე მოხვედრილი ეს ტომები სწრაფად იქნენ ასიმილირებულნი აღმოსავლელქართველი მოსახლეობის მიერ.

ამასთან დაკავშირებით არ არის ინტერესმოკლებული ის ფაქტი, რომ ქ. ყარსის მახლობლად, ე.წ. მეხჩის-ციხესთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების განძი ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისისა, რომელშიც დასავლურ- და აღმოსავლურქართული არქეოლოგიური კულტურებისათვის დამახასიათებელი საგნები ერთადაა თავმოყრილი და რომლის საფუძველზე ბ. კუფტინი სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში აღმოსავლურქართული ტომების ეთნიკურ-კულტურულ ექსპანსიას ხედავდა(16).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თურქეთში, იმავე ყარსის არქეოლოგიურ მუზეუმში გამოფენილია კერამიკული მასალა, რომელიც ანალოგიურია აღმოსავლეთ საქართველოდან ცნობილი ბრინჯაოს პერიოდის „თრიალეთური კულტურისათვის" დამახასიათებელი მასალისა და აგრეთვე გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ჭურჭელი, ზედმიწევნით მსგავსი კერამიკისა, რომელიც ცნობილია სამთავროს სამაროვნიდან და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებიდან. ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, ბ. კუფტინის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას უჭერს მხარს, მითუმეტეს, რომ ეს მასალა ანისის, ყარსის და არტაანის მიდამოებიდანაა. სამწუხაროდ, რა ვითარებაა ამ მხრივ ჭოროხის იმ რეგიონში და არზრუმის პლატოზე, სადაც ჩვენთვის საინტერესო ხანაში უნდა ეცხოვრათ ხალიბებს, ტაოხებს და სხვა ქართულ ტომებს, არავითარი მასალა არ არსებობს კოლხური ბრინჯაოს იარაღის ორი განძის გარდა, ისიც ჭოროხის ხეობის ქვემო წელზე (ართვინი, საზასკალე).

ხალიბების (ხალდთა) ქართული ტომების ჰეგემონია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა გაერთიანებაში, რომლის საფუძველიც, როგორც ფიქრობენ, რკინის მეტალურგიის განვითარება უნდა ყოფილიყო (17) და დაახლოებით საუკუნენახევრის განმავლობაში გრძელდებოდა, ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისში სასპერთა ჰეგემონობით შეიცვალა (18).

სასპერები, ი. დიაკონოვის აზრით, უეჭველად „პროტოქართველები" იყვნენ (19), კერძოდ, აღმოსავლურქართული ტომები (20). მათი სახელი დაკავშირებულია ძველქართულ პროვინცია „სპერთან" – ჭოროხის ზემო დინებაზე – და რომლის ნაშთია ქ. ისპირი დღევანდელ თურქეთში. მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, ამ ტომთა სახელი ორგანულად არის დაკავშირებული აღმოსავლელქართველთა ზოგად ეთნონიმთან – „იბერი", რომლითაც ისინი მოიხსენებიან ბერძნულ და რომაულ წყაროებში.

სასპერებს პირველად ჰეროდოტე (ძვ. წ. Vს.) ასახელებს (I, 104; IV, 37). მისი სიტყვით ტერიტორიაზე შავი ზღვიდან ვიდრე სპარსეთის ყურემდე ოთხი ხალხი ცხოვრობს ასეთი თანმიმდევრობით: კოლხები, სასპერები, მიდიელები და სპარსელები. ისტორიულ-გეოგრაფიული სიტუაცია ამ ცნობისა იმგვარია, რომ იგი ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს, ხოლო თვით ცნობის გეოგრაფიული კონტექსტი ისე შეიძლება გავიგოთ, რომ სასპერის ტერიტორია მოიცავს არა მხოლოდ ისტორიული საქართველოს სამხრეთ–დასავლეთს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს და არაქსის ზემო და შუა წელსაც (21). სასპერთა გავრცელებას მდ. არაქსის შუა დინებამდე ი. დია-

კონოვიც ვარაუდობს (22). ჩრდილო-დასავლეთით ეს აღმოსავლურქართული ტომები შავ ზღვამდე აღწევდნენ, რისი დასტურიცაა ის, რომ ძველ ქართულ წყაროებში შავ ზღვას „სპერის ზღვა“ ეწოდება (23).

ზემოხსენებული ვითარების ამსახველი უნდა იყოს ძვ. წ. IV–III საუკუნეთა მიჯნის, ძველი ბერძენი მწერლის, მეგასთენეს ცნობა, რომ ბაბილონის მეფემ, ნაბუქონდონოსორმა (ძვ. წ. 604–562) იბერიელები „პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე (ე. ი. აღმოსავლეთით) დაასახლა“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „მეგესთენეს ცნობა ამტკიცებს, რომ ამიერკავკასიაში იბერთა პოლიტიკური ჰეგემონია III ს. უწინარეს უნდა დაწყებულიყო“ (24), კერძოდ, უკვე ძვ. წ. VI ს-ში მაინც. გარდა ამისა, მეგესთენეს ცნობით, უეჭველია, რომ ამ დროს იბერები ფლობენ არა მარტო ჭოროხის აუზს, არამედ ზღვის სანაპიროსაც. ეჭვი არ არის სასპერების ამ დიდ გაერთიანებაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის ტომებიც უნდა ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი.

ამას უნდა მოწმობდეს ისიც, რომ ჭოროხის სათავეებში, ძველი სპერის ტერიტორიაზე ე. წ. ბუიუქთეფე ჰუიუკის ძველ ნამოსახლარზე ჩატარებულმა გათხრებმა, გარდა მტკვარ-არაქსული კულტურისათვის დამახასიათებელი მასალისა, ადრეანტიკური ხანის კერამიკული ნიმუშებიც გამოავლინა (ჩაიდნისებური ხელადა, წითლად შეღებილი ჭურჭელი, პროფილირებული „აქემენიდური“ ჯამები და სხვა) (25), რომლის მსგავსნიც ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლარებიდან, კერძოდ, ქართლიდან (ხოვლეგორა) (26).

გ. მელიქიშვილი თვლის, რომ სასპერთა ამ დიდი გაერთიანების ცენტრი ჭოროხის ზემო წელზე, სპერის ოლქში უნდა ყოფილიყო (27).

ამგვარად, ექვსზე მეტი საუკუნის განმავლობაში აღმოსავლელ-ქართველმა ტომებმა სამჯერ მოახერხეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და მიმდებარე ტერიტორიაზე (არზრუმის პლატო) ზედიზედ სამი დიდი, ფრიად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი თუ წინასახელმწიფოებრივი ტომთა პოლიტიკური გაერთიანების შექმნა: XII-VIII საუკუნეებში ტაოელთა (დაიანე-დიაოხი), VII ს-ში ხალიბთა (ხალიტუ) და VI ს-ში – სასპერ-იბერთა ჰეგემონობით. თვით ეს ფაქტი, მოწმობა უნდა იყოს ამ ტომთა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური სიძლიერისაც, რაც კარგად მოწმდება, მაგალითად, დაიაენი – დიაოხის მიმართ ასურული და ურარტული წყაროებით (28), რომლებიც მას ძლიერ და მდიდარ ქვეყნად აგვიწერენ, რომელშიც ფრიად განვითარებულია ბრინჯაოს მეტალურგია, მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა და მეცხენეობა. ხალიტუსთან დაკავშირებით უკვე იყო აღნიშნული, რომ მისი აღზევება ძირითადად რკინის წარმოებით უნდა ყოფილიყო გაპირობებული. ეჭვი არ არის იგივე ეკონომიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა სასპერ-იბერთა პოლიტიკურ სიძლიერესაც, რამდენადაც ბირთვი ამ გაერთიანებისა იმავე არეალს მოიცავდა: ჭოროხის ხეობა, რომლის მთიანეთი ლითონის (სპილენძი, რკინა) საბადოებითაა ცნობილი (29). არზრუმის, ბაიბურთის და სხვა პლატოები – შესანიშნავი საძოვრებით და მარცვლეული კულტურებისთვის გამოსადეგი მინდვრებით,

ხოლო ჭოროხის ხეობისა და მისი შემდინარე ხევების დაბლობი, მიუხედავად მცირემიწიანობისა, შუა საუკუნეებშიც განთქმული იყო ინტენსიური სოფლის მეურნეობით, მევენახეობით, მეხილეობით, მითუმეტეს, თუ ამას დავუმატებთ საერთოდ აღმოსავლეთი საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალს.

თვით ეს მრავალსაუკუნოვანი პროცესი ქართველ ტომთა არაერთგზისი პოლიტიკური გაერთიანებისა, ეჭვი არ არის, იმის მაჩვენებელია, რომ მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება იმ ზღვრამდე იყო მისული, რომ უნდა ჩამოყალიბებულიყო ადრეკლასობრივი სახელმწიფო, მაგრამ ტომთა ეს დიდი კონფედერაციები, როგორც ჩანს, შინაგანი ურთიერთკავშირის სისუსტისა და, რაც მთავარია, ძველაღმოსავლურ დიდ სახელმწიფოებთან (ასურეთი, ურარტუ) თუ შემოსეულ კიმერიელებთან და სკვითებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების გამო დაიშალა და ვერ გადაიქცა იმ ბირთვად, რომლის გარშემოც შესაძლებელი გახდებოდა ქართველ ტომთა კონსოლიდაცია. კერძოდ, სასპერ – იბერთა გაერთიანების ბირთვი, უნდა ვიფიქროთ, აქემენიდური ერანის ექსპანსიას შეეწირა, რის შედეგადაც იგი სპარსეთის იმპერიის XVIII სატრაპიაში შევიდა. ეს, როგორც ჩანს, სასპერ – იბერთა პოლიტიკური დიდი გაერთიანების სამხრეთ პერიფერიას ეხება(30). პოლიტიკურმა ცენტრმა შიდა ტერიტორიაში, კერძოდ, ეთნოგრაფიული ქართლის მხარეში გადმოინაცვლა, ამიერკავკასიის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადამკვეთი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალების გზაჯვარედინზე – მცხეთაში (IVს).

ამიერიდან იწყება საკუთრივ იბერიის ანუ ქართლის სამეფოს ისტორია, რომელიც უშუალო მემკვიდრეა სასპერთა გაერთიანებისა და ტერიტორიულად სამხრეთიდან შეკვეცილი, მოიცავდა ამ ძველი დიდი ერთობის არეალს ამიერკავკასიაში „ხუნანიდან ვიდრე ზღვამდე სპერისა“.

ლიტერატურა:

1. Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II. Тб.,1984; стр. 908, 909; თ. გამყრელიძე, „ოქროს საწმისის“ ძველბერძნული სახელწოდება. კრებულში: „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. XXIV, თბ., 2001, გვ. 28-30.
2. Г.А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964. стр. 231.
3. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ, 1997, გვ. 29-34. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან, თბ., 2006, გვ., 358.
4. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ., 349-354; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ., 27.
5. И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, ТРАГФ, VII, С. Петербург, 1905, стр., 33.
6. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 236, 237.
7. 7. К.Н. Пицхелаури, Восточная Грузя в конце бронзового века, Тб.,1979, გვ.62 და შემდ.

8. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 237.
9. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 350-351.
10. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV – VII სს.), თბ. 1973, გვ. 196, 197; გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ. 1974; ირ. ღამბაშიძე, სამცხე-ჯავახეთი ძვ წ. II ათასწლეულში. კრებულში: მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000, გვ. 82–85; რ. კვირკვაია, რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ. წ. VIII – VI სს) სამარხები ბორჯომის ხეობაში. იქვე, გვ. 93-96; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ.. გვ. 65, 66.
11. გ. გიორგაძე, ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშქა" და „აბეშლა" ტერმინთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის „ნარკვევები", IV. თბ., 1998; მისივე, „მუშქაია; მუშქები" და „დაიაენი, დაიანი" ასურულ ლურსმულ ტექსტებში. კრებულში: მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა; მისივე, ხეთური ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმომავლობისათვის. ჟურნალი: „არტანუჯი", №10, 2000; მისივე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2000, გვ. 99-125.
12. დ. მუსხელიშვილი, „დაიაენი" – „დიაოხის" ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობისათვის. ჟურნალი: „ანალები", №1, 2004, გვ.10.
D. Muskhelischvili, Zur etnischen Herkunft der Bevölkerung des Landes Daiaeni|Diaoxi. " Georgica" #27, Aachen, 2004, 5.11.
13. Г.А. Меликишвил и. Наири-Урарту, Тб.,1954, გვ. 314, 315.
14. იქვე, 315; И. М. Дьяконов, Предыстория армянского народа, Ер., 1968, გვ. 159, 171.
15. Г.А. Меликишвили, К истории древней Грузии. Тб., 1959, стр. 253.
16. Б.А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ссмм, XII-B. თბ., 1944, გვ., 328 და შემდეგ.
17. თ მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე", №1, თბ., 1967, გვ. 109.
18. Г.А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ.., 116.
19. И.М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 17, შენ. 19, 192.
20. იქვე, გვ., 240, შენ. 133.
21. Г.А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, стр. 232,233.
22. И.М. Дьяконов, Предыстория, стр. 240, შენ. 133.
23. „ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955, გვ., 8,9,19,205.
24. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ტ. I, თბ., 1950, გვ. 57.
25. A. Sagona, E. Pemberton, Excavations at Buyuk-tepe Hoyuk, 1990: Anatolian Studies, vol. 41 (1991): 1991: Anatolian Studies, vol., 42 (1992); 1992: Anatolian Studies. vol. 43 (1993).
26. დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.
27. Г.А.Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 233.
28. იქვე, გვ. 179, 207.
29. М. И. Максимова, Античные города юговосточного Причерноморья, М-Л, 1956, стр. 24, 25.
30. გ. მელიქიშვილი, ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში, ქართლის სამეფოს წარმოქმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 434.

DAVID MUSKHELISHVILI

EASTERN GEORGIAN TRIBAL UNITS BEFORE THE FORMATION OF KARTLI KINGDOM

Summary

After research and analysis of Georgian human scients, today it is absolutely abvious that Georgian ancestors in Caucasus are autochthonous. Apparently, that was the place where the most complicated processes of ethno genesis and Georgian state development took place. It is assumed that by the first half of the II millennium, previous Georgian languages had already been diverged as Eastern Georgian and Western Georgian languages and in the second half of the said millennium first efforts of building Georgian government state were made.

For example Eastern-Georgian tribes in the XII-VI B.C were able to create consecutively three big and quite important state and pre state systems, tribal political units – in the Southern and the Western Georgia and around its surrounding territories (Erzerum Plateau) namely in the XII-VIII centuries,(Daiaeni-Diaukhi)- under Taoian hegemory; (Khalitu) in the VII century – under Khalibs hegemory and in the VI century – under Sasperians \ Iberians hegemory. Though, there large tribal units, tende to fall apart because of the weakness of interrelations and because of life and death struggles especially with old eastern countries like (Assyria, Urartu) and against foraying Kimerians and Scythians. They could not become the kernel, around which it would be possible to consolidare Georgian tribes. Moveover, we must assume that unifying kernel of sasperians and iberans was sacrificed to Akhemenid Iran expansion.

Since then,political center for the Eastern Georgian state builing process on home territory was moved to ethnographically Kartli region, from the western part of South Caucasus – to the eastern one, on the junction of trade and transit highways – Mtskheta, which since the IV B.C became the capital city of Kartli (Iberia) – a newly founded Eastern-Georgian state.

ДАВИД МУСХЕЛИШВИЛИ

ОБЪЕДИНЕНИЯ ВОСТОЧНОГРУЗИНСКИХ ПЛЕМЕН ДО ВОЗНИКНОВЕНИЯ КАРТЛИЙСКОГО ЦАРСТВА

Резюме

На основании данных, выявленных исследованиями гуманитарных наук Грузии, совершенно очевидно, что древние предки грузин являются автохтонами Кавказа. Соответственно, именно в этом регионе протекали сложные процессы этногенеза грузинского народа, а также становление грузинского государства.

Уже в первой половине II тысячелетия до н.э. констатируется дивергенция прагрузинского языка на восточно- и западногрузинские языки, а со второй половины того же тысячелетия намечаются попытки созидания грузинского государства. Так, например, в течение XII-VI веков до н.э. на территории юго-западной Грузии и сопредельного региона (Эрзерумское плато в Турции) разные восточногрузинские племена три раза подряд сумели создать весьма значительные государственные или догосударственные племенные объединения, именно: в XII-VIII веке – Таойцы (Даиаени-Диаохи), в VII веке – Халды//Халибы (Халиту); в VI веке – Сасперы – Иберы. Однако эти большие объединения племен распались, видимо, из-за слабой внутренней взаимосвязанности, а главное из-за борьбы не на жизнь, а на смерть с древневосточными государствами (Ассирия, Урарту), а также против нашествий киммерийцев и скифов. Они не смогли стать тем ядром, вокруг которого консолидировались бы древнегрузинские племена. Объединение Сасперов-Иберов, в частности, надо полагать, стало жертвой экспансии Ахеменидского Ирана.

Политический центр процесса образования Восточногрузинского (Картлийского) государства перемещается во внутренние районы Восточной Грузии, на территорию этнографической Картли. С этого времени (IV в. до н.э.) начинается история собственно Картлийского царства с центром в городе Мцхета.

ალექსანდრე თვარაძე

V ჯვაროსნული ლაშქრობა და ლათინურ-ქართული კონტაქტები XIII საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში

საქართველოს სახელმწიფოს ჯვაროსნებთან ურთიერთობები დასტურდება, როგორც ცნობილია, უკვე XII საუკუნის დასაწყისიდან. 1204 წელს თამარის ინიციატივით ტრაპიზონის იმპერიის დაარსება დაკავშირებული გახლდათ IV ჯვაროსნულ ლაშქრობასთან, რომელიც ბიზანტიის წინააღმდეგ იყო მიმართული. V ჯვაროსნულ ლაშქრობაში (1217-1221) ქართველებს უნდა მიეღოთ უშუალო მონაწილეობა, თუმცა მონღოლების გამოჩენის გამო ლაშა-გიორგი იძულებული გახდა თავისი ჯვაროსნული სამზადისი შეეჩერებინა. სტატიაში მინდა განვიხილო შემდეგი საკითხები: რა იყო ქართველებისთვის სავარაუდო ხელის შემშლელი ფაქტორი, რის გამოც ისინი მხოლოდ შედარებით გვიან აპირებენ V ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩართვას; ასევე, თუ როდის დაიწყო V ჯვაროსნული ლაშქრობის კონტექსტში ქართველთა კონტაქტი ლათინებთან და როგორი იყო ამ ურთიერთობის თანმიმდევრობა.

1204-1210 წლებში ქართველთა სამხედრო ექსპედიციები უმთავრესად მიმართული იყო ვანის ტბის რეგიონისკენ, სადაც აიუბიანებთან ჰქონდათ დაპირისპირება წინა აზიაში ბატონობისთვის (24, გვ. 201; 44, გვ. 158-171). 1210 წელს აიუბიანებთან დაიდო ოცდაათწლიანი ზავი (11, გვ. 161-164; 21, გვ. 50; 13, გვ. 38; 27, გვ. 175-178; 39, გვ. 306-309; 44, გვ. 169-171; 19, გვ. 130-131). აღნიშნულ სამხედრო კამპანიებს გამოძახილი ჰქონდათ ევროპაშიც: ამასთან დაკავშირებით ბურგუნდიელი რაინდი ჟილბერ დე ბუა ინფორმაციას აწვდის ბეზანსონის არქიეპისკოპოსს, ამედე დე ტრემლეს (29, გვ. 233-234; 18, გვ. 13; 27, გვ. 168-169, 187; 44, გვ. 175; 1, გვ. 97-101; 32, გვ. 168; 15, გვ. 117-118). ქართველთა ლაშქრობების შესახებ სავარაუდოდ იგივე ცნობები მივიდა რომის პაპთან, ინოკენტი III-თან. მან 1211 წლის 7 ივნისს საქართველოს მეფეს მოუწოდა, დაეწყო ჯვაროსნული ლაშქრობა (25, გვ. 433; 31, გვ. 132; 12, გვ. 74; 15, გვ. 113-114; 44, გვ. 175; 27, გვ. 188; 30, გვ. 216; 16, გვ. 403-404). მაგრამ ქართველების და აიუბიანების ურთიერთობა მომდევნო ხანებში მშვიდობიანად და მეგობრულად ვითარდება. მაჰმადიანი ისტორიკოსების, აბუ შამას და იბნ კატირის მიხედვით 1213 წლის ზაფხულში ალ-ადილმა ქართველთა მეფეს საჩუქრად სპილო გამოუგზავნა (44, გვ. 174; 11, გვ. 164). აიუბიანთა სახელმწიფოში ქართველთა პრივილეგირებულ მდგომარეობაზე მიუთითებს აგრეთვე გერმანელი პილიგრიმის, თიტმარის

ცნობა. თიტმარმა 1217 წელს ქართველი ბერის ტანსაცმელი აირჩია, რომ აკონიდან მაქსიმალურად უსაფრთხოდ მისულიყო სინას მთაზე მდებარე წმინდა ეკატერინეს მონასტერში (36, გვ. 20; 7, გვ. 108). ეგვიპტეს და საქართველოს შორის აღნიშნულ პერიოდში არსებული მშვიდობიანი ურთიერთობის ფონზე ალბათ გასაკვირი აღარ არის, რომ V ჯვაროსნული ლაშქრობის წინა ხანებში წყაროები ქართველთა გარკვეული სამხედრო სამზადისის შესახებ ცნობებს აღარ გვაწვდიან. V ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ლათინები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ რუმის სელჯუკებთან, რომლებიც აიუბიანებს ჩრდილო-დასავლეთიდან უნდა დასხმოდნენ თავს (13, გვ. 102; 15, გვ. 124). ჩემს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ამ დროისთვის ლათინები საქართველოს სამეფოს მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში შესაძლო მოკავშირედ არ განიხილავენ. ჯვაროსნები საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებული წინა აზიის პოლიტიკური ვითარების შესახებ. ეგვიპტესთან მშვიდობიანი ურთიერთობა და ლათინური წყაროების დუმილი გვაფიქრებინებს, რომ 1217-18 წლისთვის საქართველოს სამეფო ჯვაროსნულ ომში მონაწილეობას არ აპირებდა. თუმცა ეგვიპტელებთან დადებული საზავო ხელშეკრულების გარდა, ქართველების ჯვაროსნულ ომში მონაწილეობას შესაძლოა სხვა ფაქტორიც აფერხებდა.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ხვარაზმელთა სახელმწიფოს როლს ქართველთა ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მზადების კონტექსტში აქამდე სათანადო ყურადღება არ დათმობია.[1] ხვარაზმ-შაჰმა ალა ად-დინ მოჰამად II-მ 1206-15 წლებში თავის კონტროლს დაუმორჩილა ღურიდების სამფლობელოები სპარსეთსა და ავღანეთში, ინდოეთის საზღვრებამდე. 1210 წელს დაამარცხა ყარა-ხატაელები, დაიპყრო ბუხარა და სამარყანდი (14, გვ. 241; 33, გვ. 41). მისი სახელმწიფო ამგვარად სპარსეთის და ცენტრალური აზიის ვრცელ ტერიტორიებზე იყო გადაჭიმული. 1217 წელს ხვარაზმ-შაჰმა ტრიუმფალური ექსპედიცია მოაწყო დასავლეთ სპარსეთში, როდესაც ბევრმა მხარემ მისი უზენაესობა სცნო (14, გვ. 242). მოჰამადი გეგმავდა ბაღდადის ხალიფას დამორჩილებას. ბაღდადზე ლაშქრობა საბოლოოდ გადაწყვიტა, როდესაც ღაზნას დაპყრობის შემდეგ ხვარაზმელმა მოხელეებმა ღურიდი სულთანების არქივში ნახეს წერილები, სადაც ხალიფა ღურიდებს მოუწოდებდა, თავს დასხმოდნენ ხვარაზმ-შაჰს. მსგავსი შინაარსის წერილები ხვარაზმელებმა თითქოს მანამდე ნახეს დამორჩილებულ ყარა-ხატაელებთანაც (9, გვ. 85-86; 33, გვ. 42). მოჰამადმა ხალიფას წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო 1217 წლის გვიან შემოდგომაზე. მძიმე ზამთარის გამო მისმა ჯარმა დიდი დანაკარგები ნახა და იძულებული გახდა უკან მობრუნებულიყო (9, გვ. 85-86; 33, გვ. 42; 6, გვ. 184; 21, გვ. 69-70; 44, გვ. 185; 34, გვ. 74). ბაღდადზე ლაშქრობის დაწყებისას აზერბაიჯანის ათაბაგმა ოზბეგ იბნ ფაჰლავანმა ხვარაზმ-შაჰის უზენაესობა აღიარა, ისე რომ მოჰამადი მის ტერიტორიებზე არ შესულა.

1 ცინცაძე (42, გვ. 110-111) და ბერძენიშვილი (5, გვ. 9) მხოლოდ მიუთითებენ, რომ ხვარაზმის სახელმწიფოს განადგურება საქართველოში ალბათ პოზიტიურ მოვლენად ჩათვალეს.

ოზბეგი ხვარაზმ-შაჰის დახმარებით ცდილობდა თავი დაეცვა ქართველების მუდმივი თავდასხმებისგან. ხვარაზმელი ისტორიკოსი ან-ნასავი შემდეგ ცნობას გვაწვდის აღნიშნულ მოვლენებზე: სულთანის სადიდებლად არრანის და აზერბაიჯანის მინარეთებიდან, ვიდრე შირვანსა და დერბენტამდე, ხოტბა აღავლინეს. ათაბაგმა ხვარაზმ-შაჰს საჩუქრები გაუგზავნა, რაკი სულთანი მის ქვეყანას თავისი დაცვის ქვეშ იყვანდა. მოჰამადს სთხოვა, შეღავათი გაეწია გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებით, რაკი მისი ქვეყნის სასაზღვრო ტერიტორიები ქართველებს ჰქონდათ ოკუპირებული. ხვარაზმ-შაჰმა ისინი გადასახადებისგან გაანთავისუფლა და ელჩები გაგზავნა ქართველებთან, თან გააფრთხილა ისინი, რომ არ დასხმოდნენ თავს მის ქვეყანას. რაკი ეს ტერიტორია უკვე მას ეკუთვნოდა, ყველა მინარეთიდან მის სახელს ქადაგებდნენ და მონეტებსაც მისივე სახელზე ჭრიდნენ. მანამდე მოჰამადმა 50 000 მხედარი გამოყო თავისი არმიის საუკეთესო შენაერთებიდან და უბრძანა მათ, ქართველებს თავს დასხმოდნენ. ხვარაზმ-შაჰის ელჩმა საქართველო დატოვა ქართველი ელჩის თანხლებით, რომელსაც მოჰამადისთვის იშვიათი საგნები მიჰქონდა საჩუქრად. თუმცა ამ დროისთვის ხვარაზმ-შაჰი ერაყიდან უკან გაბრუნდა და ელჩები მას წამოეწიენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამუდარია გადალახა (26, გვ. 61; 14, გვ. 242; 21, გვ. 69-70; 44, გვ. 185; 43, გვ. 9; 34, გვ. 74). ან-ნასავის ცნობის საფუძველზე ბუნიატოვი ფიქრობდა, რომ აზერბაიჯანი და შირვანი ამ დროს ხვარაზმ-შაჰს უხდიდნენ ხარკს (9, გვ. 81-82). თუმცა ხვარაზმ-შაჰების კარის ისტორიკოსის - ან-ნასავის ცნობა გარკვეული სიფრთხილით არის შესაფასებელი. ოზბეგი მართლაც ცდილობდა ქართველების დომინანტობისგან გათავისუფლებას. მაგრამ განსხვავებით სპარსეთის აზერბაიჯანისგან, შირვანი ამ დროს საქართველოსთან უშუალო დამოკიდებულებაში იყო. პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ ამ მხარეს ქართველთა გავლენის ზონა ასე პირდაპირ დაეტოვებინა. რაკი მოჰამადი არათუ შირვანში, აზერბაიჯანშიც არ შესულა. ბაღდადზე მისი ლაშქრობა წარუმატებელი გამოდგა, დასჭირდა სასწრაფო უკანდახევა, ისე რომ ქართველთა მეფის ელჩი მხოლოდ შუა აზიაში დაეწია მას.

მოჰამადი ოცნებობდა მსოფლიო ბატონობაზე. მის გეგმებში საქართველოს სამეფოს თავისი ადგილი ჰქონდა: XIV ს-ის არაბი ისტორიკოსის, აზ-ზაჰაბის მიხედვით, ხვარაზმ-შაჰი თავიდან აპირებდა საქართველოს დაპყრობას, შემდეგ რუმში, სირიასა და ეგვიპტეში შეჭრას (44, გვ. 185; 9, გვ. 81-82). როგორც XIII საუკუნის მაჰმადიანი ისტორიკოსი აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადი აღნიშნავს, მოჰამადი გეგმავდა თბილისზე ლაშქრობას. მას განზრახული ჰქონდა ეს ქალაქი თავისი სახელმწიფოს დედაქალაქად ექცია. იქიდან სურდა რუმის, ყივჩაღის, სომხეთის და დასავლეთის სხვა ქვეყნების მართვა (44, გვ. 185). ამდენად, საქართველოს სახელმწიფოს უშუალო სიახლოვეს ჩამოყალიბდა საშიში და მძლავრი სამხედრო ძალა მსოფლიო ბატონობის გეგმებით, რომლის მმართველიც იმაზე ოცნებობდა, რომ თბილისში მჯდარიყო ქვეყნიერების მბრძანებლად. 1217 წელს ორივე ძალის სავარაუდო სერიოზული დაპირისპირება არ შედგა, რაკი მოჰამადი

იძულებული გახდა ბაღდადზე ლაშქრობა შეეწყვიტა. მაგრამ მის უკანდახევას მაშინდელ საქართველოში ალბათ მხოლოდ დროებით მოვლენად თვლიდნენ. ხვარაზმელები შეიძლებოდა ნებისმიერ მომენტში კვლავ გამოჩენილიყვნენ დასავლეთ სპარსეთსა და წინა აზიაში. ამგვარ პირობებში ქართველთა ლაშქრობა დამასკოსა ან იერუსალიმზე წარმოუდგენელი იყო.

V ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში ლათინურ-ქართული ურთიერთობების და ელჩობათა შესაძლო თარიღების შესახებ სამეცნიერო კვლევაში სხვადასხვა შეხედულებებს ვხვდებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემდეგი საკითხები: V ჯვაროსნული ლაშქრობის კონტექსტში როდის დაამყარეს პირველად კონტაქტი ჯვაროსნებმა და ქართველებმა? ვინ გაგზავნა პირველი ელჩობა? კარდინალი პელაგიუსი აწარმოებდა თუ არა პაპის სახელით ქართველებთან მოლაპარაკებას და გაუგზავნა თუ არა ჰონორიუს III-მ ამ დროს ქართველებს პირადი წერილი ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მოწოდებით? ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ლაშა-გიორგიმ წერილი მიიღო უშუალოდ ჰონორიუს III-ისგან (43, გვ. 3). აღნიშნული შეხედულება გაიმეორა ი. ბერაძემ: პელაგიუსმა პაპის წერილი ქართველებს გაუგზავნა 1219-21 წლებში (4, გვ. 59). შოთა მესხია თავდაპირველად ახსენებს პაპის თხოვნას ქართველებისადმი, რომ ჯვაროსნებს დაეხმარონ. ქართველთა ელჩობა ჯვაროსნებთან, როდესაც მათ ლათინებს თავიანთი გეგმების შესახებ ამცნეს, შ. მესხიამ 1220 წლით დაათარიღა (23, გვ. 29). შოთა ბადრიძე ასევე ვარაუდობდა, რომ ჰონორიუს III-მ თავისი წერილი გაუგზავნა ჯერ კიდევ ლაშა-გიორგის (2, გვ. 33). თამაზ ნატროშვილი ქართველთა ელჩობას ათარიღებს 1219 წლის ნოემბერში დამიეტეს აღების შემდგომი პერიოდით. ამის შემდეგ ის ახსენებს პაპის სახელით კარდინალლეგატ პელაგიუსის მოწოდებას, რომ ჯვაროსნების დასახმარებლად გაგზავნონ არმია (28, გვ. 36). გოჩა ჯაფარიძის მონოგრაფიაში საუბარია, რომ ლაშა-გიორგიმ პელაგიუსისგან მიიღო პაპის რჩევა და მოწოდება ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლის შესახებ (44, 176).

დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ჩემთვის იყო ხელმისაწვდომი, პელაგიუსის ელჩობას პირველად ახსენებს კონრად ლიუბეკი: კარდინალლეგატმა 1220 წელს პაპის დავალებით ელჩები გაგზავნა ქართველთა მეფესთან (22, გვ. 29). რიხარდ ჰენიგი ქართველთა ელჩობისთვის ერთ-ერთ თავის ნაშრომში ვარაუდობს 1218 ან 1219 წელს (18, გვ. 16). შემდეგ ნაშრომში ის მიიჩნევს, რომ ლაშა-გიორგი ჯვაროსნებს დახმარებას შეჰპირდა 1219 წელს (17, გვ. 232-233). ჯოზეფ დონოვანი აღნიშნავს: 1211 წელს ინოკენტი III-ის წერილის შემდეგ დასავლეთს ქართველებზე აღარაფერი გაუგია, ვიდრე ჯვაროსნებს არ შეატყობინეს, რომ დამასკოზე ან მაჰმადიანთა რომელიმე სხვა ცნობილ ქალაქზე თავდასხმისათვის ემზადებიან. პელაგიუსმა მათ დახმარებისთვის მიმართა სავარაუდოდ 1221 წლის გაზაფხულზე (12, გვ. 74). ჰელმუტ როშერი თავის ნაშრომში, რომელიც შეეხებოდა ინოკენტი III-ს, აღნიშნავს: ქართველთა მეფემ 1219 წელს დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობა, მისი არმიის ავანგარდი უკვე დამიეტეში იყო ჩასული, მაგრამ ის იძულებული გახდა, მონღოლების შემოსევის გამო უკან დაბრუნებულიყო (31, გვ. 132).

ბერნჰარდ ლიმპერი ფიქრობს, რომ ჯვაროსნების ელჩები საქართველოში სავარაუდოდ ჩამოვიდნენ 1220 წელს. ამასთან, ვერ ხედავს იმის საბუთს, რომ ქართველებთან დაკავშირების გეგმა უშუალოდ პაპისგან მოდიოდა (21, გვ. 91-92). პეტერ ჰალფტერის მიხედვით, მაჰმადიანებისთვის იერუსალიმის წართმევის გეგმა ჯდება საქართველოს სამეფოს ექსპანსიონისტურ პოლიტიკაში, რომელსაც ეს ქვეყანა მანამდე აწარმოებდა (15, გვ. 120). ჰალფტერის ვარაუდით, პელაგიუსმა 1218 წლის შემოდგომაზე დამიეტეში ჩასვლისას იცოდა, რომ ქართველები უკვე დიდი ხანია ჯვაროსნულ ლაშქრობას გეგმავდნენ და ქართველებთან ელჩები გაგზავნა დამიეტეს აღებამდე (ანუ 1219 წლის შემოდგომამდე) და არა მოგვიანებით 1221 წელს. დამიეტეს დაპყრობით აღფრთოვანებულმა ქართველებმა 1219 წელს ვალდებულება აიღეს, შეტევა მიეტანათ აიუბიანთა ძალაუფლების ცენტრებზე სირიაში. დედოფალ რუსუდანის და ათაბაგ ივანეს წერილები, ერთის მხრივ იძლევიან ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ ლეგატი არ მოქმედებდა საკუთარი ინიციატივით, არამედ ასრულებდა პაპის მითითებებს და ქართველებს პაპის ეპისტოლეც გაუგზავნა. თუმცა წერილები გვთავაზობენ იმგვარი განმარტების შესაძლებლობასაც, რომ კარდინალლეგატი, როგორც პაპის მიერ სათანადო უფლებებით აღჭურვილი, ნაწილობრივ დამოუკიდებლად აწარმოებდა ეგვიპტიდან ქართველებთან მოლაპარაკებებს (15, გვ. 122-123).

წყაროების ანალიზი მოვლენათა ქრონოლოგიური რეკონსტრუქციის საშუალებას უნდა იძლეოდეს. V ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ლათინურ-ქართული ურთიერთობის შესახებ ოთხი (ან ხუთი) აქტუალური წყარო გვაწვდის ინფორმაციას („მეფე დავითის რელაციოს“ კარდინალ ლეგატ პელაგიუსის ვერსია და ჟაკ დე ვიტრის VII წერილი ჯვაროსნული ლაშქრობისთვის ქართველების მზადების, ან ქართველთა ელჩობათა მესახებ ცნობებს არ გვაძლევენ). ესენია: ჟაკ დე ვიტრის „Historia Orientalis“, ოლივერუსის „Historia Damiatina“, ჰონორიუს III-ის ცირკულარი, დედოფალ რუსუდანის და ათაბაგ ივანეს წერილები ჰონორიუს III-ისადმი. აღნიშნული წყაროებიდან ყველაზე ადრეულია ჟაკ დე ვიტრის ცნობა: *„ქართველები უალრესად აღშფოთებულები იყვნენ და დაემუქრნენ დამასკოს მმართველს, კორადინს (ალ-მუაზამი), რომელმაც მათი ნებართვის გარეშე დაანგრევინა იერუსალიმის გალავანი, როდესაც ლათინებს ქალაქ დამიეტესთვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული“* (20, გვ. 156-157; 38, გვ. 29-30; 28, გვ. 36). იერუსალიმის კედლების დანგრევა ალ-მუაზამის ბრძანებით დაიწყო 1219 წლის 19 მარტს. ეს პროცესი გაგრძელდა მაისის დასასრულამდე. ალ-მუაზამი პირადად ჩამოვიდა იერუსალიმში, რათა გალავანის ნგრევის პროცესი გაეკონტროლებინა. იერუსალიმიდან ალ-მუაზამი წავიდა დამასკოში, სადაც 1219 წლის ოქტომბრამდე დარჩა (13, გვ. 88-89). ქართველმა ელჩებმა ის ალბათ დამასკოში მოინახულეს, სავარაუდოდ 1219 წლის ივნის-ივლისში, მას მერე, რაც საქართველოში იერუსალიმის გალავანის ნგრევის ინფორმაცია მოვიდოდა. აქვე სასურველია აღინიშნოს, რომ ჟაკ დე ვიტრის „აღმოსავლეთის ისტორიის“ დაწერის თარიღის განსაზღვრისთვის

მნიშვნელობა აქვს იმ ეპიზოდს, სადაც ის ქართველებს ახსენებს. ჟაკ დე ვიტრის ნაწარმოების შექმნისთვის Terminus a quo aris 1219 წლის 19 მარტი, ხოლო Terminus ad quem – 1221 წლის 18 აპრილი. ამ უკანასკნელი რიცხვით თარიღდება ჟაკ დე ვიტრის VII წერილი, რომელშიც მეფე დავითის ძლევამოსილი ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს (მეფე დავითის ისტორიასა და მონღოლების ქრისტიანებად დასახვაზე იხ. 37, გვ. 264-298). ამიტომ ჟაკ დე ვიტრის აღნიშნული ნაწარმოების შექმნის თარიღად ითვლება 1220 წელი (10, გვ. 68-71. შდრ. აგრეთვე: 41, გვ. 6; 3, გვ. 144). ნაწარმოების, ან იმ ადგილის, სადაც ქართველები არიან ნახსენები, დაწერის თარიღის უფრო ზუსტი განსაზღვრა შეიძლება, რადგან ჟაკ დე ვიტრიმ აქ არაფერი იცის ქართველების მიერ დახმარების შეთავაზების ან ქართველთა ელჩობის შესახებ, რომელიც ჯვაროსნებთან ჩავიდა ეგვიპტეში. შესაბამისად ჟაკ დე ვიტრის ნაწარმოების შექმნის თარიღი გადმოიწევს 1219 წლის ზაფხულიდან 1219-20 წლების მიჯნამდე, როდესაც ქართველების დახმარებას ელოდნენ, როგორც ეს გამომდინარეობს ოლივერუსის ცნობიდან. ჟაკ დე ვიტრი ეკუთვნოდა V ჯვაროსნული ლაშქრობის ხელმძღვანელთა ვიწრო წრეს. შესაბამისად, ის კარგად იყო ინფორმირებული მიმდინარე მოვლენების შესახებ. თავის ნაშრომებში აღფრთოვანებით მოგვითხრობს ყველა წვრილმანის შესახებ, რომელთაც ჯვაროსნების მხნეობა შეიძლება გაზარდონ. ამიტომ ნაკლებად სავარაუდო მგონია, თუ ჯვაროსნებმა გაგზავნეს ელჩები ქართველებთან, ან ეს უკანასკნელნი შეპირდნენ დახმარებას მათ, რომ ჟაკ დე ვიტრისთან ამ მოვლენების შესახებ არავითარი გამოძახილი არ გვხვდებოდეს. ჟაკ დე ვიტრის ცნობა ზუსტად უნდა ასახავდეს 1219 წლის ვითარებას. რადგან ქართველებს ამ დროისთვის, როგორც ითქვა, ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლა არ შეეძლოთ, ვიდრე საბოლოოდ არ გაირკვეოდა ურთიერთობა ხვარაზმის სახელმწიფოსთან. აკონის ეპისკოპოსის ცნობიდან ნათლად ჩანს: აიუბიანებმა ქართველებთან მშვიდობის ხელშეკრულების გარკვეული პუნქტი დაარღვიეს. მაგრამ ქართველთა მოქმედება მუქარას არ სცილდება. ისინი არ იყენებენ შესაძლებლობას, რომ სამშვიდობო ხელშეკრულება სამართლებრივად გაუქმებულად გამოაცხადონ, მიუხედევად იმისა, რომ მოვლენათა მსვლელობა მათ ამის ლეგიტიმურ საფუძველს აძლევდა. მით უმეტეს, რომ ჯვაროსნების ლაშქარი უკვე საკმაო ხანია ეგვიპტეშია (1218 წლის აპრილიდან) და დამიეტესთვის ალყა აქვს შემორტყმული. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველები ამ დროისათვის ჯვაროსნული ლაშქრობისათვის არ ემზადებიან და ჟაკ დე ვიტრიც, რომელიც თავის ნაშრომს დამიეტეს ჯვაროსნულ ბანაკში წერს, მათ არ განიხილავს კონკრეტულ მოკავშირეებად. ქებას ასხამს მხოლოდ მათ, როგორც აღმოსავლეთის მძლავრ ქრისტიანულ ნაციას. ზემოთ მოტანილ ვარაუდს ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ ქართველთა ელჩები ჩადიან ალ-მუაზამთან და არ ცდილობენ ეგვიპტეში მყოფ ჯვაროსნებთან კონტაქტის დამყარებას.

მოვლენათა შემდგომი განვითარებისთვის კიოლნის ტაძარის სქოლასტის, ოლივერუსის ცნობა მომდევნო ქრონოლოგიურ საფეხურს გვთავაზობს. ოლივერუსი, ჟაკ დე ვიტრის მსგავსად, V ჯვაროსნული ლაშქრობის

მეთაურთა წრეს ეკუთვნოდა. მისი ნაწარმოები, „დამიეტეს ისტორია“, ემყარება წერილებს, რომელთაც ოლივერუსი 1218-19 წლებში უგზავნიდა კიოლნის არქიეპისკოპოსს ენგელბერტს და კიოლნის ტაძარის მაღალი რანგის სასულიერო პირებს. ნაწარმოებს საბოლოო სახე მისცა 1220-22 წელს (8, გვ. 89). ოლივერუსი მოგვითხრობს ქართველებზე: „*იმ ერმა, მეტად აღშფოთებულმა და განრისხებულმა, გადაწყვიტა და დაიფიცა, მას შემდეგ, რაც მათმა მეფემ დიდებულები შეყარა, დაეპყროთ სარკინოზების რომელიმე განთქმული ქალაქი, და აგრეთვე თქვეს, რომ მათთვის სირცხვილია იმის ყურება, თუ როგორ მოვიდნენ ფრანკები დიდი და საშიშროებით სავსე ზღვის გავლით ზღვისგადალმა მხარეებიდან, დედამიწის უკიდურეს განაპირას მდებარე ქვეყნებიდან და აიღეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი* (დამიეტე) *ხანგრძლივი ალყის შემდეგ, როდესაც თვითონ, ვისთვისაც გაცილებით ადვილია ურწმუნოებთან ბრძოლა, არ იპყრობდნენ დამასკოს ან სხვა რომელიმე განთქმულ ქალაქს*“ (40, გვ. 232-233). ჟაკ დე ვიტრის ცნობისაგან განსხვავებით, მოვლენათა კონსტელაცია აქ არსებითად შეცვლილი ჩანს. რადგან ქართველები, ოლივერუსის ცნობის მიხედვით, მართლაც ემზადებიან ჯვაროსნული ლაშქრობისთვის. ქართველთა ელჩები დამიეტეში 1220 წლამდე ვერ ჩავიდოდნენ. რაკი დამიეტეს დაცემის (1219 წლის 5 ნოემბერი) ამბავი ჯერ კავკასიაში უნდა ჩამოსულიყო, ამის შემდეგ მეფემ მთავრები შეკრიბა და ელჩები გაგზავნა ეგვიპტეში.[2]

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველების ჯვაროსნული აღფრთოვანება არ იყო გამოწვეული მხოლოდ დამიეტეს დაცემის ცნობით. მონღოლებმა ხვარაზმის სახელმწიფოზე შტურმი დაიწყეს 1219 წლის სექტემბერში. დაახლოებით 1219 წლის ბოლოს და 1220 წლის დასაწყისში (აქ მონღოლთა ლაშქრობის ქრონოლოგიას არ ვიძლევი) საქართველოში ჩამოვიდოდა ხვარაზმის სახელმწიფოში მიმდინარე გამანადგურებელი ომების შესახებ პირველი ცნობები. თუ ქართველებს მონღოლები თავიდან მართლაც ქრისტიანები ეგონათ, ადვილი წარმოსადგენია, რა ემოციებს გამოიწვევდა ქრისტიანულ კავკასიაში ეს ცნობები, კომბინირებული ჯვაროსნების მიერ დამიეტეს დაპყრობის ამბავთან. ნებისმიერ შემთხვევაში ქართველთა ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლას აღარაფერი უშლიდა ხელს. დამიეტეში საქართველოს ელჩობის ჩასვლის პირობით თარიღად შეიძლება ავიღოთ 1220 წლის თებერვალი - მაისი. რომელიმე სხვა ელჩობაზე, რაც მაგალითად პელაგიუსმა მანამდე ქართველებთან გააგზავნა, ის წყაროები, რომელთა ნახვის საშუალებაც მე მქონდა, არაფერს გვეუბნებიან. ოლივერუსის ცნობიდან აგრეთვე არ ჩანს, რომ ქართველებმა ელჩები გაუშვეს პელაგიუსის მიერ მათთან თავისი წარმომადგენლების გაგზავნის საპასუხოდ. ყველა ნიშნის მიხედვით, ლაშა-გიორგიმ უბრალოდ მიიღო ცნობა დამიეტეს დაცემის შესახებ და თავისი წარმომადგენლები მიავლინა ჯვაროსნებთან.

2 საინტერესოა აგრეთვე ელჩობის მარშრუტიც. ნაკლებად სავარაუდოა, რომ აიუბიანებს ელჩები გაეტარებინათ თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ჩემი აზრით, აღნიშნული ელჩობა ლაშა-გიორგიმ გაგზავნა საზღვაო გზით.

ამის შემდეგ 1221 წლის 13 მარტს ქართველებს იხსენიებს ჰონორიუს III-ის ცირკულარი: კარდინალლეგატმა პელაგიუსმა პაპს შეატყობინა, რომ ელჩები გაგზავნა ქართველებთან და მათ თხოვა, დაეწყოთ ომი სარკინოზთა წინააღმდეგ (15, გვ. 121, 125; 18, გვ. 14-15; 28, გვ. 39, 43). კონტექსტიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად იგულისხმება, რომ კარდინალლეგატმა ქართველებთან ელჩები მიავლინა შედარებით ცოტა ხნის წინ და არა ორი ან სამი წლით ადრე. პელაგიუსმა ეს ცნობები პაპს დამიეტდან გაუგზავნა ყველაზე გვიან 1221 წლის თებერვალში. პელაგიუსის ელჩებმა საქართველო დატოვეს ყველაზე გვიან 1220 წლის შემოდგომის დასაწყისში, ან შუაში, სავარაუდოდ ვიდრე კავკასიის საზღვრებთან მონღოლები უშუალოდ მოვიდოდნენ. რაკი უკვე 1220 წლის ბოლოს ქართველები პირველად მარცხდებიან მონღოლებთან, ხოლო პაპის ცირკულარის მიხედვით, ჯვაროსნებს ქართველების დამარცხების შესახებ ინფორმაცია ჯერ არ აქვთ მიღებული. კარდინალლეგატის მიერ ქართველებთან ელჩების გაგზავნას სხვადასხვა ახსნა შეიძლება ჰქონდეს. შესაძლოა ქართველების ელჩობის შემდეგ ლათინებს მაჰმადიანების წინააღმდეგ საერთო სამხედრო ოპერაციის უფრო ზუსტი შეთანხმება სურდათ. ან კიდევ, თუ პელაგიუსის ელჩებმა ლაშა-გიორგის მართლაც პაპის ეპისტოლე გადასცეს, ამგვარად უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველთა მომავალ სამხედრო ექსპედიციას და მის ფორმალურ ინტეგრირებას ექნებოდა ადგილი ლათინურ-დასავლურ ჯვაროსნულ მოძრაობაში. 1220 წლის დასაწყისში ქართველთა ელჩების დამიეტში ჩასვლის შესახებ პელაგიუსი პაპს ნამდვილად შეატყობინებდა. შესაძლოა, 1220 წლის შემოდგომისთვის პაპმა მართლაც გაგზავნა თავისი ეპისტოლე პელაგიუსთან, რომელსაც მისი ელჩები ქართველთა მეფეს წაუღებდნენ. შეიძლებოდა იმის ვარაუდიც, რომ ჯვაროსნების ელჩები ქართველთა წარმომადგენლებს გაყვნენ უკან.

1219 წლის ბოლოს და 1220 წლის დასაწყისში მონღოლების სამხედრო ოპერაციები ძირითადად ცენტრალურ აზიაში მიდიოდა. მაგრამ 1220 წლის მარტში სამარყანდის აღების შემდეგ ჩინგიზ ყაენმა ჯებე და სუბუდაი გამოგზავნა უკვე დასავლეთის მიმართულებით, რათა ხვარაზმ-შაჰი მოჰამადი შეეპყროთ (33, გვ. 57-59). სავარაუდოდ ქართველებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ ახალგამოჩენილი ლაშქარი ქრისტიანები იყვნენ. მაგრამ შეუძლებელია კავკასიაში პარალელურად არ მოსულიყო ცნობები ცენტრალურ აზიასა და სპარსეთში საშინელი ნგრევის და განადგურების შესახებ. რაკი მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა, ლაშა-გიორგის კვლავ თავი უნდა შეეკავებინა ჯვაროსნულ ექსპედიციაში წასვლისგან, ვიდრე ახალგამოჩენილ ძალასთან გაარკვევდნენ ურთიერთობებს. ბოლო ინფორმაციას (1220 წელს) ლაშა-გიორგის ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მზადების შესახებ გვაწვდიან დედოფალ რუსუდანის და ათაბაგ ივანეს წერილები ჰონორიუს III-ისადმი (1223 წელს) [35, გვ. 239-240, 243-244]. მათი წერილებიდან ნათლად არ ჩანს, ამ დროს რომის პაპმა გაუგზავნა თუ არა უშუალოდ ქართველთა მეფეს

წერილი, თუ, ვითარებიდან გამომდინარე, ქართველებთან მოლაპარაკებას პაპის სახელით აწარმოებდა კარდინალლეგატი.

აქვე მინდა მოკლე შენიშვნა დავურთო საკითხს რუსუდან დედოფლის პერიოდში საქართველოს სამეფო კარის ჯვაროსნული სამზადისის შესახებ. იასე ცინცაძის მიხედვით, ქართველებმა შეცდომა დაუშვეს, როდესაც ხვარაზმის სახელმწიფოს განადგურება მათთვის სასარგებლო მოვლენად ჩათვალეს (42, გვ. 110-111). ცინცაძე ასევე თვლიდა, რომ ქართველთა მაშინდელი ხელმძღვანელობა სრულიად უპასუხისმგებლოდ მოიქცა. ნაცვლად იმისა, რომ ადეკვატური ყოფილიყვნენ და გაეცნობიერებინათ, თუ რა პროცესებს ჰქონდა ადგილი ცენტრალურ აზიასა და სპარსეთში, ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასასვლელად ემზადებოდნენ არათუ 1220, არამედ 1223 წელსაც (42, გვ. 108-109). როგორც აღინიშნა, 1220 წლისთვის, ხვარაზმის სახელმწიფო ქართველების საშიში კონკურენტი იყო, ხოლო მონღოლთა არმიას დასახმარებლად წამოსულ ქრისტიანებად თვლიდნენ ბაღდადის რეგიონში მცხოვრები ნესტორიანელები, დამიეტესთან დაბანაკებული ჯვაროსნები და თვით რომის პაპი. რაც შეეხება 1223 წელს, შესაძლოა პარადოქსი იყოს, მაგრამ საქართველოს სამეფო კარი სავარაუდოდ ზედმეტად კარგად იყო ინფორმირებული სპარსეთსა და ცენტრალურ აზიაში არსებული ვითარების შესახებ, რადგან მონღოლებმა ცენტრალური აზიიდან უკანდახევა დაიწყეს უკვე 1222 წლის შემოდგომაზე, როდესაც მათ გადალახეს ამუდარია. 1223 წლის გაზაფხულზე მონღოლების არმია სირდარიის ჩრდილოეთით იყო, ხოლო 1223 წლის ზაფხულში მათ მიაღწიეს თალასის და ჩუს სტეპებს (14, გვ. 340-341). ირანში და შუა აზიაში მონღოლებმა დატოვეს ნანგრევებად ქცეული ვრცელი ტერიტორიები. შესაბამისად, 1223 წლის შემოდგომისთვის ქართველების ჯვაროსნულ ლაშქრობას ხელს ისევ არაფერი არ უშლიდა. მონღოლების ხელახალ გამოჩენას წინა აზიაში აღარავინ ელოდა, ასევე ძნელი იყო ჯალალედინის ინდოეთიდან დაბრუნების შესაძლებლობის პროგნოზირება. სხვა საქმეა, რამდენად გონივრული იყო მონღოლებთან მნიშვნელოვანი დამარცხებების შემდეგ მალევე ასეთი მასშტაბის სამხედრო ოპერაციის მოწყობა, ან რამდენად შესწევდა ქართულ არმიას საამისო უნარი, თუ გავითვალისწინებთ მცირე დამარცხებების სერიას ჯალალედინის შემოსევამდე ცოტა ხნით ადრე შედარებით ლოკალური მასშტაბის კონფლიქტებში (შირვანში, ყივჩაღებთან, სურმარის ამირასთან, აზერბაიჯანში).

ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, არსებული წყაროების საფუძველზე ვიღებთ მოვლენათა შემდეგ თანმიმდევრობას. 1217-1219 წლებში ქართველებისთვის ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ხვარაზმელების გამოჩენა კავკასიის სიახლოვეს, ხვარაზმ-შაჰ მოჰამადის ექსპანსიონისტური გეგმები, რომელთა შესახებაც ინფორმირებულები იქნებოდნენ საქართველოს სამეფო კარზე. 1219-20 წლების მიჯნაზე ქართველებმა სავარაუდოდ პარალელურად მიიღეს დამიეტეს დაცემის და ხვარაზმზე აღმოსავლური უცნობი არმიის თავდასხმის შესახებ პირველი ინფორმაციები. ხვარაზმელებისგან უახლოეს ხანებში რაიმე საფრთხე

მოსალოდნელი აღარ იყო. 1220 წლის დასაწყისში ლაშა-გიორგიმ ელჩები გაგზავნა ჯვაროსნებთან დამიეტში და შეატყობინა მათ, რომ გეგმავს სამხედრო კამპანიას სირიაში აიუბიანების სამფლობელოებზე (დარტყმის ძირითადი ობიექტი უნდა ყოფილიყო დამასკო, ეგვიპტის შემდეგ თავისი მნიშვნელობით მეორე ცენტრი აიუბიანების სახელწიფოში). ქართველთა ელჩობის საპასუხოდ კარდინალლეგატმა პელაგიუსმა და ჯვაროსნებმა გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები საქართველოში, სავარაუდოდ 1220 წლის ზაფხულში ან შემოდგომაზე. 1220 წლის ზაფხულიდან საქართველოში უკვე მოვიდოდა ცნობები, რომ მონღოლების ჯარი უშუალოდ სპარსეთში მოქმედებს და დასავლეთის მიმართულებით გადმოადგილდება. ქართველებს ამ დროს სავარაუდოა, რომ ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ მონღოლების ქრისტიანობა. თუმცა ახალ ძალასთან ურთიერთობების გარკვევამდე ქართველებს ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მზადება გარკვეული დროით უნდა შეეჩერებინათ. ლაშა-გიორგის გეგმის განხორციელებას საქართველოს სამეფო კარი ცდილობს სამი წლის შემდეგ.

ლიტერატურა:

1. ზურაბ ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბილისი, 1989.
2. შოთა ბადრიძე, საქართველო და ჯვაროსნები, თბილისი, 1973.
3. Wilhelm Baum, Die Verwandlungen des Mythos vom Reich des Priesterkönigs Johannes: Rom. Byzanz und die Christen des Orients im Mittelalter, Klagenfurt, 1999.
4. ირაკლი ბერაძე, ჯვაროსნულ ლაშქრობასა და ანტიოსმალურ კოალიციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, მაცნე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, 1965, 4, გვ. 59-66.
5. ნიკო ბერძენიშვილი, თათართა ბატონობის ხანა, თბილისი, 1941.
6. Clifford Edmund Bosworth, The Political and Dynastic History of the Iranian World (A. D. 1000–1217), in: The Cambridge History of Iran, Vol. 5, The Saljuq and Mongol Periods, Ed. by John Andrew Boyle, Cambridge 1968, gv. 1-202.
7. Anna-Dorothee von den Brincken, Die „Nationes Christianorum Orientalium" im Verständnis der lateinischen Historiographie: Von der Mitte des 12. bis in die zweite Hälfte des 14. Jahrhunderts (= Kölner Historische Abhandlungen, Bd. 22), Köln, 1973.
8. Anna-Dorothee von den Brincken, , Islam und Oriens Christianus in den Schriften des Kölner Domscholasters Oliver, in: Miscellanea Mediaevalia, Bd. 17: Orientalische Kultur und Europäisches Mittelalter, hrsg. v. Albert Zimmermann und Ingrid Craemer–Ruegenberg, Berlin, New York 1985, gv. 86-102.
9. Зия Буниятов, Государство Хорезмшахов-ануштегинидов, 1097-1231, Москва, 1986.
10. Christian Cannuyer, La date de rédaction de l'„Historia Orientalis" de Jacques de Vitry (1160/70 _ 1240), évêque d'Acre, in: Revue d'Histoire Ecclésiastique, 78, 1983, gv. 65-72.
11. Franz-Josef Dahlmanns, Al-Malik al-'Ādil. Ägypten und der Vordere Orient in den Jahren 589 / 1193 bis 615 / 1218. Ein Beitrag zur ayyubidischen Geschichte, Dissertation, Gießen 1975.

12. Joseph P. Donovan, Pelagius and the Fifth Crusade, Philadelphia, 1950.
13. Hans L. Gottschalk, Al-Malik al-Kāmil von Ägypten und seine Zeit: Eine Studie zur Geschichte Vorderasiens und Ägyptens in der ersten Hälfte des 7. / 13. Jahrhunderts, Wiesbaden, 1958.
14. René Grousset, Die Steppenvölker: Attila _ Dschingis Khan _ Tamerlan, München, 1970.
15. Peter Halfter, Das Papsttum und das Königreich Georgien in der ersten Hälfte des 13. Jahrhunderts, in: Le Muséon, 118, 2005, gv. 109-142.
16. Peter Halfter, Peter, Von den Kreuzfahrerstaaten in das Königreich Georgien, in: Le Muséon, 121, 2008, gv. 403-436.
17. Richard Hennig, Das Land des Priesterkönigs Johannes, in: misive, Wo lag das Paradies? Rätselfragen der Kulturgeschichte und Geographie, Berlin, 1950, gv. 226-237.
18. Richard Hennig, Terrae Incognitae: Eine Zusammenstellung und kritische Bewertung der wichtigsten vorcolumbischen Entdeckungsreisen an Hand der darüber vorliegenden Originalberichte. Bd. 3, 1200-1415. Leiden 21953.
19. R. Stephen Humphreys, From Saladin to the Mongols: The Ayyubids of Damascus, 1193-1260, Albany, NY, 1977.
20. Jacobus de Vitriaco, Historia Orientalis, 1597 (Ndr. 1971).
21. Bernhard Limper, Die Mongolen und die christlichen Völker des Kaukasus: Eine Untersuchung zur politischen Geschichte Kaukasiens im 13. und beginnenden 14. Jahrhundert. Dissertation. Köln. 1980.
22. Konrad Lübeck, Georgien und die katholische Kirche: Ein Überblick (= Abhandlungen aus Missionskunde und Missionsgeschichte 6), Aachen 1918.
23. Schota Meskhia, Geschichte Georgiens (Kurzer Überblick), Jena, 1972.
24. როინ მეტრეველი, მეფე თამარი, თბილისი, 1991.
25. Migne, Patrologia Latina, 216, 1.
26. Шихаб ад-дин Мухаммад ан-Насави, Жизнеописание султана Джалал ад-дина Манкбурны, Москва, 1986.
27. თამაზ ნატროშვილი, გოჩა ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974 (2), გვ. 175-178.
28. თამაზ ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი, 1974.
29. Regesta regni Hierosolymitani. Ed. Reinhold Röhricht. Innsbruck 1893.
30. Jean Richard, The Latin Kingdom of Jerusalem (= Europe in the Middle Ages, Selected Studies, Vol. 11 A), Amsterdam (da sx.) 1979.
31. Helmut Roscher, Papst Innocenz III. und die Kreuzzüge (= Forschungen zur Kirchen und Dogmengeschichte, Bd. 21), Göttingen 1969.
32. A. Sanders, Kaukasien, München, 1944.
33. John Joseph Saunders, The History of the Mongol Conquests, London, 1971.
34. ბენიამინ სილაგაძე, არაბი მწერალი ყივჩაღთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, ქართული წყაროთმცოდნეობა 7, 1987, გვ. 67-78.
35. ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), ტ. 1, თბილისი, 1984.
36. Mag. Thietmari Peregrinatio, Ed. J. C. M. Laurent, Hamburg, 1857.
37. Aleksandre Tvaradze, Der Westfeldzug von 1219-1221: Die „Mongolenerwartung" im Kreuzfahrerlager von Damiette und im christlichen Kaukasus, in: Caucasus during the

Mongol Period _ Der Kaukasus in der Mongolenzeit, Ed. by Jürgen Tubach, Sophia Vashalomidze, Manfred Zimmer, Wiesbaden, 2012, gv. 251-307.

38. გრიგოლ ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თბილისი, 1995.
39. ნოდარ შენგელია, მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო (XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი – XIII საუკუნე), თბილისი 2003.
40. Die Schriften des Kölner Domscholasters, späteren Bischofs von Paderborn und Kardinal-Bischofs von S. Sabina Oliverus, hrsg. v. Hermann Hoogeweg, Tübingen, 1894.
41. Friedrich Zarncke, Der Priester Johannes: Zweite Abhandlung, in: Abhandlungen der philologisch-historischen Klasse der königlich sächsischen Gesellschaft der Wissenschaften, Bd. 8, Leipzig, 1883, gv. 5-184.
42. იასე ციფცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, თბილისი, 1960.
43. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 3 (1), მისივე, თხზულებანი, ტ. 3, თბილისი, 1982.
44. გოჩა ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბილისი, 1995.

ALEKSANDRE TVARADZE

V CRUSADE AND LATIN-GEORGIAN CONTACTS IN THE 10th AND 20th YEARS OF THE XIII CENTURY

Summary

In 1220 Lasha Giorgi was making preparations to take part in V Crusade (1217-1221), but due to appearance of Mongols, he was forced to suspend his preparations for a crusade. In 1217- 1219 the main preventing factor for participation of Georgian troops in the crusade was the appearance of Khorezm forces near the Caucasus. On the verge of 1219/20's Georgians received the first informations about the fall Damieta and the attack of unknown Eastern Army to Khorezm probably at the same period of time. Thus, in close future Georgians did not expect any danger from the Khorezm troops. Then in the beginning of 1220 Lasha Giorgi sent ambassadors to the Crusaders in Damieta and told them that he was planning a military campaign to Ayyubid possessions of Syria. In response of Georgian ambassadors Cardinal-legate Pelagius and the Crusaders presumably in summer or fall of 1220, sent their representatives to Georgia. And since the beginning of summer 1220 in Georgia has been spread the news about Mongolian troops' operations in Persia and their movements in the direction of the West. Up to this time Georgians still believed that the Mongols are Christians. Although, until determination of relationship with the new force, Georgians had to stop preparations for a crusade for some time. Three years later, Georgian Royal Court is making attempt to implement Lasha Giorgi's plan.

АЛЕКСАНДР ТВАРАДЗЕ

V КРЕСТОВЫЙ ПОХОД И ЛАТИНО-ГРУЗИНСКИЕ КОНТАКТЫ В 10-Е И 20-Е ГОДЫ XIII ВЕКА

Резюме

В 1220 году Лаша Гиорги готовился принять участие в V крестовый поход (1217-1221г.г.), но из-за появления монголов он был вынужден приостановить свою подготовку к крестовому походу. В 1217-1219 годы основным препятствующим фактором для отправления грузинских войск в крестовый поход должен был быть появление Хорезмских сил вблизи Кавказа. На грани 1219/20 годов грузины предположительно параллельно получили первую информацию о падении Дамиэта и о нападении неизвестной восточной армии на Хорезм. Таким образом, от Хорезмских войск в ближайшем будущем не ожидали никакой опасности. В начале 1220 года Лаша Гиорги отправил послов к Крестоносцам в Дамиэта и сообщил им, что он планирует военную кампанию в Айюбидских владениях Сирии. В ответ грузинским послам Кардинал-легат Пелагиус и крестоносцы отправили в Грузию своих представителей, предположительно летом или осенью 1220 года. А с начала лета 1220 года в Грузию уже прибыли бы сообщения о том, что Монгольские войска действуют в Персии и передвигаются по направлению Запада. До этого времени грузины верили, что монголы являются христианами. Хотя, до определения отношений с новой силой грузины должны были приостановить подготовку к крестовому походу на определённое время. Спустя три года Грузинский королевский двор делает попытку осуществить план Лаша Гиорги.

მარიამ ზალდასტანიშვილი

კიდევ ერთხელ ათაბაგთა განკერძოების შესახებ

XV-XVI სს რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. 1490 წელს საბოლოოდ დადგინდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს „განსქდომა“ სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ. ერთიანი ქართული მონარქიის დაშლაზე საუბრისას მნიშვნელოვანი ყურადღება სამცხის სამთავროსა და ამ რთულ პროცესში მის როლს უნდა მიექცეს. ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების ვითარებაში საერისთავო-სამთავროები შეუვალობის გზას დაადგნენ. ერთი ასეთი გახელმწიფებული ერისთავი სამცხის მთავარი იყო, რომელმაც შეუვალობას XIII ს-ში მონღოლთაგან საგამგეო ტერიტორიის ხას-ინჯუდ შეწყალებით მიაღწია. ეს სარგის ჯაყელის (1266-1285 წწ.) დროს მოხდა. სარგისზე მეტად განდიდებულა მისი ვაჟი ბექა (1285-1308 წწ.). თუმცა ცენტრალური ხელისუფლებისათვის ქვეყნის ასეთ მნიშვნელოვან ნაწილზე გავლენის შესუსტება ართუ ისე იოლი შესაგუებელი უნდა ყოფილიყო და ხელისუფლების მხრიდან კიდევაც ტარდება გარკვეული ღონისძიებები ქვეყნის ამ მხარეზე უფლებების აღსადგენად. მონღოლთა ბატონობის შესუსტების შემდეგ ხელისუფლების განმტკიცებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ჯერ კიდევ გიორგი V ბრწყინვალემ (1318-46 წწ.) მიმართა (დიდებულთა ამოწყვეტა ცივზე, ერისთავების განწესება, ჩამოსახლებულ ოსთა მოძალების წინააღმდეგ მოქმედება, „ძეგლის დადება“). მან ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ქვეყნის თვალსაჩინო წინსვლას ისევ მონღოლთა მემკვიდრე თემურ-ლენგის შემოსევებმა მოუღო ბოლო. ალექსანდრე I-მა კი, მართალია, „გარდამატა სხუათა მეფეთა საქართველოსათა“, მაგრამ მის დროს ფეოდალთა განკერძოების პროცესი იმდენად შორს იყო წასული, რომ მათი ძლევა, ჩანს, მეფის შესაძლებობებს აღემატებოდა. ქვეყნის დაშლა უკვე შეუქცევადი პროცესია და XV ს-ში ეს უკვე უცილობელი ფაქტია. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლას და დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების შექმნას საეკლესიო სფეროში განკერძოებაც უკავშირდება. ეს ხდება დას. საქართველოში, სამცხე-საათაბაგოში, კახეთის სამეფოში [4, 50-51], [5, 113-121].

1446 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ადის ალექსანდრე I-ის ვაჟი გიორგი VIII – ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე. გამეფების შემდეგ გიორგი VIII-მ თავის უახლოეს ნათესავს ბაგრატს ქუთაისის ერისთავობა

მიუბოძა (ბაგრატი ალექსანდრე I-ის ძმის გიორგი „პროვინციის მეფის" შვილია) [7, 143], მაგრამ იგი ასეთ მდგომარეობას არ დასჯერდა და „ქუთაისის მეფედ" განდიდა. თუმცა მისი საბოლოო მიზანი როგორც სრულიად ლიხთ-იქით, ისე აღმ. საქართველოში გახელმწიფება იყო [7, 174]. ბაგრატი ამას აღწევს კიდევაც, რაშიც ყვარყვარე ათაბაგი უწყობს ხელს. 1465 წ. განდიდებული ათაბაგი შეიპყრობს გიორგი VIII-ს და ბაგრატი ქართლ-იმერეთის მეფე ხდება 1466-1478 წწ.

ბაგრატ VI-ის მოღვაწეობას უკავშირდება ერთიანი ქართული ეკლესიიდან – მცხეთის ტახტიდან დას. საქართველოს ეკლესიური გამოყოფისათვის ბრძოლა. ბაგრატ VI-მ ამისათვის ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიქაელი გამოიყენა, რომელიც ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა. შეიქმნა „მცნებაი სასჯულოი", რამაც დას. საქართველოს ეკლესიური დამოუკიდებლობა გააფორმა. XV ს-ის 70-იან წლებში საქართველოს საპატრიარქო გაიყო ორ დამოუკიდებელ – დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ ქართლის საეკლესიო ორგანიზაციად [12].

პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის პარალელურად, ან უფრო ზუსტად, ამ პოლიტიკური დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და თავიანთი პატარა სახელმწიფოსათვის დასრულებული სახის მისაცემად საეკლესიო თავისუფლებისთავის იბრძოდნენ სამცხის ათაბაგები.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი ივანე ათაბაგმა (1391-1444 წწ.) გადადგა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ივანე ათაბაგი 1414 წელს მეფე ალექსანდრე დიდმა დაამარცხა კოხტასთავს. ამასთან ერთად კათოლიკოსმა მიქაელმაც გადადგა გარკვეული ნაბიჯი სამცხის ეკლესიის შემომტკიცებისათვის. სწორედ ამასთან არის დაკავშირებული გერასიმე მაწყვერელის ერთგულების „წიგნი და პირი" (1414-26 წწ.).

მომდევნო საერთგულო წიგნი სერაპიონ მაწყვერელს მიუცია კათოლიკოს თეოდორესათვის, რომელსაც ქრ. შარაშიძე 1430-34 წლებით ათარიღებს [13, 24].

ათაბაგთა ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდგომი ეტაპი ყვარყვარე II ჯაყელთან (1451-1498 წწ.) არის დაკავშირებული. მას სურდა სამცხის ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოსაგან ჩამოეშორებინა და აქაც ისეთივე დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინა, როგორც საათაბაგოს მართვა-გამგეობაში. ამისათვის ყვარყვარეს მაწყვერელი ეპისკოპოსის ამაღლება გადაუწყვეტია. ასეთ შემთხვევაში ეპისკოპოსად საკურთხეველად მცხეთაში კი აღარ წავიდოდნენ, არამედ კათოლიკოსის ფუნქციას ადგილობრივ მაწყვერელი შეასრულებდა. ამასთანავე, საეპისკოპოსო პირთა არჩევის უფლებაც თვითონ ყვარყვარემ მიიტაცა, რაც თავის ერთგულთა მოკრებაში შეუწყობდა ხელს.

ბექას სამართლის მიხედვით, სამცხის პატრონის გვერდით დგას მაწყვერელი. პირველი საერო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელია, ხოლო მეორე – საეკლესიო ხელისუფლებისა: ისე, როგორც პატრონის – ჯაყელის ანუ მთავრის სისხლი, ასევე არც მაწყვერელის სისხლია დადგენილი. თუ

გავიხსენებთ, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით კათალიკოსი მეფის გვერდით დგას და მისი სისხლი მეფის სისხლის თანასწორადაა მიჩნეული, ცხადი გახდება, რომ სამცხის სამთავროში მაწყვერელი ეპისკოპოსი კათალიკოსის მაგივრად უთანასწორდება სამთავროს უმაღლეს მმართველს – მთავარს [6, 80].

ყვარყვარემ თავის მიზნის მისაღწევად საქართველოში შესაწირავის შესაგროვებლად მოსული ბერძენი მიტროპოლიტის გამოყენება სცადა, რომელმაც დიდძალი ჯილდოს მიღების შემდეგ ათაბაგისათვის სასურველი ქადაგება დაიწყო, რომ მღვდელთა და დიაკვანთა კურთხევა უმცხეთოდაც შესაძლებელი იყო და კათალიკოსის მორჩილება სრულიადაც არ იყო სავალდებულო [14, 434]. ამგვარი, ასე ვთქვათ „შეთანხმება", ორივე მხარისათვის – ერთი მხრივ ათაბაგისა და მეორე მხრივ მოკალმასე მღვდელმთავრისათვის, ხელსაყრელი იყო.

ქართლის კათოლიკოსმა დავით IV-მ ამის წინააღმდეგ ბრძოლა გამართა – გადალახა მცხეთის საზღვარი, მივიდა საფარის მონასტერში და აქ „საფარის თავზედა" უჯვაროდ და შეუნდობლად გამოაცხადა მაწყვერელი და სამცხის სხვა ეპისკოპოსები. ქართლის კათოლიკოსის ამგვარმა საქციელმა სათანადო შედეგი გამოიღო.

ასეთ ვითარებაში მესხეთის მღვდელმთავარნი იძულებულნი გახდნენ ქედი მოეხარათ მცხეთის კათოლიკოსისათვის. ამას 1453-59 წლებით დათარიღებული ლასურიძე-კუმურდოელის „წიგნი და პირი" ადასტურებს.

ქრ. შარაშიძემ მცხეთის საბუთების სათაურით გამოქვეყნებული ფიცის წიგნების საფუძველზე შეძლო შეესწავლა ქართლის საკათალიკოსოსა და სამცხის ეკლესიას შორის ბრძოლის ღრმა ეკონომიკური მიზეზებიც [13, 89, 90-91].

ყვარყვარე ათაბაგი მცხეთის ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა და მცდელობამ, სამცხე ეკლესიურადაც ჩამოეშორებინა დედა ეკლესიისაგან, მისთვის სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ათაბაგის მარცხი მნიშვნელოვანწილად ფეოდალებსა და ათაბაგს შორის წინააღმდეგობის არსებობამაც განაპირობა. მცხეთის საკათალიკოსო საყდრის მამულების ნუსხის მიხედვით 25 დიდი მამული და მასზე დასახლებული თავადნი მცხეთის დიდი ფეოდალური ერთეულის მებეგრენი არიან, როგორც მისი „ძუელთაგან საქონებელნი". როდესაც კათოლიკოსმა სამღვდელო პირნი „უჯუაროდ" და „შეუნდობლად" გამოაცხადა, ეს შეჩვენება მთელ სამწყსოზე ვრცელდებოდა. ასეთ ვითარებაში ვინც საკათალიკოსოს ერთგული დარჩებოდა, ის, ბუნებრივია, ათაბაგებს უნდა გადასდგომოდა [13, 11, 91, 93].

ამის შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში სამცხის ხელისუფალთ აღარ უცდიათ ეკლესიური განდგომა.

ყვარყვარეს შემდეგ სამცხის ათაბაგია მისი შვილი ქაიხოსრო I (1498-1500 წწ.). მისი ხანმოკლე მმართველობის დროს ურთიერთობა საქართველოს მეფე-მთავრებთან დარეგულირებული იყო.

ყვარყვარეს მეორე ვაჟის მზეჭაბუკის (1500-1515 წწ.) მოქმედება, რომელიც ქაიხოსროს შემდეგ გაათაბაგდება აშკარად ცენტრიდანულია.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ წყაროების მოწმობით, თავდაპირველი ურთიერთობა მეფესა და მთავარს შორის მშვიდობიანი ყოფილა. ამის დასტურია გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნი (თ. ჟორდანია 1500-1502 წლებით ათარიღებს, ქრ. შარაშიძე – 1500-1503 წლებით). საბუთში იხსენიება აღმ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ევაგრე. მეორე საბუთი, რომელშიც ევაგრე მოიხსენიება, არის 1488 წლის კონსტანტინე II-ის შეუვალობის წიგნი. ამიტომ ამ ორი საბუთით ევაგრე 1488-92 და 1500-1503 წლების კათოლიკოს-პატრიარქიად ჩანს [9, 79], თუმცა ქრონოლოგიურ რიგში ევაგრე 1500-1503 წლებში ვეღარ თავსდება, რამდენადაც ეს უკვე კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ I-ის მოღვაწეობის წლებია (1497-1503) [9, 82]. გერასიმე კუმურდოელი კი ამბობს, რომ ეს წიგნი მოგახსენეთ „მას ჟამსა, ოდეს პატრონმა მზეჭაბუკ შემინყალა და კუმურდოსა საყდარი და ჴელი მიბოძა და თქუენს წინაშე საკურთხეველად გამოგუზავნნა...“ მაგრამ შემდეგ ასევე ნათქვამია „თუ ათაბაგმან ყუარყუარე და მათთა შვილთა მაწყუერელობა ანუ სხუა რამე ჴელი გუაძლიოს...“ [13, 27-28], [11, 238]. ამ ყვარყვარეს თ. ჟორდანია ნავ ყვარყვარედ (ქაიხოსრო I-ის შვილი ყვარყვარე III, სამცხის მთავარი 1515-45 წწ.) მიიჩნევდა, იზიარებდა ივ. ჯავახიშვილიც – რამდენადაც ქაიხოსროს შემდეგ მემკვიდრეობის წესით ათაბაგი მისი შვილი უნდა ყოფილიყო, მზეჭაბუკი კი განაგებდა მესხეთს, მაგრამ ათაბაგად არ ითვლებოდა და ამიტომ მოიხსენიება პატრონად, ყვარყვარე III კი – ათაბაგად. თუმცა აქვე ამბობს, რომ „ამ უცნაური მოვლენის ახსნა ამჟამად რასაკვირველია შეუძლებელია სრული უეჭველობით, მაგრამ იქნებ ეს გარემოება ყუარყუარეს ქვეყნის გამგეობისათვის უსრულასაკობით ყოფილიყო გამოწვეული მისი მამის ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალების დროს, თუმცა გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნში ყუარყუარე ათაბაგის შვილნიც კი იხსენიებიან. იქნებ მზეჭაბუკი მის სრულწლოვანებამდე ქვეყნის დროებით მმართველად და ყუარყუარეს მზრუნველად ითვლებოდა?“ [14, 384-385].

ჩვენი აზრით, ეს საბუთი მაინც ყვარყვარე II-ის დროს არის შექმნილი 1488-92 წლებს შორის (აღმ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ევაგრეს მოღვაწეობის წლების მიხედვით). სავარაუდოდ, მზეჭაბუკს (და არა მარტო მას) მამის მმართველობის დროსაც აქვს ეპისკოპოსის წარდგენის უფლება. საგულისხმოა ისიც, რომ ყვარყვარე II-ის დროს დადებული ფიცის წიგნები ერთსა და იმავე ფორმულას იმეორებენ: „თუ ყუარყუარე მაწყუერელობა ანუ სხუა რამე ჴელი გუაძლიოს და დაგუპატიჟოს კურთხევისა მიზეზითა...“ გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნშიც იგივე ფორმულა მეორდება, ემატება „ათაბაგი“ და „მისი შვილები“ (ქაიხოსრო, მზეჭაბუკი), რომლებიც ამ დროს უკვე აქტიურად მოღვაწეობენ მამის გვერდით („მანუელის გარდამოცემაშიც“, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, ორივე ვაჟი მამის გვერდით ხელმწიფეებად იხსენიებიან). თუკი იმ აზრს მივყვებით, რომ ყვარყვარე III მცირეწლოვანი იყო და მზეჭაბუკი – მხოლოდ მეურვე, ყვარყვარეს შვილებზე საუბარი, ალბათ ნაადრევი იქნებოდა. ამგვარად, გერასიმე კუმურდოელის

ფიცის წიგნი მეფისა და მზეჭაბუკის მშვიდობიანი ურთიერთობის დასტურად ვერ გამოდგება, რადგან იგი უბრალოდ ყვარყვარე II-ის დროს არის შედგენილი. ამ მხრივ საგულისხმოდ რჩება ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა: „ესე მზეჭაბუკ დაეზავა მეფესა კონსტანტინეს და პატივსცემდა და უსმენდა“ [1, 711] და ნიკოლოზ მაწყვერელის ფიცის წიგნი, რომელიც ასევე მზეჭაბუკისა და ქართლის მშვიდობიანი ურთიერთობის დასტურად განიხილება.

მზეჭაბუკის მმართველობის მშვიდობიანი პერიოდი კონსტანტინეს მეფობას უკავშირდება, ე. ი. 1500-იდან 1505 წლამდე. 1505 წელს ქართლში კონსტანტინე II-ის ვაჟი დავით X (1505-25 წწ.) გამეფდება. ამ დროს იწერება ნიკოლოზ მაწყვერელის ფიცის წიგნიც, რომელსაც ქრ. შარაშიძე დავით X-ის მეფობის მიხედვით 1505-1515 წლებით ათარიღებს [13, 28]. თუ კი უფრო დავაკონკრეტებთ, ფიცის წიგნის დაწერა შეგვიძლია, მასშივე მოხსენიებული იოანე კათალიკოსის მოღვაწეობის მიხედვით, 1505-1509 წლებში მოვაქციოთ [9, 85]. ჩვენი ვარაუდით, კიდევ უფრო დაზუსტებით, ფიცის წიგნი იქმნება დავითის მეფობის დასაწყისში, რასაც თავად ტექსტი გვაფიქრებინებს: „მას ჟამს, ოდეს–ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და ოძლეველი ღ˜თივგუირგ[ვი]ნოსნობა მეფეთა მეფისა დავითისი“. ჩანს, ნიკოლოზს მაწყვერლად დასამტკიცებლად ათაბაგი კი არ გზავნის მცხეთაში, არამედ ქართლი [კათოლიკოს-პატრარქი იოანე VIII (1505-1509 წწ.)] თავად აკურთხებს მას. ნიკოლოზ მაწყვერელი ამბობს: „ესე დაწერილი მოვაჴსენე წ˜სა დიდებულსა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა და მუნ შინა ღვთივ აღმართებულსა სუეტსა ცხოველმყოფელსა და თქუენ, მაკურთხეველსა და შემოქმედს ჩემსა წ˜სა მეუფესა, ქრისტეს ღ˜თისა მიერ ქართლისა კა[თალი]კოზსა იუვანეს, მე, მონამან და მოწაფემან თქუენმან, გლახაკმან მაწყუერელმთავარებისკოპოსმან ნიკოლაუზ, მას ჟამს, ოდეს–ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და ოძლეველი ღ˜თივგუირგ[ვი]ნოსნობა მეფეთა მეფისა დავითისი–შემიწყალეს და საყდარი აწყურისა მიბოძეს, თქუენითა თანადგომითა და ჯერჩინებითა და თქუენ, ვითარცა ჴელთა თქ[უე]ნთა გაზრდილი და შეწყალებული, ეგრეთ სიტკბოებით სიყუარულით მაკურთხეთ და მე ამის კეთილისყოფისა და სიყუაროლისა თ˜ქნისა სანაცვლოდ, ვითა ნესი იყო, ესე დაწერილი და აღთქმა მოგაჴსენე: სიცოცხლესა ჩემსა თუინიერ მცხეთისა სახლი დედა-ქალაქი არა აღვიარო და თქ[უე]ნ, მაკურთხევლისა ჩემისა იუვანე კათალიკოზისაგან კიდე სხუასა კათალიკოზს არა დავემორჩილო... და ყოველსავე ზედა ერთგოლი და ბრძანებისა თქუენისა მორჩილი ვიყო, ვითარცა მშოენის მოწაფესა თქუენს“ [13, 29].

ფიცის ფორმულა აქ განსხვავებულია წინა ფიცის წიგნებისაგან. ეს ფაქტი და ის, რომ რეალურად ამ დროს აწყურის ეპისკოპოსი სვიმეონ ტრაპიზონელია, გვაფიქრებინებს, რომ ქართლს სურს თავისი ერთგული ადამიანი აკურთხოს მაწყვერელად სამცხის ათაბაგისაგან დამოუკიდებლად. შესაძლოა, ეს ახალი მეფისა და კათოლიკოსის მხრიდან ახალი წესრიგის დამყარებას მცდელობაა – პოლიტიკურად ძლიერი სამცხის მმართველის ერთგული აწყურის ეპისკოპოსი ჩაანაცვლონ თავისთვის სასურველი კანდიდატურით. თუმცა, ჩვენი აზრით,

ნიკოლოზი მიუხედავად ქართლის მხარდაჭერისა, აწყურის საკათოლიკოსო კათედრას ვერ იკავებს. სვიმეონ ტრაპიზონელი კი, რომელიც მანამდე მტბევარი იყო [10, 91], აწყურის ეპისკოპოსი 1486 წლიდან გახდა, მას შემდეგ, რაც იაყუბ ყაენის შემოსევისას მოღალატე მაწყვერელის ნაცვლად ყვარყვარე II-მ იგი „დანიშნა" მაწყვერელად. სვიმეონი მაწყვერელობას, როგორც ჩანს, მზეჭაბუკის მმართველობის ბოლომდე (1515 წ.) ინარჩუნებდა.

თუ მოვლენათა განვითარებას მართებულად ვხედავთ, ნიკოლოზ მაწყვერელის ფიცის წიგნი ვეღარ გამოდგება ქართლისა და მზეჭაბუკის მშვიდობიანი ურთიერთობის დასტურად და, ვახუშტის ცნობის მიხედვით, დარეგულირებული ურთიერთობა მზეჭაბუკ ათაბაგისა ქართლთან მხოლოდ კონსტანტინეს მეფობის დროს იყო. ახალი მეფის პირობებში მზეჭაბუკმა დაიწყო განკერძოებისაკენ მოძრაობა და ამიტომ ცდილობს ქართლი ნიკოლოზის დაყენებას, თუ ქართლის ამ ღონისძიებაზეა მზეჭაბუკის პასუხი თავისი შემდგომი მოქმედებებით, ახლა რთული სათქმელია. ფაქტია, რომ ურთიერთობა რთულდება და დავით X-ის მეფობის დასაწყისში კი ქართლის ხელისუფლება დასუსტებულია. „არამედ ესე დავით მეფე იყო ლმობიერი, ბრძოლა-შლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყუარე მშჳდობისა" [1, 392]. როგორც ცნობილია, ამავე პერიოდში იმერეთიდან გადმოდის ალექსანდრე II და იპყრობს გორს (1509 წ.), კახეთიდან მოქმედებს ავ-გიორგი (1511 წ.), იქმნება სამუხრანბატონო (1512 წ.).

ამგვარად, პოლიტიკურად ძლიერი სამცხისათვის, რომელმაც ამ პერიოდში ოსმალებთან ზავის შედეგად ჭანეთისა და აჭარის შემოერთებაც შეძლო (ვახუშტის ცნობით, ეს 1512 წლამდე უნდა მომხდარიყო [1, 711]), მნიშვნელოვანი კვლავ ეკლესიური დამოუკიდებლობა გახდა. ამისათვის დღის წესრიგში ისევ მაწყვერელის ამაღლება დადგა და ქართლისათვის პასუხად მზეჭაბუკმა თვისი მიზნის განსახორციელებლად ანტიოქიის პატრიარქი დროთეოსი გამოიყენა, რომელიც ამ დროს საკალმასოდ ჩამოსულა სამცხეში. „იყო თუ არა იგი აღმოსავლეთში, არ ჩანს, მესხეთს კი სწვევია" [15, 165]. ამგვარად, მზეჭაბუკის შეკვეთით შეიქმნა დოკუმენტი, რომელსაც უნდა დაედასტურებინა მაწყვერელის უფლება დამოუკიდებლად ეკურთხებინა სამცხის ეპისკოპოსები – „წიგნი ანტიოქიის პატრიარქის დროთეოსისა მაწყვერელისათვის კურთხევის უფლების მინიჭების შესახებ" [11, 240].

მზეჭაბუკის მმართველობაში მზეჭაბუკი და მისი ძმისწული ყვარყვარე სვიმეონ მაწყვერელსა და აწყურის ტაძარს სწირავენ ზარზმასა და აჭარისა და გურიის მამულებს [8, 321]. გადაჭრით იმის თქმა, თუ როდის იწერება ეს წყალობის წიგნი – დროთეოს პატრიარქის მიერ მაწყვერელისათვის კურთხევის უფლების მინიჭების შემდეგ თუ მანამდე, ცოტა რთულია, თუმცა წყალობის წიგნში მზეჭაბუკის ნათქვამი „ვინებე მეცა განდიდება და განმთავრება წმიდისა საყდრისა თქუენისა" ე. ი. აწყურის, ალბათ მაინც უკვე მომხდარ ფაქტზე მეტყველებს. ეს წყალობის წიგნი და „მანუელის გარდამოცემა", ადასტურებენ, რომ მზეჭაბუკის მმართველობაში მაწყვერელი

კვლავაც სვიმეონია, ე. ი. ნიკოლოზი, რომელიც ფიცის წიგნს აძლევს დავით X-ს მისი მეფობის დასაწყისში, აწყურის ეპისკოპოსი ვერ იქნებოდა.

ახლა თავად „მანუელის გარდამოცემის" შესახებ: მზეჭაბუკის მმართველობის დროსვე XVI ს-ის დასაწყისში ბერძნულ ენაზე იქმნება „კონსტანტინოპოლში ღვთის უწმინდესი დიდი ეკლესიის დიდი რიტორის – მანუელის გარდამოცემა აწყურში მყოფი ჩვენი ყოვლადწმიდა დედოფლის, ღვთისმშობლისა და მარადქალწული მარიამის სათაყვანებელი ხატისა და მის მიერ სხვადასხვა დროს ქმნილ სასწაულთა შესახებ". იგი მნიშვნელოვანი წყაროა ამ პერიოდის სამცხე-საათაბაგოს და ზოგადად საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის მეტნაკლებად ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც სომეხმა ისტორიკოსმა ჰ. ბართიკიანმა თსუ საქართველოს ისტორიის კათედრას გამოუგზავნა. საქართველოს ისტორიის კათედრამ განიხილა წარმოდგენილი ისტორიული წყარო და შენიშვნების გარეშე 1987 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომების" დამატებაში (№266) გამოსცა. აქ დაიბეჭდა ბართიკიანისეული რუსული თარგმანი, მისივე კომენტარები და მიმოხილვა და, რაც ყველაზე მთავარია, ბერძნული ორიგინალური ტექსტი. ჰ. ბართიკიანმა მოგვაწოდა მისეული დათარიღება და ავტორობა [17]. (დათარიღებასთან დაკავშირებით ჩვენ ახლებური მოსაზრება გვაქვს [3], რაც ავტორობის საკითხსაც განსხვავებულად აყენებს). სამუშაო სათაურად ჩვენთვის საინტერესო წყაროს „მანუელის გარდამოცემას" ვუწოდებთ.

„მანუელის გარდამოცემა" სრულად ეხმიანება მზეჭაბუკის პოლიტიკის იმდროინდელ ტენდენციას. როგორც თავად წყაროს სათაურიდანაც ჩანს, მოთხრობა შეეხება აწყურის ღვთისმშობლის ხატს, რომლის საქრთველოში მოსვლა ანდრია პირველწოდებულის სახელს უკავშირდება, და მასთან დაკავშირებულ სასწაულებს. თუმცა მოთხრობა ამით არ სრულდება და თუ წყაროს პირობითად ორ ნაწილად გავყოფთ, მისი მეორე ნაწილი სამცხის ათაბაგებს – ყვარყვარე II-ს და მის ვაჟებს ქაიხოსრო I-სა და მზეჭაბუკს შეეხება. ავტორი განსაკუთრებული სიმპათიითაა განწყობილი სამცხის ამ ხელისუფალთა მიმართ, არ იშურებს კეთილ სიტყვებს მათთვის ხოტბის შესასხმელად. აგრეთვე, გამორჩეულად უსვამს ხაზს სვიმეონ მანყვერელის ღვთისათვის სასურველ მოღვაწეობას. ჩვენთვის საინტერესო წყარო მხატვრულად შესრულებული ნაწარმოებია. სავარაუდოდ, იგი მართლაც უნდა დაეწერა ამ საქმის მცოდნეს, რიტორს (როგორც სათაურიდანვე ჩანს, ბართიკიანის მოსაზრებისაგან განსხვავებით), რასაც ტექსტის წყობა, ამბების გადმოცემის სტილი გვაფიქრებინებს. (Великий ритор – должность в Константинопольском Патриархате, занимает второе место в иерархии архонтов, и эта должность предполагает ответственность за христианское образование. В этот чин возводились лица, «обладающие глубокими богословскими познаниями и высоким уровнем ораторского искусства». Каждый архонт в момент инвеституры должен принести клятву «защищать и распространять греческую православную веру и традицию» и, в частности, «защищать святой патриархат

и его миссию». Устав гласит, что в достоинство архонта возводятся те, кто испытан в «православном христианском поведении» и «верно предан поучениям Христовым, учению, канонам, богослужению, дисциплине и посланиям Церкви».) [18].

„ანტიოქიის პატრიარქის დროთეოსის წიგნის“ შემდეგ, უფრო მოგვიანებით მზეჭაბუკი უკვეთავს „მანუელის გარდამოცემას“ – სამცხის იმდროინდელ მოკლე ისტორიას მისთვის სასურველი აქცენტებით. იდეოლოგი, სავარაუდოდ, სვიმეონ მანყვერელია, რაც თავად მის ამბიციასაც ეხმაურება. წყაროს ავტორი ამ სიტყვის შექმნის მიზეზს ასეთნაირად განმარტავს: პირველ რიგში ეს თავად ხატისა და მისი სასწაულების მოთხრობამ განსაზღვრა, შემდეგ, სამი ჰეგემონის – ყვარყვარეს, ქაიხოსროსა და მზეჭაბუკის კეთილი საქმეების ხსენებამ. ამას კი ის მიზანი აქვს, რომ ამ უკეთილშობილესი ხალხის უკეთილშობილესი საქმების აღწერით დანარჩენებს მიეცეთ სტიმული კეთილი საქმეებისა და მშვენიერებისკენ სწრაფვისა.

„მანუელის გარდამოცემა“ აწყურის ტაძრის მნიშვნელობის წინ წამოწევის ტენდენციის გარდა, ასახავს მზეჭაბუკის სულისკვეთებას – მეფობის სურვილს. მზეჭაბუკის მონარქისტულ მისწრაფებებზე საუბრობდნენ ივ. ჯავახიშვილი, ქრ. შარაშიძე, დ. გვრიტიშვილი. „ანტიოქიის პატრიარქის დროთეოსის წიგნში“ მზეჭაბუკი მოხსენიებულია, როგორც „დიდი მეფე“ და „ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფე“. არაბულად შექმნილი „დროთეოსის წიგნის“ ქართულ თარგმანთან შედარებამ აჩვენა, რომ არაბულ ტექსტში მეფობაზე არაფერია ნათქვამი. მეფობა ჩნდება ქართულ თავისუფალ თარგმანში [13, 96].

მზეჭაბუკს უნდოდა ეჩვენებინა, „რომ მესხეთის ბატონი არამც თუ ქართლის მეფეს არაფრით ჩამოუვარდებოდა, არამედ სჯობდა კიდეც“ [15, 164]. მას მეფობა სურდა არა მხოლოდ თავის სამფლობელოში, არამედ უფრო მეტიც – თვალი ქართლზეც ეჭირა და მზად იყო ხელში ჩაეგდო [2, 172]. თუმცა არაბაგრატიონი მზეჭაბუკისათვის ასეთი პრეტენზია რამდენად რეალური იყო, იმ დროს, როდესაც ქართლის, კახეთის და იმერეთის ბაგრატიონები ერთმანეთის მეფობასაც კი არაკანონიერად მიიჩნევდნენ, სხვა საკითხია. ბაგრატიონები თავიანთ უპირატესობას გავრცობილი ტიტულატურით გამოხატავდნენ, რომელსაც იმ დროს რეალური შინაარსი ნაკლებად ჰქონდა [2, 172]. მზეჭაბუკის ეს ამბიცია „მანუელის გარდამოცემაში“ სამცხის ათაბაგთა თვითმპყობელად და მეფედ მოხსენიებით ალბათ მეტნაკლებად კმაყოფილდებოდა. წყაროს მისეულ მიმოხილვაში ჰ. ბართიკიანიც ამახვილებდა ყურადღებას ათაბაგთა ტიტულატურაზე, თუმცა განსხვავებული ინტერპრეტაციით [17].

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ წყაროში ბოლოდროინდელი ამბების მოთხრობისას ავტორი საერთოდ არ იხსენიებს ათაბაგების გარდა ვინმე სხვა ხელისუფალს. თითქოს ყვარყვარეს, ქაიხოსროსა და შემდეგ უკვე მზეჭაბუკის საგამგეო სრულიად დამოუკიდებელი ერთეულია. ბუნებრივია, მეფობის მსურველს სჭირდებოდა დამოუკიდებელი ეკლესია.

„მანუელის გარდამოცემა“ ეხმიანება მზეჭაბუკის საქრისტიანოს ზღუდედ

ყოფნას, ანყურის მნიშვნელობას, მაწყვერელის სიკეთეს და „ღმრთიმოშიშებას და მართმადიდებლობას და მეცნიერებას და სჯულთა ღმრთისათა კეთილად პყრობას და დაცვას მცნებათა ღმრთისაითას“ („დროთეოზის წიგნში“) – „... ამ მდიდარმა თვითმპყრობელმა მზეჭაბუკმა ყველას გადააჭარბა მდიდარი შემწეობებით და საბოძვრებით და ღვთისმშობლის წმიდა ტაძარს დღემდე არ აკლებს საჩუქრებით შემკობას, უბრალოდ რომ ვთქვათ, ისევე როგორც გაკეთილშობილებული უღვთაებრივესი კაცების და უძლიერესი ჰეგემონების დროს, რომელთა შესახებ სიტყვამ ზემოთქმულმა გვიჩვენა, და განსაკუთრებით კი ახლადნათქვამი ჰეგემონის იოანე მზეჭაბუკის, მთელი ზემო იბერიის თვითმპყრობელის და უწმიდესი მღვდელმთავრის სვიმეონის დროს, რომლის შესახებ გაიხსენა სიტყვამ, განდიდებულ იქნა მღვდელმთავრობასთან ზიარების პატივი მთელ ამ მხარეში და ქრისტიანული ჰეგემონია და კაცთმოყვარული და მოწყალე ძლიერება“ (წყაროს სრული თარგმანი ორიგინალიდან შესრულებულია ჩვენს მიერ და მალე ცალკე გამოიცემა შენიშვნებითა და კომენტარებით).

როგორც ჩანს, სამცხე ეკლესიურად დამოუკიდებელი 1518 წლამდე იყო, რაზედაც ყვარყვარე III-ის (1516-1535 წწ.) კათოლიკოს ბასილი VI-დმი (1517-1528 წწ.; 1529-1531 წწ.) დაწერილი ერთგულების წიგნი მეტყველებს. ამ საბუთით ყვარყვარე III მზეჭაბუკის მიერ „უკუჭერილი“ საეპისკოპოსოების დაბრუნებასა და ძველი წესით მორჩილებას აღუთქვამს [8, 335]. ამავე დროს, ყვარყვარეს საწინააღმდეგოდ სამცხის დასაკავებლად ქართლის შესაძლო მხარდაჭერის მიზნით წერს საერთგულო წიგნს ათაბაგობის პრედენდენტი, მზეჭაბუკის უმცროსი ძმა მანუჩარი. იგიც სამცხის ეკლესიის ქართლთან შეერთებას აღუთქვამდა ბასილი VI-ს [9, 87], [13, 101]. „მანუელის გარდამოცემასთან“ ერთად ეს ფაქტი ადასტურებს, რომ მზეჭაბუკი თავისი პოლიტიკის გატარებას მხოლოდ თავისი ერთგული და ინტერესების მხარდამჭერ მაწყვერელთან ერთად შეძლებდა. ასეთი კი იმ დროს სვიმეონ ტრაპიზონელი იყო.

ყვარყვარე III-ის დროს სამცხე უბრუნდება ქართლის ეკლესიის იურისდიქციას, სამცხის ეპისკოპოსები მცხეთაში 1555 წელს ამასიის ზავის შემდეგაც იკურთხებოდნენ [13, 96]. საბოლოოდ, ათაბაგთა ბრძოლას ეკლესიური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად შედეგი არ მოჰყოლია.

ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973.
2. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), თბ., 1965.
3. მ. ზალდასტანიშვილი, „მანუილის მოთხრობა აწყურის ხატის შესახებ“ (დათარიღებისა და ავტორობის საკითხისათვის), „არტანუჯი“, 1996, №5;
4. ე. კაჭარავა, ალავერდის საეპისკოპოსო, „ჯვარი ვაზისა“, 1991, №1.
5. ე. კაჭარავა, საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიისათვის, „მაცნე“, 1987, №3.
6. აბ. კიკვიძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, თსუ შრომები, თბ., 37, 1949.
7. დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995.
8. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. 2, ტფ., 1892.
9. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ., 2000.
10. ვ. სილოგავა, ტბეთის ეპარქია, კრ.: რელიგიის ისტორიის საკითხები, I, თბ., 2010.
11. ქართული სამართლის ძეგლები, გამოც. ის. დოლიძის მიერ, ტ. 3, თბ., 1970.
12. თ. ქორიძე, „მცნებაჲ სასჯულოჲ“ და საქართველოს საპატრიარქოს ორ – დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად გაყოფა (XV ს-ის 70-იანი წლები), I საერთაშორისო სიმპოზიუმი – ქართული ხელნაწერი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2009.
13. ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბ., 1961.
14. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, თბ., 1982.
15. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 4, თბ., 1967.
16. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, თბ. 1929.
17. Р. М. Бартикиян, Приписываемый Мануилу, великому ритору Константинопольской патриархии (первая половина XVI века) панегирик государям Самцхе-Саатабаго Кваркваре II, Каихосрою и Мзечабуку, თსუ შრომები, 266, თბ., 1987.
18. http://icon-favor.ru, Словарь иконописца.

MARIAM ZALDASTANISHVILI

ONCE AGAIN ABOUT THE SEPARATISM OF ATABEGS OF SAMTSKHE

Summary

In the present article is once again touched the separatist efforts of Atabegs of Samtskhe. In particular, more precise definition is given to several significant moments of activating the tendencies of separatism during the period of Atabek Mzechabuk, and the role of Atskuri Bishop in this very tendency. All these are shown by analyzing the less known XVI century Greek historical source "The Story of Manuel" and revising the dates of the well-known historical sources, re-evaluating the reasons of their creating.

МАРИАМ ЗАЛДАСТАНИШВИЛИ

ЕЩЁ РАЗ О СЕПАРАТИЗМЕ АТАБЕКОВ САМЦХЕ

Резюме

В статье в очередной раз рассматривается вопрос отделения Атабеков Самцхе. В частности, уточнены некоторые существенные моменты усилении тенденции сепаратизма во время Атабека Мзечабука, роль Ацкурского Епископа в этой тенденции. Анализируя менее известный Греческий источник XVI века «Повествование Мануела», пересмотрены даты известных исторических источников, уточнены причины их написания.

ვახტანგ გურული

რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში (1918–1921)

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის დამკვიდრებამ სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) და რუსეთთან ომებში ოსმალეთის და ირანის მარცხმა XIX საუკუნის პირველ მესამედში ცხადი გახადა, რომ რეგიონში სტატუს ქვო დაირღვა. ამ მოვლენამ დაუყოვნებლივ გამოიწვია დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის) მკვეთრად უარყოფითი რეაქცია. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას, რაც მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრისათვის პლაცდარმის მომზადებასაც ნიშნავდა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ხელი ვერ შეუშალეს. 1877-1878 წლებში რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაჩაღებულ ომში კვლავ რუსეთმა გაიმარჯვა. **სან-სტეფანოს ხელშეკრულებითა** (1878 წლის მარტში) და **ბერლინის კონგრესის** გადაწყვეტილებით (1878 წლის ივლისში) დამარცხებულმა ოსმალეთმა აჭარა რუსეთს დაუთმო. 1903 წელს აჭარის ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობა **ბათუმის ოლქის** შექმნით დამთავრდა. ბათუმის ოლქი, რომელიც **ბათუმისა** და **ართვინის** ოკრუგებისაგან შედგებოდა, ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს (რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში ცალკე ერთეულებს წარმოადგენდა **არტაანისა** და **ყარსის** ოკრუგები) (4: 41-45).

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ (1914 წ.) სამხრეთ-დასავლეთი საქართველო კვლავ მოექცა დიდი პოლიტიკის ყურადღების ცენტრში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის რუსეთი **ანტანტის** სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი იყო, ხოლო ოსმალეთი – **სამთა კავშირისა**. ამრიგად, სამხრეთი კავკასია და, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ფრონტისპირა რეგიონად იქცა. ოსმალეთის არმიის ცდები – დაეკავებინა თბილისი და ბათუმი – რუსეთის კავკასიის არმიამ 1914-1915 წლებში წარმატებით აღკვეთა, ხოლო შემდეგ საკუთრივ ოსმალეთის ტერიტორიის ნაწილი (აღმოსავლეთ ანატოლია) დაიკავა (2: 43).

სამხრეთ კავკასიაში ვითარება კარდინალურად შეიცვალა რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ. რუსეთის დროებითმა მთავრობამ თავისი არსებობის პერიოდში (1917 წლის მარტი-ოქტომბერი) შეძლო სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) თავისი იურისდიქციის შენარჩუნება. ბოლშევიკების მიერ რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობის

შემდეგ (1917 წლის 24-25 ოქტომბერი) ხელისუფლების სათავეში მოსულმა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კი სამხრეთ კავკასიაში იურისდიქცია ვეღარ შეინარჩუნა – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურმა ძალებმა საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს და 1917 წლის 15 ნოემბერს შექმნეს სამხარეო ხელისუფლების ორგანო – **ამიერკავკასიის კომისარიატი** (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი) (5: 7-8). მიუხედავად საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოცილებისა, ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შექმნილა, რის გამოც საერთაშორისო ასპარეზზე ამიერკავკასია (სამხრეთ კავკასია) ისევ რუსეთის ტერიტორიად აღიქმებოდა. თუმცა იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი: რუსეთის კავკასიის არმია საბჭოთა რუსეთის მთავრობას არ ცნობდა, მის განკარგულებებს არ ასრულებდა და რეგიონს ოსმალეთის აგრესიისაგან იცავდა.

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ საბჭოთა რუსეთს ომის გაგრძელება აღარ შეეძლო. ვ. ლენინი ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. ასეთ ვითარებაში საბჭოთა რუსეთმა გადაწყვიტა, გერმანიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთსა, ოსმალეთსა და ბულგარეთთან) სეპარატიული ზავი დაედო. ზავს 1918 წლის 3 მარტს **ბრესტ-ლიტოვსკში** მოეწერა ხელი. ზავის სანაცვლოდ საბჭოთა რუსეთმა დიდი ტერიტორია დათმო. ეს შეეხო სამხრეთ კავკასიასაც. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის **მეოთხე მუხლში** აღნიშნული იყო: "Россия сделает все от нее зависящее, чтобы обеспечить скорейшее очищение провинций Восточной Анатолии и их упорядоченное возвращение Турции". ეს რაც შეეხებოდა საკუთრივ ოსმალეთის ტერიტორიას, რომელიც ზავის დადების მომენტისათვის რუსეთის ჯარებს ეკავათ. იმავე, მეოთხე მუხლის ბოლო აბზაცი უკვე რუსეთის ტერიტორიას ეხებოდა. კერძოდ, მასში ნათქვამია: "Округа Ардагана, Карса и Батума также незамедлительно очищаются от русских войск. Россия не будет вмешиваться в новую организацию государственно–правовых и международно–правовых отношений этих округов, а предоставит населению этих округов установить новый строй в согласии с соседними государствами, в особенности Турцией" (6: 121). როგორც ვხედავთ, ფაქტობრივად, საქმე ეხებოდა **ბათუმის, არდაგანისა (არტაანისა)** და **ყარსის** ოკრუგების ტერიტორიაზე მოსახლეობის ნების გამოსავლენად **რეფერენდუმის** ჩატარებას. ისიც ცხადი იყო, რომ რეგიონში რუსეთთან შედარებით ოსმალეთმა უპირატესობა მიიღო. 1918 წლის მარტშივე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა სრულიად რუსეთის საბჭოების IV ყრილობამ.

ამიერკავკასიის კომისარიატმა არ ცნო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მუხლი, რომელიც ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგებს ეხებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით 1918 წლის მარტში **ქ. ტრაპიზონში** გაიმართა ოსმალეთისა და ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციათა მოლაპარაკება. ტრაპიზონის კონფერენციაზე ოსმალეთი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების **მეოთხე მუხლის** უპირობო შესრულებას ითხოვდა და ამიერკავკასიის დელეგაციის (მეთაური აკაკი ჩხენკელი) მოთხოვნებს

ორ ძლიერ არგუმენტს უპირისპირებდა: 1) ამიერკავკასია არ იყო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი მხარე; 2) ამიერკავკასია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, იგი რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. ტრაპიზონის კონფერენცია შეწყდა და ოსმალეთმა ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგების დაკავების მიზნით საომარი მოქმედებები დაიწყო. 1918 წლის მარტ-აპრილში ოსმალეთმა მთელი აჭარა დაიპყრო. მართალია, 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის სეიმმა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა** გამოაცხადა, მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა. 1918 წლის მაისში ოსმალეთისაგან ოკუპირებულ **ბათუმში** ერთმანეთს შეხვდნენ ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციები. ბათუმის კონფერენციაზე ოსმალეთმა მოთხოვნები კიდევ უფრო დაამძიმა (ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობებს მათ კიდევ ერთი დაუმატეს: ომის შემთხვევაში ოსმალეთს უნდა მისცემოდა ამიერკავკასიის რკინიგზით ჯარების გადაყვანის უფლება) (5: 107-184, 268-316).

ასეთ ვითარებაში 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ დღისათვის აჭარა ოსმალეთის მიერ იყო ოკუპირებული. მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, აჭარა ოსმალეთისათვის დაეთმო. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მეორე მუხლში აღნიშნული იყო, რომ საზღვარი ოსმალეთს და საქართველოს შორის მდინარე **ჩოლოქზე** გადიოდა (5: 343- 365). ოსმალეთი მოპოვებული უპირატესობის განმტკიცებას შეუდგა. 1918 წლის ივლისში მის მიერვე ოკუპირებული ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგების ტერიტორიაზე ოსმალეთმა რეფერენდუმი ჩაატარა და გამოაცხადა, რომ ამ ოკრუგების მოსახლეობამ ოსმალეთის შემადგენლობაში გადასვლა ისურვა. ეს იყო დიდი სიცრუე. აჭარაში რეფერენდუმი უხეში ძალმომრეობისა და შანტაჟის პირობებში ჩატარდა. ამის შემდგომ მოვლენები ოსმალეთისათვის არახელსაყრელად წარიმართა. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა **მუდროსის ზავით** (1918 წლის ოქტომბერი) ბათუმი და მთელი აჭარა დატოვა. აჭარა ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. ინგლისის სამხედრო კრეისერები ბათუმში 1918 წლის დეკემბერსა და 1919 წლის იანვარში შემოვიდნენ. ინგლისელები აჭარაში 1920 წლის ივლისამდე დარჩნენ (3: 70).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთის პირის-პირ მარტო დარჩა. ეს უკვე ცხადი გახდა 1920 წლის მიწურულს და 1921 წლის დამდეგს. 1921 წლის 11-12 თებერვალს ღამით დაიწყო საბჭოთა რუსეთის აგრესია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. 25 თებერვალს რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა. მანამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება და მთავრობა ბათუმში გადავიდა. საქართველო-რუსეთის ომის პარალელურად მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის მოლაპარაკება,

რაც 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებით დასრულდა. საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის მოლაპარაკებას ორი პრინციპული შეთანხმება დაედო საფუძვლად. **პირველი**. ოსმალეთი უარს ამბობდა სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიაზე; **მეორე**. რუსეთი აღარ ითხოვდა, რომ ოსმალეთს ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ბერლინის კონგრესის (1878 წ.) მიერ დადგენილ სასაზღვრო ხაზამდე გადაეწია (1: 167).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია მოსკოვის მოლაპარაკებებში არ მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის ხელშეკრულების პირველ მუხლში ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ აღნიშნული იყო: "Северо–восточная граница Турции определяется: линией, которая начинаясь у деревни Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедисмта, линией водораздела горы Шавшет – горы Канны–даг, она следует затем по северной административной границе Ардаганского и Карсского санджаков..." (7: 598). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობის გარეშე, რუსეთმა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი ოსმალეთის ტერიტორიად აღიარა.

რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება სხვა მხრივაც შეეხო საქართველოს. ხელშეკრულების მეორე მუხლში აღნიშნულია:

"Турция соглашается уступить Грузии сюверенитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в статье первой нынешнего Договора, и составлявшей часть Батумского округа, при условии, что

1) население местностей, указанных в настоящей статье, будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и население будет иметь возможность установить земельный закон, соответствующий его пожеланиям.

2) Турции будут обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, безпошлинно, без учинения каких–либо задержек и без обложения их какими бы то ни было сборами, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портов без звимания за то специальных сборов" (7: 598).

1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაცია საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 20 ივლისს მოახდინა, ხოლო ოსმალეთმა – 1921 წლის 31 ივლისს. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა შედგა ქ. ყარსში 1921 წლის 22 სექტემბერს.

1921 წლის მარტისათვის საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, თუმცა ფორმალური თვალსაზრისით სამივე ქვეყანა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ჯერ-ჯერობით არც ამიერკავკასიის ფედერაცია და არც საბჭოთა კავშირი შექმნილი არ იყო, მაგრამ არსებობდა გეგმა ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნისა. იმხანად გაურკვეველი იყო, ახალ საბჭოთა იმპერიაში რა ფორმით

შევიდოდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ასეთ ვითარებაში რუსეთმა გადაწყვიტა თავისი პოზიციების განმტკიცება სამხრეთ კავკასიაში და თავის მთავარ კონკურენტთან, ოსმალეთთან, ყველა საკითხის მოგვარება. 1921 წლის 23 სექტემბერს ქალაქ **ყარსში** დაიწყო ოსმალეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოლაპარაკება. ყარსის კონფერენციაში სრულუფლებიანი მხარის სახით მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთი. ოფიციალურ რუსულ გამოცემებში 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში დადებული ხელშეკრულება ასეა დასათაურებული: "Договор о дружбе между Армянской ССР, Азербайджанской ССР и Грузинской ССР, с одной стороны, и Турцией – с другой, заключенный при участии РСФСР в Карсе" (8: 420). ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ სომხეთმა, აზერბაიჯანმა, საქართველომ და ოსმალეთმა "решили приступить к переговорам при участии Российской Социалистической Федеративной Советской Республики". საქართველოს მხრიდან ყარსის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა **შალვა ელიავამ**, საგარეო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარმა **ალექსანდრე სვანიძემ**, ხოლო საბჭოთა რუსეთის მხრიდან – **იაკობ განეცკიმ (ფიურსტენბერგმა)**, რომელიც იმხანად საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი იყო. ოსმალეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს **კიაზიმ კარაბეკირ-ფაშამ, ველი-ბეიმ, მუხტარ-ბეიმ, მემდუხ შევკეტ-ბეიმ**; სომხეთის მხრიდან – **ასკანაზ მრავიანმა, პოღოს მაკინზიანმა**; აზერბაიჯანის მხრიდან – **ბეხბუდ შახტახტინსკიმ** (8: 420-421).

ყარსში დაწყებულ მოლაპარაკებას იგივე პრინციპები დაედო საფუძვლად, რაც რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის მოლაპარაკებას – უცვლელი დარჩა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი.

ყარსის ხელშეკრულების **პირველი მუხლი** ძალადაკარგულად აცხადებდა ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც ამიერკავკასიას (სამხრეთ კავკასიას) ეხებოდა. ეს არ ეხებოდა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებას (8: 421). **მეორე მუხლში** კი აღნიშნული იყო, რომ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს არ უნდა ეცნოთ არცერთი ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა ოსმალეთს, მაგრამ არ სცნეს ოსმალეთის მთავრობამ და ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ. თავის მხრივ, ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა, არ ეცნო არც ერთი საერთაშორისო აქტი, თუ მას არ ცნობდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი (8: 422).

ყარსის ხელშეკრულების **მეოთხე მუხლით** დადგინდა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. კერძოდ, ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ეს საზღვარი "начинается у деревнии Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедис–мта, линию водораздела горы Шавшет – гору Канны–даг; она следует затем по старым северным административным границам Ардаганского и Карсского санджаков..." (8: 422).

ყარსის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი ეხებოდა აჭარას. კერძოდ, ეს მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული:

"Турция соглашается уступить Грузии сюверенитет над городом и портом Батуми и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. 4 настоящего Договора и составляющей часть Батумского округа, при условии, что:

1) население местностей, указанных в настоящей статье будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и население будет иметь возможность установить в указанных местностях земельный закон, соответствующий его пожеланиям;

2) Турции будет обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких–либо задержек и без обложения их каким бы то ни было сборам, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без взимания за то специальных сборов.

Для праведения в жизнь этой статьи будет немедленно после подписания настоящего Договора образована Комиссия из представителей заинтерессованных сторон" (8: 423).

ხელშეკრულების მეშვიდე მუხლში აღნიშნული იყო, რომ მხარეები შეთანხმდნენ "облегчить жителям пограничной зоны переход границы, при условии соблюдения таможенных, полицейских и санитарных правил, которые будут установлены по этому поводу Смешанной Комиссией" (8: 423).

როგორც ვხედავთ, ყარსის ხელშეკრულებამ თითქმის უცვლელად გაიმეორა რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლები.

ყარსის ხელშეკრულების ოცი მუხლიდან ექვი მუხლი ძალაში შევიდა ხელმოწერის დროიდან (1921 წლის 13 ოქტომბრიდან), მათ შორის იყო მეექვსე მუხლი, რომელიც აჭარას ეხებოდა. რაც შეეხება ხელშეკრულების დანარჩენ მუხლებს, ისინი ძალაში შევიდოდნენ რატიფიკაციის შემდეგ. ხელშეკრულების **მეოცე მუხლი** ხელისმომწერ მხარეებს ავალდებულებდა, რაც შეიძლება მოკლე დროში გაეცვალათ სარატიფიკაციო სიგელები (8: 426).

ყარსის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა შედგა **ერევანში** 1922 წლის 11 სექტემბერს.

ყარსის ხელშეკრულებას არ ჰქონია საიდუმლო მუხლები. ხელშეკრულებას დაერთო სამი დამატება, რომელთაგან არც ერთი საიდუმლო არ ყოფილა და სამივე მრავალჯერ იქნა გამოქვეყნებული. პირველ დამატებაში დაწვრილებით არის აღწერილი ოსმალეთის **ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარი**, მეორე დამატებაში აღწერილი იყო ოსმალეთის **საზღვარი არპა-ჩაის ზონასა** და **მდინარე არაქსის ზონაში**. მესამე დამატება ადგენდა **ნახჭევნის ავტონომიის** საზღვრებს. ყარსის ხელშეკრულების სამივე დამატებას ხუთივე ქვეყნის წარმომადგენლებმა ცალ-ცალკე მოაწერეს ხელი (8: 428, 429).

ყარსის ხელშეკრულება ხუთ ეგზემპლარად – ქართულ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გაფორმდა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული არ ყოფილა.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება (1918 წლის 3 მარტი), რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის ხელშეკრულება (1921 წლის 16 მარტი) და ყარსის ხელშეკრულება (1921 წლის 13 ოქტომბერი) გამოხატავდა სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების ცალკეულ ეტაპებს. ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ოსმალეთმა სერიოზული უპირატესობა მოიპოვა: გართულებული საშინაო და საგარეო ვითარების გამო რუსეთმა უკან დაიხია. 1921 წლის 16 მარტის მოსკოვისა და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებები გარკვეული კომპრომისის შედეგს წარმოადგენდა. რუსეთმა კვლავ დაიბრუნა პოზიციები სამხრეთ კავკასიაში – დაიპყრო საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. ოსმალეთი იძულებული გახდა შერიგებოდა შექმნილ ვითარებას. მიღწეული იქნა გარკვეული კომპრომისი – რუსეთმა და ოსმალეთმა სამხრეთ კავკასია გადაინაწილეს. ყოველივე ეს ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ნების საწინააღმდეგოდ მოხდა.

ლიტერატურა:

1. ვ. გურული. საქართველო და რუსეთი. მფარველობიდან ანექსიამდე. თბილისი, 2010, გვ. 167.
2. საქართველოს ისტორია XX საუკუნე. პროფ. ვ. გურულის რედაქციით. თბილისი, 2003, გვ. 43.
3. საქართველოს ისტორია XX საუკუნე. პროფ. ვ. გურულის რედაქციით. თბილისი, 2003, გვ. 70
4. ჯ. კარალიძე. აჭარა 1878-1903 წლებში. ბათუმი, 2009, გვ. 41-45.
5. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 7-8, 107-184, 268-316, 343-365.
6. Документы внешней политике СССР. Том 1. Москва, 1957, стр. 121.
7. Документы внешней политике СССР. Том 3. Москва, 1959, стр. 598.
8. Документы внешней политике СССР. Том 4. Москва, 1960, стр. 420-423, 428-429.

VAKHTANG GURUL

OTTOMAN-RUSSIAN RIVALRY IN THE SOUTH CAUCASUS (1918-1921)

Summary

Russian - Ottoman conflict in the South Caucasus sgain a bad disposition, especially in 1918-1921. Initially, the Ottomans gained an advantage. March 3, 1918, according to the agreement of Brest - litovsky the Soviet Russia practically and legally lost its position in the South Caucasus. The situation changed in the following period. March 16, 1921, by Soviet Russia - Ottoman Moscow treaty, Soviet Russia managed

to restore a position which was confirmed by Kars Agreement October 13, 1921. Both agreement represents the result of a compromise. Soviet Russia and the Ottoman Empire divided the South Caucasus. For the South Caucasus countries, for Georgia, for Armenia and Azerbaijan these tree agreements, March 3, 1918 the Brest-Litovsky, March 16, 1921 Soviet Russia - Ottoman Moscow treaty, October 13, 1921 Kars Agreement were nacceptable.

In the South Caucasus distribution the territories and establishment boundaries made against Georgians, Armenians and Azerbaijans will.

ВАХТАНГ ГУРУЛИ

РОССИЙСКО-ОСМАНСКОЕ ПРОТИВОСТОЯНИЕ НА ЮЖНОМ КАВКАЗЕ (1918–1921 гг.)

Резюме

Российско-османское противостояние на Южном Кавказе наиболее острый характер приобрело в 1918-1921 гг. Сначала преимущество было на стороне Османии. Согласно Брест-Литовскому мирному договору от 3 марта 1918 года Советская Россия де-факто и де-юре утратила позиции на Южном Кавказе. В последующий период положение изменилось. По Московскому мирному договору от 16 марта 1921 года между Советской Россией и Османией Советская Россия смогла частично восстановить свои позиции, что подтвердил Карский мирный договор от 13 октября 1921 года. Оба эти мирных договора представляют результат определенного компромисса. Советская Россия и Османия поделили между собой Южный Кавказ. Для стран Южного Кавказа (Грузии, Азербайджана и Армении) были совершенно неприемлемы как Брест-Литовский мирный договор от 3 марта 1918 года и Московский мирный договор от 16 марта 1921 года между Советской Россией и Османией, так и Карский мирный договор от 13 октября 1921 года. Распределение территорий и установление границ на Южном Кавказе произошло против воли грузинского, азербайджанского и армянского народов.

გურამ ლორთქიფანიძე, მარიკა მშვილდაძე

არქეოლოგიური მონაცემები ბიჭვინთის (პიტიუნტი) ადრექრისტიანული თემის შესახებ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მრავალწლიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმა (1952-1974წწ.) აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით ბიჭვინთის კონცხზე, აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი) გამოავლინა გვიანი ანტიკური ხანის კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის, პიტიუს, ბიჭვინთის ნაქალაქარი (1, 1975, 1977, 1979). აღმოჩენილმა ძეგლებმა, მათ შორის ადრექრისტიანულმა ბაზილიკებმა, მოზაიკებმა, წარწერებმა მსოფლიო არქეოლოგიური საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს (დაწვრ. ბიბლიოგრაფია 2, 2007, გვ. 212-219). ნაქალაქარის კლასიკური და ელინისტური ხანის ფენები შიკვლეული არ არის. ახ. წ. II ს-ში რომაელებმა, რომლებიც აკონტროლებდნენ ისტორიული კოლხეთის ზღვისპირეთს, ააგეს ჯერ ხის, შემდეგ კი II ს-ის შუა ხანებში ქვის, ხანგრძლივი დანიშნულების ციხე, კასტელუმი (3, 1991, გვ. 44-60). შემდგომში მას, ისევე როგორც ეგრის-ლაზიკის სამეფოს (სურ. 1) ევალებოდა რომის იმპერიის, ასევე ბიზანტიის შორეული მისადგომების, საზღვაო კომუნიკაციების დაცვა ჩრდილო კავკასიელი ტომების შემოსევისაგან. პიტიუნტის „ციხე-სიმაგრე ადმინისტრაციული თვალსაზრისით პროვინცია კაპადოკიის დაქვემდებარებაში შედიოდა და მის მნიშვნელოვან" ფორპოსტს წარმოადგენდა. პროკოფი კესარიელის (VI ს.) მიხედვით, ლაზეთში სანიგების ზღვისპირა ნაწილი ძველთაგანვე ეპყრათ რომაელებს. მათ აქ ორი ციხე-ქალაქი სებასტოპოლისი და პიტიუნტი აუგიათ (4, 101, 125, 222), რომელიც იუსტინიანეს დროს VI ს. პოლემონის პონ-

1. დასავლეთ საქართველო (ეგრისის სამეფო) IV-V სს.

ტოს იურისდიქციაში შედიოდა (4, 33). წყაროში აღნიშნულია, რომ „ისინი ქრისტიანები არიან“, ხოლო „ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმთავრებს“. პროკოფი კესარიელი პიტიუსს ლაზეთის სიმაგრედ თვლიდა (Proc. Ces. BG IV (VIII. 4, 4, 6). ხოლო აბაზგებს და სანიგებს ქრისტიანებად. არქეოლოგიური მონაცემებით პიტიუნტ-ბიჭვინთაში IV-VIII სს-ში მნიშვნელოვანი ადრექრისტიანული თემი არსებობს. ლუკიანე (II ს.) გვამცნობს, რომ მის დროს პროვინცია პონტოში ქრისტიანები მრავლად ყოფილან (AII. XXXV). ამ დროიდან უნდა ვივარაუდოთ ქრისტიანული რწმენის გავრცელება პიტიუნტ-ბიჭვინთაში, სადაც შემდგომ ადრექრისტიანული თემის საორგანიზაციო განმტკიცება, საეპისკოპოსო კათედრის შექმნა და ტაძრის მშენებლობა უნდა მოჰყოლოდა IV საუკუნის პირველ მეოთხედში.

ბიჭვინთის ეპარქიასთან ერთად პროვინცია პონტო-კაპადოკიაში, „პოლემონის პონტოში“ ამ დროს არსებულა ისტორიაში ცნობილი საეპისკოპოსოები, როგორიც გახლდათ კესარიის, თიანიის, სებასტიის, ტრაპიზონის, კიბისტრიის, ამასიის, ნეოკესარიის, ნაზიაზნის, ნისის და სხვ. როგორც დადგენილია, მათთან ერთად ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე მონაწილეობდა ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების მუშაობაში, რაც კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ეპოქალური მოვლენა გახლდათ (4, 1-3). საისტორიო წყაროებიდან ცნობილია ის გარემოებაც, რომ რომაელები ბიჭვინთის კასტელუმში ასახლებდნენ ქრისტიანებს, რათა ისინი მოეშორებინათ თავიდან და დაესაჯათ კიდეც. თეოდორიტე კჳრელი (V ს.) აღნიშნავს რა იოანე ოქროპირის ბიჭვინთაში გადასახლების ამბავს, დასძენს: „პიტიუნტი არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი (5, 2008, გვ. 41, 81). III ს-ის მიწურულისთვის ბიჭვინთის სამოქალაქო მოსახლეობაში ქრისტიანების რიცხვს უნდა ემატა. მათ შორის გადამდგარი ლეგიონერების და მათი ოჯახის წევრების ხარჯზე. ბასილი სოფონელის XI ს-ის ერთ-ერთ ხელნაწერში მოხსენიებულია ეპარქია ლაზიკისა-ფასისის მიტროპოლიტი (6, 128). ეს მხარე, ბიჭვინთის ჩათვლით პირველი ქრისტიანი მისიონერების ნაყოფიერი მოღვაწეობის ასპარეზს წარმოადგებდა (7, გვ. 56). აქედან ვრცელდებოდა ქრისტიანობა ჩრდილოეთ კავკასიაში. ბიჭვინთაში ადრექრისტიანული თემის გაძლიერება დაკავშირებულია კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) და მის შემდგომ ეპოქასთან. მის მიერ აგებული ქრისტიანული ტაძრები 370 წელს ბოსფორის სამეფოდან შემოჭრილი ჰუნების მიერ იქნა განადგურებული. მათი აღდგენა და ქრისტიანული თემის აღორძინება უკვე მომდევნო ხანაში, V-VII სს-ში მიმდინარეობდა (აფხაზეთის ქრისტიანული ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია იხ. 8, 374-358). ბიჭვინთის საეკლესიო ცენტრის მნიშვნელობა ცნობილი ყოფილა XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერ ჯუანშერიანისათვის, რომელიც ადრეულ წყაროებს ეყრდნობოდა. მისი გადმოცემით, იმპერატორ იუსტინიანეს I (527-565 წწ.) ბიჭვინთაში წმიდა ღვთისმშობლის სახელზე ტაძარი აუგია, სადაც „ასწავებდნენ სჯულსა ქრისტიანობისა“ (9, გვ. 215, 10). მისი ნანგრევები, სამნავიანი ბაზილიკის ნაშთები გაითხარა X-XI სს-ის დიდი კათედრალიდან დასავლეთით 45 მ-ის

დაშორებით (10, გვ. 26-31. სურ. 30. 35). თავად იუსტინე თავის ნოველებში (Novella, XXXI, 1) ამბობს: პოლემონის პონტოს შემადგენლობაშია კიდევ „ხუთი სხვა ქალაქი: ნეო კესარია, კომენა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი და პოლემონი. პიტიუნტი და სებასტოპოლისი ხომ უფრო ციხე-სიმაგრეებშია (ფრურიონი) (11, გვ. 33) ჩასათვლელი“. ნიშანდობლივია ისიც, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ინფორმაციის თანახმად, 1118 წლის ზამთარში ბიჭვინთა დავით აღმაშენებელს მოუნახულებია (9, 1955, გვ. 339) „განაგრნა საქმენი მანდაურნი“ და „წყალობანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წუართნა“.

არქეოლოგიური მონაცემებით, ბიჭვინთა IV-XI სს-ის ქრისტიანული კულტურისა და განათლების უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა. გრიგოლ ნაზიანზელი (IV ს.) ახასიათებდა რა იმ ტომებს, „რომლებიც პონტოს გარეთა მხარეებში ცხოვრობდნენ“, ამბობდა: „ვერსად ვერ ნახავ ზარაფებს, მხატვარსა ან მოქანდაკეს, ვერც ხუროთმოძღვარს, ვერც მომღერალს“-ო (4, 1961, გვ. 37). მათგან განსხვავებით, არქეოლოგიური გათხრებით ბიჭვინთაში დადასტურებულია კულტურის განვითარების მაღალი დონე. მოზაიკურიატაკიანი ტაძრები, მარმარილოს სვეტებიანი ეკლესიები, ინტენსიური სამონეტო მიმოქცევა და სხვ. იმის მაჩვენებელია, რომ დავით აღმაშენებელის ეპოქაში მთელ ამ მხარეში მიმდინარეობდა სახელმწიფოებრივი მასშტაბის საეკლესიო მშენებლობა, რასაც მოწმობს სოჭის, დღეს რუსეთის ფედერაციაში შემავალი რეგიონის საისტორიო მუზეუმის, ლაპიდარიუმის დეტალები (12, 2011, გვ. 170-191, 196, 197).

ზემოაღნიშნულის დადასტურებად მიგვაჩნია ბიჭვინთის კონცხზე (სურ. 2) აღმოჩენილი ეკლესია-მონასტრების ნანგრევები. მათ შორის სოფელ ლძააში (ლიძავა) შედარებით ახლახან გათხრილი ადრექრისტიანული ხანის სატაძრო კომპლექსი (13, გვ. 223-227). ამგვარად ნათელია, რომ ბიჭვინთის კონცხზე ინტენსიური საეკლესიო ცხოვრება მიმდინარეობდა IV-XIV სს-ში, რომელიც თურქთა მფლობელობის დროს უკვე სულს ღაფავდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ რუსების მიერ ბიჭვინთის აღებისას 1880 წ. თვითმხილველების გადმოცემით, ღვთისმშობლის დიდი ტაძრის საკურთხეველზე მათ ქართული ხელნაწერი – სახარება დახვდათ (14, გვ. 95; 15, გვ. 144-146). პროკოფი კესარიელი (VI ს.) ადასტურებდა, რომ აბაზგები აფშილები და სანიგები მის დროს ქრისტიანები არიან და „ლაზ-



2. ბიჭვინთის სამაროვანი, ცენტრალური მონაკვეთი. მინიშნებულია ჯვრიანი სტელის აღმოჩენის ადგილი.



3-4. ქვის სტელა, ჩანახატი და ანაზომი.

5. რკინის ჯვარი, სტელის საიდუმლო ბუდიდან.

თა ეპისკოპოსები" უწოდებენ მათ მღვდელმსახურებს (11, 1965, გვ. 100,125).

არქეოლოგიური გათხრების პროცესში ბიჭვინთის ნაქალაქარზე და მასთან დაკავშირებულ სამაროვანზე, ისევე როგორც ბიჭვინთის კონცხზე ადრექრისტიანული ეპოქის არაერთი საყურადღებო ძეგლია მიკვლეული. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მთლიანად ადრექრისტიანული სამყაროსათვის უნიკალური ქვის სტელა (16, გვ. 73-76). ის ნაპოვნი იქნა 1990 წელს სამაროვნის გათხრის პროცესში (სურ. 3) №297 სამარხიდან გათხრილი ნახევარწრიული უსაძირკვლო ნაგებობის რიყის ქვის წყობაში. აშკარად მეორადი გამოყენებისა! სტელა დამზადებულია ადგილობრივი მონაცრისფრო ქვიშაქვისაგან. მისი ზომებია 73,7 სმ X 30 სმ. ძირის ნაწილი ნაკლულია. ჩვენი დასკვნებით მიწაში ჩასასმელს სპეციალურად შეეიწროვებულ ბოლოს (12 სმ X 4 სმ) ბევრი არ უნდა აკლდეს (სურ. 4,5). ფილის გადმობრუნებისას გაირკვა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: სტელას ცენტრალურ ნაწილში, ზემო თავიდან 10 სმ დაშორებით 11,5 სმ X 4,5 სმ-ის ოთხკუთხა ღრმული, პატარა, საიდუმლო ბუდე აღმოჩნდა. მისი სიღრმე 2,5 სმ-ია. ეს ნიშა დაგმანული, დაფარული აღმოჩნდა კრამიტიდან ოსტატურად გამოყვანილი კერამიკული ფილით. ის კირხსნარის მეშვეობით ჩაუსვამთ ნიშაში და გადაულესავთ. ამ ხერხის მეშვეობით ოსტატს საგულდაგულოდ დაუმალავს ამ სტელის ბუდეში საგულდაგულოდ ჩასმული რკინის ნაჭედი ჯვარი (სურ. 5). მისი შემორჩენილი ზომებია 6 სმ X 4, 3 სმ, რაც იძლევა ჯვრის პროპორციების აღდგენის საშუალებას 11 სმ X 4,5 სმ. ნათელია, რომ ჭირისუფალთ არ სურდათ გამჟღავნებულიყო პიროვნების მრწამსი, ქრისტიანობა. წინასწარულ პუბლიკაციაში ბიჭვინთის სტელა ჩვენ დიოკლეტიანეს ეპოქით, უფრო ზუსტად ე. წ. მილანის ედიქტის 313 წლის წინა პერიოდით დავათარიღეთ. ლ. ხრუშკოვას ვარაუდით, მეორადი გამოყენების ჩვენ მიერ აღწერილი სტელა V ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს (2, გვ.196). ჩვენი აზრით, ბიჭვინთაში ე. წ.

„კატაკომბური ჯვრის“ ადრეული ტიპი განსხვავდება ბიზანტიური V-VI სს-ის ჯვრებისაგან. როგორც ცნობილია, ქრისტიანობის სიმბოლოები გვხვდება რომის კატაკომბებში III ს-დან დაწყებული (17, 1908, გვ. 196. 18, 1977, გვ. 40). კატაკომბებში უფრო გავრცელებულია ოთხქიმიანი ბიჭვინთის მსგავსი ჯვრები, ქრისტიანობის გამარჯვების სიმბოლო. მოგვიანებით, გადმოცემის თანახმად, დღისით, მზისით 312 წლის 28 სექტემბერს ცაზე, საბრძოლველად მიმავალ კონსტანტინე დიდს გამოესახა ე.წ. კონსტანტინეს ჯვარი. კონსტანტინემდელ ეპოქაში ქრისტიანები ცდილობდნენ ჯვრის აფიშირება არ მოეხდინათ (19, 1999, გვ. 833). ტერტულიანე გვიანანტიკური სამყაროს (II-III სს.) ერთ-ერთი განსწავლული თეოლოგი, რომელიც წარმართებს „ეშმაკის ბანაკში“ მოიაზრებდა, აღნიშნავდა: „ყოველი აღმართული ვერტიკალური ბოძი ჯვრის ნაწილს წარმოადგენს, მის უმეტეს ნაწილს”. მართალია, ჩვენი თვალთახედვით ის მთლიანი ჯვარია, ანუ გარდიგარდმო შვერილით“ (Ad nationes,12. „წარმართებისადმი“). ამრიგად, ბიჭვინთის სამალავიანი სტელა ჯვარცმის უძველეს, ქრისტიანობის მთავარ სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ. სტელაში მალულად ჩასმული ჯვრის არქაული ფორმიდან გამომდინარე, (20, გვ. 506, 507, 509, სურ. 302-303, 305) უპრიანია ის III ს-ის დასასრულით დავათარიღოთ. ამ დროიდან ჩნდება ბიჭვინთის სამაროვანზე ქალაქის ქრისტიანთა სამარხები, რომელთა რაოდენობა არასრული მონაცემებით ერთ ასეულს უნდა უახლოვდებოდეს. ამ მონაცემების მიხედვით, პიტიუნტის მოსახლეობის მეოთხედი ამ დროისათვის ქრისტიანია. პირველი ტაძრები, მათ შორის საეპისკოპოსო კათედრალი გალავან-კოშკებით არის დაცული. ჩანს, ჰუნების თავდასხმის შედეგად, IV ს-ის სამოცდაათიან წლებში პიტიუნტის ადრექრისტიანული თემი განადგურებულია, მისი აღორძინება V-VI სს. იწყება. ამ დროს უკვე აღარ არსებობდა ქრისტიანთა დევნის საშიშროება. ქრისტიანულ სიმბოლოთა დამალვის აუცილებლობა (შეად. ჯუანშერისეულ არჩილ მეფის დახასიათება: – „გამოაჩინნა ჯვრები და მოკაზმნა ეკლესიანი“ 21, 2009, გვ. 151). ბიზანტიელი ისტორიკოსის ზოსიმეს ცნობით (V-VI სს.), ქრისტეშობიდან 257 წელს ბიჭვინთა ბორანთა სკვითური ტომების თავდასხმის მსხვერპლი გამხდარა (4, გვ. 266). ამ დროისათვის ქალაქის განადგურების უტყუარი საბუთი, მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი განადგურების ფაქტი დოკუმენტურად იქნა დადასტურებული სამაროვანზე ნაქალაქარის III ს-ის შუა ხანების ნახანძრალი ფენების არქეოლოგიური შესწავლის პროცესში. ქალაქის აღდგენა იმპერატორ ავრელიანეს (270-275 წწ.) საამშენებლო მოღვაწეობას უკავშირდება. ამ დროიდან არის სავარაუდო ქრისტიანული თემის აღორძინება, რომელიც დეციუსის (249-251 წწ.) და ვალერიანეს დროს (253-260 წწ.) მალულად არსებობდა. უნდა გავიხსენოთ, რომ დეციუსი, ის იმპერატორია, რომელიც დაუფარავად ებრძოდა ქრისტიანებს. მან 249 წლის ბოლოსა და 250 წლის დასწყისში ოფიციალური ედიქტი გამოსცა ქრისტიანობის მიმდევართა წინააღმდეგ. ამის თაობაზე საუბრობენ დიონისე ალექსანდრიელი, ევსები კესარიელი, კიპრიანე და ორმოციოდე ეგვიპტური პაპირუსი. ეს გვაძლევს საშუალებას დავაზუსტოთ ბიჭვინთის ადრექრისტიანული სტელის, ფარული

ქრისტიანის საფლავის ქვის თარიღი – 249-257 წწ. შუალედით. ბიჭვინთის სტელაში ჩასმული რკინის ჯვარი უძველესია არა მარტო საქართველოში, არამედ თავად მართლმადიდებლურ სამყაროში.

ლიტერატურა:

1. აფაქიძე ა., დიდი პიტიუნტი I, II, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1975, 1977. Великий Питиунт, III, Тб.,1979.
2. Rhrushkova L.G., The spread of Christianity in the Eastern Black Sea Littoral. Tranlated from Russian by Brent Davis AWF. #6, 2007.
3. ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991, რეზიუმე რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.
4. გეორგიკა, I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
5. მშვილდაძე მ., ადრეული ქრისტიანობა საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2008.
6. გეორგიკა, IV, ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952.
7. ჯაფარიძე ანანია, მთავარეპისკოპოსი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, გამომცემლობა „მერანი", 1996.
8. Воронов Ю. Н., Археологические древности и памятники Абхазии (V-XIV вв.). Журнал Проблемы истории, филологии, культуры, XII, издательство Магнитогорского гоудврственного университета. М., 2002.
9. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელგამი, თბილისი, 1955.
10. Лорткипанидзе Г. А., Агрба В. В., Раскопки на территории Пицундского храма. Археологические открытия 1980 года в Абхазии. Месниереба, Тб., 1982.
11. გეორგიკა, II, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965.
12. Хрушкова Л. Г. Несколько предметов византийской эпохи из Исторического музея г. Сочи Краснодарского края. СПб. «Причерноморье в средние века», VIII. Исторический факультет Московского государственного университете. Изд. Алетеа. СПб, 2011.
13. Барцыц Р. М., Раскопки раннесредневекового храма в селе Лдзаа посёлка Пицунда По материалам Международной научной конференции посвящённой 75-летию Абхазского института гуманитарных исследовании им. Д. И. Гулия, АНА, 28-31 мая 2001 г. Сухуми, 2003, с. 223-227.
14. И. Н. Абхазия и в ней Ново Афонский Симоно-Кананийский монастыръ, М., 1899.
15. Гулия Д. И., История Абхазии. Сбор. соч. т. IV, Сухуми, 1955.
16. Кигурадзе Н., Лордкипанидзе Г., Тодуа Т., Раннехристианская стела из Пицунды, ВДИ, 1990. 3.

17. Уваров Г.р., Христианская символика, Москва,1908.
18. Краткий курс православной ставрографии.
19. Альманах «Жизнь вечная». Москва, 1997.
20. Христианская Энциклопедия, СПб, 1999.
21. Dalton D. M., Byzantine Art and Archaeology, N-Y, 1961.
22. ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, „მერიდიანი-არტანუჯი", თბილისი, 2008.

GURAM LORDKIPANIDZE, MARIKA MSHVILDADZE

ARCHEOLOGICAL DATA ON EARLY CHRISTIAN COMMUNITIES OF BICHVINTA (PITIUNT)

Summary

Archeological excavations carried out by the Georgian Academy of Sciences in an ancient Pitiunt (Academician A. M., Apakidze and others) confirmed data about existence of the early Christian community in Pitsunda (city of Bichvinta), which was the first one on Caucasus. Researches of an ancient barrow located south-west from the Roman castellum revealed Christian burials of III-IV centuries. In the central part of the Roman necropolis, close to burial 297, in setting of the semicircular in plan construction (fig. 2) it was found a stone stele (fig. 3.4) with an iron cross engraved in it, which sizes are 11 x 4.5 cm (fig. 5) of the early so called catacomb type. Most likely this sepulchral stone of a secret Christian is dated by a pre Constantine epoch (312-337 A.D.) and is the unique evidence of the Christians early arrival to the Eastern Black Sea Region.

ГУРАМ ЛОРДКИПАНИДЗЕ, МАРИКА МШВИЛДАДЗЕ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ СВЕДЕНИЯ О РАННЕХРИСТИАНСКИХ ОБЩИНАХ ИЗ БИЧВИНТЫ (ПИТИУНТА)

Резюме

Археологические раскопки, проведенные АН Грузии в древнем Питиунте (Акад. А.М. Апакидзе и др.) подтвердили сведения о существовании в Пицунде (г. Бичвинта) первой на Кавказе раннехристианской общины. Исследования древнего могильника к юго-западу от римской кастеллы выявили христианские погребения III-IV вв. В центральной части римского некрополя, рядом с погребением 297, в кладке полукруглого в плане сооружения (рис.2) была обнаружена каменная стела (рис. 3,4) с заправленным в ней железным крестом размером 11 см х 4,5 см (рис.5) раннего т.н. катакомбного типа. Скорее всего, данный надгробный камень тайного христианина датируется доконстантиновской эпохой (312-337 гг.н.э) и является уникальным свидетельством раннего проникновения христианства в Восточное Причерноморье.

ტარიელ ფუტკარაძე

„ენის ქარტია“ და ეთნიკურ უმცირესობათა ავტოქთონობის საკითხი

1999 წელს საქართველო გაწევრიანდა ევროსაბჭოში და აიღო ვალდებულება, რომ გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში ხელს მოაწერდა და რატიფიცირებას გაუკეთებდა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციასა“ და „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპულ ქარტიას“[1].

ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ 2000 წლის 21 იანვარს ხელი მოაწერა „კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა შესახებ“[2]. საქართველოს პარლამენტმა ამ საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიკაცია მოახდინა 2005 წელს[3].

დღემდე ხელმოუწერელია და დაუდასტურებელია „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ (შემდგომში: „ენის ქარტია“).

ზოგ სხვა სახელმწიფოთა მსგავსად[4], საქართველოშიც „ენის ქარტიის“ რატიფიცირება ყოვნდება **„ენის ქარტიის“ წინააღმდეგობრივი, არაიშვიათად, პოლიტიზებული ინტერპრეტაციების გამო**; კერძოდ, „ენის ქარტიის“ კრიტერიუმების ნაირგვარი გააზრების საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობენ, „ენის ქარტიის“ ფორმატით აღიაროს ათიდან ოცამდე რეგიონული ან უმცირესობის ენა.

ქვეყნები, რომლებიც მიუერთდნენ „ენის ქარტიას“ რეგიონული ან უმცირესობის ენების სიის შედგენის მიხედვით ორ ჯგუფად შეიძლება

---

1 http://portal.coe.ge/index.php?lan=ge&id=geoeu&sub=3;http://portal.coe.ge/index.php?lan=en&id=geoeu&sub=3.

2 http://portal.coe.ge/downloads/conventions/ETS-157%20Framework%20Convention%20for%20the%20Protection%20of%20National%20Minorities.pdf

3 http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=543;

4 ევროპის ნამყვან ქვეყნებშიც „ენის ქარტია“ სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდება. ევროპის ქვეყნების ნაწილი საერთოდ არ უერთდება მას წლის მონაცემებით, ევროსაბჭოს წევრი 48 ქვეყნიდან ოცდაოთხმა მოახდინა „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიკაცია (სომხეთი, გერმანია, ფინეთი, რუმინეთი, ესპანეთი, შვედეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი...); ცხრა სახელმწიფომ მხოლოდ ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს (აზერბაიჯანი, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი...); თხუთმეტს კი თავისი პოზიცია საერთოდ არ ჩამოუყალიბებია (საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი, ლიტვა, ესტონეთი, ბელგია, ლატვია, პორტუგალია...).
http://conventions.coe.int/treaty/Commun/ChercheSig.asp?NT=148&CM=&DF=&CL=ENG.

წარმოვადგინოთ: **დასავლეთევროპული ქვეყნები და პოსტსაბჭოური ქვყნები;** კერძოდ:

დასავლეთევროპული სახელმწიფოების **რატიფიკაციის დოკუმენტებს** ერთვის ენათა ძალზე მცირე ჩამონათვალი: აქცენტი კეთდება ავტოქთონ ეთნიკურ და ენობრივ უმცირესობებზე, რომელთა დედაენა არ არის სახელმწიფო ენა და ამავე დროს გაქრობის საფრთხის ქვეშაა (იხ., მაგ., ინგლისისის, ფინეთისა და ესპანეთის ვარიანტები).

პოსტსაბჭოურ სივრცეში რატიფიკაციის დოკუმენტს, არაიშვიათად, **ერთვის** ენათა გრძელი სია, მათ შორის, ხშირად ფიგურირებს რუსული ენა (იხ, მაგ., რუმინეთის, პოლონეთისა და სომხეთის ვარიანტები)[5].

ხშირ შემთხვევაში საკამათოა ტერმინ „რეგიონული ან უმცირესობის ენის“'არასწორი ინტერპრეტაცია, ამიტომ პირველ რიგში დავზუსტებთ „ენის ქარტიის“ მიზანსა და შესაბამის ტერმინს:

„ენის ქარტია“ მიზნად ისახავს ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის დედაენის დაცვას[6]; კერძოდ, „ევროპული ქარტიის“ პრეამბულა იმთავითვე აცხადებს:

„ევროპის ისტორიული რეგიონული თუ უმცირესობის ენების დაცვა, რომელთაგანაც ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის **კულტურული სიმდიდრისა და ტრადიციების** შენარჩუნება-განვითარებას“.

„ენის ქარტიის“ განმარტებითი მოხსენების პირველივე პუნქტში ვკითხულობთ:

„ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრი **ავტოქთონი ჯგუფები**, რომელთა დედაენა განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენისაგან. ეს იმითაა განპირობებული, რომ ისტორიულად სახელმწიფოთა ფორმირება არ ხდებოდა მხოლოდ ენობრივი ნიშნით და მათი წარმოქმნის პროცესში მიმდინარეობდა მცირე ხალხების შერწყმა უფრო მსხვილ ეთნიკურ ერთეულებთან“[7]...

31-ე და 32-ე პუნქტებში კი ვკითხულობთ:

„ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ ისტორიულ ენებს, ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს

---

5 http://conventions.coe.int/Treaty/Commun/ListeDeclarations.asp?NT=148&CM=8&DF=04/09/2010&CL=ENG&VL=1; ix.: http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=148&CM=8&DF=04/09/2010&CL=ENG

6 საკითხის ისტორიისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი, კავკასიოლოგიური სერია, V, Tb., 2009; http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia

7 http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/Charter/Charterexpl_ka.pdf (ეს ვერსია დევს ევროსაბჭოს ვებგვერდის „ენის ქარტიის“ განყოფილებაში:
(http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/textcharter/default_en.asp);
შდრ., ინგლისური ვერსია: http://conventions.coe.int/treaty/en/Reports/Html/148.htm.

ტერიტორიაზე[8]. ეს ენები მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. ქარტიის დებულებები არ ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს".

„ენის ქარტიის" უმთავრესი მიზანი კულტურულ-ჰუმანიტარული ხასიათისაა. იგი მოწოდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს რეგიონული თუ უმცირესობის ენების, როგორც ევროპის საერთო კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილის, გამოყენებასა და განვითარებას... მისი ამოცანაა, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს რეგიონული თუ უმცირესობის ენების გამოყენება განათლების სისტემასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში; ხელი შეუწყოს ამ ენებზე მხატვრული ლიტერატურისა და სამწიგნობრო კულტურის ჩამოყალიბებას, დასაშვები გახადოს მათი გამოყენება მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, აგრეთვე საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში... ქარტიის მიზანია ევროპაში რეგიონული თუ უმცირესობის ენების დაცვა, ეროვნული იდენტობის ფორმირებისთვის ხელშეწყობა (და არა – ენობრივი უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვა).

ამრიგად, „ენის ქარტიაში" მთავარი ყურადღება ეთმობა კულტურულ ასპექტებს და **„რეგიონული ან უმცირესობის ენის"** გამოყენებას ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში. „ენის ქარტია" არ ადგენს რეგიონულ თუ უმცირესობის ენებზე მოლაპარაკეთა ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ უფლებებს (მე-10-11 განმარტებანი).

ევროსაბჭოს სხვა დოკუმენტებშიც არაერთხელაა ხაზგასმული, რომ „რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" მიზანია იმ ენების დაცვა, რომლებიც **ტრადიციულად** გამოიყენება საუკუნეების განმავლობაში და წარმოადგენენ რეგიონული იდენტობის ინტეგრალურ (არსებით, შემაჯამებელ) ნაწილს[9].

ცალკეულ ექსპერტთა მიერაც არაერთხელაა ხაზგასმული, რომ „ენის ქარტიის" პირველხარისხოვანი მიზანია ევროპის იმ ისტორიული რეგიონული თუ უმცირესობის ენების დაცვა, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო ენის სტატუსი და საფრთხე ემუქრებათ[10].

რაც შეეხება ტერმინს: „რეგიონული ან უმცირესობის ენა" (არაიშვიათად ინგლისური ტერმინი: regional or minority language თარგმნილია არსწორად:

8 the charter covers only historical languages, that is to say languages which have been spoken over a long period in the state in question (31-ე განმარტება).

9 ttp://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/WorkingDocs/Doc08/EDOC11480.htm: The European Charter for Regional or Minority Languages (Motion for a resolution, Doc. 11480; 7 January 2008).

10 იხ., მაგ., რობერტ დუნბარი, „კომენტარები: ჩარჩო ხელშეკრულებისა და ენის ქარტიის ურთიერთობები", ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული (ქართული თარგმანი განხორციელებულია კავშირ „საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს" და ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონვენციის სამდივნოს ფინანსური მხარდაჭერით"), დეკემბერი, 2004, გვ. 32.

„რეგიონული და უმცირესობის ენა“, რაც ქმნის სიტყვა-ფორმის: „რეგიონული“ არასწორი ინტერპრეტირების საფუძველს):

ქარტიის მიზნიდან[11] გამომდინარე, ტერმინი: **რეგიონული ან უმცირესობის ენა** გულისხმობს ერთი კატეგორიის, მაგრამ სამი ვარიანტით გამოვლენილ ენას[12]:

1. რეგიონული ენა – სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში (ქარტიის მე-18 განმარტება)[13];

2. უმცირესობის ენა – სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმცირესობაა მოცემულ რეგიონშიც (ქარტიის მე-18 განმარტება)[14];

3. ტერიტორიის არმქონე ენა – მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ისეთი ისტორიული მოსახლეობის ენა, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი (36-ე განმარტება)[15].

აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროსაბჭომ საჭიროდ ჩათვალა, ერთმანეთისგან გაემიჯნა და საკანონმდებლო აქტებიც ცალ-ცალკე გამოეცა ისტორიული (ავტოქთონი) ეთნიკური უმცირესობის ენისა და ახალი უმცირესობის[16] წარმომადგენელთა ენობრივი უფლებების დასაცავად. მაგ., ექსპერტი ასბორნ ეიდი წერს: „გაეროს სისტემაში ნათელი განსხვავებაა ჩამოყალიბებული ისტორიული (აბორიგენი) უმცირესობების უფლებებსა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც უმცირესობებს მიეკუთვნებიან“[17].

ზოგადად, ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობების ენობრივი უფლებები დაცულია ყველა ნორმალური სახელმწიფოს კონსტიტუციითა[18] და შიდა

---

11 ისტორიული ეთნიკური უმცირესობის ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაცვა.

12 ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის საკითხი, თბ., 2009. „უნივერსალი“; ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და საქართველო, ქუთაისი, 2010; „ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი“.

13 კვალიფიკაცია სხვაგვარად ასეც შეიძლება ჩამოყალიბდეს: მოცემულ სახელმწიფოში ისტორიულად მცხოვრები ისეთი ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელზეც მეტყველებს ამ ქვეყნის ერთ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა; ან: სახელმწიფოში ავტოქთონი უმცირესობის, მაგრამ მოცემულ რეგიონში უმრავლესობის ენა.

14 მოცემულ სახელმწიფოში ისტორიულად მცხოვრები ისეთი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელზეც მეტყველებს ამ ქვეყნის ერთ რეგიონში კომპაქტურად მცხოვრები მოსახლეობა, მაგრამ ეს ხალხი უმცირესობაა ამ რეგიონშიც; ან: სახელმწიფოში ავტოქთონი უმცირესობის და მოცემულ რეგიონშიც უმცირესობის ენა.

15 მოცემულ სახელმწიფოში ისტორიულად მცხოვრები ისეთი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც კომპაქტურად არ/აღარ ცხოვრობს ამ ქვეყნის არც ერთ რეგიონში.

16 ტერმინ „ახალი უმცირესობის“ შესახებ იხ., რობერტ დუნბარის ზემოთ დამოწმებული სტატია; იქვე საგანგებო მსჯელობაა ისტორიული უმცირესობისა და ახალი უმცირესობის ენობრივი უფლებების სხვადასხვაობის შესახებ.

17 „კომენტარები: გლობალური და რეგიონული მიდგომები უმცირესობების სიტუაციებთან“, ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 47.

18 იხ., მაგ., საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38: 1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

კანონმდებლობის სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით; ასევე: „ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების გაეროს დეკლარაციით“[19], ეუთოს ოსლოსა[20] და ლუნდის[21] რეკომენდაციებით; ევროსაბჭოს „ჩარჩო კონვენციით ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“[22]. ხოლო „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ არის ის ერთადერთი საგანგებო საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მიეძღვნა იმ ავტოქთონი მოსახლეობის ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაცვას, რომელიც მოცემულ სახელმწიფოში უმცირესობას წარმოადგენს და, ამავე დროს, მისი დედაენა ამ ქვეყანაში (ან მის რომელიმე მხარეში) არ არის სახელმწიფო ენა.

ამ კონტექსტში საინტერესოა 2010 წლის 14 სექტემბერს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში (თბილისი, ჩიტაძის ქ. № 3ა) გამართულ საერთაშორისო სემინარზე ევროსაბჭოს „რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის“ სამდივნოს ექსპერტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები; კერძოდ, იხ.:

– ჯონათან უითლი: „საქართველო და რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია“, ფლენსბურგი, 2009;

ტომაშ ვიხერკევიჩი: „რეკომენდაციები ენობრივ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისათვის“, თბილისი, 2008 / თანაავტორები: შალვა ტაბატაძე, კახა გაბუნია, მარიკა ოძელი/.

მაგ., **ტომაშ ვიხერკევიჩისა** და მისი ქართველი თანაავტორების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით **„ენის ქარტიის“** დებულებები უნდა გავრცელდეს შემდეგ 12 ენაზე: სომხურისა და აზერბაიჯანული მიმართ – III თავის დებულებები, მეორე თავის დებულებები: „ტერიტორიის არმქონე ენების“ – რუსულის, ბერძნულის, ებრაულის, ქურთულის/იეზიდურის, უკრაინულის, ჩეჩნურის/ქისტურის, ასირიულის, ავარიულის და „უმწერლობო ენების“: მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მიმართ (გვ. 75-86).

თითქმის ანალოგიურია ბ-ნი ჯონათან უითლის (Jonathan Wheatley) მიდგომაც; მისი აზრით, საქართველოს 19 უმცირესობის ენასთან ერთად,

---

განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმე-ბის შესაბამისად. მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ... .მუხლი 85: სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი...

19 მიღებულ იქნა 47-ე სესიაზე 1993 წლის 3 თებერვალს (www.diversity.ge/eng/resources.php?co1=0|14|11|11|11).

20 ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; თებერვალი, 1998 წელი (ეხება ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს: ადგენს, როგორ, რა ფორმით და სად შეიძლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება) http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf.

21 ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; სექტემბერი, 1999: http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf

22 http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=157&CM=8&DF=12/15/2008&CL=ENG

„ენის ევროპული ქარტია“ უნდა შეეხოს ქართველურ ენებს: მეგრულს, ლაზურს, სვანურს /„საქართველო და რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია“, **ECMI**-ის სამუშაო მოხსენება № 42; 2009, გვ. 23/.

როგორც ზემოთ ვნახეთ, „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის“ მიხედვით, ამ ქარტიის დებულებები უნდა გავრცელდეს **ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობების ენაზე**; ამ კონტექსტში დავსვამთ რამდენიმე კითხვას:

1. საქართველოში მეგრული, სვანური და ლაზური არის უმცირესობათა ენები თუ სახელმწიფო ენის - ქართულის - სახესხვაობები - განშტოებები?

ვფიქრობთ, მრავალი ისტორიული წყარო და ამჟამინდელი მონაცემებიც ამტკიცებს, რომ მეგრელთა, სვანთა და ლაზთა **მრავალსაუკუნოვანი დედაენა არის ქართული**; შესაბამისად, საერთოეროვნულ ქართულ ენასთან შედარებით მეორეული ფონეტიკურ-მორფოლოგიური სხვაობების გაჩენის გამო **ეს იდიომები დამოუკიდებელი ეთნოსების განმსაზღვრელ ენებად ვერ მიჩნევა**. ისინი საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართველთა დედაენის სახესხვაობებია[23].

2. არის თუ არა აზერბაიჯანული და სომხური საფრთხის ქვეშ მყოფი ავტოქთონი უმცირესობის ენები?

„ენის ქარტიის“ ამოცანაა მოცემულ სახელმწიფოში დაიცვას ისტორიული, გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ავტოქთონი ეთნიკური ჯგუფების ენა, როგორც კულტურული ფენომენი.

ყველა გამოკითხვისა და მონაცემის გათვალისწინებით დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზერბაიჯანულსა და სომხურს არ ემუქრებათ გაქრობის საფრთხე არც საქართველოში და არც ამ ენების მფლობელ ეთნოსთა მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოებში: აზერბაიჯანსა და სომხეთში (რომლებიც საქართველოს უშუალო მეზობლები არიან). გარდა ამისა, ამ ეთნიკური ჯგუფების ენობრივი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობითა და ბევრი საერთაშორისო კონვენციით; იხ., მაგ.: „საქართველოს კონსტიტუცია“, „კანონი მოქალაქეობის შესახებ“, „კანონი გეოგრაფიული ობიექტების სახელის შესახებ“, „კანონი რეკლამის შესახებ“, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ (მე-14 მუხლი), „კანონი საჯარო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (თბ., 2008, 27,4, 33, 51[24], 92 მუხლები), „საქართველოს კანონი

---

23 ვრცლად იხ.: ტ.ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისი, 2005; თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006; ტ.ფუტკარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, თბ., 2006; რ.შეროზია, ქართველური სალიტერატურო ენისა და სულხან-საბას „სიტყვის კონის“ ზოგი საკითხისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთაისი, 2007; რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008; თ. ბერაძე, ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები, ეთნოლოგიური კრებული, თბ., 2008, გვ. 3-9... 24 შდრ., მაგ., მუხლი 51.1: „საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ცესკოს განკარგულების საფუძველზე, მის მიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით, ქართულ ენაზე, აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზურ ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - ადგილობრივი მოსახლეობისთვის გასაგებ სხვა ენაზეც.

ზოგადი განათლების შესახებ"[25], „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", „სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი", „ადმინისტრაციული კოდექსი", „კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" და სხვ.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გაზიარებულია აგრეთვე ეთნიკური უმცირესობების **ენობრივი უფლებების** დამცველი შემდეგი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები: **„ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების გაეროს დეკლარაცია"[26], „ოსლოს რეკომენდაციები"[27], „ლუნდის რეკომენდაციები"[28], „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია"[29]** და სხვა საერთაშორისო აქტები (რომლებიც ეძღვნება მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე, მაგრამ არაისტორიული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ენობრივი უფლებების დაცვას)[30]. ამ ბოლო პერიოდში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი შექმნა საქართველოს მთავრობამ, კერძოდ, 2009 წელს პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ხელმოწერით გამოქვეყნდა **„შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა"[31]**.

„ენის ქარტიის" მამების მიერ შექმნილი პრინციპებიდან (იხ. ზემოთ) თუკი ამოვალთ, ნათელია, რომ „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ" უნდა გავრცელდეს იმ **ავტოქთონი ანუ ისტორიული ეთნიკური უმცირესობების ენებისა** და იმ ენობრივი უმცირესობების მიმართ, **რომელთა დედაენა არ არის სახელმწიფო ენა და რომლებიც დავიწყების საფრთხის ქვეშაა.** აზერბაიჯანული და სომხური ასეთ მოთხოვნებს ვერ

25 მუხლი, 4, პუნქტი, 3. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა.

26 მიღებულ იქნა 47-ე სესიაზე 1993 წლის 3 თებერვალს (www.diversity.ge/eng/resources.php?coi=0|14|11|11|11).

27 ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; თებერვალი, 1998 წელი (ეხება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს: ადგენს, როგორ, რა ფორმით და სად შეიძლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება) http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf.

28 ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; სექტემბერი, 1999: http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf.

29 http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=157&CM=8&DF=12/15/2008&CL=ENG;

30 იხ., მაგ.: მუხლი 38: 1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ... .მუხლი 85: სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი.

31 http://www.epfound.ge/files/koncepcia_geo.pdf.

აკმაყოფილებს. გარკვეული პირობითობით საქართველოში ასეთ ენებად შეიძლება განვიხილოთ **აფხაზური** და **ოსური**, რომელთაც დღეს ნამდვილად ემუქრებათ გარკვეული საფრთხე.

ზემოთ ხსენებულ რეკომენდაციებში ბ-ნი უითლი თვლის, რომ **ავარიელები საქართველოს ისტორიული მოსახლეობაა. ვფიქრობ, ეს კვალიფიკაციაც სამაკათოა:**

შევნიშნავთ, რომ ავარიელების (იგივე ხუნძების) რამდენიმე ასეული ოჯახი საქართველოში, ყვარლის რაიონში ჩამოასახლეს საბჭოთა რუსეთის იმპერიის მესვეურებმა კოლექტივიზაციის დროს, როგორც მუშახელი (ნანა ომარაშვილი, „კახეთში მცხოვრები დაღესტნელები“ თბ., 2009); შესაბამისად, **ავარიული ანუ ხუნძური ენა** საქართველოში არ არის ავტოქთონი მოსახლეობის ენა; ხუნძები ავტოქთონები არიან დაღესტანში; ბოლო საუკუნეებში ისინი დასახლდნენ აგრეთვე ისტორიულ საინგილოში – ამჟამინდელი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში – ბელაქანისა და ზაქათალის რაიონებში; გარდა ამისა, **ეს ენა არ დგას გაქრობის საფრთხის წინაშე**.

ბ-ნი უითლის სამართლიანი შენიშვნით, **უდიური ენა** რომელზეც საუბრობენ საქართველოს ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბერში, მნიშვნელოვან დაცვას საჭიროებს, რადგანაც ის, შესაძლოა, მკვდარ ენად იქცეს; თუმცა, მისივე აზრით, „საქართველოში არსებული **უდიური ენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს ტრადიციულ ენად**, რადგან ეს ენა შემოტანილ იქნა მიგრანტების მიერ აზერბაიჯანიდან, რომლებიც გადმოსახლდნენ საქართველოში **I მსოფლიო ომის შემდგომ**, დაახლოებით 1920 წლისათვის“ (ჯ. უითლი, 2009, გვ. 9-10).

ბ-ნი უითლის მსჯელობაში I მსოფლიო ომი შემთხვევით არ არის ნახსენები: ევროპაში უმცირესობების ავტოქთონობის ასაკის განსაზღვრისას **ერთ-ერთ კრიტერიუმად ითვლება I მსოფლიო ომი**.

ისმის კითხვა: საქართველოს უმცირესობების ავტოქთონობის განსაზღვრელად რამდენად გამართლებულია პირველი მსოფლიო ომი **რუსეთის მიერ ჯერ კიდევ 1801 წელს ოკუპირებული საქართველოსთვის?**

რუსეთი ორი საუკუნეა საქართველოში ახორციელებს იმპერიულ დემოგრაფიულ პოლიტიკას; მაგ., 1829 წელს პასკევიჩმა საქართველოს მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების უხეში შელახვის პარალელურად თურქეთიდან საქართველოში, კერძოდ, ჯავახეთში ჩამოასახლა სომხები. უფრო ადრე მსგავს დემოგრაფიულ ექსპანსიას ახორციელებდნენ ირანი და ოსმალეთის იმპერიები; კერძოდ, დემოგრაფიული ექსპანსიის დაწყების თვალსაზრისით, საქართველოსთვის მძიმე თარიღია 1555 წელი, როდესაც ქალაქ ამასიაში დადებული ზავით ირანმა და ოსმალეთმა გაიყვეს საქართველოს სახელმწიფო. ქართველ მეფე-მთავრებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ; საქართველოს წინააღმდეგობის მოსასპობად 1555 წლიდან დამპყრობლები (ოსმალეთი, ირანი, რუსეთი) აქტიურ ანტიქართულ დემოგრაფიულ ექსპანსიას ახორციელებენ (ქართველების გადასახლება და სხვა ეთნიკური ჯგუფების ჩამოსახლება).

საქართველოს ხელისუფლებისადმი რეკომენდაციების მომზადების პროცესში, უფრო სიღრმისეულად უნდა შევისწავლოთ საქართველოს ეთნიკურ-ენობრივი სიტუაციის ისტორიული დინამიკა და, ამავე დროს, სასურველია, არსის შეუცვლელად იქნას გამოყენებული „ენის ქარტიისა“ და მისი განმარტებითი ნაწილის ძირითადი ცნებები: **„საფრთხის ქვეშ მყოფი ისტორიული რეგიონული ან უმცირესობის ენა“** და **„ისტორიული ეთნიკური უმცირესობის ენა“**. პირველ რიგში კონსესუსი უნდა იქნეს მიღწეული იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლის მიხედვითაც მოხდება ამ ცნებებით ოპერირება, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც მკაფიოდ განვასხვავოთ **„ისტორიული ეთნიკური უმცირესობა“** და საქართველოს მოქალაქეობის მქონე **„ახალი ეთნიკური უმცირესობა“**. ეთნიკურ ჯგუფთა ისტორიასთან ერთად, გასათვალისწინებელია, ასევე, მათი რაოდენობის საკითხიც; მაგ.: 2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში დაფიქსირებულია მოქალაქეობის მქონე 60-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფი; ამათგან, მაგ., ტაჯიკები - 15 სული; ჩინელები - 47; ბოშა - 472; კორეელი - 22; სპარსელი - 47; ქურთი - 2514; ინგუში - 9; ქისტი - 7110; ჩეხი - 46... შდრ., აგრეთვე:

საქართველოს მოქალაქე	4 371 535	100.0
ქართველი	3 611 173	83,8
აზერბაიჯანელი	284 761	6.5
სომეხი	248 929	5.7
რუსი	67 671	1.5
ოსი	38 028	0.9
ბერძენი	15 166	0.3
უკრაინელი	7 039	0.2
ქურთი	2 514	0.1

ვფიქრობთ, საქართველოს მოქალაქეობის მქონე, მაგრამ საქართველოსთვის არაისტორიული ეთნიკური ჯგუფების ენების მიმართ არ უნდა გავრცელდეს „ენის ქარტია“ (მათ მიმართ გავრცელდება **„ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“**). აქვე აღვნიშნავ, რომ აუცილებელია, დროულად განისაზღვროს **კრიტერიუმები**[32], რომელთა მიხედვით ეთნიკური ჯგუფების ერთი ნაწილი მიიჩნევა საქართველოს ისტორიულ ეთნიკურ (ეროვნულ) უმცირესობად, მეორე ნაწილი – დიასპორის (ახალი უმცირესობის) უფლების მქონე პირებად, მესამე ნაწილი კი – ახალ მიგრანტებად.

ამრიგად, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ **მაღალი დონის დოკუმენტია**. მისი მიზანი კეთილშობილურია: გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი უმცირესობების ენების გადარჩენა. ნორმალურ,

32 მაგ., მკვიდრობის ისტორია საქართველოს ოკუპაციამდე – 1801 წლამდე, მოქალაქეთა რაოდენობა (მაგ., საერთო მოსახლეობის 1 %), ენის საფრთხის ქვეშ ყოფნის ხარისხი და სხვ.

არაპოლიტიზებულ სიტუაციაში „ენის ქარტია“ არავისთვისაა საშიში. საქართველოსთვის „ენის ქარტია“ საშიში მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუკი გარეშე ძალები **ჩვენს ქვეყნას თავს მოახვევენ ამ დოკუმენტის ძირითადი პრინციპებისა და კრიტერიუმების არაადეკვატურ კვალიფიკაციებს**.

შდრ.: ამგვარი პერსპექტივაც გაითვალისწინეს „ენის ქარტიის“ მამებმა და „ენის ქარტიის“ 32-ე განმარტებაში მკაფიოდ ჩაწერეს:

„ქარტია არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეიძლება გამოხატვის ესა თუ ის ფორმა ჩაითვალოს ცალკე ენად. **ამ სადავო საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ მოსაზრებებზე, არამედ სხვადასხვა ფსიქო-სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე**, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულ პასუხს შეიძლება იძლეოდეს. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის განსაზღვრისას **ქარტია პრეროგატივას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლებას**, რომელმაც დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით თავად უნდა **განსაზღვროს ის კრიტერიუმები**, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი“.

ვფიქრობ, საქართველოსთვის მისაღებია „ენის ქარტიის“ გააზრების ის ვარიანტი, რომელიც გვაქვს ინგლისში, ფინეთში თუ ძველი ევროპის სხვა ქვეყნებში; მათ მიერ ჩამოყალიბებული ლოგიკური კრიტერიუმებით უნდა ვიმსჯელოთ საქართველოს სინამდვილეშიც; კერძოდ, ეთნიკური უმცირესობის ავტოქთონობის განსაზღვრისას თუკი გავითვალისწინებთ **საქართველოს** / თუ საქართველოს ცალკეული რეგიონების/ **ოკუპაციის** პირობებში (1801-2012) განხორციელებულ **დემოგრაფიულ ექსპანსიებს** (რომლებიც იკრძალება ჟენევის კონვენციით) და დასავლეთევროპულ პრაქტიკასაც გავითვალისწინებთ, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი მოსაზრებები:

1. „ენის ქარტია“ არ უნდა გავრცელდეს ქართველთა საშინაო მეტყველებების მიმართ, ვინაიდან, მეგრელთა, სვანთა და ლაზთა, ასევე, ხევსურთა, ტაოელთა, აჭარელთა, მესხთა, ფშაველთა, ქართლელთა... **ისტორიული დედაენა არის ქართული ენა**, ხოლო მათი საშინაო მეტყველებები არის საქართველოს სახელმწიფო ენის სახესხვაობები და არა – დამოუკიდებელი ენები;

2. **„ენის ქარტია“ არ უნდა გავრცელდეს იმ ენების მიმართ, რომლებიც არ არის საფრთხის ქვეშ** (მაგ., რუსულის, აზერბაიჯანულის თუ სომხურის მიმართ); პირიქით, უფრო აქტუალურია ამ ენობრივ ჯგუფთა მიერ სახელმწიფო ენის შესწავლა და საქართველოს სახელმწიფოში მათი სრულფასოვანი ინტეგრირება. საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლება უნდა გახდეს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის უპირველესი საფუძველი;

3. „ენის ქარტიის“ III ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს **აფხაზურისა** და **ოსურის** მიმართ, რამდენადაც ამ ენებს მსოფლიოში სხვაგან არსად აქვთ გადარჩენის პერსპექტივა; მაგ., ოსების ძირითად საცხოვრისში – ე.წ. ჩრდილო ოსეთში (რუსეთის ფედერაცია) – არც ერთი ოსურენოვანი სასწავლო დაწესებულება

არ არის[33]. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ ეტაპზე საქართველო ვერ უზრუნველყოფს აფხაზური და ოსური ენების დაცვას „ენის ქარტიის" პრინციპების შესაბამისად მანამ, სანამ ეს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს რუსეთის ფედერაციას;

4. „ენის ქარტიის" II ნაწილის მიხედვით კი სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა გახდეს **უდიური და ასირიული ენები**, რამდენადაც ამ **ახალი მიგრანტების** ენებს სხვაგან ნაკლებად აქვთ გადარჩენის პესპექტივა;

5. **ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებების გარდა**, ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოს ღირსების უპირველესი განმსაზღვრელია **სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვისა და მისი დიალექტების შენარჩუნებისათვის ზრუნვის ხარისხი. სამწუხაროდ**, ამ ეტაპზე **საქართველოში** ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი სამართლიანი კრიტიკის ობიექტია. ჩვენი დაკვირვებით, პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში უფრო მეტია გაკეთებული ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლების დაცვის თვალსაზრისით. შესაბამისად, საქართველო ხელისუფლებამ ამის შემდეგ მაინც საგანგებო ღონისძიებები უნდა გაატაროს როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის – ქართული ენის – სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის, ასევე, ეთნიკურ ქართველთა საშინაო ზეპირი მეტყველებების (წოვა-თუშურის, სვანურის, ლაზურის, მეგრულის, ხევსურულის, რაჭულის, მთიულურ-გუდამაყრულის, ტაოურის, იმერხეულის, ლივანურის...) გადასარჩენად.

TARIEL PUTKARADZE

"EUROPEAN CHARTER FOR REGIONAL OR MINORITY LANGUAGES" AND THE QUESTIONS OF ETHNIC HISTORICAL (AUTOCHTHONOUS) MINORITIES

Summary

The "European Charter for Regional or Minority Languages" is a document of high rank and it has noble objectives: to safeguard the endangered minority languages from extinction. My idea is that not only the European countries but also the whole world should join the Charter. This prospect is also anticipated by the Fathers of the Charter and in the comment 32 they put it clearly that:

"These languages must clearly differ from the other language or languages spoken by the remainder of the population of the state. The charter does not concern local variants

33 არ არის აუცილებელი, მოცემულმა სახელმწიფომ აამოქმედოს „ენის ქარტიის" III ნაწილი - ისტორიული უმცირესობის ენის დაცვის მაღალი დონე (the higher level); კერძოდ, მე-2 მუხლის თანახმად, ქარტია მხარეებს არ ავალდებულებს, გამოიყენონ როგორც II, ისე III ნაწილები, რამდენადაც სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს კონვენციის რატიფიკაცია იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ შეარჩევს არც ერთ ენას, რომლის მიმართაც გავრცელდება III ნაწილის დებულებები. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ ქარტიის II ნაწილი (42-ე და 49-ე განმარტებანი).

or different dialects of one and the same language. However, it does not pronounce on the often disputed question of the point at which different forms of expression constitute separate languages. This question depends not only on strictly linguistic considerations, but also on psycho-sociological and political phenomena which may produce a different answer in each case. Accordingly, it will be left to the authorities concerned within each state, in accordance with its own democratic processes, to determine at what point a form of expression constitutes a separate language".

I think that Georgia should follow the variant of the reading accepted for the United Kingdom, Finland or in other countries of traditional Europe. Logical criteria formulated in these countries are absolutely sound and the way of reasoning is compatible with Georgia's reality.

I have been working for almost ten years at the theme of the ECRML and have published three books and a few articles devoted to its issues. During the years of investigation some questions have received rigorous clarification and they do not seem to me debatable at whatever facets of approach. For instance, it is not for me a question of controversy that:

- For Megrels, Svans and Laz, similarly for Khevsurs, Taoians, Acharans, Meskhs, Pshavians, Kartlians... historical mother tongue is the Georgian language and their local speeches are the varieties of the state language of Georgia and not separate languages;

- Russian, Azeri and Armenian are not endangered languages in Georgia; on the contrary, more actual for these language group peoples is the acquisition of the official language of Georgia for their integration into the state of whose citizens they are. Teaching the Georgian language should become the basis for the integration of ethnic minorities into the state.

- In determining the autochthony of ethnic minorities we should consider demographic expansionisms policies carried out by the occupants in Georgia under the condition of occupation (being banned by Geneva Convention).

- In conformity with the Part III the Georgian Government must pay particular attention to Abkhazian and Ossetian languages, because these languages do not have any prospects of survival in any other place of the world except Georgia. For example, in their main living place, that is, in the so-called North Ossetia (Russian Federation) there is not a single Ossetian language educational institution[34].

In accordance with the Part II of the Charter Udi and Assyrian languages must be taken under the care of the Georgian Government, for the reason that these new migrant languages have little perspective to survive in the other places of the world.

34 It is not necessary that the given state apply Part III of the Charter – historical minority language higher level of protection; namely, according to Article 2, the Charter does not oblige the parties to apply Part II and Part III of the Charter, as long as a contracting state is allowed to ratify the of the Convention even if it does not choose any particular language to extend the benefit of the provisions of Part III of the Charter. In such a case the state applies Part II of the Charter.(Cf.: Explanatory Report 42 and 49).

As for the Tsova-Tushian: the Georgian Government intends to take special measures not only for the due functioning of the Georgian national language but also for protecting the local speeches of the ethnic Georgians (Tsova-Tushian, Svan, Laz, Megrelian, Khevsurian, Rachan, Mtiul-Gudamakrian, Taoian, Imerkhevian, Livanian...). We are well-aware of the fact that apart from the rights of the ethnic minorities the matter of dignity for any state, and for Georgian state among them, is the protection of the status of the national language and the quality of care for maintaining its dialects.

Unfortunately, at the present level the status of the national language of Georgia is subjected to fair criticism; in this context in the post-Soviet Georgia more has been done in terms of the protection of rights of ethnic minorities than for the status of the state language.

P.S. Georgia declares that it is unable to guarantee the application of the provisions of the Charter in the territories occupied by Russia until these territories are liberated from that occupation.

ТАРИЕЛ ПУТКАРАДЗЕ

«ХАРТИЯ ЯЗЫКА» И ВОПРОС АВТОХТОННОСТИ НАЦИОНАЛЬНЫХ МЕНЬШИНСТВ

Резюме

«Европейская хартия региональных языков или языков меньшинств» – документ высокого уровня. Цель ее благородна: спасение языков исторических (автохтонных) меньшинств, находящихся под угрозой исчезновения.

В Грузии опасности не подвергаются русский, азербайджанский и армянский языки; напротив, более актуальным является изучение данными языковыми группами государственного языка и их полноценная интеграция в грузинское государство. Обучение государственному языку Грузии должно стать первейшей основой интеграции этнических меньшинств.

В соответствии с III частью «Хартии языка» власти Грузии должны уделять особое внимание абхазскому и осетинскому языкам, поскольку у данных языков нет нигде в мире перспективы спасения.

Согласно же II части «Хартии языка» предметом заботы государства должны стать удийский и ассирийский языки, поскольку в других странах языки этих новых мигрантов имеют меньше перспективы спасения.

При определении автохтонности этнического меньшинства желательно учесть запрещенные Женевской конвенцией демографические экспансии, осуществленные оккупантами в условиях оккупации Грузии.

ნინო გაისურაძე

კავკასიური ცივილიზაციის შესახებ

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია კავკასიური ცივილიზაციის შესახებ წერდა: საქართველოში, ისე როგორც კავკასიაში, აბორიგენი მოსახლეობა ოდიდგანვე იბერიულ-კავკასიური მოდგმისაა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იბერიულ-კავკასიური სუბსტრატი წმინდა სახითაა დღემდე შემონახული და, რომ აქ ადგილი არ ჰქონია ხალხთა შერევასა და კულტურული ელემენტების შერწყმას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კავკასია არასოდეს, თავისი ისტორიის გრძელ მანძილზე, არ ყოფილა იზოლირებული, კარჩაკეტილი ქვეყანა. პირიქით, მსოფლიო ისტორიული მოვლენები, შორეული თუ მახლობელი, აქაც პოულობდნენ გამოძახილს და სათანადო გავლენას ახდენდნენ მასზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობა შემდგარია დიდი ხალხების ნარჩენებისაგან, რომლებიც შეეხიზნენ კავკასიის მთებს და აქ განაგრძობდნენ განკერძოებულ, ურთიერთისაგან იზოლირებულ ცხოვრებას; ეს არც იმას ნიშნავს, რომ საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის კულტურა არის პერიფერიული კულტურა, რომელიც ითვისებდა გარედან, ცივილიზაციის კერებიდან შემოტანილ კულტურის ელემენტებს და, უკეთეს შემთხვევაში, საქართველო და კავკასია მხოლოდ გადამცემი რგოლი იყო, რომლის მეშვეობითაც კულტურის მონაპოვრები გადაეცემოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთით, ან – დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ან — პირუკუ. ამგვარი მცდარი შეხედულების მიხედვით ისე გამოდის, რომ საქართველომ და კავკასიამ, თავისი არსებობის მანძილზე დამოუკიდებელი, თავისთავადი ხასიათის მქონე კულტურა ვერ შექმნა. დღემდე დაგროვილი **ეთნოგრაფიული მასალა** ქართველი და, საერთოდ, კავკასიის ხალხთა კულტურის შესახებ იმაზე მიუთითებს, რომ ამ ხალხების მიერ შექმნილია ორიგინალური, თავისთავადი ნიშნების მატარებელი ცივილიზაცია, რომელიც გამოიყოფა სხვა დიდი და მცირე ცივილიზაციებიდან (23. 5-6). საინტერესოა როგორ აისახება ხალხურ მუსიკაში, ბატონი გიორგი ჩიტაიას ზემოხსენებული ნააზრევი, რას გვამცნობს ამ მხრივ მუსიკალურ-ეთნოლოგიური მონაცემები.

საქართველო პოლიფონიური სიმღერების სამყაროა, სადაც სამი და ოთხხმიანი სასიმღერო ნიმუშები რთული პოლიფონიური კომპლექსებით გამოირჩევა. გამომსახველობის თავისებური, ინდივიდუალური ხერხებით, ხმათა ფართო დიაპაზონით და ურთიერთშერწყმით, უაღრესად განვითარებული მრავალფეროვანი ბანით, მოდულაციების უამრავი ვარიანტით, კადანსთა

ნაირსახეობით, მათ შორის ორმაგი კადანსებით, კოდით იქმნება ის საოცარი და განუმეორებელი სიმფონია, რომელსაც ქართული ხალხური სიმღერა ეწოდება და, რომელიც მსოფლიო კულტურის შედევრად არის აღიარებული (25. 21-31; 2. 93-141; 26. 77-78; 11, 100-104).

ქართული მუსიკალურ-ესთეტიკური აზროვნების პირველადი ფორმები, ქართველური ტომებისათვის ოდესღაც საერთო მუსიკალური ფუძე-ენა, ფუძე-ჰანგი ჩამოყალიბდა წინაქრისტიანული ხანის რწმენა-წარმოდგენების ამსახველ ასტრალურ და მიცვალებულის კულტებთან დაკავშირებულ რიტუალებში. ამაზე მეტყველებს მდიდარი საარქივო მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის ისტორიული წყაროს მნიშვნელობას იძენს (12. 10-12, 28-47). მუსიკალური ფუძე-ენა, რომელშიც თავს იყრის ადრე არსებული ყველა მუსიკალურ-სმენითი მონაპოვარი, უნივერსალურია. ამასთანავე იგი გარკვეული სტრუქტურის მქონე ინტონაციურ არეში თავსდება და გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური და მორფოლოგიური წყობით (12. 9-10, 74).

ფუძე-ჰანგის ინფილტრაციამ ყოფის სხვადასხვა სფეროში, გამოიწვია მისი სემანტიკური ტრანსფორმაცია: ცვლილებებს განიცდის მუსიკალური ტექსტის ფორმა და შინაარსი, შესრულების ხასიათი, და ბოლოს, ყალიბდება თვისებრივად ახალი, განსხვავებული სასიმღერო ნიმუშები, რომლებიც ზოგადად, ქართულ მუსიკალურ სტრუქტურაში გარკვეულ ადგილს იმკვიდრებს.

მუსიკალური ენის განვითარების პროცესი, სამეტყველო ენის მსგავსად, ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. იგი ათასწლეულების მანძილზე ვითარდება, ნელა იცვლება მუსიკალური ენის ზოგიერთი სტრუქტურული კანონზომიერება, რომელიც ტიპოლოგიურად ახლოს დგას ენის გრამატიკულ კანონზომიერებებთან (10. 13-15).

საერთო ქართველური ფუძე-ენის არსებობას ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში ვარაუდობენ (17. 338-341; 30. 292-295; 6. 880-881, 909). ფიქრობენ, რომ წინარექართველური ეთნოსი ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში უნდა არსებულიყო. საერთო-ქართველური ენის დიალექტებზე მოსაუბრე ეთნოსის ერთ-ერთი არეალი დასავლეთ საქართველო უნდა ყოფილიყო და დასავლურქართული ნეოლითი შესაძლებელია, როგორც არქეოლოგები ფიქრობენ, წინარექართველური ეთნოსის კულტურა იყო (19. 119-120). მუსიკალური ენის და სამეტყველო ენის სინკრეტიზმი მუსიკალური აზროვნების განვითარების უადრეს საფეხურებზე, ფუძე-ჰანგის ხნიერება და მისი ადგილი ხალხურ ყოფაში (12. 28-48, 74), უფლებას გვაძლევს საერთო-ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის არსებობა მიახლოებით მკვლევართა მიერ ზემოთ წარმოდგენილ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოვათავსოთ.

ქართული ხალხური სიმღერების ხნიერებაზე მეტყველებს მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთაგან საყურადღებოა ვერცხლის თასი თრიალეთიდან (ძვ. წ. II ათასწლეული). თასზე ნათლად არის გამოკვეთილი მითოსურ-რელიგიური და კოსმოგონიური თემა (20. 196). ეს ძეგლი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა (დ. ჯანელიძე, ლ. გვარამაძე) თასზე

წარმოდგენილ კომპოზიციაში საფერხულო ქმედება ამოიკითხა. რიტუალური კომპოზიცია „სადიდებელთაის“ წესის ეპიზოდს გამოხატავს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გადმონაშთურმა მასალამ შემოინახა (3. 252). ამ მოსაზრების გაზიარების შემდეგ საგულისხმოა, რომ „ღვთის კარზე“ ღვთისშვილთა დგომის წესში თასის შემქმნელისაგან უეჭველად გააზრებულია წრიული **საფერხულო წყობა**, – მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სოციალურ-რელიგიური ყოფის ამსახველ გადმონაშთურ მასალაში საღვთისმსახურო წესებს მუდამ თან ახლავს საწესო საფერხულო სიმღერა, რომლის წარმოთქმა ჯვარ-ხატების მსახურთა ხვედრი იყო. თრიალეთის ვერცხლის სასმისზე ასახული რიტუალური კომპოზიცია, რომელიც პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის ხანას უკავშირდება, ქართველურ ტომთა ეთნიკურ კუთვნილებადაა აღიარებული (3. 252; 12, 32-34). თუ გავითვალისწინებთ ფერხულის ხნიერებას, ადვილად წარმოსადგენია რაოდენ მარტივი სტრუქტურის მქონე მუსიკალური მასალა უნდა ასახულიყო საფერხულო სიმღერაში ოდესღაც, საზოგადოების განვითარების ზემოთ აღნიშნულ ხანაში.

პოლიფონიური აზროვნება ქართველთა ფსიქიკის სტრუქტურული ელემენტია. ქართული მრავალხმიანობის უძველესი ეტაპია მუსიკალური ფუძეენის წიაღში მრავალხმიანობის ფორმების (ბურდონული, კომპლექსური) ჩასახვა. მრავალხმიანობის (სამხმიანობა) კომპლექსური ფორმა, რომლის მატარებელი ქართული, სვანური მოსახლეობა იყო, გავრცელდა დასავლეთ საქართველოში და საფუძველი ჩაუყარა მუსიკალური კულტურის დასავლურ-ქართულ წრეს. ამგვარად ჩამოყალიბდა ქართული მუსიკალური კულტურის ორი დიდი წრე: აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული (13. 64-71, 88-94; 12. 16-19). ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების ამ დიდმნიშვნელოვან ეტაპს უკავშირდება აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული, აგრეთვე გარდამავალი მუსიკალური დიალექტების ანუ კილოების ჩამოყალიბება.

ქართული მრავალხმიანობა კავკასიაში ფართო ტერიტორიაზე ჩანს გავრცელებული. ქართული და ჩრდილოკავკასიური – აფხაზური, ადიღეური, ოსური, ჩაჩნურ-ინგუშური, ნაწილობრივ – დაღესტნური მუსიკალური მონაცემები – ჰარმონიულ ელემენტთა ერთგვაროვნება მუსიკალური აზროვნების განვითარების უადრეს საფეხურებზე, **მრავალხმიანობის ფორმები,** ტიპოლოგიური მსგავსება განვითარების შემდგომ პროცესში, საერთო კავკასიური მუსიკალურ-ინტონაციური ხასიათი – მეტყველებენ კავკასიის ტერიტორიაზე ოდესღაც საერთო მუსიკალური კულტურის არსებობაზე, რომლის შექმნაში ძირძველ, ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიეღო მონაწილეობა (15. 272-309). აქვე დავსძენ, რომ აფხაზური მუსიკალური ენა, განვითარების უძველეს ეტაპებზე ორგანულად იყო დაკავშირებული საერთო-ქართველურ მუსიკალურ ენასთან. საგულისხმოა, რომ თავდაპირველად იგი მუსიკალური დიალექტის დონეზე განცალკევდა. საუკუნეების მანძილზე, სპეციფიკურ ნიშანთა ზრდასთან ერთად, როგორც ჩანს, სულ უფრო

ღრმაედებოდა აფხაზურის, როგორც საერთო-ქართველურის ერთ-ერთი მუსიკალური დიალექტის დიფერენციაციის პროცესი, რაც საბოლოოდ ქართული მუსიკალური კულტურის არეალში შემავალი ქართულის მონათესავე აფხაზური მუსიკალური ენის ჩამოყალიბებით დასრულდა. აფხაზთა წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო წრეებში არსებული შეხედულება არაერთგვაროვანია. მუსიკალური მონაცემებით აფხაზები დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ქართველური კულტურის მატარებელ ერთ-ერთ ქართველურ ტომად მოიაზრება (15. 274-282). რაც შეეხება ოსურ მუსიკალურ ენას, პალეოკავკასიური ენებისაგან განსხვავებით, ოსური ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება. მუსიკალური მონაცემებით ოსური მუსიკალური ენის სუბტრატი კავკასიურია, ქართველურია.

მუსიკალური მასალა მკაფიოდ წარმოაჩენს ქართველურ ტომთა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მის ნამყვან როლს საერთო კავკასიური მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში, რომელიც ძირითადად კავკასიური მუსიკალურ-ინტონაციური და ჰარმონიული აზროვნების ფარგლებში მიმდინარეობდა. საგულისხმოა, რომ იმ უძველეს ხანაში, ქართველური ტომები ფართო ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი და ამ მონათესავე ტომთა **პოლიფონიურმა** აზროვნებამ, სუბსტრატის როლი შეასრულა საერთო-კავკასიური, კერძოდ, იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურის შექმნაში. უფრო მოგვიანებით მიმდინარეობს ამ კულტურის დიფერენციაცია. ეს პროცესი დასრულდა ქართულის მონათესავე ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ენების ჩამოყალიბებით, რომლებიც გამოირჩევა ჰარმონიულ ელემენტთა და მუსიკალურ ჟანრთა მრავალფეროვნებით.

მუსიკალური მონაცემებით ვფიქრობ, რომ კავკასიაში ოდესღაც მოსახლე ძირძველი, მონათესავე ტომები, შესაძლოა ემთხვევა ზოგადად „ქართველურის“ სახელწოდებით ხსენებულ ტომებს, რომელთა გავრცელების არეალი, როგორც ჩანს, თანდათან იზღუდებოდა. ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებულ ტომთა მუსიკალური აზროვნების განვითარების თანამიმდევრულ, უწყვეტ სურათს მხოლოდ ქართული მუსიკალური მასალა იძლევა, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ენები, როგორც გენეტურად, ისე ისტორიულ-კულტურული კავშირებით.

„ძველი საქართველო უფრო ვრცელი სამყაროს ორგანული მაგრამ თავისთავადი ნაწილია. ამ სამყაროს შეადგენს ვიწრო ასპექტში – კავკასია, ფართო ასპექტში – ძველი აღმოსავლეთი, რომელთა სხვა კომპონენტებსაც საქართველო უკავშირდება მრავალრიცხოვანი და ნაირსახოვანი გენეტიკური და ისტორიული კავშირებით“ (29).

ქართველი ხალხის წინაპართა ოდითგანვე მჭიდრო ისტორიულ-კულტურული კონტაქტები ახლო აღმოსავლეთის უძველეს მოსახლეობასთან მუსიკალური ნიმუშების უძველეს შრეებში, მუსიკალურ ტერმინებსა და საკრავებში აისახა. ყაზბეგსა და უფლისციხეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არფისებური საკრავები, აგრეთვე ქართული (სვანური)

ჩანგი, შუმერული არფის მონათესავეა, რომელიც ძვ. წ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება. უფრო მეტიც, ძალებიანი საკრავი ებანი იმეორებს შუმერული არფის არქაულ სახელწოდებას „PAN" ან „BAN" (მშვილდი). ეგვიპტეში იგი უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი ბენ ან ბაინ-ის სახელით. გრძელყელიანი საკრავი PAN-TUR, რომელიც წარმოიშვა მშვილდისებური არფისგან და ნიშნავს „პატარა მშვილდს", სომხეთში pandir-ის და საქართველოში „Panduri"-ს სახელწოდებითაა ცნობილი (5. 27, 28, 34-35; 28. 294-295; 27. 73-79; 22. 57).

წინააზიურ სამყაროსთან სიახლოვე ქართული საწესო-საფერხულო სიმღერის – „იავნანას" და წინააზიური მუსიკალური ნიმუშების უძველეს შრეებში მჟღავნდება (1. 136-163). „იავნანა" სახადის კულტთან დაკავშირებული რიტუალის ერთ-ერთი კომპონენტი იყო. არქეოლოგიური მონაცემებით ნანას კულტის, როგორც ნაყოფიერების ღვთაების ჩამოყალიბება, ნეოლით-ენეოლითის ხანაში ივარაუდება (9, 154-177). ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები შემუშავებული უნდა ყოფილიყო ასტრალური კულტების არსებობის ხანაში, პოლითეიზმის იმ საფეხურზე, როდესაც ქართველი ხალხის რელიგიის ისტორიაში მცენარეულისა და მზის თაყვანისცემის საფუძველზე აღმოცენებული დიდი დედის, ღვთაებრივი დედის კულტი უაღრესად განვითარებული იყო (3. 85; 12. 39).

აღსანიშნავია ისტორიული სომხეთის და აზერბაიჯანის ხალხური სიმღერების მუსიკალურ-ინტონაციური სიახლოვე „იავნანას" მელოდიასთან. ქართული და სომხური „ოროველების" მსგავსება არა მხოლოდ სახელწოდებაში, არამედ სტრუქტურაში (1. 137-139, 150; 16. 33-34; 14. 242-243).

ქართულ მისამღერებში ხშირია ურარტულ ენაში ცნობილი გამოთქმები: „ივრი ალალე", „თარი არალე" („თარი ალალე"), „არი ალალე". გარკვეულია, რომ „ივრი" ურარტულად „მეუფეს", „ბატონს" ნიშნავს, „თარი" - „დიდს", „დიადს", „არი" - „მომეც" (მოგვეც). „არალე" („ალალე") მოსავლის ღვთაების სახელია (18. 435-437). ეს გამოთქმები განსაკუთრებით ხშირია აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სიმღერებში.

აღსანიშნავია ქართული და ინდოევროპული ლექსიკური შეხვედრები მუსიკალურ სფეროში: „გალობა" უძველესი ხანის ქართულში მუსიკალური ბგერის გამომხატველი ერთადერთი ზოგადი სიტყვაა. დაბადების ქართულ თარგმანში „გალობა" საერო, ხმიერი მუსიკის, მღერის აღმნიშვნელია. მას ენათესავება მეგრული „გარა", „მონგარა", რომელიც თავდაპირველად მოთქმით და შებანება-ზრუნით, ხმაშეწყობილი ტირილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (28. 39-40). (ჭან. მ-გარ//ბ-გარ – ტირილი; მეგრ. გარ – ტირილი, ქართ. გლ-ოვ – დატირება (24. 259). ვფიქრობ, რომ „გალობა" ახლომდგომია საერთო ინდოევროპულ ფორმასთან *gol$^{(h)}$olg$^{(h)}$ol. გამოთქმულია მოსაზრება რომ მუსიკალური ინსრუმენტების აღმნიშვნელი საერთო ინდოევროპული სიტყვები (მათ შორის *gol$^{(h)}$olg$^{(h)}$ol) შეიძლება საწესო საგალობლების, ჩვეულებრივ, მუსიკალური თანხლების მანიშნებელი იყო. ხეთურში galgalturi – 'ციმბალი' ან დასარტყმელი საკრავების გარკვეული სახესხვაობა, galgalinai, kalgalinai – წკრიალი, წკარუნი, ჟღარუნი, გუგუნი, გრიალი (სარიტუალო

სიმღერა), გოდება, მოთქმა, ძვ. ინდ. gàrgara – მუსიკალური ინსტრუმენტი, საერთ. სლავ. *golgolŭ – 'სიტყვა', 'მეტყველება', 'ჟღერადობა'. ზემოაღნიშნული სიტყვები საერთო ინდოევროპულისათვის რედუპლიცირებული ძირის *g$^{(h)}$olg$^{(h)}$ol) (შესაძლებელია ბგერათმიმბაძველობითი ხასიათის) ვარაუდის საფუძველს იძლევა (6. 837; 21. 16).

„ჰმა", „ჰმაე" (მეგრულში – хома, хэма, хума) მოგვაგონებს ძველ ინდოევროპულ ტერმინს *sHomen – სიმღერა, ხეთ. išhamai – 'სიმღერა', išhamai – 'მღერა' išhamanatala – 'მომღერალი', ძვ. ინდ. šaman — 'სიმღერა', საგალობელი. დადგენილია, რომ *sHomen ძველ ინდოევროპულში რიტუალურ – პოეტური მეტყველების გამომხატველი ტერმინია, განსხვავებით ჩვეულებრივი სალაპარაკო მეტყველებისაგან (6. 835). აქვე შევნიშნავ, რომ გამოთქმულია მოსაზრება ძვ. ეგვიპტური ტერმინის hmhm (რედუპლიცირებული ძირი) კავშირის შესახებ „ხმასთან". იგი იკითხება როგორც „ხმა" ან „ხამ" და ნიშნავს: ხმა, ყვირილი, საბრძოლო ყიჟინი (4). ეს ლექსიკური შეხვედრები იქნებ მიგვანიშნებდეს „ჰმის", როგორც მუსიკალური ტერმინის ბევრად უფრო ადრე არსებობაზე, ვიდრე იგი ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ჩნდება.

აქ წარმოდგენილი მცირეოდენი, მაგრამ მნიშვნელოვანი მასალა თავისებურად ასახავს შორეულ ხანაში ქართულ-ახლოაღმოსავლურ ურთიერთობებს. მუსიკალური მონაცემებიდან ჩანს, რომ კავკასია ოდესღაც ახლოაღმოსავლური მუსიკალური კულტურის არეალში შედიოდა და მასთან ორგანულად იყო დაკავშირებული. იმავდროულად ყალიბდება ლოკალური, კავკასიური მუსიკალური კულტურა და მისი რეგიონალური ვარიანტები. მათ შორის ერთ-ერთი მათგანი კავკასიაში მოსახლე ტომთათვის დამახასიათებელი **პოლიფონიური** აზროვნებით აღინიშნება. ზემოხსენებული მონაცემები გარკვეულწილად მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის.

რაც შეეხება ქართულ-ხმელთაშუაზღვისპირულ ურთიერთობებს, მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზმა შესაძლოა საყურადღებო შედეგები მოგვცეს (ვფიქრობ, ნათესაობის კვალი თავს იჩენს მრავალხმიანი საეკლესიო საგალობლების ჰარმონიაში, რომლის ძირები ხალხური მუსიკიდან იღებს სათავეს და ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა კვლევისათვის). ქართულ-ხმელთაშუაზღვისპირული მრავალხმიანობის ერთობის დასაბუთების შემთხვევაში, მრავალხმიანობის კერად, უეჭველია, კავკასია, კერძოდ საქართველოა საგულისხმო. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ანალიზი ქართული ხალხური სიმღერის და მისი **მრავალხმიანობის** წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების თანმიმდევრულ, უწყვეტ სურათს იძლევა, რაც უდავოდ ნიშნავს იმას, რომ ქართული ხალხური მუსიკა და მისი მრავალხმიანობის ჩამოყალიბება-განვითარება ადგილობრივ ნიადაგზე მიმდინარეობდა (13, 5-94). ნიშანდობლივია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კავკასიურ-მედიტერანული მიმართების დიდი ნაწილი, ძვ. წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე დაწყებული კავკასიური მიგრაციებით აიხსნება. პელასგები, რომელნიც ბერძნული მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით ძვ.

წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ჩნდებიან ასპარეზზე, არიან სწორედ ამ ემიგრანტთა მემკვიდრეები (8, 24). ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ქართველური ელემენტები თავს იჩენს არა მხოლოდ ეგეიდაში, არამედ ყველგან, სადაც ტრადიციის მიხედვით გავრცელებულან, მათ შორის ეტრურიაშიც, რაზეც ეტრუსკულ ენობრივ მასალაში ქართველური ტიპის კომპონენტის დადასტურება მიუთითებს (7). აქვე დავსძენ, რომ საქართველოში საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ელემენტების შემოღწევა, მაგრამ ამ პროცესში ქართველური კულტურა, **რომელიც ადგილობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული და ჩამოყალიბებული, მუდამ სუბსტრატის როლს ასრულებდა.**

მუსიკალური მონაცემები, თავის მხრივ, ხელს უწყობს კავკასიური ცივილიზაციის შესწავლას. ხალხური მუსიკა, რომლის ფესვები საძიებელია საუკუნეთა სიღრმეში, ათასწლეულების მიღმა, დამაჯერებლად ასაბუთებს კავკასიური კულტურული ერთობის უძველეს წარმომავლობას, რომლის შექმნაში არსებითი როლი შეასრულეს კავკასიის სამხრეთ და ჩრდილო კალთებზე მოსახლე ადგილობრივმა, ძირძველმა მონათესავე ტომებმა ანუ საერთო კავკასიური კულტურის, კავკასიური ცივილიზაციის აკვანს თავად კავკასია წარმოადგენს.

და ბოლოს, მუსიკალური მონაცემებით, საქართველომ და საერთოდ, კავკასიამ თავისი არსებობის მანძილზე შექმნა „ორიგინალური, თავისთავადი ნიშნების მატარებელი ცივილიზაცია, რომელიც გამოიყოფა სხვა დიდი და მცირე ცივილიზაციებისაგან".

ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი შ., ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბილისი, 1954.
2. ასლანიშვილი შ., ქართლ-კახეთის ხალხური საგუნდო სიმღერების ჰარმონია, II გამოცემა, თბილისი, 1970.
3. ბარდაველიძე – Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.
4. ბურჭულაძე რ., ზოგიერთი ძველი ეგვიპტური სამხედრო ტერმინის წარმომავლობისათვის, 2006, ხელნაწერი.
5. გალპინი – Galpin Francis W., The music of the Sumerians and their immediate successors the Babilonians and Assyrians, Cambridge et the University press. 1937.
6. გამყრელიძე, ივანოვი — Гамкрелидзе Т., Иванов Вяч. Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тбилиси, 1984.
7. გორდეზიანი რ., ეტრუსკული და ქართველური, თბილისი, 1980.
8. გორდეზიანი რ., ბერძნული ცივილიზაცია, თბილისი, 1988.
9. კიკვიძე ი., მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1976.
10. მაზელი – Мазель Л. А., О мелодии. Москва- Ленинград, 1952.

11. მაისურაძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა, თბილისი, 1971.
12. მაისურაძე ნ., ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბილისი, 1989.
13. მაისურაძე – Майсурадзе Н., Древнейшие этапы развития грузинской народной музыки, Тб., 1990.
14. მაისურაძე ნ., ქართული ხალხური მუსიკა და ეროვნული ცნობიერება // ანალები, თბილისი, 2010, №6.
15. მაისურაძე ნ., იბერიულ-კავკასიური მუსიკალური ენების შესახებ // ანალები, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბილისი, 2011, №7.
16. მამალაძე თ., შრომის სიმღერები კახეთში, თბილისი, 1963.
17. მელიქიშვილი გ., ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1970.
18. მელიქიშვილი გ., ურარტუ // ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბილისი, 1971.
19. მუსხელიშვილი დ., ქართველთა ნარმომავლობისათვის // საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 2012.
20. სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბილისი, 2003.
21. ტატიშვილი ი., ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი 3:K, თბილისი, 2009.
22. შილაკაძე მ., ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბილისი, 1970.
23. ჩიტაია გ., შესავალი // საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები. თბილისი 1980.
24. ჩიქობავა ა., ჭანურ-ლაზურ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.
25. ჩხიკვაძე გრ., ქართული ხალხური მუსიკა, თბილისი, 1965.
26. ჭოხონელიძე ე., ქართული ხალხური სიმღერა // საქართველო არის ესე, თბილისი, 2003.
27. ხაშბა – Хашба И., Абхазские народные музыкальные инструменты, Сухуми, 1979.
28. ჯავახიშვილი ი., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, II გამოცემა, თბილისი, 1990.
29. ჯანაშია ს., საზოგადოებრივი მეცნიერება საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-20 წლისთავზე // ენიმკის მოამბე, I, თბილისი, 1937.
30. ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბილისი, 1976.

NINO MAISURADZE

ABOUT THE CAUCASIAN CIVILIZATION

Summary

According to the musical and ethnological data Georgian traditional music, its polyphony is connected with Kartvelian tribes living in the Caucasus from the ancient times. In those ancient times these tribes were spread on a wide territory in the Caucasus and played a significant role in creating the common Caucasian musical culture, mainly Iberian-Caucasian musical culture. Kartvelian tribes, who had close cultural-historical relations with the Eastern as well as the Western civilization, played a significant role in formation of the Caucasian civilization.

НИНО МАИСУРАДЗЕ

О КАВКАЗСКОЙ ЦИВИЛИЗАЦИИ

Резюме

По музыкально-этнологическим данным грузинская традиционная музыка, ее **многоголосие** связано с именем исконно проживающих на Кавказе картвельских племен, которые видимо, в те древнейшие времена были расселены на обширной территории Кавказа и сыграли существенную роль в становлении общекавказской, в частности иберо-кавказской музыкальной культуры. Картвельские племена, имеющие тесные культурно-исторические связи как с восточной, так и с западной цивилизациями, внесли значительный вклад в воссоздании местной, кавказской цивилизации.

მანანა აგუთიძე

ანტონ კათალიკოსის დავითნის ისტორიული სცენების ამსახველი მინიატურების იკონოგრაფიისათვის

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული, ანტონ კათალიკოსის მეთვრამეტე საუკუნეში გადაწერილი დავითნის (ი.182)[1] სამოცდათერთმეტი მინიატურის დიდი ნაწილი ისტორიულ, ნარატიულ სცენებს წარმოადგენს და ისინი წიგნის მეორე ნახევარშია თავმოყრილი: გამოსვლის, მსაჯულნის და მეფეთა წიგნებიდან ერთ რომელიმე ეპიზოდს, ამბავს რამდენიმე სურათი ეძღვნება.

ფსალმუნის ჩვენამდე მოღწეულ ფერწერულ დეკორაციებს შორის უადრესად მეათე საუკუნის პარიზის (№139) და მეცხრე საუკუნის ხლუდოვის (№129) საყოველთაოდ ცნობილი კოდექსების მორთულობების ანტიკური არქეტიპების კვალად შემუშავებული რედაქციებია მიჩნეული, ამავე დროს კ.ვეიცმანი პარიზის ფსალმუნს (№139) მინიატურათა განვითარების თვალსაზრისით საკმაოდ გვიანდელი ეტაპის ნიმუშად განიხილავს.[2]

ქართული მასალის მიხედვით ყველაზე ადრეული დასურათებულ ფსალმუნებს შორის ჯრუჭის დავითნი (H1665) გამოდის, რომლის მინიატურები მეთხუთმეტე საუკუნით თარიღდება და რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნის ტექსტისთვისაა გამოყენებული. ისინი, თეთროსნის მეთექვსმეტე საუკუნეში ქართულად გადაწერილი ფსალმუნის (H75) დეკორაციასთან ერთად, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული დავითნის ილუსტრაციის იკონოგრაფიის ჩვენამდე მოსულ უახლოეს ქართულ პარალელს წარმოადგენს. ამასთანავე, ქრონოლოგიურად მომდევნო ხელნაწერების მორთულობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლ. შერვაშიძესა და შ. ამირანაშვილს შესაძლებლად მიაჩნიათ მათი (H1665, H75) ფერწერული პროგრამისათვის პროტოტიპის, ფუძემდებლის სტატუსის მიკუთვნება.[3] ჩვენი განსჯის საგანი პრაქტიკულად სწორედ ის მინიატურებია, რომელთა ქართულმა პროტოტიპებმაც მკვლევრებს ზემოთქმულის განცხადების საბაბი მისცა.[4]

აქედანვე ვიტყვით, რომ დავითნის კომპოზიციათა კონსტრუირებასა თუ მათი კომპონენტების შერჩევაში, როგორც ზღვა წვეთში, ისე აისახა თემატურად მსგავსი თუ განსხვავებული ილუსტრაციების სქემების ელინისტური ფესვებით ნასაზრდოები მზა, აპრობირებული ელემენტებით აგების ქრისტიანულ ხელოვნებაში დამკვიდრებული ტრადიცია. ფსალმუნის დეკორაციის თითქოს ნაკლებად შეზღუდულ იკონოგრაფიაში „შეზღუდული“

კანონიკური სქემების ელემენტები ისეა ჩართული, რომ ახალ მიზანსცენაში არც ისე ადვილია მათი ამოცნობა. ამიტომ საინტერესოა, კომპოზიციათა სქემების თუ მათი შემადგენელი ნაწილების თავისებურებების თვალსაზრისით სად მიგვიყვანს ანტონ პირველის და მისი დედის, დედოფალ ელენეს ხელდასხმული კოდექსის მინიატურები.

ისტორიული სიუჟეტის მქონე სრულფორმატიან მინიატურთა რიგს[5], თუ შეიძლება ასე ითქვას, ხსნის ორმოცდამეათე, ბერსაბეს და ჰურიას მიმართ დავითის ჩადენილი „უსჯულოებას“ ნათან წინასწარმეტყველის მიერ მხილების ფსალმუნის ილუსტრაცია (77v): ეს კომპოზიცია (ტაბ.1) ყველგან ფსალმუნთა დეკორაციის განუყოფელი ატრიბუტია; დავითი იერუსალიმის კედლის ფონზე ტახტზეა წარმოდგენილი, მის წინ ნათანის, მეფის ტახტს უკან ხმალამოწვდილი ანგელოზის, ტახტზე მჯდომ მეფესა და ნათანს შორის კი, ისევე დავითის გამოსახულებაა, ოღონდ იატაკზე გართხმულის, ბიზანტიის იმპერატორ ლევ მეექვსეს პოზაში აიასოფიას ცნობილი მოზაიკიდან. როგორც აღვნიშნეთ, „ქართულ ვარიანტში“ მეფის ტახტის უკან უფლის ანგელოზის გამოსახულებაა, ბიზანტიურში კი, მაგ. პარიზის ფსალმუნის (№139) კომპოზიციაში, მეოთხე ფიგურა მონანიების ალეგორიაა ჩაფიქრებული ყმაწვილის სახით, თუმცა კომპოზიციის პროტოტიპად, ოღონდ ზუსტად ანგელოზის ფიგურით, მეცხრე საუკუნის გრიგოლის ომილიუმის (№510) იგივე „ყვედრება“ ან ვატიკანის მეათე საუკუნის იესო ნავეს გრაგნილის (№431) „იერიქონის კედელთან გამოცხადებაც“ თავისუფლად შეიძლება გამომდგარიყო (ტაბ.2), რომ არაფერი ვთქვათ მაკედონური წიგნის პალეოლოგოსურ ასლებსა თუ საკუთრივ პალეოლოგოსურ პროდუქციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნების მუზეუმის დავითნის მინიატურების „მეორეხარისხოვან“ პერსონაჟთა „წინაპრებიც“ აღმოჩნდნენ მაკედონური ხელნაწერების მორთულობაში: ივდითისა და ოლოფორნეს შეხვედრის ეპიზოდში (126r) მხედართმთავრის კარვიდან ახალგაზრდა მებრძოლი იცქირება (ტაბ.3), ზუსტად ისე, როგორც სვეტს ამოფარებული გოგონა-ალეგორია (ტაბ.4) ლირაზე დამკვრელი დავითის ამსახველ პარიზულ (№139) მინიატურაში.



ტაბ. 1. ნათანის ყვედრება

ორმოცდამეთექვსმეტე ფსალმუნის აღვლენის მიზეზზე მოგვითხრობს მინიატურა (84r), რომელიც დავითს და მის შესაპყრობად წამოსულ საულს წარმოგვიდგენს მხლებლებითურთ (ტაბ.5), ოცდამეცხრამეტე (84v) კი მტრის-

ტაბ. 2. გამოცხადება იერიქონის კედელთან (№431), X ს.

გან „ქუაბსა შინა“ დამალულ წინასწარმეტყველს (ტაბ.6). მინიატურათა ეს წყვილი (84r.v) ერთმანეთის მიყოლებითაა ჩართული ტექსტში. მათი სქემების შეერთების შემთხვევაში დავითის ქვაბი ბეთლემის გამოქვაბულად, მდევრები და დევნილი კი, „შობიდან“ მოგვების და ანგელოზის ჯგუფის სქემად წარმოგვიდგება. დავითის გამოქვაბულში ლოცვის სცენამ არ შეიძლება არ გაგვახსენოს მაცხოვრის ბარძიმზე ვედრების კომპოზიცია, რომელიც თავის მხრივ, ასევე, შობის კომპოზიციის ერთ-ერთი კომპონენტის სქემის ვარიაცია უნდა იყოს. ანტონის დავითნის ამ ილუსტრაციების (84r,v) თუ ზოგადად მისი დეკორაციის რედაქციის წყაროდ ჩამოყალიბებული სქემების თუ მათი ფრაგმენტების გამოყენება შუა საუკუნეების აღმოსავლურ-ქრისტიანული, თუნდაც ქართული ხელოვნების სპეციფიკის პირობებში სავსებით ლოგიკურია: საულისა და დავითის ჯავშანი, ისე, როგორც სხვა „მაღალჩინოსანი“ მეომარი პერსონაჟებისა, ტიპურია მაკედონური მინიატურებისათვის და აშკარად ფარაონის საბრძოლო პერანგს (ტაბ.7) მოგვაგონებს პარიზის ფსალმუნის (№139) თუ მისი გვიანდელი ასლების მინიატურებიდან. ვფიქრობთ, ეს დეტალიც, ბიზანტიურ ფსალმუნში (№139) ჩართული, ანტიკური ტრადი-

ტაბ. 3. ოლოფორნე, მინიატურის ფრაგმენტი

ციისადმი ხარკის გამოელინებად აღქმულ[6] სვეტს ამოფარებულ გოგონა-ალეგორიის ფიგურის ოლოფორნეს კარვიდან მომზირალ ყმაწვილად ტრანსფორმაციის (126r) გვერდით, ქართულ ფსალმუნთა ისტორიულ სიუჟეტებზე შესრულებულ მინიატურათა პროგრამის ბიზანტიური ტრადიციით და კერძოდ, მაკედონელთა ეპოქის ხელოვნების გავლენით აღბეჭდილ ნიმუშებთან კავშირის არცთუ ორაზროვანი ნიშანი უნდა იყოს.



ტაბ. 4. ალეგორია, მინიატურის ფრაგმენტი (№139), XIს.

ასურელებთან ომის ეპიზოდი (91r) ამხედრებული დავითის მიერ ცხენიანად ძირს დანარცხებული მონინააღმდეგის შუბით განგმირვის სურათს გვიხატავს. ლ.შერვაშიძეს, ჩვენი აზრით სრულიად სამართლიანად, ამ სცენის ერთ-ერთ პარალელად წმინდა გიორგის მიერ დიოკლეტიანეს მოკვლის პოპულარული კომპოზიცია მიაჩნია[7], რასაც მის წინ, 87-ე ფურცელზე, ორმოცდამეჩვიდმეტე ფსალმუნისათვის შესრულებული მინიატურაც (87r) მოწმობს: მასზე ასპიტია დახატული, რომელიც ქართულ ფსალმუნთა ილუსტრაციებისათვის (H1665, H75) ჩვეული, ასტრონომიული ტრაქტატის (A65) კირჩხიბისებური არსება არ არის. იგი უფრო წმ.გიორგის თუ ედემის ფრთოსანი გველეშაპია და მისი გამოჩენა მუზეუმის დავითნის მოხატულობის პროგრამაში ისევ და ისევ ამ პროგრამის ფორმირებისას გარკვეული სცენების კომპონენტების გამოყენების, ვარირების თუ სინთეზის

ტაბ. 5. დავითის მდევრები.



ტაბ. 6. მოსე და მისი ერი (№139), XIს.



ტაბ. 7. მელქოლის ნაყვანა

პრაქტიკას უკავშირდება და ცხადყოფს ასპიტი-კირჩხიბის გველეშაპად გარდაქმნის ლოგიკას.[8]

დავითის მიერ ფილისტიმელებზე გამარჯვების შემდეგ მელქოლის ცოლად ნაყვანის ამბავს ასახავს ორმოცდამეერთე მინიატურა (87v): დავითს და მის მხლებელ შუბოსნებს სახლიდან საულის ასული – მელქოლი გამოჰყავთ (ტაბ.8). საულის სასახლე კოშკიანი გალავნის სახითაა დახატული და მთელი სცენა აშკარად პარიზის ფსალმუნის (№139) იონას ლოცვის ამსახველი მინიატურის ელემენტის, უფრო ზუსტად კი, ამ კომპოზიციური ელემენტით ნასაზრდოები სახარებისეული „იერუსალიმში შესვლის“ ვარიაციაა.

ზემოთქმული, ქრისტიანთა კანონიკური ტექსტების საილუსტრაციოდ, ბიბლიისათვის შემუშავებული წინა-



ტაბ. 8. ფარაონის ჯარის დანთქმა, დურა-ევროპოსი, III ს.

ქრისტიანული ეპოქის და შესაბამისად ელინისტური ხელოვნების ნიმუშებისგან დავალებული[9], საზიარო სქემების გამოყენებაზე მიუთითებს.

სამოცდამეჩვიდმეტე, ასაფის ფსალმუნებში გამკრთალ ბიბლიის ეპიზოდებს, ისრაელის ერის და მისი წინამძღოლის განვლილი გზის საკვანძო მომენტებს, ეგვიპტიდან გამოსვლისა და ფარაონის არმიის დაღუპვის ამბავს ასახავს ორმოცდამერვე (121r) და ორმოცდამეცხრე (121v) მინიატურები, რომელთა სიუჟეტები სინის მთის ფონზე ვითარდება. ზღვის ნაპირას კვერთხით ხელში მდგარი მოსეს დახვეწილ, ნატიფ ფიგურაში (121r) პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის სახელგანთქმული ხელნაწერების – №№139-ისა და 510-ის – მინიატურებისეული წინასწარმეტყველის ხატი გამოსჭვივის. (სქემის დონეზე ათონის ვატოპედის მონასტრის №760 ხელნაწერის ზღვის გადალახვის სცენაში ჩართული გამოსახულებაც ეხმიანება ორმოცდამერვე (121r) მინიატურის პერსონაჟს.).

ტაბ. 9. ივდითის ისტორია (№1), X ს.

ორმოცდამეცხრე მინიატურაზე (121v) წყლების დამტკბობი მოსე და სინის მთასთან დაბანაკებული მისი ერია წარმოდგენილი. სინის მთა ორივე მინიატურაზე, ჩვეულებრივ, „პალეოლოგოსური“ სამი მწვერვალის სახითაა გადმოცემული, რომლებიც ყველგან (და ისინი ოთხ მინიატურზეა აღბეჭდილი) ეკატერინეს მონას-

ტაბ. 10. სისარას სიკვდილი

ტერთან ერთადაა შესრულებული.

რა თქმა უნდა, მუზეუმის კოდექსის სინის იმ მწვერვალის, ანუ ქორების მთის გამოსახულება, სადაც მოსეს უფალმა ათი მცნების ფიქალები გადასცა, სწორედ ამ სცენიდან, სამი მასივის კი, ფერისცვალების კომპოზიციიდან არის ნასესხები[10]. მოსესა და მისი ერის მიერ მეწამული ზღვის გადალახვის ამსახველი მინიატურა, ბუნებრივია, რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. ესენია: სინის მთა (თავისი მონასტრით), კლდის მასივი მასზე შეფენილი ისრაელნით, ზღვა და მისი ციცაბო ნაპირი. მოსკოვის ისტორიის მუზეუმის გრიგოლ ნაზიანზელის თხზულების (№61) მეთერთმეტე საუკუნის მინიატურა ზუსტად ამგვარად წარმოგვიდგენს ისრაელთა ნათლობის სცენას იორდანეში, გაცილებით ადრე კი, ფარაონის ზღვაში დაღუპვის მსგავსი რედაქცია სანტა მარია მაჯორეს სატრიუმფო თაღის მეხუთე საუკუნის მონუმენტურ დეკორაციაში გვხვდება. სხვათა შორის, სანტა მარია მაჯორეს სატრიუმფო თაღის მოზაიკური მორთულობის ნიმუშად ვ. ლაზარევს და არა მარტო მას, სწორედ მინიატურა მიაჩნია. ამით ხსნის ის საკმაოდ მაღლა შესრულებული მოზაიკური მორთულობის არამონუმენტურ ხასიათს[11]. იგივეს, ანუ მინიატურებთან კავშირს ამჟღავნებს დურა-ევროპოსის მესამე საუკუნის ფრესკებიც და ამავე კომპოზიციის ერთ-ერთი ადრეული ვარიანტიც სწორედ იქაა აღმოჩენილი, ანუ ადრექრისტიანული ნიმუშებიდან ამოზრდილ ხატმებრძოლების შემდგომი პერიოდის ხელოვნებასთან ქართული ხელნაწერის დავითნის ამ ილუსტრაციის კავშირი საეჭვო ნამდვილად არ არის.

ანტონის კოდექსის ხსენებულ (121r.v) და კიდევ ორ მინიატურაში (207r, 223v) სინის მთის ეკატერინეს მონასტერი გვიანანტიკური ნიმუშებიდან დამკვიდრებული წახნაგოვანი კონფიგურაციის გალავნის მქონე ქალაქის თუ სოფლის პანორამული ხედის სახითაა შესრულებული; კომპოზიციათა ეს კომპონენტი ასოცდამეექვსე გვერდზე დაწერილი იერუსალიმის, ზოგადად კი ქალაქის თუ დასახლების „გადიდებულ კადრს“ წარმოადგენს (126v). ის ივდითის ეპიზოდების ამსახველი ოთხი მინიატურიდან ერთ-ერთია. ეს უკანასკნელი თავისი მეცხოვნეებით, ოლოფორნეს და ივდითის სცენებთან ერთად, ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცული, დედოფალ ქრისტინეს მეათე საუკუნის ფსალმუნის (Reg. №1) ერთი მინიატურის (ტაბ.9) შემადგენელი ნაწილიცაა.

ტაბ. 11. აბიმელიქის გამეფება.

ხელნაწერში მაკედონური ხელოვნების „დონორი“ ნიმუში ცალ-ცალკე სურათებადაა დაშლილი და დამატებული აქვს კომპონენტები. მაგ. უკანა პლანის შუბოსნების გუნდი, რომელიც თუნდაც ამბროზიანას ილიადას (F205 inf) თუ რომის ვია ლათინას კატაკომბის გვიანანტიკური ფერწერული მორთულობის მემკვიდრეა, რომ არაფერი ვთქვათ შუბოსნებზე ისევ იესო ნავეს ძის გრაგნილის (№431) ან პარიზის ფსალმუნის (№139) მოხატულობებიდან. ქალაქის ხედის თუ თვით ივდითისა და ოლოფორნეს ეპიზოდების გარდა, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ცალ-ცალკე სურათებადაა (126r.v; 128r.v) შესრულებული, ვატიკანის ექსპონატის (Reg. №1) ილუსტრაციის კიდევ ერთმა – ომის – „კადრმა“ მონათესავე სიუჟეტის მქონე სისარას მოკვლის (133v) კომპოზიციაში (ტაბ.10) გადაინაცვლა. ის, როგორც იაელის ეპიზოდის (133v), ისე კათალიკოსის წიგნის კიდევ რამდენიმე მინიატურის კომპონენტადაც (25v; 91r,v; 112v...) ფიგურირებს.

დავითნის მხატვარი მიყვება ადამიანთა კრებულის ერთ მონოლითად გადმოცემის ელინისტურ-ბიზანტიურ ტრადიციას. ამგვარი „მონოლითის“ დახვეწილ მაგალითს წინასწარმეტყველ დებორას წინაშე თავმოყრილი ერის ჯგუფი, იმ კომპოზიციის (133r) ელემენტი წარმოადგენს, რომელიც ქრონოლოგიურად და მუზეუმის კოდექსშიც იაელის მიერ სისარას დასჯის ამსახველ მინიატურას უსწრებს წინ.

სამოცდამეორე მინიატურა (175r), რომელზეც აბიმელიქის გამეფებაა შესრულებული, მეათე საუკუნის იესო ნავეს ძის გრაგნილის (№431), ე.წ. მესამე ზოლის ბიბლიური ეპიზოდის სქემას ეყრდნობა. არმია და მხედართმთავრის წინაშე წარმდგარი ადამიანები ამ ელინისტური ხელოვნებით აღბეჭდილი ნიმუშიდან სიკიმელების ჯგუფად, იესო ნავეს ძე აბიმელიქად, ხოლო მთის ალეგორია, წამოწოლილი ყრმა, დამალულ იოათარად ტრანსფორმირდა (ტაბ.11).[12] მსგავსი ტრანსფორმაცია ქართულ ხელნაწერებზე (ი. 182. 1665, 1175...) გაცილებით ადრე, მაკედონური და პოსტმაკედონური ეპოქის მინიატურებში გამოვლინდა; მაგალითად ვატიკანის ლეო პატრიკიოსის (№1) და სტამბოლის სერალის ბიბლიოთეკის (№8) კოდექსების თუ ვატოპედის ფსალმუნთა (№№760, 761) მინიატურებიც გამოდგება[13]. ეს ფაქტიც, ზოგადად

ქართული და კერძოდ – ანტონის ფსალმუნის ფერწერული მორთულობის ავტორის პრიორიტეტზე – აღმოსავლურ ქრისტიანულ მხატვრულ ტრადიციაზე უნდა მეტყველებდეს. ზოგადად იმიტომ, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დავითნის ისტორიულ სიუჟეტებზე შესრულებული მინიატურების უმრავლესობას და მათი უშუალო წინამორბედების – H1665-ის, H75-ის – თუ H913-ის კომპოზიციებს საზიარო სქემები აქვს,[14] თუმცა, სტილური თვალსაზრისით, მუზეუმის და ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპონატების ილუსტრაციები აშკარად განსხვავებულია[15].

სამოცდამეხუთე მინიატურა (207v) ასოცდამეთექვსმეტე ფსალმუნის ილუსტრაციაა: „...ძეწნთა ზედა შორის მისსა მუნ დავჰკიდენით საგალობელნი ჩუენნი..."

დიაგონალურად მიმართული „მდინარე ბაბილონისაჲ" კომპოზიციის ყველა სხვა ელემენტის ორიენტირია. მის გასწვრივ ორ რიგად კომპოზიციის კომპონენტები – („პალეოლოგოსური") ბუჩქით ერთმანეთისაგან გაყოფილი სამი ყრმა და მათი ამდენივე „წარმყუანებელია" წარმოდგენილი. (ასევე პალეოლოგოსურ) ხეზე საკრავები ჰკიდია.

ყველაფერი, რაც ფსალმუნთა (H1665) პოსტპალეოლოგოსურ, ჩვენთვის ცნობილ ქართულ მინიატურებში ბრტყელია, მუზეუმის დავითნში მოცულობას იძენს და სივრცეს წარმოშობს. აქ მიწა ტერასული მდელოს სახითაა დახატული. უსწორმასწორო ლანდშაფტის გადმოცემის მსგავსი ხერხი, ნიადაგის ამობურცულობის მიმანიშნებელ კონტურზე გაყოლებული ჩრდილის ხაზი, გვხვდება, როგორც X-XIსს-ის ბიზანტიურ (მაგ., ბასილ II-ის ფსალმუნში (N17) ვენეციიდან), ასევე, გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ძეგლებში – ანჩისხატის (A30-32) და ყანჩაეთის (H1452) გულანების ფერწერულ დეკორაციაში. რაც შეეხება ლურჯ ფონს, ის აშკარა ანტიკური რემინისცენციაა (ms gr.510) და არაა უცხო ქართული ხელოვნებისათვის. მაგალითისათვის ადრეული (IXს.) ადიშის სახარებისა და გვიანდელი (XVს.) ზატიკის (A25) თუ (XVIს.) თეთროსნის მონასტრის ფსალმუნის (H75) მოხატულობის გახსენებაც კმარა.

აბიმელიქის ჭკუისსასწავლებელი ხვედრის ამსახველ სცენასთან (175v) დაკავშირებით, კვლავ ვატიკანის სახელგანთქმული ხელნაწერის (№431) მინიატურის გახსენება მოგვიწევს: „აქარის ჩაქოლვის" დიაგონალურად მიმართული კომპონენტებით შედგენილი კომპოზიციისგან „დავალებული" აღმოჩნდა 91-ე ფურცელზე შესრულებული მინიატურაც, რომლის ციხის გამოსახულებასაც მხატვარმა შუაში კონუსური სახურავით დაგვირგვინებული გოდოლი დაუმატა, ხოლო მისი სარკმლიდან გადმომდგარმა ქალმა აბიმელიქს ლოდი მოახვედრა თავში.

სამყაროს შექმნის მრავალკომპონენტიანი სცენა მუზეუმის კოდექსის რამდენიმე მინიატურის კომპოზიციის წყაროდ გვევლინება: მესამოცე და სამოცდამეერთე (160r,v) მინიატურები სწორედ „სოფლისა შესაქმისათვის" აღვლენილ ფსალმუნს ერთვის. აქ გამოსახული ცხოველები და ფრინველები უფლისა და ანგელოზთა 219-ე ფურცელზე დაწერილ ფიგურებთან ერ-

თად ხსენებული დიდი კომპოზიციის ელემენტები და მათი სასურველ ილუსტრაციებად გამოყენების საუკუნეების განმავლობაში აპრობირებული პრაქტიკის კიდევ ერთი მაგალითია.

პერსონაჟების ტანსაცმელს დავითნის დეკორაციიდან ოქროს შტრიხები და სხივები გასდევს: პოსტმაკედონურ და ზოგადად პოსტბიზანტიურ ხელოვნებაში გადმოსული და მიღებული – ფიგურათა ოქროს სხივებით დაფარვის ტრადიცია, რომელიც პირველად მეთერთმეტე საუკუნეში სტუდიოსის მონასტრის სამხატვრო სკოლის ნიმუშებში ჩნდება[16], გვგონია, ხელოვნების მუზეუმის დავითნის მინიატურებისათვის შერჩეული ნიმუშების კონსტანტინოპოლურ წარმოშობაზე ასევე უნდა მიუთითებდეს. მეთერთმეტე საუკუნის მცირეფორმატიანი მინიატურის სპეციფიკა ქართული ფსალმუნის კომპოზიციათა კომპონენტებზეც აისახა. სრულფორმატიანი მინიატურების პირობაზე მათი მასშტაბი შესამჩნევად პატარაა და ამ ფაქტმა ისინი კრიტიკის საგნადაც კი აქცია[17]: ნახევარ და „მთელგვერდიანი" მინიატურების ფიგურები ზომით თითქმის ერთნაირია, – ადეკვატურად კი, მხოლოდ ანტურაჟის და ფონის ელემენტები თუ იზრდება.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დავითნის მინიატურათა ეპითეტად მკვლევრები ხშირად იყენებენ სიტყვებს: „გამონაკლისი", „უჩვეულო", „მორთულობის განცალკევებული რედაქცია"[18] და სხვა. არადა, მათი შესწავლის პროცესში არაერთხელ მოგვინია გაგვემეორებინა: „რაც გამონაკლისს არ წარმოადგენს", „შუა საუკუნეებში აპრობირებული" და ა.შ., რადგან ჩვენი კვლევის საგანმა, ამ დავითნის დეკორაციის პროგრამამ, ცხადყო იკონოგრაფიულ სქემათა ჩამოყალიბების შუა საუკუნეებში მიღებული პრინციპი, როდესაც რომელიმე კომპოზიციის ანტიკური, ელინისტური ფორმებით და სახეებით შთაგონებული კომპონენტების კომბინაცია ახლის შექმნის, ხოლო ბიბლიის უძველესი ილუსტრაციების თუ ანტიკური მხატვრული სახეების ინტერპრეტაცია ქრისტიანული ხელოვნების კანონიკის საფუძველი გამხდარა[19]. მხედველობაში გვაქვს რომელიმე კომპოზიციის ერთი ან მეტი კომპონენტის (ფიგურის, მათი ჯგუფის, არქიტექტურული ფონის ან დეტალების, ლანდშაფტის, სამოსის თუ აქსესუარების) სხვა კომპოზიციაში გარდამავლობის თუ გამეორების პრინციპი, აგრეთვე, სხვადასხვა ლიტერატურული წყაროს მსგავსი შინაარსის ეპიზოდების ამსახველი სცენების ნაწილობრივი და ზოგჯერ სრული იდენტურობის შემთხვევები, რაც ამ წიგნის დეკორაციაში ასევე მრავლადაა: (მაგალითად) სინის სამი მთის გამოსახულება კოდექსის ოთხ მინიატურაში გვხვდება. აქედან სამში იგი დიდი კომპოზიციის ერთ-ერთი კომპონენტია, ერთში (223v) კი – წმ. ეკატერინეს მონასტერთან ერთად – ცალკე სურათი. ფარაონის ზღვაში „დანთქმული ერი" სამოცდამეჩვიდმეტე ფსალმუნის ილუსტრაციის მარჯვენა ნაწილია, სამოცდამეათე მინიატურაში კი – დამოუკიდებელი კომპოზიცია. არავითარი განსხვავება არაა თავმოკვეთილი, ნახევრადწაქცეული გოლიათისა (222v) და სარეცელზე წამოწოლილი სისარას (133v) ფიგურებს შორის, ხოლო დავითის ზეთის ცხების კომპოზიცია (221r), გასაგებია, რომ ნათლისღების თარგზეა

მოჭრილი.[20] იდენტურია დავითისა და აბიმელიქის, ივდითისა და იაელის მხლებლების სახეები, ასევე, პილატესა (28r) და ოლოფორნეს (126r) პოზა თუ ჟესტი, რომ არაფერი ვთქვათ „იერუსალიმში შესვლის“, ანუ H1665-ისა თუ H75-ის ილუსტრაციებიდან დავითის გაპარვის ოდნავ შეცვლილი მიზანსცენის, საულის ასულის წაყვანის კომპოზიციის სქემად (87v) გამოყენების თაობაზე.

ასე რომ, ისტორიული სცენების ამსახველი მინიატურების იკონოგრაფიულ პროგრამას მუზეუმის დავითნის და შესაბამისად – ქართულ ფსალმუნთა ერთი ჯგუფის (H1665, H75, H913) მორთულობიდან საფუძვლად IX-XI სს-ის ბიზანტიური ძეგლების, გრიგოლ ნაზიანზელის კრებულის (№510), იესო ნავეს ძის გრაგნილის (№431) თუ პარიზის ფსალმუნის (№139) ფერწერული დეკორაციის პრინციპები და ელემენტები, აგრეთვე სტუდიოსის მონასტრის მხატვრული სკოლის ნიმუშები ან მათი გავლენით შექმნილი ნაწარმოებები დაედო და ამდენად მისი „გამონაკლის“ ან „უჩვეულო“ რედაქციად განხილვა, ვფიქრობთ, გამართლებული არ უნდა იყოს.

ლიტერატურა:

1. მ. აბუთიძე, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული დავითნის (ი.182) შემკვეთთა გამო, საქართველოს სიძველენი, №9, 2006, თბილისი, 129-135.
2. Weitzmann K., The Ode Pictures of Aristocratic Psalted Recension, Bizantine Liturgical Psalters and Gospels, London, Variorum Reprints, 1980, 67-84.
3. Шервашидзе Л. А., О грузинской светской миниатюре, Тбилиси, Мецниереба, 1964, 145.
4. Амиранашвили Ш. Я., Грузинская миниатюра, Москва, Искусство, 1966, 12-46.
5. სრულფორმატიანობის ცნებაში ვგულისხმობთ ილუსტრაციის უტექსტო გვერდზე მოთავსების ფაქტს და არა მაინცადამაინც ზომას, რადგან ზოგჯერ კოდექსის (ი.182) ტექსტში ჩართული მინიატურა ზომით არც კი ჩამოუვარდება ე.წ. სრულფორმატიანს. აქვე შევნიშნავთ, რომ ხელოვნების მუზეუმის დავითნის (ი.182) ილუსტრაციების გარკვეული ნაწილი ნახევარფორმატიანი ან მათზე ოდნავ მეტი თუ ნაკლები ზომისაა. მათ შორის ხუთი – აბესალომთან ბრძოლისა (25v) და მისი სიკვდილის (6v), აგრეთვე დავითისა და გოლიათის შერკინების ორი ეპიზოდის (221v, 222r) და ზეთის ცხების (221r) კომპოზიცია – თემატურად – სრულფორმატიანი ისტორიული სცენების ამსახველი მინიატურების რიგის წარმომადგენელია. თვით დავითის ორი და ფსალმუნნის სხვა ავტორების ხატები სრულფორმატიან მინიატურებადაა ჩართული ტექსტში.
6. Weitzmann K .,The Classical in Byzantine Art, Studies in Classical and Byzantine Manuscript Illumination, Chicago and London, the University of Chicago, 1971, 151-175. 4
7. Шервашидзе Л. А., О грузинской ...
8. მხატვარს ასევე შეეძლო უშუალოდ ფსალმუნის ტექსტით ესარგებლა და ასპიტი ადეკვატურად გამოესახა.

9. Weitzmann K., The Ode ...
10. Талбот Райс Д ., Три синайских горы, сб. ст., Византия, Южные Славяне и Древняя Русь, Западная Европа, Москва, Наука, 1973, 172-178.
11. Лазарев В. Н ., История византийской живописи, Москва, искусство, 1986, 53-122.
12. ამ კომპოზიციის მონათესავე თემის, სახარებისეული „ჩვილთა ჟლეტის" სქემაც ანალოგიურია.
13. Weitzmann K., The Character and Intellectual Origins of the Macedonian Renaissance, Studies in Classical and Byzantine Manuscript Illumination, Chicago and London, the University of Chicago, 1971. 176-223.
14. მთისა და მისი ალეგორიის ელინისტური „კომპოზიტის" ინტერპრეტაცია, ამ სრულფორმატიანი მინიატურის გარდა, დავითნის (ი.182) ოცდამერვე ფსალმუნის ნახევარფორმატიან ილუსტრაციაშიც გვხვდება არარატისა და მასზე დადგმული კიდობნის სახით. უნდა ითქვას, რომ მთა, ოღონდ სინის, მასზე წმ.ეკატერინეს ნეშტის „კიდობნითა" და წყვილი ანგელოზის გამოსახულებით გვხვდება დასავლურ იკონოგრაფიაში და მისი მაგალითი ტალბოტ რაისის მიერ გამოქვეყნებულ უ.ბლანტის კოლექციის XVI საუკუნის ხატზეა აღბეჭდილი (იხ. შენიშვნა №10).
15. მ.აბუთიძე, კათოლიკოს ანტონ პირველის დავითნის მინიატურათა სტილური თავისებურებების შესახებ, რელიგია, №3, თბილისი, 2009, 99-107.
16. Вздорнов Г.И., Исследование о Киевской Псалтири, Москва, Искусство, 1978, 9-72 .
17. Шервашидзе Л. А., О грузинской ...
18. Амиранашвили Ш. Я., Грузинская ...
19. Weitzmann K.. The Illustration of the Septuagint, Studies in Classical and Byzantine Manuscript Illumination, Chicago and London, the University of Chicago, 1971, 45-75.
20. IX საუკუნის მაკედონურ კოდექსში, გრიგოლ ნაზიანზელის ომილიუმში (№510) ზეთის ცხების კომპოზიცია სამფრიზიანი მინიატურის ნაწილია, რეგისტრს ანუ ფორმატის ნახევარს მოიცავს ის ანტონის დავითნშიც (ი.182).

MANANA ABUTIDZE

TO THE ICONOGRAPHY OF MINIATURES REFLECTING HISTORICAL SCENES OF THE ANTHONY'S PSALTER

Summary

The mechanism of formation of compositions reflecting historical scenes of the Anthony's Psalter exhibits the same tendency, which was generally characteristic for the process of development and formation of certain (medieval) iconographical schemes. We imply the principle of transitivity or reiteration of one or more components (a figure, group of figures, architectural background or details, landscape or other elements) of some composition of the manuscript (ი. 182) into another one, as well as the cases of partial or sometimes complete identity of the scenes, reflecting episodes of similar content and inclusion of so-called shared variants from the illustrations (schemes) of the Psalter or other literary sources, into the decoration, etc.

The practice of the author of decorating programme of the museum Psalter (ი. 182) and one group of Georgian Psalters (H1665, H75, H913), correspondingly, to combine particular parts cut out from different scenes into a single picture, and vice versa – to divide a scene into several compositions, on the way of searching prototypes of the miniatures (of ი. 182) or their constituent components, considering led us to the Byzantine monuments of IX-XI centuries. We mean the collection of Gregory of Nazianzus, the scroll of Joshua, the Parisian Psalter, the samples of Studios monastery's art school or the works made under their influence. Thus, we think that consideration of pictorial program of miniatures reflecting historical scenes of the Anthony's Psalter (ი.182) as of "exclisive" or "unusual" redaction, as it was supposed before, can't be excused.

МАНАНА АБУТИДЗЕ

К ИКОНОГРАФИИ МИНИАТЮР, ОТОБРАЖАЮЩИХ ИСТОРИЧЕСКИЕ СЦЕНЫ ИЗ ПСАЛТЫРИ АНТОНА КАТОЛИКОСА

Резюме

Механизм формирования композиций, отображающих исторические сцены из Псалтыри Антона Католикоса обнаруживает ту же тенденцию, которая в общем была характерна для процесса разработки и формирования отдельных (средневековых) иконографических схем. Мы подразумеваем под этим принцип перехода одного или более компонентов (фигуры, группы фигур, архитектурного фона или деталей, ландшафта или других элементов) какой-либо композиции рукописи (ი.182) в другую композицию или их повторения, а также случаи частичной, а иногда и полной идентичности сцен, отображающих эпизоды схожего содержания, также включение в оформление т.н. единых (общих) вариантов иллюстраций (схем) псалтыри и других литературных источников и т.д.

Практика объединения в одну картину отдельных частей, вырезанных из различных сцен автором программы декорации музейной рукописи (ი.182) и, соответственно, одной группы грузинских псалтырей (H1665, H75, H913), и наоборот, разделения одной сцены на несколько композиций, на пути поиска прототипов миниатюр ი.182 или их составных компонентов, привела нас к византийским памятникам IX-XI века: подразумевается сборник Григория Назианзина, манускрипт сына Иисуса Навина, Парижская псалтырь или образцы художественной школы монастыря Студиоса, либо творения, созданные под их влиянием. Таким образом, мы думаем, что рассмотрение живописной программы миниатюр, отображающих исторические сцены Псалтыри Антона Католикоса (ი.182) как «исключительной» или «необычной» редакции, как это делалось до сих пор, не может быть оправдано.

გოჩა საითიძე, იზა აღლაძე

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური გუსტავ რადე ქალაქ ართვინისა და მისი შემოგარენის შესახებ (1893 წ.)

XIX ს-ის 20-70-იან წლებში წარმოებული რამდენიმე ომის შედეგად, რუსეთის იმპერიამ ოსმალეთს წაართვა და შეიერთა ამ უკანასკნელის მიერ XVI ს-ის მეორე ნახევარში დაპყრობილი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი კუთხის – მესხეთის რამდენიმე პროვინცია: სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, აჭარა, არტაანი და ტაოს ნაწილი – ოლთისი. XVI-XIX სს-ში, სანამ აღნიშნული პროვინციები ბრწყინვალე პორტას შემადგენლობაში შედიოდა, მათი აღწერა მსოფლიოს მეცნიერთაგან თითქმის არავის უწარმოებია, თუ არ ჩავთვლით გამოჩენილ თურქ მოგზაურსა და მკვლევარს ევლია ჩელების, რომელმაც რეგიონში XVII ს-ის პირველ ნახევარში იმოგზაურა და თავისი მოგზაურობის აღწერილობაც დაგვიტოვა.

რაც შეეხება ქართველ მეცნიერებს, ამ უკანასკნელთ საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ისტორიული ტერიტორიების შესწავლის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მესხეთის შესახებ ინფორმაცია მოეპოვება ვახუშტი ბაგრატიონს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მას სამხრეთ საქართველოში პირადად არ უმოგზაურია და მხოლოდ ინფორმატორებისაგან მოწოდებულ გადაუმოწმებელ ცნობებს ეყრდნობოდა. XIX ს-ის პირველ ნახევარში ლაზური ენის თაობაზე სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა გერმანელმა ენათმეცნიერმა, დოქტორმა გეორგ როზენმა. მის გარდა, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქართული პროვინციების შესახებ ცნობები მოეპოვება კიდევ ერთ გერმანელ მეცნიერს – კარლ კოხს.

XIX ს-ის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების პირველ ნახევარში გაზეთ „დროებასა" და ჟურნალ „ცისკარში" იბეჭდებოდა პუბლიკაციები „ოსმალოს საქართველოს" თემატიკაზე. ძირითადად, ეს იყო ინფორმაციები სამცხეში, აჭარასა და ლაზისტანში ოსმალეთის ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო მოძრაობის შესახებ. რამდენიმე სტატიაში აღწერილი იყო ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველების ყოფა, იქაური ხუროთმოძღვრული ძეგლები და ა. შ. მაგალითისთვის დავასახელებდით გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის პუბლიკაციას „ცნობანი ოსმალოს საქართველოზე" [2, 134-137].

1877 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი დაიწყო. ომისწინა პერიოდში, 1874 წელს, ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული

სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აჭარაში, შავშეთ-იმერხევსა და კლარჯეთში რუსეთის მთავრობის დავალებით დაზვერვითი მიზნით იმოგზაურა, აღნიშნული რეგიონი აღწერა და შემდგომ თავისი მოგზაურობის დღიური სახელწოდებით „სამი თვე თურქეთის საქართველოში" რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველმა სამხედრო და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ყაზბეგმა.

გარდა ამისა, 70-იან წლებში ცნობილ დასავლეთევროპულ, გერმანულენოვან, სამეცნიერო ჟურნალებში ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, დაიბეჭდა ორი სტატია – უცნობი ავტორის „თურქეთის საქართველო" (ჟურნ. „Das Ausland", 1873, N 37, გვ. 737-739) და ავსტრიელი მწერლის, მოგზაურისა და სამხედრო მოღვაწის ამანდ ფონ შვაიგერ-ლერხენფელდის (1846-1910 წწ.) „ლაზისტანი და ლაზები" (ჟურნ. „Oesterreichische Monatschrift fuer den Orient", 1877, № 3, გვ. 121-123). ეს პუბლიკაციები ჩვენ აღმოვაჩინეთ 2005 წელს გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში, სამეცნიერო მივლინების დროს, და სათანადო საკვლევი აპარატითურთ 2011 წელს პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში [1, 416-440].

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგ, მკვეთრად მოიმატა ქართულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რიცხვმა „ოსმალოს საქართველოს" შესახებ, რაც სავსებით ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა – როგორც ცნობილია, სანსტეფანოს დროებითი ზავისა და ბერლინის კონგრესის შედეგების მიხედვით, რუსეთის იმპერიამ შემოიერთა XVI ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთის მიერ საქართველოსთვის წართმეული მესხეთის რამდენიმე პროვინცია. მათმა დაბრუნებამ დედასამშობლოსთან ქართველი საზოგადოებრიობის უდიდესი სიხარული და აღტკინება გამოიწვია. ინტელიგენციის არაერთი წარმომადგენელი პირადად გაეცნო აღნიშნულ პროვინციებს. 1878-1921 წლებში, სანამ დასახელებული პროვინციები ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, აქ მოგზაურობა და მათი აღწერა სახელმწიფოში მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო.

სწორედ ამ პერიოდში შექმნეს თავიანთი ნაშრომები დიმიტრი ბაქრაძემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა და ნიკო მარმა; ქართულ პერიოდიკაში – „დროებაში", „ივერიაში" და სხვ. გამოაქვეყნეს არაერთი სტატია სერგეი მესხმა, სოლომონ ასლანიშვილმა („ბავრელი"), ლევან მჭედლიშვილმა, ალექსანდრე ნათაძემ, დავით წერეთელმა, ივანე გვარამაძემ („ვინმე მესხი"), ივანე ჯაიანმა, ალექსანდრე ყიფშიძემ („ფრონელი"), ვასილ კოპტონაშვილმა, სერგი გორგაძემ, ვლადიმერ გოგიაშვილმა და სხვ.; „ოსმალოს საქართველოში" იმოგზაურეს და მას საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნეს ცნობილმა რუსმა მკვლევრებმა – ევგენი ვეიდენბაუმმა, პრასკოვია უვაროვამ და სხვ. აღნიშნულ პუბლიკაციებში მოთხრობილი და აღწერილი იყო ომის შემდეგ შემოერთებულ მესხეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველი-მაჰმადიანების ყოფა-ცხოვრება, რეგიონის ხუროთმოძღვრული ძეგლები და ა. შ.

XIX ს-ის 70-90-იანი წლების „ოსმალოს საქართველოს“ შესახებ საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ამ პერიოდის რამდენიმე დასავლეთ ევროპელი მეცნიერის ნაშრომებში. მათგან განსაკუთრებით გამოვყოფდით გამოჩენილი გერმანელი მოგზაურის, ბუნებისმეტყველის, ეთნოგრაფის, გეოგრაფიული მეცნიერების პოპულარიზატორის, „კავკასიის მუზეუმის“ (ამჟამად აკად. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის) დამაარსებლისა და დირექტორის, კავკასიაში სამუზეუმო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის – გუსტავ რადეს (1831-1903 წწ.) ნაშრომებს.

გ. რადე თბილისში 1863 წელს დასახლდა. იმ დროისათვის თითქმის სრულებით შეუსწავლელი იყო კავკასიის ფლორა, ფაუნა, ეთნოგრაფია, გეოგრაფია. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება გ. რადემ იკისრა, რისთვისაც სრულიად მკაფიო, განსაზღვრული სამოქმედო პროგრამა შეადგინა და მას გარდაცვალებამდე, თითქმის 40 წლის განმავლობაში, ახორციელებდა. გ. რადემ კავკასიის შესწავლის მიზნით პირველად 1864 წელს კოლხეთის დაბლობზე, მდ. რიონის, ცხენისწყლისა და ენგურის ხეობებში იმოგზაურა. შემდგომში მან სხვადასხვა დროს კიდევ 17 სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო, რომელთა დროსაც თითქმის მთელი კავკასია შეისწავლა. ექსპედიციების ამსახველ შედეგებს გ. რადე აქვეყნებდა როგორც წიგნების, ისე სტატიების სახით ცნობილ რუსულ და გერმანულენოვან სამეცნიერო გამოცემებში [3. 61-69; 4. 96-98].

ერთ-ერთი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია გ. რადემ მოაწყო 1893 წლის 3 აპრილიდან 16 აგვისტომდე კოლხეთის დაბლობზე, აჭარაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ადლერსა და სოჭამდე. მოგზაურობის დღიური მან ექსპედიციის წევრთან, „კავკასიის მუზეუმის“ მცველთან – ე. კენიგთან თანაავტორობით გამოაქვეყნა 1894 წელს გოთაში გამომავალ ცნობილ გერმანულ სამეცნიერო ჟურნალში „Dr. A. Petermanns Mitteilungen aus Justus Perthes Geographischer Anstalt“ (N 112), სახელწოდებით „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და მისი კულტურული განვითარება უკანასკნელი 30 წლის მანძილზე“ (“Das Ostufer des Pontus und seine kulturelle Entwicklung im Verlaufe der letzten dreissig Jahre”). გუსტავ რადეს აღნიშნული ნაშრომი ჩვენ აღმოვაჩინეთ 2005 წელს გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში, სამეცნიერო მივლინების დროს.

გ. რადე ნაშრომის შესავალში მიუთითებდა: „ინდოეთში მოგზაურობის შემდეგ შესაძლებელი გახდა კავკასიის ქვეყნებში ექსპედიციების განახლება... ამ წლისთვის შევუტიე შავი ზღვის მთლიან კავკასიურ აღმოსავლეთ სანაპიროს და მის მოსაზღვრე დაბლობებს, შემოვუარე მთაგრეხილის ჩრდილო-დასავლეთ კიდეს, ვმოძრაობდი მის ჩრდილოეთ ძირში და სოჭთან ისევ სანაპიროს მივაღწიე... გარდა ამისა, აუცილებლად საჭირო შეიქმნა გარკვეული დროის დათმობა ჭოროხის ხეობისათვის, რადგან ამაში ჩემს მიერ ჭოროხის აღმოსავლეთ შენაკადის – აჭარისწყლის სათავეებში 1874 წელს მოწყობილი მოგზაურობის პირდაპირი გაგრძელება დავინახე. ვინც ჩემსავით

30 წლის წინ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სტუმრებია და მას ამჟამად ხელახლა ნახულობს, ზოგ ადგილებში, ალბათ, გაკვირვებას ვერ დაფარავს იმ კულტურული წინსვლის გამო, რომელიც ამ მოკლე დროში მოხდა.

მართალია, მხარის დიდ ნაწილს თავისი თავდაპირველი ველური იერი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ცივილიზაცია თანდათანობით მთელ სანაპიროს მოიცავს. იმ დროისათვის როგორც ნოვოროსიისკი, ისე ბათუმი სრულიად უმნიშვნელო ადგილები იყო, დღეს კი ეს უკანასკნელი ნავთობის ექსპორტით აღმოსავლეთ ნახევარსფეროზეა გაბატონებული, პირველი კი – მარცვლეულის მნიშვნელოვან ნავსადგურადაა ქცეული. აფხაზეთის მაშინდელ მტრულ სანაპიროზე სათნო გონებას აყვავებული კულტურული ადგილი შეუქმნია და იქ, სადაც ადრე უცხოელის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ყველასთვის მშვიდობის კარიბჭე გაუღია... ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ წინასწარი ანგარიშია, რომელიც, პირველ რიგში, იმას გვიჩვენებს, რისი დაკვირვებაც მოვახდინე".

მეტად ფართოა ნაშრომში (იგი შედგება შესავლისა და 6 თავისაგან), განხილული საკითხების სპექტრი, ავტორი აღწერს თავის მოგზაურობას შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ბორჯომში, ბათუმში, ზემო აჭარაში, ფოთში, ჩაქვში, ნატანებში, სუფსაში, სენაკში, ზუგდიდში, ნოქალაქევში, სოხუმში, წებელდაში, ახალ ათონში, გუდაუთაში, ბიჭვინთაში, გაგრაში, ადლერში, სოჭში, ნოვოროსიისკში, გელენჯიკში, ანაპაში, ტუაფსეში და სხვ. ჩვენ მომავალში ვგეგმავთ გუსტავ რადეს ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომის სრულად თარგმნას და სათანადო საკვლევი აპარატის დართვით სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანას.

ამჯერად ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნაშრომის მესამე თავში არსებული ცნობები ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეული ქალაქ ართვინისა და მისი შემოგარენის შესახებ (გვ. 36-49), სადაც გ. რადემ იმოგზაურა 1893 წლის 22-23 მაისს. გ. რადეს ნაშრომი XIX ს-ის მიწურულის ე. წ. „ოსმალოს საქართველოს", კერძოდ, ართვინისა და მისი შემოგარენის შესწავლისათვის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: მოგზაურობა ბათუმიდან ართვინამდე; სოფელი ბორჩხა, მისი თანამედროვე მდგომარეობა; რუსი მოხელეების ყოფა-ცხოვრება ბორჩხაში; სინკოტის მილიციის პოსტი; ართვინი – მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ღირსშესანიშნაობები, მაზრის უფროსის მიხეილ ერისთავის დახასიათება, მოსახლეობა, ეთნიკური და რელიგიური მდგომარეობა, ვაჭრობა, ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებები და სხვ.

ბოლოს, გვსურს, ქალაქ ართვინისა და მისი შემოგარენის შესახებ გ. რადეს ნაშრომის ქართული თარგმანი, მცირეოდენი შემოკლებებით, მკითხველს შევთავაზოთ და პირველად შემოვიტანოთ სამეცნიერო მიმოქცევაში. პუბლიკაციას ბოლოში დავურთეთ კომენტარები.

ლიტერატურა:

1. გოჩა საითიძე, ზაზა კილასონია, ორი უცნობი ევროპული წყარო „თურქეთის საქართველოს“ შესახებ (XIX საუკუნის 70-იანი წლები), „ქართული დიპლომატია“ (წელინდეული), ტ. 14, თბ., 2011.
2. გოჩა საითიძე, სულხან კუპრაშვილი, რაფიელ ერისთავის „ცნობანი ოსმალოს საქართველოზე“, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი „ლამპარი“, პროფესორ-მასწავლებელთა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე მეცნიერების აქტუალური საკითხები“, ქუთაისი, 2008.
3. გურამ ჩხაიძე, გუსტავ რადე – კავკასიური მუზეუმის დამაარსებელი, ალმანახი „კავკასიის მაცნე“, თბ., 2001, N 4.
4. Н. Комарова, Густав Иванович Радде – неутомимый исследователь Кавказа, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XXXIV-B, თბ., 1979.

გუსტავ რადე

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო და მისი კულტურული განვითარება უკანასკნელი 30 წლის მანძილზე

22 მაისის მშვენიერი დილა გათენდა. 10 საათისთვის ოთხთვალათი ბათუმი დავტოვეთ. დახნულ მინდვრებზე, რომლებზეც რძიანა ბალახს უკვე დაუყვავილებია, სიმინდია დათესილი. სულ ახლახანს მდინარე ჭოროხი ორ ადგილას ნაპირიდან გადმოსულა და შარაგზა დაუზიანებია, ერთგან გზა გადაურეცხავს, ასე რომ, რამდენჯერმე გზის შემოვლა მოგვიხდა. რაც უფრო შორს მივდივართ, ტყე და გაუვალი ადგილები კლებულობს, ციცაბო ფერდობები ხშირი ბუჩქნარითაა დაფარული. ჩვენს ქვემოთ თიხისფერი ჭოროხი ხმაურობს, რომელიც ხან ვინრო კლდოვან კალაპოტშია მოქცეული, ხან ფართოვდება და იტოტება.

ბორჩხა ერთი მოზრდილი თურქული სოფელია მშვენიერი მდებარეობით, ამფითეატრის ფორმით ჭოროხის მარცხენა ნაპირზე პატარა ბაღებს შორის გაშენებული. სახლების უმრავლესობა ორ ან სამ სართულიანი, კრამიტით გადახურული თურქული ყაიდის შენობებია, რომელთა წინა ფასადი მდინარეს გადაჰყურებს. მდინარის მარჯვენა ნაპირზე მხოლოდ სოფლის გამგეობის რამდენიმე ახალი შენობა მდებარეობს, მაგალითად, ფოსტა და ტელეგრაფი, აგრეთვე, ყაზარმა სამხედრო ნაწილისთვის. საფოსტო კანტორის უფროსმა გულითადად მიგვიღო და სანამ ცხენები ისვენებდნენ, საინტერესო ცნობები მოგვაწოდა მხარისა და აქაური მოსახლეობის შესახებ. აქედანაც, ისევე როგორც ყველა ახლად დაპყრობილი მხარიდან, დიდია

მაჰმადიანი მოსახლეობის თანდათანობითი გადინება, მიუხედავად იმისა, რომ რუსული მმართველობა მათი მდგომარეობის შეძლებისდაგვარად შემსუბუქებას ცდილობს. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ოსმალეთში წასვლის გადაწყვეტილებას სარწმუნოებრივი ფაქტორიდან გამომდინარე იღებს. არც რუსეთი და არც ოსმალეთი აღიარებენ მიწებზე მათ უფლებას; აქაც და იქაც, ახლაც და წინადაც, მიწა ხელისუფლების საკუთრებად ითვლება და იჯარით გაიცემა.

თურქეთში თვით ბეგებსაც კი არა აქვთ მიწაზე განსხვავებული უფლება. მიუხედავად ამისა, მიწის ნაკვეთი შეიძლება გასხვისდეს, ოღონდ ახალმა მფლობელმა ადრე დადებული ყველა პირობა უნდა შეასრულოს. ვინც ქვეყანას ტოვებს, თავის დროებით საკუთრებას ძალიან იაფად ჰყიდის. ასე მაგალითად, ბორჩხაში მიწის ნაკვეთი სამსართულიანი სახლითურთ 100 მანეთად იყიდება. შორეულ სოფლებში ღარიბი გლეხები თავიანთ ციცქნა ნაკვეთსა და ქოხს რამდენიმე მანეთად ყიდიან. რუსი მოხელეების ცხოვრება ასეთ ადგილებში შესაშური როდია. აბა, წარმოვიდგინოთ საკუთარი თავი ჩვენი გულითადი მასპინძლის – ბორჩხის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ადგილზე. რვა წელი იგი ერთი დამხმარე პირით უძღვება თავის საქმეს, თუმცა გასაკეთებელიც ბევრი არაფერია. კვირაში ერთხელ ცხენებით მოაქვთ ფოსტა, დეპეშები იშვიათია. ზიხარ კაცი უსაქმურად ამ საშინელ მარტოობაში. მხოლოდ ჭოროხი ღმუის გამუდმებით, წყალდიდობის დროს კი მისი მღვრიე ტალღები ლამის შენობას მისწვდეს.

ასე უსაშველო მონყენილობაში გადის ამ საბრალო ადამიანების დღეები. კარგია, თუ ჯანმრთელობა მაინც შერჩებათ, რადგან არავითარი სამედიცინო დახმარება არსებობს, რაიმე გართობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პროდუქტები ძალიან ძვირია, ხშირად პირველადი მოხმარების საგნებიც კი არ გააჩნიათ. ვინც დაოჯახებულია და შვილები ჰყავს, მათი აღზრდა დიდ პრობლემებს უქმნის, თუ მატერიალურად უზრუნველყოფილი არ არის. 600 მანეთის ოდენობის წლიური ჯამაგირი თვით ყველაზე აუცილებელ მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. თუ ამას ზედ ავადმყოფობაც დაერთო, მაშინ ხომ მდგომარეობა სრულიად სავალალოა. თუმცა მილიციის პოსტ სინკოტამდე კიდევ 25 ვერსი იყო დარჩენილი, საღამოს 6 საათზე გზას გავუდექით. გზა ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევს და თითქმის 600 მეტრს აღწევს. ბევრგან მიწაა ჩამოქცეული, რის გამოც გზა ძალზე ვიწრო და სახიფათოა. იგი თურქებს ნაწილობრივ უკვე აღუდგენიათ საპალნე ცხოველებისა და ტრანსპორტისათვის. ახლა გზას უკვე რუსეთის ხელისუფლება აგებს. არტანუჯამდე მონაკვეთი თითქმის დასრულებულია. აქედან იალანუსჩამის უღელტეხილის გავლით, გზა არდაგანის ვაკეზე მიდის.

რადგან ახალციხე-არდაგანის მონაკვეთზე გზა საავალად უკვე მოსახერხებელია, ალბათ, მალე უნდა ველოდოთ მიმოსვლას მარშრუტით: ბათუმი-ართვინი-არტანუჯი-არდაგანი-ახალციხე. შესაძლოა, ზამთრობით მიმოსვლა გაძნელდეს, რადგან ჭოროხის ზემო წელზე თოვლი და ნამქერები

ჩვეულებრივი ამბავია და დიდთოვლობის გამო სოფლები გარე სამყაროს ხშირად დიდი ხნით არის მოწყვეტილი, შესაბამისად, ფოსტაც თვეობით ვერ აღწევს დანიშნულების ადგილამდე. გაზაფხულზე მიმოსვლას უკვე თოვლის დნობა აძნელებს, ამ დროს ხშირად ხდება ზვავების ჩამოწოლა და გზების ჩაკეტვა. შუაღამისას მივაღწიეთ სინკოტის (1) მილიციის პოსტს, რომელსაც ერთი ეფრეიტორი უდგას სათავეში. მან გულთბილად მიგვიღო. ბინა პატიმრებისთვის განკუთვნილ მაღალი ღობით შემოვლებულ სადგომში მიგვიჩინეს. მადლობა ღმერთს, ის ამჟამად ცარიელი იყო. რაზმი გაჭირვებით ირჩენს თავს, და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმოდა, როცა მეორე დილით ერთი ჭიქა ჩაით გაგვიმასპინძლდნენ. ფოსტის ქვედა მხარეს, ფერდობზე, იმავე სახელწოდების მქონე სოფელია შეფენილი, საგულდაგულოდ შემოღობილი ბაღებით, პატარა მდელოებითა და ყანებით. აქ მოჰყავთ როგორც სიმინდი, ასევე ქერი და ხორბალი.

ჭოროხის დინების დაყოლებით უკვე მხოლოდ სიმინდს თესავენ, ართვინის ზემოთ კი, პირიქით, უპირატესად ქერი მოჰყავთ. გაზაფხულზე მინდვრებს უწყლობა აწუხებს და ართვინში წყალს ხელოვნურ აუზებში აგროვებენ. აქაც მძიმე მდგომარეობა დაგვხვდა. ცხენებისთვის საკვების შეძენა გვინდოდა, მაგრამ ვერსად ვიშოვეთ. სინკოტი 9 საათზე დავტოვეთ. მალე ართვინიც გამოჩნდა. როდესაც მაღლიდან დასცქერი, იგი მოსჩანს, როგორც ხრიოკი მთების შუაგულში მოქცეული, ვრცელ ფერდობზე გაშენებული მშვენიერი ოაზისი. თვალში გვხვდება თუთისა და კაკლის ხეების კორომები, ხასხასა ყვავილებით აჭრელებული, ფერად-ფერადი მდელოები და ზეთისხილის პლანტაციები.

ართვინი, ერთ-ერთი ყველაზე თავისებური დასახლება, ჭოროხის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ნაპირიდან მოყოლებული 1800 მეტრის სიმაღლემდე. ბაზრის მახლობლად მდებარე მთავარი მეჩეთი ზღვის დონიდან 630 მეტრზეა. ზოგ ადგილას ფერდობი, რომელზეც ართვინია გაშენებული, ისეა დაქანებული, რომ მასზე მხოლოდ ქვის საფეხურებით შეიძლება ასვლა, შენობები ჩიტის ბუდეებივით პირდაპირ კლდეზეა მიკრული. ამგვარ ბუდეებს შორის ღია მოედნები, ბაღები, მდელოები და მცირე ზომის მინდვრებია გადაჭიმული. ართვინში მოსახვედრად გზას ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე უნდა დაუყვე, და 24 სერპანტინის გავლა გიწევს, სანამ 600 მეტრის სიმაღლიდან დაეშვებოდე. ბოლოს რკინის ხიდს მიაღწევ, რომელსაც ჭოროხის მეორე ნაპირზე გადაჰყავხარ. ახლა უკვე აღმართი იწყება მიხვეულ-მოხვეული, ვიწრო გზებით, რომლებსაც ართვინის ცენტრში, ბაზართან, მიჰყავხარ. მხოლოდ ახლა გრძნობ კაცი, რა დამრეცზეა შეფენილი ქალაქი. სიმაღლეში განსხვავება კლიმატურ მრავალფეროვნებასაც განაპირობებს.

თანდათან თავქვე დავუყევით ჭოროხის კლდოვან სანაპიროზე გამავალ გზას, და ბოლოს მივადექით 19 მეტრი სიგრძის რკინის ხიდს, რომელმაც ცოტა ხნის წინ ძველი ქვის ხიდი შეცვალა. აქვე კუთხეში, ლამაზ ადგილას, მაღალ კლდოვან კედელთან, დგას თურქული ყაიდის შენობა ნაირ-ნაირი დუქნებითა და ფუნდუკით, სამჭედლო და ა. შ. აქედან მიხვეულ-მოხვეული აღმართები

იწყება. ჩვენს ზემოთ, ხიდის სიახლოვეს, კლდის შვერილზე, ართვინის ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები მოსჩანს, რომელსაც ქვიტკირის მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული. ამ ციხის აგებას უკვდავ თამარ მეფეს მიაწერენ. პირველ მნიშვნელოვან ტერასაზე, ჭოროხიდან დაახლოებით 200 მეტრის სიმაღლეზე, დგას სამხედრო ყაზარმა პლასტუნების ბატალიონით. ჩვენ ერთი საათი დაგვჭირდა, სანამ ართვინის ცენტრში, შემაღლებულ ადგილას მდებარე თავად ერისთავის (2) სახლს მივაღწევდით. თავადი წარმოსადეგი, მხარბეჭიანი მამაკაცია, ხშირი ჭაღარა წვერით, მელოტი, მკვეთრი პროფილით, ენერგიული სახის ნაკვთებით, ალერსიანი, მაგრამ გამჭოლი მზერით. მან გულთბილად მიგვიღო, შესანიშნავად გაგვიმასპინძლდა და, რაც ყველაზე მთავარია, მხარისა და მისი მოსახლეობის შესახებ ამომწურავი ცნობები მოგვაწოდა.

თავად ერისთავს ადრე ევროპული ცხოვრების სიამენი სრულად უგემნია და მხოლოდ მოგვიანებით, გარემოებათა გამო, სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარა. უკვე 15 წელია აქ არის, 1886 წლიდან ართვინის ოლქის უფროსია. მარტო ცხოვრობს, რადგან მეუღლე ბავშვების აღსაზრდელად მთლიანად ხარკოვში გადასახლდა. მუშაობისგან თავისუფალ დროს თავადი სხვადასხვა მექანიკური კონსტრუქციების აგებით არის დაკავებული. გაოცებას ვერ დამალავ, როცა ამდენი საშიში, უდაბური ადგილის გამოვლის შემდეგ, აქ – ართვინში, ტელეფონით ლაპარაკის შესაძლებლობა გეძლევა. კანცელარიაში მყოფ თავის მოხელეებს თავადი თვითნაკეთი სატელეფონო აპარატის მეშვეობით ელაპარაკება. ერთ-ერთ ოთახში მოსჩანს აკვარიუმი ოქროს თევზებით. თავად ერისთავის სახლის სამხრეთ ფასადიდან შესანიშნავი ხედი იშლება. ჩვენს ქვემოთ მოსჩანს ერთმანეთთან მიჯრილი შენობების კომპლექსი. ყველა მათგანი თითქმის მსგავსი პროექტითაა აგებული და მძიმე ქვებით დამაგრებული ყავრით ან თურქული კრამიტითაა გადახურული. შენობების საძირკვლებში გრანიტი ან ტუფის ქვიშაქვაა გამოყენებული. აგურებს შორის კირის დუღაბის სქელი ფენაა დატანებული. ჩვენგან მარცხნივ და მარჯვნივ მოსჩანს სუფთა, მეტწილად თეთრად შეღებილი სახლები, ბევრი ფანჯრით, გარეთა აივნების გარეშე. კარგ ამინდში არემარე სასიამოვნო სანახავია, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, განსაკუთრებით წელიწადის ამ დროს, დღეების განმავლობაში მთებზე სქელი ნისლია ჩამოწოლილი ან განუწყვეტლივ ცრის.

ართვინის მოსახლეობა ორივე სქესისა 5876 სულია. მთელი ოლქი, რომელიც ადმინისტრაციულად სამ ნაწილადაა დაყოფილი, 52746 ადამიანს ითვლის. აქედან ართვინის ნაწილზე 5695 მამაკაცი და 5231 ქალი მოდის, არტანუჯისაზე – 7829 მამაკაცი და 7296 ქალი, ხოლო შავშეთ-იმერხევისაზე - 10655 მამაკაცი და 10164 ქალი. ეს ციფრები მუდმივად ბინადარ მოსახლეობას ეხება. მოსახლეობის ძირითად ბირთვს, სარწმუნო წყაროების მიხედვით, ქართული წარმომავლობის მუსლიმი აჭარლები შეადგენენ, რომელთა ოჯახებშიც მშობლიური ენაა შენარჩუნებული. რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის სომხები ფართოდ არიან წარმოდგენილნი, მათ მხარეში 6 ეკლესია, 4 ვაჟთა და 3 ქალთა სკოლა გააჩნიათ; გრიგორიანელ სომხებს კი

6 ეკლესია და მხოლოდ 2 სკოლა აქვთ. მაჰმადიანები თავიანთ რელიგიურ რიტუალს 42 მეჩეთსა და ჯამეში ატარებენ და თავიანთ შვილებს 91 ე.წ. სასოფლო სკოლაში ასწავლიან. მთლიანად მხარეში 3675 მოსწავლე და 116 მასწავლებელია. თვითონ ართვინში ერთი სამასწავლებლო სემინარიაა, რომელშიც დაახლოებით 100 მოსწავლეა.

ბაზრის მონახულება კარგ წარმოდგენას იძლევა ვაჭრობისა და შრომითი საქმიანობის შესახებ. ვიწრო, ცუდად მოკირწყლულ, შუკებში უამრავი ჯიხური შეგხვდება, ყველა მათგანი ღიაა. ჩამოივლი ციცაბო ფერდობს, ოღროჩოღრო საფეხურებით და აღმოჩნდები ერთ საკმაოდ ღია ადგილზე, რომლის ცენტრშიც ბაზარია განთავსებული. აქ უამრავი სხვადასხვა ყაიდის ჯიხური დგას. ზოგიერთები ბეწვეულით ვაჭრობენ, მეტწილად, აჭარელი მონადირეების მიერ დაჭერილი კვერნის, მელიის, დათვის, შვლის, გარეული თხის და კურდღლის ტყავით. ყუბანელმა პლასტუნებმა შინაური ღორი მოაშენეს და ამ უკანასკნელმა, მათი წყალობით, თურქეთის საზღვრამდეც კი მიაღწია. ღორებს ჯარისკაცების ხიშტები თუ იცავს, რადგან როგორც კი მუსლიმები მათ თვალს მოკრავენ, მაშინვე გაერთიანებული ძალებით ერეკებიან. მათი ფანატიზმი იქამდეც კი მიდის, რომ შეწყვიტეს პურის ყიდვა მცხობელთან, რომელსაც ღუმელში შეკვეთით ღორის ხორცის შენვა უნდოდა. შინაური ცხოველებიდან უმნიშვნელოვანესი თხაა. ციკანს აქ ყოველდღე კლავენ. კარგი ცხვრის ხორცი იშვიათია, საქონლის ხორცი უვარგისი და მათი შოვნა მხოლოდ სამხედრო ბატალიონის მომმარაგებლების მეშვეობითაა შესაძლებელი.

რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ღარიბია, ის ცხვრის ძვირ ხორცს არ ყიდულობს და ციკნის ხორცით კმაყოფილდება. ერთი დასაკლავი ციკანი 50 კაპიკი ღირს, ტყავი 25 კაპიკად იყიდება, ასე რომ ხორციც ამდენივე ღირს. ყოველწლიურად 15000-20000 ცალი ციკნის ტყავი გააქვთ გასაყიდად, ძირითადად, მარსელის ბაზარში. როგორც სხვა ყველაფერი, ამ გაჭირვების წელს ციკანიც გაძვირდა, ახლა ის 1 მანეთი ან 1 მანეთი და 20 კაპიკი ღირს. ციკნის ტყავის გარდა, ართვინში საქონლის ტყავსაც ამუშავებენ. ერთი კარგად გამოყვანილი წითელი კამეჩის ტყავი 15-20 მანეთი ღირს. სომხეთის მსგავსად, აქაც საზაფხულო საძოვრებიდან დაბრუნებულ გასუქებულ საქონელს შემოდგომაზე კლავენ და ხორცის ნაჭრებს ჰაერზე აშრობენ. გამოყვანილი ცხვრის ხორცი ართვინში მარტო ბაზარში შესანახად კი არ უნდათ, არამედ გასაყიდადაც. მათ შემდეგნაირად ინახავენ: დაჭრილ ხორცს თიხის ქვაბებში აწყობენ და ზემოდან ცხვრის გამდნარ ქაფქაფა ცხიმს ასხამენ, რომლის სქელი ფენა გაციების შემდეგ ჰაერს აღარ ატარებს. თვით კონსტანტინოპოლშიც კი გააქვთ ეს ხორცი, რომელსაც „ყაურმას“ უწოდებენ.

აქლემი ამ მხარეში მას შემდეგ მოხვდა, რაც რუსებმა გზა გაიყვანეს. ართვინის მცხოვრებნი მათ ძალზე გააოცეს. ძაღლი ართვინში იშვიათია. მეზობელ მომთაბარე ხალხებთან, მაგ., ქურთებთან მას უზარმაზარი ფასი აქვს. მოზრდილ, ღონიერ მეცხვარის ძაღლში 50 მანეთსაც კი იხდიან. რამდენადაც ართვინელები მომთაბარე ცხოვრებას არ ეწევიან, ძალიან მომჭირნეები არიან

და თანაც მათი წესიერება საქვეყნოდაა ცნობილი, ამიტომაც ძაღლი მათთვის მხოლოდ ძვირი ფუფუნების საგანი იქნებოდა. შინაური ფრინველებით ართვინი ღარიბია. მტრედი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე, მაგ., ბათუმში, ყველა თურქულ კარ-მიდამოში დიდი რაოდენობით გვხვდება, აქ ძალზე იშვიათია, მთელს ართვინში ათიოდე მტრედი თუ იქნება. იხვებისა და ბატებისთვის გარემო შეუფერებელია, და ქათმებიც არ ჰყავთ დიდი რაოდენობით. ბებერ, გამხდარ დედალში 60 კაპიკს იხდიან, წყვილ წიწილში – 50 კაპიკს. ინდაური საერთოდ არ არის. ასევე ღარიბია ართვინი და, საერთოდ, ჭოროხის მთელი შუაწელი გარეული ფრინველებით, რომლებსაც, როგორც ეტყობა, ჭოროხის ხეობაში საკვების შოვნა უჭირთ.

ქვეწარმავლები ართვინში საკმაოდაა. ქვემოთ, ცხელ ხეობაში, მორიელები და გველები იშვიათობას როდი წარმოადგენენ. მახრა, თურქულად „ბოსტანა“, ე. ი. ბაღჩების მტერი, დიდ ზიანს აყენებს ნათესებს. ბოსტნეულიდან მოჰყავთ უპირატესად ხახვი, ბოლოკი, ჭარხალი, იშვიათად, ქინძი და სტაფილო; კამა არ იციან, ოხრახუში გაველურებულია; კომბოსტოს მაღლობებზე შეიძლებოდა ეხარა, ქვევით კი საამისოდ ძალზე ცხელი კლიმატია. მასზე მოთხოვნილებას თურქეთიდან იკმაყოფილებენ. კარტოფილი ახალციხიდან შემოაქვთ და მის ნათესებს აქა-იქ თუ შეხვდებით. სამაგიეროდ, პომიდორსა და ბადრიჯანზე დიდი მოთხოვნილებაა, სათანადო ადგილებზე მათ კარგად უვლიან და ზამთრისთვისაც ამწნილებენ. ართვინელები, ყველა ეროვნებისა, ძალზე მოკრძალებულად ცხოვრობენ, ზაფხულში მთლიანად ხილითა და ცოტაოდენი პურით იკვებებიან. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ჯანმრთელები არიან. უამრავ თუთის ხეს არა მარტო დაბალი ხარისხის არაყის გამოსახდელად იყენებენ, არამედ ხანდახან მათთვის მნიშვნელოვან საკვებსაც კი წარმოადგენს. ადრე აქ ინტენსიურად მისდევდნენ მეაბრეშუმეობას. ადგილის სახელწოდებაც კი მასთანაა დაკავშირებული, რადგან ართვინი „ამოხვევას“ ნიშნავს. ბალი, ქლიავი, კურკოვანი ხილი თავზესაყრელია და ყველგან დიდი მოწონებით სარგებლობს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვედა ფერდობებზე ზეთისხილის, ყურძნისა და თამბაქოს მოყვანას. ზეთისხილს, რომელიც 400 მეტრ სიმაღლეზე ხარობს, ზეთის გამოსახდელად იყენებენ, მის ნაყოფს სიმწრის გამოცლის შემდეგ მიირთმევენ კიდეც. ერთი ფუთი ზეითუნის ზეთი 5 მანეთი ღირს. ართვინული ღვინო იმერეთისას ჰგავს. მუსლიმები ყურძნის წვენს სომხებზე ყიდიან და ეს უკანასკნელნი მისგან ღვინოს აყენებენ. ღვინით განთქმულია სოფელი გვერდა. ერთი ბათმანი (3) ახალდაყენებული ღვინო 1 მანეთიდან 1 მანეთ და 20 კაპიკამდე ღირს, დაძველებული ღვინო კი უფრო ძვირია. „ფაფას“ ფქვილით შესქელებული ყურძნის წვენიდან თათარას ადუღებენ, მასში ძაფზე აცმულ თხილს ავლებენ, აშრობენ, ჩურჩხელებს აკეთებენ და თბილისში მიაქვთ გასაყიდად. ამზადებენ, აგრეთვე, ლელვის ჩირსაც. საუკეთესო – სამსუნის ხარისხის თამბაქო მოჰყავთ მურღულის ხეობაში და ფუთს (4) 9-12 მანეთად ყიდიან. უფრო მდარე ხარისხისაა არტანუჯის თამბაქო, რომელიც მეტწილად ტრაპიზონის თამბაქოს ჰგავს და ფუთი 5-7

მანეთი ფასობს. გასაყიდად გააქვთ, აგრეთვე, საუცხოო კაკალი. ძირითად შემოსავალს ართვინის ხეობა სწორედ ხილიდან იღებს.

ბაზარში სიარულისას შევიხედეთ მეტყავეების, მეუნაგირეების, სირაჯების, მეწაღეებისა და მკერავების ჯიხურებშიც. ყველგან აბსოლუტურად ჩვეულებრივ საქონელს ამზადებენ, მხოლოდ მკერავებს შორის არიან ისეთები, რომლებიც სპეციალურად საქორწინო კაბებს კერავენ, სახელდობრ, კათოლიკე სომხებს აქვთ ჩვეულება, რომ სასიძომ და საპატარძლომ ჯვრისწერამდე ერთმანეთს საქორწინო ტანსაცმელი უნდა გაუგზავნონ. კათოლიკე სომხების ადათ-წესებზე თურქების ხანგრძლივმა ბატონობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა. ასე მაგალითად, მშობლები წინასწარ მოილაპარაკებენ ხოლმე თავიანთი შვილების დაქორწინების თაობაზე, ისე, რომ ახალგაზრდებს არაფერს ეკითხებიან. მაჰმადიანური ურვადი აქ ძალაში არაა, ქორწინების დარღვევა აკრძალულია, ღალატი სიკვდილით ისჯება. ართვინელების პატიოსნება საყოველთაოდაა ცნობილი, არც დღისით, არც ღამით არავინ არაფერს მოგპარავს; სამაგიეროდ, აქაურები შურისმაძიებელნი და გულგამყოლნი არიან და ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა მათ არაფრად უღირთ. მკვლელობების მიზეზი უმეტესწილად პირადი შეურაცხყოფაა, და ხშირად ის ქალის გამო ხდება. ძველი, კარგი ჩვეულების მიხედვით, ოჯახური ცხოვრება პატრიარქალურია. ოჯახის უფროსს მოწიწებით ეპყრობიან, ვაჟიშვილს მამის თანდასწრებით მისი ნებართვის გარეშე მოწევა ეკრძალება და მხოლოდ მაშინ ეტყვის რამეს, როცა შეეკითხებიან.

ახალი თაობა, ე. წ. პროგრესთან ერთად, კარგ ადათ-წესებს ივიწყებს. ახვათაშორის, როგორც ამბობენ, ნათესავებს ერთმანეთის ბედი ნაკლებად აინტერესებთ. თითოეული მათგანი მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვაზე ფიქრობს, ძმა ძმაზე არ ზრუნავს. მიცვალებულის გამო ძაძებს არ იცვამენ. უწინ მიცვალებულს გარდაცვალებიდან 2 საათის შემდეგ კრძალავდნენ, ახლა ნაბრძანებია 24 საათი გააჩერონ. ცხოვრების წესში ღარიბსა და მდიდარს შორის დიდი განსხვავება როდია. ყველა კათოლიკე სომეხი საქმიანი, მომჭირნე და ძუნწია. მათი უმეტესობა ვაჭრობას მისდევს, თუმცაღა ართვინმა, როგორც სავაჭრო ცენტრმა, რომელიც უწინ ერთმანეთთან აკავშირებდა, ერთი მხრივ, კონსტანტინოპოლსა და ტრაპიზონს, მეორე მხრივ, ყარსსა და არდაგანს, რუსების გაბატონების შემდეგ, თავისი მნიშვნელობა დაკარგა და ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება. სავაჭრო ბრუნვა ადგილობრივ მცხოვრებთა მასობრივი გადინების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა. ართვინის ქრისტიანული მოსახლეობის მდგომარეობა რუსების გაბატონების შემდეგ შესამჩნევად გაუმჯობესდა. მანამდე თურქები მათ ძალიან ავიწროებდნენ. მაგ., უწინ აკრძალული იყო საეკლესიო ზარების რეკვა, რომლებიც ახლა დილის ან საღამოს წირვის დაწყებას იუწყებიან; მაშინ ქრისტიანული ღვთისმსახურების დაწყებას ერთმანეთს თუნუქზე ჯოხების დარტყმით ატყობინებდნენ, მოლები კი მლოცველებს მინარეთიდან ხმამაღლა უხმობდნენ.

ამასობაში სხვადასხვა ჯიხურში ჩვენი მუზეუმისათვის რაღაც-რაღაცეები შევიძინეთ, მაგ., ძალიან საინტერესოა კოსტუმების დეტალები. აუცილებლად

უნდა ვახსენო მოწნული კალათები, რომლებსაც როგორც აჭარაში, ისე აქ – ლივანაში, ანუ ახლანდელ ართვინის ოლქში ამზადებენ. ამგვარი კალათები უაღრესად გამძლეა, ზემო ნაწილი წრიული ფორმისაა, აქვთ წვეტიანი ბოლო და ორ ფეხზე დგანან. შემდეგ ერთი ართვინელი კბილის ექიმის ჯიხურს მივადექით. აბრაზე გრძელ ზონარზე ჩამოკონწიალებული ამოღებული კბილი იყო გამოსახული, რითაც იგი საკუთარი საქმიანობისთვის რეკლამის გაწევას და პაციენტების მოზიდვას ცდილობდა. საღამოობით ამ კბილის ექიმთან ნარჩინებული უსაქმურები იკრიბებიან და ბანქოს თამაშობენ. როგორც ზოგადად აღმოსავლეთში, ისე ართვინშიც ხალხის მთელი ცხოვრება ბაზარში სჩქეფს, სხვაგან კი საშინელი მოწყენილობაა. ღია ფანჯრებიდან მშვენიერი გოგონები იმზირებიან, რომლებიც მაშინვე დამალავენ ხოლმე სახეებს, როგორც კი ვინმე ზევით აიხედავს. წყაროსთან მდგომი ქალები თავიანთ სახეებს მაშინვე იბურავენ, როცა გვერდით უცხო მამაკაცი ჩაუვლით. თუ გინდათ ნახოთ, რა სილამაზის ქალებია ართვინში და წარმოდგენა შეიქმნათ მათი გამოსასვლელი ტანსაცმლის სიმდიდრეზე, კვირაობით 8 და 9 საათს შორის მთავარ კათოლიკურ ეკლესიაში უნდა წახვიდეთ.

ეკლესიაში სიარული ყველასთვის სავალდებულოა, საკვირაო წირვას არავინ აკლდება, ყველანი – დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი – სადღესასწაულო ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი. ირგვლივ მხოლოდ ჯანსაღი, ლამაზი სახეები მოსჩანს. გოგონები და ქალები ეკლესიაში წასასვლელად საუკეთესო ტანსაცმელს იცვამენ და ერთმანეთს ძვირფასეულობის ტარებაში ეჯიბრებიან. აქ ბევრი მშვენიერი ქალიშვილია, მეტწილად, შავგვრემანი, ნაზი სახის კანით. როცა 9 საათზე მივედი, ეკლესია და მისი წინა ეზო ხალხით იყო სავსე. აქ უფრო თავისუფლად შეგიძლია იმოძრაო, ვიდრე ქუჩაში. ქალებსაც თავიანთი ჰაეროვანი ჩადრები აღარ უფარავთ სახეს. წირვის შემდეგ საერთო პურობა იმართება, უმასპინძლდებიან ცოტაოდენი არყით, ტკბილეულითა და კორკოტით (ხორბლის ან სიმინდის მარცვლებისგან მოხარშული ფაფით).

შევიტყვეთ, რომ უკვე მეორე დღეს ერთი კატარღა მიდიოდა ბათუმში. გადავწყვიტეთ, გვესარგებლა ამ შესაძლებლობით და ორშაბათ დილით ჩვენს გულითად ართვინს დავემშვიდობეთ. ხალხი თავს იყრის ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, ხიდს გადაღმა და მშვიდად ელოდება, სანამ ყველა მგზავრი და საქონელი ადგილზე იქნება. აქ დიდი მოძრაობა იყო, განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ ადამიანები, როგორც ქვეითად, ისე ცხენებითა და სახედრებით. ხიდს ქვემოთ ჭოროხის წყალი ყურისწამღებად ხმაურობდა, მარცხნივ მაღალი, ციცაბო კლდიდან თამარის ციხის ნანგრევები გადმოგვყურებდა. შიშისმომგვრელი სანახავი იყო ეს უზარმაზარი კლდეები.

ჩვენ ართვინის ნავსადგურისკენ გავემართეთ. ამჯერად დიდი ხნის ლოდინი დაგვჭირდა, სანამ დავიძვრებოდით. აღმოსავლეთელებმა დროის ყადრი არ იციან. თანდათან ემატებოდნენ მგზავრები – მუსლიმები და ქრისტიანები, არზრუმელი ვაჭრები, ერთი სპარსი ექიმი, მომღერალი, ერთი ავადმყოფი, ნახევრად ბრმა ქალი თავისი მომვლელითურთ, ერევნელი სომეხი, ბოლოს მენიჩბე და ჩვენი კაპიტანი. მხოლოდ 10 საათზე დავიძარით.

კატარღა დინებას სწრაფად მიჰქონდა, მხოლოდ ქარი ანელებდა მის სვლას. შიში გვიპყრობდა სახიფათო ადგილების გავლისას, სადაც მდინარე მორევს ქმნიდა და ტალღები ყოველი მხრიდან ეხეთქებოდნენ კატარღას. შორს სიმინდის ყანები მოჩანდა. აქ ხშირად ზამთრის მარცვლეულის აღების შემდეგ, რომელიც ცხელ ხეობაში საკმაოდ მალე მწიფდება, სიმინდს თესავენ და, ამდენად, უკვე მეორე მოსავალს იწევენ.

ვუახლოვდებით მურღულის ხეობას, ესეც ვიწროა და ჭოროხი ძალზე წყალუხვი. მალე მივაღწიეთ ბორჩხას, სადაც ბაზარში შევჩერდით. აქ კარგ თურქულ საბნებს კერავენ, ტყავს ამუშავებენ და ძალიან კარგ თიხის ჭურჭელს ამზადებენ. ცოტა ხნით შესვენებისა და ახალი მგზავრების დამატების შემდეგ, გზა განვაგრძეთ. გავიარეთ მარადიდი და მივუახლოვდით აჭარისწყლის შესართავს. დაახლოებით ნახევარსაათიანი მგზავრობის შემდეგ, მშვიდობიანად მივედით კაპანდიდში, სადაც ართვინიდან ტელეგრაფით გამოძახებული ეტლი გველოდა. ნაშუადღევის 3 საათისთვის გამოსულებმა, ხუთსაათიანი მგზავრობის შემდეგ, ბათუმს მივაღწიეთ.

კომენტარები

1. სოფელი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში. სოფლის თანამედროვე სახელწოდებაა სუმბულუ.
2. მიხეილ ერისთავი – ართვინის მაზრის უფროსი XIX ს-ის 80-90-იან წლებში. 1886 წელს მან ამ თანამდებობაზე შეცვალა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე მიხეილ მეფისაშვილი, რომელიც ართვინის მაზრის უფროსად რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ მსახურობდა.
3. საწყაო და წონის ერთეული ირანში, ოსმალეთში, რუსეთსა და კავკასიაში. შემოიღო აყ-ყოიუნლუს შაჰმა უზუნ-ჰასანმა XV ს-ის მეორე ნახევარში. ერთი ოსმალური ბათმანი საშუალოდ 7,3 კგ-ს უდრიდა.
4. მასის ერთეული; უდრის 16,38 კგ-ს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

GOCHA SAITIDZE, IZA AGLADZE

THE GERMAN SCIENTIST AND TRAVELER GUSTAV RADE ABOUT THE CITY OF ARTVIN AND IT'S SURROUNDINGS (1893)

Summary

In this report it's discussed the information about the city of Artvin and it's surroundings in the 90ies of the 19th century, given in the work of the prominent german scientist and traveler Gustav Rade (1831-1903), called "The East Coast of the Black Sea and it's Cultural Development for the Last 30 Years". ("Das Ostufer des Pontus und seine kulturelle Entwicklung im Verlaufe der letzten dreissig Jahre"). G. Rade published this work in 1894 in collaboration with the german scientist G. Kennig in the well-known german scientific journal "Dr. A. Petermanns Mitteilungen aus Justus Perthes Geographischer Anstalt" (#112). In 1983 from 3th of April till 19th of August G. Rade led a research expedition on the east coast of the Black Sea. We found this work in 2005, in Germany, during a scientific mission at the Saarland University and the information held in it about Artvin and it's surroundings, prepared for publication, is being brought in the scientific circulation for the first time.

ГОЧА САИТИДЗЕ, ИЗА АГЛАДЗЕ

НЕМЕЦКИЙ УЧЕНЫЙ И ПУТЕШЕСТВЕННИК ГУСТАВ РАДДЕ О ГОРОДЕ АРТВИНЕ И ЕГО ОКРЕСТНОСТЯХ (1893 Г.)

Резюме

В статье рассмотрены сведения о городе Артвине и его окрестностях в 90-х годах XIX столетия, имеющиеся в работе выдающегося немецкого ученого и путешественника Густава Радде (1831-1903 гг.), под названием «Восточное побережье Черного моря и его культурного развития за последние 30 лет» ("Das Ostufer des Pontus und seine kulturelle Entwicklung im Verlaufe der letzten dreissig Jahre"). Работа была опубликована Г. Радде в 1893 году в соатворстве с Е. Кеннигом, в публикуемом в г. Готта известном немецком научном журнале „Dr. A. Petermanns Mitteilungen aus Justus Perthes Geographischer Anstalt" (N 112). Научную экспедицию на восточном побережьи Черного моря Г. Радде осуществил с 3 апреля по 16 августа 1893 года. Работа была найдена нами в 2005 году, во время научной командировки в Германии в Заарландском университете. Данные в ней сведения об Артвине и его окрестностях с соответствующим исследовательским аппаратом впервые вводятся нами в научный оборот.

მიხეილ გახტაძე

ერთი დოკუმენტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შესახებ (1920 წელი)

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წლები) სამხედრო სამინისტროს ფონდში (№1969; აღ. 1) ინახება საქმე №670. ეს არის ერთი საქაღალდე, რომელსაც აწერია – „ВООРУЖЁННЫЕ СИЛЫ ГРУЗИНСКОЙ ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ“. დოკუმენტი 32 ფურცლისაგან შედგება და წარმოადგენს საბეჭდ მანქანაზე რუსულად დაბეჭდილ ტექსტს. არც საქაღალდეს და არც თავად დოკუმენტს არ აწერია არც თარიღი და არც მითითებაა იმის შესახებ, თუ ვის მიერ უნდა იყოს იგი შედგენილი.

როგორც ჩანს, საქაღალდეში ფურცლები არათანმიმდევრულად არის ჩადებული. ზოგიერთ ფურცელს თავზე ძველი ნუმერაციის აღმნიშვნელი რიცხვი აწერია. ამჟამად საქაღალდეში არსებული ფურცლების თანმიმდევრობა ისეთია, რომ მე-16 ფურცელს თავზე აწერია ძველი ნუმერაციის – 20, ხოლო მე-18, მე-19 და მე-20 ფურცლებს თავზე აწერიათ შესაბამისად – 15, 16, და 17. აშკარაა, რომ ჯერ უნდა იყოს ძველი ნუმერაციის 15, 16, 17 და მხოლოდ შემდეგ 20. ამის შემდეგ უნდა მოდიოდეს დღევანდელი დანომვრით მე-7 და მე-9 ფურცლები, რომლებსაც შესაბამისად თავზე აწერიათ – 25 და 26 (საინტერესოა, რომ დღევანდელი მდგომარეობით ამ ორ ფურცელს შორის კიდევ ერთი ფურცელია ჩაკერებული, რომელიც შინაარსობრივად არც წინას უკავშირდება და არც მომდევნოს).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ საქაღალდეში არსებული ფურცლების დღევანდელი თანმიმდევრობა არასწორია.

დოკუმენტის 1-3 ფურცლებზე არსებული ინფორმაცია თითქმის უცვლელად მეორდება 4-5 ფურცლებზე. 26-ე ფურცელის ორი აბზაცი კი მცირეოდენი დამატებით მეორდება 30-ე ფურცელზე.

ამავე დროს არ გამოვრიცხავთ, რომ თავდაპირველი ტექსტის რამდენიმე ფურცელი შესაძლოა დაკარგულიც იყოს (მაგ. მე-18 ფურცელი, ძველი ნუმერაციით – 15, შინაარსობრივად არ ებმის საქაღალდეში არსებულ არც ერთ ფურცელს).

თავად დოკუმენტი ძალიან საინტერესო შინაარსისაა. მასში აღწერილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის სტრუქტურა, შემადგენლობა,

დისლოკაციის ადგილები, შეიარაღება, ბრძოლისუნარიანობა და შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

შედარებით ადვილი დასადგენია დოკუმენტის შექმნის თარიღი. ამის საშუალებას თავად მასში არსებული ინფორმაცია იძლევა, რომლის თანახმადაც დოკუმენტის შექმნის მომენტში შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო გენერალი გიორგი კვინიტაძე. კვინიტაძე მთავარსარდლად 1920 წლის 29 აპრილს დაინიშნა (1) და 8 სექტემბერს დატოვა ეს თანამდებობა (2). დოკუმენტი აპრილ-მაისის საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ არის შექმნილი. აქედან გამომდინარე დოკუმენტი შეიძლება მხოლოდ 1920 წლის ზაფხულში დაწერილიყო.

გაცილებით რთული დასადგენია დოკუმენტის ავტორის ვინაობა; არანაირი მინიშნებაც კი არ არსებობს ამასთან დაკავშირებით. ამ საკითხის გასარკვევად, ჩვენი აზრით, პასუხი უნდა გაეცეს ერთ კითხვას – ვისთვის ან რა საჭიროებისთვის შეიქმნა ეს დოკუმენტი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დოკუმენტი შეიცავს მეტად საინტერესო და გარკვეულწილად საიდუმლო ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ. ეს ინფორმაცია, პირველ რიგში საინტერესო უნდა ყოფილიყო საქართველოს მოწინააღმდეგეთათვის.

შესაძლოა, თავად ხელისუფლებაც ყოფილიყო დაინტერესებული საკუთარ შეიარაღებულ ძალებში არსებული რეალური ვითარების ამსახველი ინფორმაციის მიღებით. თუმცა თავად ტექსტის მთელი რიგი მონაკვეთები გვაფიქრებინებს, რომ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია არ უნდა ყოფილიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის განკუთვნილი. წარმოუდგენელია, რომ ყოველივე ზემოთ თქმული უცნობი ყოფილიყო ხელისუფლების წარმომადგენელთათვის. მსგავსი ფრაგმენტები საკმაოდ მოიძებნება დოკუმენტში.

ჩვენი აზრით, დოკუმენტის შემდგენლის მიზანი ინფორმაციის ქვეყნის გარეთ მიწოდება უნდა ყოფილიყო. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შესახებ ცნობების მიღებით ყველა ჩვენი მეზობელი იქნებოდა დაინტერესებული, მაგრამ ყველაზე მეტად საბჭოთა რუსეთი. სავარაუდოა, რომ ეს დოკუმენტი საბჭოთა რუსეთის აგენტურის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიქმნა და განკუთვნილი იყო მოსკოვის ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის.

დოკუმენტი, მასში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. პირველი ნაწილი, სადაც საუბარია ქართული შეიარაღებული ძალების სტრუქტურის, შემადგენლობის, შეიარაღების, დისლოკაციის ადგილებისა და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ. მეორე – რომელშიც უკვე თავად დოკუმენტის შემდგენლის (თუ შემდგენლების) მოსაზრებები, კომენტარები და შეფასებებია ქართული შეიარაღებული ძალების შესახებ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ე.წ. მეორე ნაწილი საკმაოდ ტენდენციურია. დოკუმენტის ავტორის აზრით, სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით,

ქართული შეიარაღებული ძალები ვერ ჩაითვლება ძლიერ და მძლავრ არმიად. მისი ბრძოლისუნარიანობის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია და სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ქართული შეიარაღებული ძალების ორსახოვნებამ (იგულისხმება გაყოფა რეგულარულ არმიად და სახალხო გვარდიად – მ.ბ.), შესაძლოა არმიასა და გვარდიას შორის შეტაკებები გამოიწვიოს. დასკვნაში ისიც არის ნათქვამი, რომ საქართველოს მიერ სამხედრო მოქმედებების დაწყება თავისთავად ხელს შეუწყობს ეკონომიკური სისტემის ნგრევას, რაც მოსახლეობას ხელისუფლების საწინააღმდეგოდ განაწყობს. ზემოთ მოტანილი შეფასებები რომ რელობას არ შეესაბამებოდა, ეს კარგად გამოჩნდა 1921 წლის 18-24 თებერვალს თბილისის დაცვისათვის წარმოებული ბრძოლის დროს. როდესაც რეგულარული არმიის ნაწილები, გვარდიის შენაერთები და ქალაქის მოსახლეობა ერთად, გმირულად იცავდა საქართველოს დედაქალაქს სამჯერ უფრო მეტი მტრისაგან და არსად ერთი ნაბიჯითაც არ დაუთმია პოზიციები.

დოკუმენტში არსებული მთელი რიგი ფაქტების გადამოწმება ამ ეტაპზე რთულია. მაგალითად, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯარში გავრცელებულია ხაზინის ქურდობა; რომ გენერალი გედევანიშვილი დიდ თანხებს აგებს კაზინოში; რომ თანამდებობებზე დანიშვნისას დიდი ყურადღება ექცევა ნათესაურ კავშირებს და არა პირად თვისებებს; რომ მთელი რიგი თანამდებობები უკავიათ არაპროფესიონალებს და ა.შ. მართალია დოკუმენტში სათანადო მაგალითებიც არის მოტანილი, მაგრამ ძნელი სათქმელია ეს მაგალითები გამონაკლისია, თუ მსგავსი ფაქტები საკმაოდ ხშირი იყო.

უნდა ვაღიაროთ, რომ შეფასებების ნაწილი მართებულია. ფაქტია, რომ ორი პარალელური სამხედრო სტრუქტურის არსებობა არანორმალური იყო. ხელისუფლება რეგულარული არმიის გენერლებსა და ოფიცერთა კორპუსს არ ენდობოდა და გვარდია თავის უერთგულეს ძალად მიაჩნდა. ამ უკანასკნელს უამრავ პრივილეგიას ანიჭებდა. სწორია ისიც, რომ მთავრობა სათანადო ყურადღებას არ უთმობდა (ზოგჯერ უპასუხისმგებლოთაც ექცეოდა) საკავალერიო, საინჟინრო, საავიაციო ნაწილებს. თითქმის არ ყოფილა მცდელობა შექმნილიყო საწარმოები, რომლებიც ქართულ შეიარაღებულ ძალებს საჭურველითა და ამუნიციით მოამარაგებდა.

სიმართლეს შეესაბამება დოკუმენტის ავტორის დასკვნა, რომ რეგულარული არმიის ოფიცერთა კორპუსი მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი საბრძოლო გამოცდილებით გამოირჩევა. ამის საპირისპიროდ, გვარდიის ხელმძღვანელობას არასაკმარისი სამხედრო განათლება გააჩნია. თუმცა დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ გვარდიის ცხენოსანი ნაწილი ერთ-ერთი საუკეთესო ქართული სამხედრო შენაერთია და მასში, რუსეთის იმპერიის საუკეთესო საკავალერიო ნაწილების – ნიჟეგოროდისა და ტვერის დრაგუნთა პოლკების – ყოფილი ოფიცრები მსახურობენ.

დოკუმენტის მიხედვით ქართულ არმიაში 1300-1500 ოფიცერი მსახურობდა, ხოლო ძველი არმიის კიდევ 500-მდე ოფიცერი სამხედრო სამსახურში დასაქმებელი არ იყო. დოკუმენტის ავტორის აზრით, საბჭოთა რუსეთთან

ომის შემთხვევაში ყველა მათგანი უეჭველად შეავსებდა ქართული არმიის რიგებს.

საინტერესოა ინფორმაცია არმიის პირადი შემადგენლობის ეროვნული კუთვნილების შესახებ. დოკუმენტის თანახმად, ჯარისკაცთა 90% ქართველია, 5% – სომეხი, 2% – რუსი და 3% – სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ქვეითი ნაწილებისა და კავალერიის ოფიცრები თითქმის სულ ქართველები არიან. სამაგიეროდ ტექნიკურ ნაწილებში და განსაკუთრებით ავიაციასა და ავტორაზმში არაქართველი (რუსები, სომხები, პოლონელები, გერმანელები და სხვ.) ოფიცრები მსახურობენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ დოკუმენტის ე.წ. პირველი ნაწილი შეიცავს მეტად საინტერესო, მნიშვნელოვან და იმ დროისათვის გარკვეულწილად საიდუმლო ინფორმაციებს ქართული შეიარაღებული ძალების სტრუქტურის, შემადგენლობის, დისლოკაციის ადგილებისა და შეიარაღების შესახებ.

დოკუმენტის მიხედვით, ქართული შეიარაღებული ძალების სათავეში დგას სამხედრო მინისტრი – გრიგოლ ლორთქიფანიძე. სამხედრო მინისტრთან არსებობს სამხედრო საბჭო, რომლის წევრებიც არიან თავად სამხედრო მინისტრი, მისი თანაშემწეები: გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი და გენერალი ილია ოდიშელიძე. საბჭოს წევრები ასევე არიან გენერლები: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კირილე ქუთათელაძე და ანდრეა ბენაშვილი.

სამხედრო სამინისტროს შემადგენლობაში შედის:

1. გენერალური შტაბი – უფროსი გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. გენშტაბი იყოფა სექციებად:

ა) ოპერატიული – უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი.

თავად ეს სექცია იყოფა განყოფილებებად:

სამწყობრო – მაიორი მუსხელიშვილი;

სამობილიზაციო – პოლკოვნიკი ჭილაშვილი;

სადაზვერვო – პოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი;

საარტილერიო – პოლკოვნიკი ყაზბეგი;

საინჟინრო-ტექნიკური – პოლკოვნიკი გურამიშვილი

ბ) ტოპოგრაფიული სექცია – უფროსი გენერალი ბენაშვილი;

გ) სამხედრო-საგზაო სექცია – პოლკოვნიკი მაჭავარიანი;

2. პირადი შემადგენლობის განყოფილება – პოლკოვნიკი ხომერიკი;

3. საერთო განყოფილება – გენერალი ქავთარაძე. აქ შედის კანცელარია, კომენდატურა და კონტრ-დაზვერვა – უფროსი პოლკოვნიკი თულაშვილი.

4. სამეურნეო განყოფილება – გენერალი ყიფშიძე. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობს კოლეგია, რომელსაც სათავეში დამფუძნებელი კრების წევრი გოგუა უდგას.

5. სამხედრო სანიტარული განყოფილება – ექიმი მგელაძე;

გენერალი ოდიშელიძე სამხედრო მინისტრის თანაშემწეა სამწყობრო მომზადების დარგში, ხოლო გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი – სამეურნეო დარგში.

არმიის მთელი არტილერიის მეთაურია გენერალი კირილე ქუთათელაძე, ხოლო საინჟინრო ძალები გენერალ თაყაიშვილის ემორჩილება.

არსებობდა ქვეითთა 3 ბრიგადა. თითოეული იყოფა 4 ათასეულად[1].

I ბრიგადას ხელმძღვანელობდა გენერალი დავით ართმელიძე, მისი თანაშემწე იყო გენერალი ვაშაკიძე.

II ბრიგადას მეთაურობდა გენერალი იოსებ (სოსო) გედევანიშვილი, თანაშემწე – გენერალი (სახელი?) სუმბათაშვილი.

III ბრიგადას სათავეში ედგა გენერალი ვარდან წულუკიძე;

დოკუმენტში, ქართული შეიარაღებული ძალების (რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის) შემადგენლობა და შეიარაღება შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

სამხედრო ნაწილის დასახელება	ათასეული	ასეული	ესკადრონი	ხიშტი	ხმალი	ტყვია-ჭურვქვეი	სამთო ზარბა-ზანი	მსუბუქი/ საველე ზარბაზანი	ჰაუბიცა
ქვეითთა ნაწილები									
I ბრიგადა									
1-ლი ათასეული.	1	5	-	550					
850(არასამწყობრო)	-	22	-	-	-				
1-ლი საარტილერიო დივიზიონი	-	-	-	400					
600	-	6	8	4	-				
ერთ ბრიგადაში	4	20	-	2600					
4000	-	94	8	4	-				
სამივე ბრიგადაში	12	60	-	7800					
12000	-	282	24	12	-				
არტილერია									
საარტილერიო დივიზიონი	-	-	-	400					
600	-	6	4	4	4				
კავალერია									
საკავალერიო პოლკი	-	-	4	-	700	6	-	-	-
ქართულ-მუსლიმური დივიზიონი	-	-	2	-	300	6	-	-	-
საინჟინრო-ტექნიკური ნაწილები									
მესანგრეთა ათასეული	1	4	-	800					
1000	-	-	-	-	-				
საავტომობილო ასეული	-	1	-						
200	-	-	-	-	-				
საავიაციო ასეული	-	1	-						
200	-	-	-	-	-				
რადიო-სატელეგრაფო ასეული	-	1	-						
100	-	-	-	-	-				

1 მართალია დოკუმენტში ნახსენებია, რომ ბრიგადები იყოფა ბატალიონებად, მაგრამ ამ შემთხვევაში რუსულ ტერმინ - „ბატალიონს“ შეესაბამება ქართული ათასეული

სამხედრო სკოლა	-	2	-	600					
800	-	12	-	-	-				
სახალხო გვარდია									
ქვეითთა 16 ბატალიონი	16	80	-	16000	-	364	-	-	-
საარტილერიო ბრიგადა	-	-	-	-	-	8	12	12	-
ცხენოსანი დივიზიონი	-	-	2	-	300	6	-	-	-
4 ჯავშანმატარებელი	-	-	-	-	-	40	-	6	-
სასაზღვრო დაცვა									
6 რაზმი	6	18	-	3600	1800	-	-	-	-
სადარაჯო ნაწილები									
თბილისისა და ქუთაისის ბატალიონები	2	6	-	600	-	-	-	-	-
სულ	37	173	8	29800					
35100	3100	730	40	36	4				
საგანგებო რაზმი	-	-	-	1000	-	-	-	-	-
დასახლებული პუნქტების მილიცია	-	-	-	12000	-	-	-	-	-

რაც შეეხება საქართველოს შეიარაღებული ძალების შენაერთების დისლოკაციას:

მთავარსარდალი და მისი შტაბი – თბილისი

1-ლი ბრიგადის შტაბი – სოხუმი

1-ლი ათასეული – ბათუმი

მე-2 ათასეული – გაგრის პოზიციები

მე-3 ათასეული – ქუთაისი

მე-4 ათასეული – ოზურგეთი

1-ლი საარტილერიო დივიზიონი

1-ლი ბატარეა – გაგრის პოზიციები

მე-2 ბატარეა – იქვე

მე-3 ბატარეა – ბათუმი

მე-2 ბრიგადის შტაბი – თბილისი

მე-5 ათასეული – ერთი ასეული და შტაბი თბილისი

ორი ასეული ლაგოდეხი

ორი ასეული დარიალის ხეობა

მე-6 ათასეული – ლაგოდეხი

მე-7 ათასეული – თბილისი

ერთი ასეული სოლოღლი

მე-8 ათასეული – აშაღ-სარალი–წითელი ხიდის რაიონი

მე-2 საარტილერიო დივიზიონი

1-ლი ბატარეა – თბილისი

მე-2 ბატარეა – ლაგოდეხი

მე-3 ბატარეა – აშაღ-სარალი

მე-3 ბრიგადის შტაბი – ახალციხე

მე-9 ათასეული – ახალციხე
მე-10 ათასეული – იქვე
მე-11 ათასეული – აჭარა
მე-12 ათასეული – იქვე
მე-3 საარტილერიო დივიზიონი – ახალციხე
ცალკეული საარტილერიო დივიზიონი
სამმართველო, სამთო და საველე ბატარეები – თბილისი
ჰაუბიცების ბატარეა – პოზიციებზე ფოილოს ხიდთან
საკავალერიო პოლკი – მანგლისი
ქართულ-მუსლიმური საკავალერიო დივიზიონი – თბილისი
მესანგრეთა ათასეული
შტაბი და სამი ასეული – თბილისი
ერთი ასეული – გაგრის პოზიციებზე
საავტომობილო ასეული – თბილისი
საავიაციო ასეული – თბილისი, ნავთლული
რადიო-სატელეგრაფო ასეული – თბილისი და ბათუმი
სამხედრო სასწავლებელი, უნტერ-ოფიცერთა სკოლასთან ერთად – თბილისი
სახალხო გვარდიის ნაწილები
შტაბი – თბილისი
საგანგებო ბატალიონი – ცხინვალი
1-ლი სარკინიგზო-ავჭალის ბატალიონი – თბილისი
მე-2 ნავთლუღ-ავლაბრის – იქვე
მე-3 საბურთალოს – იქვე
ალაზნის გაღმა ბატალიონი – კახეთში
სიღნაღის – იქვე
გორის – გორი
ხაშურის – სადგური მიხაილოვო
შორაპნის – სადგური შორაპანი
ქუთაისის – ქუთაისი
სამტრედიის – სადგური სამტრედია
ახალ სენაკის[2]
ფოთის – ფოთი
სოხუმის – სოხუმი
ბათუმის – ბათუმი
საარტილერიო ბრიგადა – თბილისი
ერთი სამთო ბატარეა – ცხინვალი
საკავალერიო დივიზიონი – თბილისი
ჯავშანმატარებლები – მუდმივად გადაადგილდებიან

2 დოკუმენტში არ არის აღნიშნული დისლოკაციის ადგილი, სავარაუდოდ სენაკში იყო განლაგებული.

სადარაჯო ათასეული – თბილისი და ქუთაისი
საგანგებო რაზმი (შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია) – თბილისი
მილიციის რაზმები – საქართველოს ქალაქებში

დოკუმენტის შემდგენლის აზრით, საქართველოს შეიარაღებული ძალების რიცხოვნება მაქსიმუმ შეიძლება 50 ათასი კაცი ყოფილიყო. აქედან არმია 15-18 ათასი, სახალხო გვარდია – 16 ათასი, ამას ემატებოდა სასაზღვრო (სანაპირო) დაცვისა და სადარაჯო ათასეულები, საგანგებო რაზმი და მილიციის ნაწილები.

ჩნდება ერთი მთავარი კითხვა: რამდენად რეალურია შეიარაღებული ძალების რაოდენობის, სტრუქტურისა და დისლოკაციის ადგილებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც დოკუმენტში მოიპოვება? ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში არსებული მონაცემები საქართველოს გენერალური შტაბის ინფორმაციას შევადაროთ.

ამ ინფორმაციის თანახმად, 1920 წლის 25 აგვისტოსათვის ქართულ არმიაში, პირადი შემადგენლობის რაოდენობის თვალსაზრისით შემდეგი ვითარება იყო (3):

	სიითი შემადგენლობა	სახეზე იყო
I ბრიგადა. შტაბი	73	54
1-ლი ათასეული	4085	2034
მე-2 ათასეული	1967	1922
მე-3 ათასეული	2111	1534
მე-4 ათასეული	1812	1424
1-ლი არტ.დივიზიონი	771	684
	10819	7652
II ბრიგადა. შტაბი	42	31
მე-5 ათასეული	3236	1920
მე-6 ათასეული	3605	2225
მე-7 ათასეული	3131	1563
მე-8 ათასეული	1509	1297
მე-2 არტ.დივიზიონი	596	567
	12119	7603
III ბრიგადა. შტაბი	29	14
მე-9 ათასეული	1828	1612
მე-10 ათასეული	2059	1582
მე-11 ათასეული	1815	1308
მე-12 ათასეული	1683	865
მე-3 არტ.დივიზიონი	811	586
	8225	5967

საარმიო არტილერია	537	379
სადარაჯო ათასეული	926	658
სანაპირო ათასეული	3025	2418
მესანგრეთა ათასეული	638	207
საავიაციო რაზმი	189	172
ავტო-რაზმი	299	298
რადიო-რაზმი	197	119
ცხენოსანი რაზმი	693	418
	37667	25891

ძირითადი და მნიშვნელოვანი განსხვავება ცქვეითთა ბრიგადების პირადი შემადგენლობის რაოდენობებს ეხება. გენერალური შტაბის ინფორმაციით, სამივე ბრიგადაში სიით 31163, ხოლო სახეზე 21222 კაცი იყო. ჩვენს მიერ განხილული დოკუმენტის მიხედვით კი სამივე ბრიგადაში 12 000 კაცი ირიცხებოდა. სხვა შენაერთებთან დაკავშირებით კი ინფორმაციები მეტ-ნაკლებად ერთმანეთს ემთხვევა.

სამხედრო ნაწილი	გენშტაბის ინფორმაციით ირიცხება/სახეზე იყო	დოკუმენტის მიხედვით იყო
სადარაჯო ათასეული	926/658	600
სასაზღვრო/სანაპირო ათასეული	3025/2418	3600
მესანგრეთა ათასეული	638/207	1000
საკავალერიო პოლკი	693/418	700
საავიაციო ასეული	189/172	200
საავტომობილი ასეული	299/298	200
ცალკეული საარტილერიო დივიზიონი	537/379	600
რადიო-სატელეგრაფო ასეული	197/119	100

ჩვენი აზრით, დოკუმენტში არსებული ინფორმაციები ქართული შეიარაღებული ძალების რაოდენობის, სტრუქტურისა და დისლოკაციის ადგილების შესახებ ძირითადად მაინც სწორია.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 1920 წელი 29 აპრილი №94.
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 1920 წელი 12 სექტემბერი №216.
3. მ. ბახტაძე, ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს. თბ. 2009 წ.

MICHAEL BACHTADZE

ONE DOCUMENT ABOUT THE ARMED FORCES OF GEORGIAN DEMOCRATIC REPUBLIC (1920 YEAR)

Summary

In the central federal historic archive of Georgia. Georgia's first democratic military stock is kept case N 670. On this folder is written: "Armed Forces of Democratic Republic of Georgia". Probably, the document was created based on the information which was obtained by agents of Soviet Russia and was targeted for Bolshevik government of Moscow. We can divide document in two parts. The first part, where there is talk about structure, contingent. arms and dislocation places of Georgian armed forces. Second where are ideas, comments and evaluations of the creator of the document about Georgian armed forces

МИХАИЛ ВАХТАДЗЕ

ДОКУМЕНТ О ВООРУЖЁННЫХ СИЛАХ ГРУЗИНСКОЙ РЕСПУБЛИКИ (1920 ГОД)

Резюме

В центральном государственном историческом архиве Грузии, в фонде военного министерства Грузинской демократической республики храниться дело №670. Это папка на которой написанно – "ВООРУЖЁННЫЕ СИЛЫ ГРУЗИНСКОЙ ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ". Вероятнее всего документ создан на основании информации. добытой агентурой Советской России и был преднозначен для большевистского правительства в Москве. документ можно разделить на две части. Первая. где говориться о структуре, составе, вооружении. местах дислокации грузинских вооружённых сил. Вторая – где представлены суждения. коментарии и оценки автора документа о грузинских вооружённых силах.

Л.С. ЕРМОЛАЕВА

ГРУЗИНСКАЯ ФИЛОЛОГИЯ НА ВОСТОЧНОМ ФАКУЛЬТЕТЕ САНКТ-ПЕТЕРБУРГСКОГО - ЛЕНИНГРАДСКОГО УНИВЕРСИТЕТА

Грузинская филология была представлена на Восточном факультете со дня его основания. По указу Николая I от 1854г. уже в 1855г. была открыта кафедра грузинской словесности, которую возглавил Д.И. Чубинов (Чубинашвили, 1813 или 1814 - 1871). До этого времени Д.И. Чубинов возглавлял кафедру грузинской словесности в рамках разряда восточной словесности историко-филологического факультета университета, где кроме него занятия по грузинской истории, литературе и языку с 1841г. вел М.И. Броссе (1802-1880). При обсуждении программы обучения на будущем факультете восточных языков и вопроса о составе кафедры на армяно-грузинско-татарском отделении ("разряде") в мае 1855г. Д.И.Чубинов сумел отстоять своё мнение о необходимости создания специальной кафедры грузинской словесности с учетом самобытности грузинского языка и грузинской культуры, вопреки мнению будущего декана А.К. Казем-Бека, в связи с чем присутствовавший на заседании попечитель Петербургского учебного округа М. Мусин-Пушкин пожал Д.И. Чубинову руку и сказал: «Люблю, когда так самозабвенно защищают свою специальность» (6 стр).

Число студентов, изучающих грузинский язык, в 1855 составило 10 человек, в 1856-12. (Для сравнения: по армянскому языку 1 и 1 соответственно) (10стр). Роль кафедры на данном этапе определялась задачами, стоящими перед факультетом: "На начальном этапе работы Факультета основное внимание уделялось таким организационным проблемам, как составление окончательных вариантов программ, издание учебной литературы, введение практических занятий, определение критерия экзаменационных требований для студентов и соискателей учёных степеней, проведение планомерных закупок книг и рукописей, основание "печатного органа" (1стр). 33. цит. по: (10 стр) 153. При этом "важнейшим вопросом было выяснение целенаправленности процесса обучения. Декан А.К.Казем-Бек и ряд преподавателей стремились усилить практический уклон. Оппозицию возглавил И.Н.Березин, который "против своего учителя" отстаивал "академическое направление стр 22, 1627, цит. по: (10 стр:153]. «Дальнейшая история Факультета восточных языков свидетельствует о

том, что научно-теоретические аспекты занимали должное место на всех этапах его развития" (10 стр 153).

Как отмечалось ещё в справке "О необходимости учредить при С. - Петербургском университете особый полный класс восточных языков", цель преподавания восточных языков "в университетах совершенно различна от той, для которой <...> бывают учреждаемы особенные училища, или так называемые специальные институты восточных языков. Последние, будучи предназначены исключительно к приготовлению чиновников для дипломатической службы на Востоке, ограничиваются преподаванием практических сведений, необходимых для драгоманов. В университетах, напротив, должны образоваться ориенталисты, т.е. люди, с учёностью европейскою соединяющие учёность азиатскую и посвящающие себя, с одной стороны, важному и благородному предмету пополнять и распространять круг наших познаний фактами, заключающимися в словесности восточных народов, с другой же стороны, заготовлению и облегчению для молодых драгоманов средств к правильному и основательному изучению языков, на знании которых основана вся задача их службы" (Материалы для истории факультета 19.I стр 96-97). И далее, в той же Справке: "В сем классе восточных языков потребны для преподавания теоретического 11 ординарных профессоров; а для обучения практического неопределённое число адъюнктов или учителей. Сим последние должности надлежит преимущественно поверять учёным азиатцам <...>: для грузинского – 1 профессор и 1 адъюнкт или учитель" [19стр:103].

В справке от 24 октября 1854 г. № 554/129: "С представлением проектов указа Правительствующему Сенату и штата факультета восточных языков при С.-Петербургском университете", где "собственного Его Императорского Величества рукою написано: "Согласен", значится: "1) Назначение факультета, согласно с нуждами государства состоит в приготовлении учёных ориенталистов, переводчиков по восточным языкам и чиновников для службы по тем ведомствам, где требуется знание сих языков. В этих видах в факультете должны существовать кафедры языков:<...> 7) армянского, 8) грузинского<...>. Число преподавателей определяется штатом". [Материалы для истории факультета 19.I стр 141-142].

Сказанное имело прямое отношение к развитию событий вокруг кафедры грузинской словесности и к судьбе Д.И. Чубинова. Так, в Записке князя А.Чернышева (Кавказский комитет в С.-Петербурге. 5 августа 1854г. №933) Министру народного просвещения А.С.Норову значится: "Имея в виду, что подвластные России грузинское и армянское население как в численности, так и в политическом отношениях несравненно значительнее населения монгольского и калмыкского; что языки грузинский и армянский имеют свою литературу и что в сих нациях вообще заметно ныне усилие к обработке их языка, я полагал бы полезным иметь для грузинского и армянского языков также ординарных профессоров: но принимая во внимание, что приведению сего предположения ныне в действие может препятствовать недостаток денежных средств, "

я представляю вполне собственному и ближайшему усмотрению Вашего превосходительства назначить для грузинского и армянского языков ординарных профессоров тогда, когда средства позволят, оставив до того времени для преподавания сих языков профессоров экстраординарных <...>" [19.1: стр125].

В списке личного состава профессоров, адъюнктов, лекторов Восточного факультета от 12 ноября 1854 г. Д.И.Чубинов значится адъюнктом-профессором грузинского языка [Там же: 163], в связи с чем В.П.Бутков (Управляющий делами Кавказского комитета) обращается к Министру А.С.Норову: "Милостивый Государь Авраам Сергеевич. Попечитель С.- Петербургского учебного округа в апреле сего года ходатайствовал у Вашего превосходительства об утверждении адъюнкта на кафедре грузинского языка при С.-Петербургском университете Чубинова, за ученые труды его по грузинской литературе, экстраординарным профессором, но ходатайство сие было отложено до преобразования Восточного отделения при означенном университете в факультет. Ныне, за воспоследованием этого преобразования и назначения преподавателя грузинского языка в числе экстраординарных профессоров, я имею честь всепокорнейше просить вас, милостивый государь, сделать благосклонное распоряжение об утверждении надворного советника Чубинова экстраординарным профессором, согласно удостоению учёного сословия и ходатайству тайного советника Мусина - Пушкина"[19.1 стр: 172]. Ответ Исправляющего должность начальника отделения И.Гирта гласил: "Попечитель предполагает : кафедры восточного факультета заместить следующими лицами :<...> 9) Грузинского языка - адъюнкт Чубинов. Статс-секретарь Бутков просит о возведении его в экстраординарные профессоры. Но он получает адъюнктское жалование из Кавказского комитета, и для него нет свободных денег в министерстве. <...> Исправляющий должность начальника И. Гирт". 19. 1 стр 191,192,196]. В свою очередь министр А.Норов : "назначаю <...> для замещения положенных на Восточном факультете кафедр: <...> грузинского языка – адъюнкта Чубинова <...>. При сем я признаю справедливым <...> возвести <...> адъюнкта Чубинова – по вниманию к учёным трудам его – в звание экстраорд. проф., если окажется возможным назначить ему содержание, соответствующее сему званию, из сумм Кавказского комитета (20 апреля 1855г.) [19. 1 стр: 195-196]. И почти одновременно (4 мая 1855г.) Управляющий делами кавказского комитета В.П. Буткову: "по уважению к учёным трудам г. Чубинова и ходатайству о нём совета С.-Петербургского университета я с особенным удовольствием готов возвести его в звание экстраординарного профессора. <...> Обращаюсь к Вашему превосходительству с покорнейшею просьбою, не позволите ли признать возможными ходатайствовать г.Чубинову по Кавказскому комитету назначить добавочное содержание, соответствующее званию экстраординарного профессора и последующем почтить меня уведомлением для окончательного утверждения его в профессорском звании. А. Норов" [19. 1 стр: 208-209]. Ответ В. Буткова Министру: "в распоряжении кавказского комитета не имеется сумм, из коих можно было бы назначить добавочное содержание

адъюнкту грузинского языка при С.- Петербургском университете Чубинову при возведении его в звание экстраординарного профессора. Мне кажется, впрочем, и это согласно с желанием самого Чубинова, что и в звании экстраординарного профессора он может довольствоваться ныне получаемым содержанием [19. 1 стр: 210-211].

По этому поводу сам Д.Чубинов:

«Записка о службе и трудах адъюнкта Давида Чубинова

Адъюнкт С.-Петербургского университета Давид Иессеев сын Чубинов поступил на службу в 1839 году в Азиатский департамент драгоманом, а в 1845 году избран советом С.-Петербургского университета и утвержден начальством адъюнктом по кафедре грузинской словесности. За ученые труды и ревностную службу он получил в награду орден св. Анны 3-й и 2-й степени Императорской короной украшенный, чин, бриллиантовые перстни и Высочайшие благоволения. Из трудов адъюнкта Чубинова изданы:

1) Грузинско-русско-французский словарь, удостоенный Академией наук в 1840 году полной Демидовской премии.

2) Русско-грузинский словарь, подробный, удостоенный также полной Демидовской премии.

3) Грузинская хрестоматия, одобренная Академией наук.

4) Законы грузинского царя Вахтанга VI.

5) Собрание грузинских пословиц.

6) Собрание грузинских летописей, изданное по поручению Академии наук.

7) Русская грамматика на грузинском языке.

8) Грузинская грамматика, изданная по поручению господина попечителя Кавказского учебного округа.

9) Краткий русско-грузинский словарь и другие.

За исчисленные труды по части грузинской литературы и ревностную службу адъюнкт Давид Чубинов покорнейше просит Ваше высокопревосходительство об утверждении его экстраординарным профессором, первоначально с жалованием адъюнкта, а впоследствии, когда откроются средства, с жалованием экстраординарного профессора.

Августа 3-го дня 1855 года.

Адъюнкт Давид Чубинов »

[19. 1 стр: 245]

В обзоре преподавания на 1855/56 академический год значится : "Давид Чубинов, адъюнкт грузинского языка, будет:1) преподавать грамматику грузинского языка, 2) занимать слушателей переводами с грузинского языка и обратно и 3) читать историю грузинской литературы" [19. 1 стр: 255].

Перед началом занятий на ВФ, 25 августа 1855, Д.И.Чубинов был "утверждён экстраординарным профессором по занимаемой им кафедре грузинского языка" [19. 1 стр: 264] В тот же день министр А.Норов отказывается удовлетворить

ходатайство за А. К. Казем- Бека, допустить назначение его адъюнктом по кафедре персидского языка, так как "не представляется к тому достаточных способов , между тем как имеется ещё в виду необходимость назначения содержания экстраординарного профессора Чубинову, оставленному ныне, по недостатку средств, при адъюнктском содержании "[19. 1 стр: 264-265]. Это ещё более осложнило ситуацию вокруг кафедры грузинской словесности, бесперспективность которой А. К. Казем-Бек пытался доказать, ещё не будучи деканом. Д.И. Чубинов же отстаивал необходимость сохранения кафедры, исходя из достижений грузинской культуры [6 стр: 24-25] (См. также выше, с.1.). Такая постановка вопроса казалась тем более необычной, поскольку арабист О.И.Сенковский, читавший лекции Чубинашвили-студенту, "проявил поразительный нигилизм, доказывая в 1837-38гг., что до XII века грузин вообще не было на свете" [30 стр: 22-23].

Кроме того, Д.И. Чубинов, придававший большое значение связи теории и практики и неустанно проводивший этот принцип в своих учебных пособиях, постоянно наталкивался на непонимание со стороны коллег, в том числе и Грузинского отдела Комитета Начертания учебных пособий. Так, по поводу "Грузинской грамматики", составленной Д.И.Чубиновым ещё в начале 50-х годов, разгорелась полемика между автором и Грузинским отделом. Д.И.Чубинов, предвосхищая научные открытия XX столетия, не считал возможным рассматривать форму на -man как самостоятельный падеж: "Повествовательный падеж есть тот же именительный с местоимением man, как значится в Грамматике. Во I-х потому, что оба падежа, именительный и повествовательный, рецензента оцениваются по одним и тем же вопросам vin "кто?", ra "что?", а не "кто есть?" и "что есть?" для именительного и "кто или что действовал?" для повествовательного <...>, во –II-х, ни в каком языке вы не найдёте, чтобы два падежа различные, познавались по одним и тем же вопросам " [29 стр:53]. Рецензент же истолковал мнение автора учебника как рекомендацию убрать форму на –ma из практического употребления в речи: "дети посмеются в глаза учителю, если он вместо повествовательного падежа будет требовать употребления именительного; поселянин осмеет чиновника, который в объяснении с ним будет держаться того же употребления; а в делах отправления суда и расправы последствия этого правила могут быть весьма не смешны: <...> найдётся ли где-либо судья, который бы понял (без motxrobiti повествовательного падежа – Л.Е.), кто кого убил?!. <...> Скажу прямо, что Грузинская Грамматика, исключающая этот падеж из склонений, не может и не должна быть признана годною для здешних Учебных Заведений" [7 стр 99-100].

Говоря о научной работе Д.И. Чубинашвили, следует отметить особо его лексикографическую деятельность: составленные им словари (грузинско-русский, русско-грузинский и др.) были переизданы спустя почти сто лет после их выхода и используются по сей день [28 1887, 1984 и др.].

Несмотря на то, что и в России и в Грузии всегда с нетерпением ожидали выхода очередного словаря Д.И.Чубинашвили, их издание было сопряжено для автора с большими трудностями. Так, спустя несколько лет после кончины М.Броссе, неизменно рецензировавшего словари Д.И.Чубинашвили, учёный секретарь Академии К. Веселовский сообщил, что, поскольку в текущий момент Академия на грузинском отделении не имеет своего представителя, который написал бы рецензию на словарь, выделение средств на его издание может оказаться крайне обременительным. Однако желание издать словарь, материал для которого Д.И.Чубинашвили собирал в течение сорока лет, оказалось настолько сильным, что он приступил к его изданию на собственные средства [6 стр:109-110].

В 60-е годы произошли серьёзные изменения в развитии кафедры грузинской словесности. В 1863 г. кафедры грузинской и армянской словесности были объединены. Д.И. Чубинашвили стал заведовать этой объединенной кафедрой. Второе значительное изменение, и при том положительное, заключалось в определении назначения факультета, не сводимого более к чисто практическому: "Взгляд, высказанный в 1857г. деканом Казем-Беком, по которому "назначение" факультета было "чисто практическое", в шестидесятых годах уже не пользовался сочувствием большинства. Приблизительно такой же взгляд был проведён Казем-Беком в записке, представленной в начале 1864г. по вопросу о будущности воспитанников факультета; по факультет, выслушав эту записку, поручил составление новой записки Григорьеву и эту последнюю постановил "признать вполне удовлетворительным ответом на предложенные г. министром вопросы и представить её г. попечителю, приложив при этом и записку заслуженного профессора Казем-Бека, как отдельное от прочих членов мнение. В записке Григорьева впервые проводится взгляд, что "практические цели факультета, сколь ни важны они, составляют лишь часть его задачи, заключающейся, главнейше, как и задача всякого другого факультета, в учёной обработке и распространении сведений, входящих в круг преподаваемых в нём предметов, в служении чистой науке на пользу целого человечества"[Материалы для истории факультета 1909: IV 171].

В этом свете становится понятным и интерес к сравнительно-историческому языкознанию, непосредственно коснувшийся кафедры грузинской и армянской словесности, так как по разряду грузино-армянскому для студентов был введён курс сравнительной грамматики индоевропейских языков и даже стоял вопрос об учреждении на факультете особого разряда сравнительного языкознания [Материалы для истории факультета 1906: II 12].

Дальнейшие изменения на кафедре кавказских языков (армянского и грузинского) были связаны с судьбой возглавлявшего её Д.Чубинова. Выслужив тридцатилетний срок (с 1861г. в должности ординарного профессора, с 1871 – засл. проф.), Чубинов "был забаллотирован в заседании совета 1 ноября 1871г.; факультет возбудил ходатайство об оставлении его при университете сверхштатным профессором <...>; дело было прекращено по просьбе самого

Чубинова, сославшегося на отмену кавказских стипендий как на факт, совершенно изменявший положение преподавателя грузинского языка. Представителем кафедры остался преподаватель армянского языка К.П. Патканов [Материалы для истории факультета 1909: IV 155].

Но в это время на кафедре уже читал лекции молодой приват-доцент А.А.Цагарели (1844-1929), воспитанник и друг Д.И.Чубинова. После окончания Тифлисской духовной семинарии А.А.Цагарели учился в С.-Петербургской медицинской академии, а затем на историко-филологическом факультете университета. С 1868г. он углублял свои знания в Мюнхенском, Тюбингенском и Венском университетах. В начале 70-х годов А.А.Цагарели защитил магистерскую (в 1880г. – докторскую по мегрельскому языку [Цагарели 1880]) и прочитал пробную лекцию на тему "Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков"[Цагарели 1872г.; II изд.1957], после чего был избран приват-доцентом, в 1886г. – экстраординарным профессором, а в 1888 г. – зав.кафедрой.

Продолжая линию Д.И.Чубинова, А.А.Цагарели самоотверженно защищал интересы грузинского народа. Так, в 1871г. в знак протеста он оставил кафедру в связи с тем, что пять стипендий, которые должны были быть выданы грузинским студентам, были отняты у факультета восточных языков и переданы историко-филологическому факультету [21 стр: 4]. По словам А. А. Цагарели, "ни одна из востоковедческих отраслей в России не имела такой превратной судьбы, как грузиноведение. Ей приходилось на каждом шагу защищать свои гражданские права. Были периоды подъёма и упадка, возвеличивания и равнодушия к ней". (Цит. по: [19 стр: 33]). В заключительном томе "Сведений о памятниках грузинской письменности", содержащем значительную часть архива Д. И. Чубинова, А. А. Цагарели так сформулировал своё гражданское и научное кредо: "Я сознательно избегаю всякой бесплодной полемики, но когда несправедливыми выпадами попираются интересы науки и моей специальности, когда возникает принципиальный вопрос о целенаправленности этой отрасли востоковедения, то необходимость требует выяснить её научную ценность. В такое время молчание равно измене делу" [Цагарели 1984: LXXXIX].

Научная заслуга А.А.Цагарели состояла не только в изучении бесписьменных картвельских языков (мегрельского, лазского, сванского), но и в создании основ сравнительно-исторической грамматики картвельских языков, установлении звуковых соответствий между ними, в доказательстве преждевременности утверждений о родстве картвельских языков с индоевропейскими и урало-алтайскими. Спустя столетие после выхода его первых работ А.А.Цагарели продолжает оставаться одним из наиболее известных картвелистов-компаративистов [2 стр: 209]. При этом в плане общего языкознания взгляды А.А.Цагарели обнаруживают поразительное сходство со основными положениями общелингвистической теории И.А.Бодуэна де Куртенэ. (Подробнее см. об этом [5]).

В своей научной деятельности А.А.Цагарели преследовал две цели : "чисто–грамматическую и историко-литературную"[Цагарели 1873: XI]. Этой второй цели учёный посвятил период своей деятельности с 80-х годов. Залогом усиления Санкт-Петербургского карвелологического центра он считал изучение грузинской литературы. В 1884г. он выступил против имевшего место объединения кафедр грузинской и армянской словесности (в связи с обсуждением проекта нового факультета) [Материалы для истории факультета 19 I стр 38], так как это могло отрицательно сказаться на уровне преподавания. Но, к сожалению, его требование не было удовлетворено [21 стр:4]. Ср.: "Из журнала заседания совета СПб университета 6 октября 1886г.: <...> факультет восточных языков, будучи единственным по своей части, поставленным на научной почве учреждением в России, имеющим целью удовлетворение известного рода научных и государственных потребностей, ходатайствует: во-первых – о восстановлении самостоятельных кафедр маньчжурской словесности и грузинской словесности, как было установлено уставом факультета 1854г. " [19: II стр 178-179].

Под влиянием работ А.А.Цагарели уже в 80-е годы на ВФ расширяется круг изучаемых картвельских языков : "иверийские языки (грузинский с родственными ему наречиями)" [19:II стр 299]. Также под влиянием А.А.Цагарели происходит перераспределение изучаемых языков между разрядами и организуется армяно-грузино-персидский разряд [Там же : 300; 19: IV стр165], а в испытания на степень магистра грузинской словесности вместо турецко-татарской словесности было введено сравнительное языкознание [19 : IV 157].

А.А.Цагарели предпринял ряд экспедиций на Кавказ и командировок в европейские страны с целью изучения заграничных очагов древнегрузинской культуры. Результатом этих поисков явился его трёхтомный труд "Сведения о памятниках грузинской письменности" (1886-1896).

В 1902г. А.А.Цагарели оставляет кафедру, которая переходит к Н.Я. Марру, но (так же, как и Д.И.Чубинов) продолжает научно-педагогическую деятельность, читает лекции, проводит консультации для студентов [21 стр: 5]. О плодотворной деятельности Д. И. Чубинова свидетельствует Указ Александра III от 10 мая 1890г. "О поднесении [императору] засл. п. Чубиновым своих работ: Русско-грузинского словаря и Грузинской грамматики. В докладе м.н.п И.Д.Делянова отмечены его "неутомимые исследования в области груз.литературы" [11 стр: 277].

А.А.Цагарели трудился на ВФ до 1920 г., получив высокое признание и со стороны Наркомпроса [Метревели 2003:5]. В 1920 году он был избран заслуженным профессором вновь созданного Тифлисского университета, переехал в Тифлис на постоянное место жительства и читал в университете лекции по грузинской литературе и истории.

В целом кафедра переживала на рубеже XIX и XX столетий трудное время: декан В.П.Васильев в 90-е годы неоднократно ставил вопрос об упразднении

преподавания грузинского языка и введения за счёт этого языков японского, корейского и индустанского. Однако факультет не разделял этих взглядов [19, стр: IV 189]. И в 1886г. указанные три языка были введены за счёт "дополнительного кредита"[11 стр: 240].

Из значительных событий начала XX столетия по части грузинской словесности можно отметить немногое: оставление при кафедре для приготовления к званию профессора И.А.Джавахова (Джавахишвили, впоследствии – ректор Тифлисского университета), его последующие командировки в Синай, Палестину, Афон для изучения в монастырях грузинских и армянских рукописей [11 стр:289].

Н.Я.Марр, возглавлявший в это время кафедру армяно-грузинской словесности, на первых порах сосредоточился на издании учебной литературы по армянскому языку [12 и др.]. Зато с 1908 по 1925г.г. вышли его лучшие работы по грузинскому и другим картвельским языкам, широко используемые во всем мире по настоящее время [13,14,15,16,17,18 и др.]. В это же время издавалась и учебная литература других членов кафедры, из которых в первую очередь следует отметить работы И. Кипшидзе [Кипшидзе 1911; 1918]. Все это сыграло немаловажную роль в развитии грузиноведения во вновь созданном Тифлисском университете, о чем К.К. Кинцурашвили писал в 80-е г.г. следующее: «кафедра грузинского языка и словесности факультета восточных языков Петербургского университета, которая существовала с 1855 г., выполнила большую роль в развитии грузинской культуры и общественной мысли. Здесь сложилась определенная школа грузиноведения, был создан целый отряд специалистов и подготовлена почва для грузинского университета. Блестящие представители петербургского центра грузиноведческих исследований, наряду с подготовкой квалифицированных кадров, вели плодотворную научно-исследовательскую деятельность; они не щадили сил и энергии, чтобы укрепить грузинскую науку. Именно это побудило петербургских ученых перенести в Грузию созданный в Петербурге центр грузиноведения и принять непосредственное участие в создании национального высшего учебного заведения» [Кинцурашвили 1989:120]. В Тифлисском университете, кроме А.А. Цагарели, преподавали и другие выпускники Петербургского университета: И. Джавахишвили, Е. Такайшвили, В.М. Беридзе, Ю.И. Абуладзе, А.Г. Шанидзе, И.А. Кипшидзе и др. [30 стр:49-50]. Связи тбилисского востоковедения с петербургским не ограничивались кафедрой армяно-грузинской словесности: известный востоковед Г. Церетели, имя которого носит Институт востоковедения Грузинской Академии Наук, был учеником И.Ю. Крачковского, акад. А. Г. Шанидзе – учеником И. А. Бодуэна де Куртенэ, Н. Я. Марра, Л. В. Щербы

В годы работы Н.Я. Марра в должности декана ВФ (1911-1918) впервые был поставлен и включен в проект устава университетов вопрос об образовании новых кафедр ФВЯ: «коренных кавказских горских языков», «Науки о языке на основе знания восточных языков» и др.. [11 стр: 235]. Первое из этих

предложений было осуществлено позднее учеником Н.Я. Марра – К.Д. Дондуа, второе же остаётся пока неосуществлённым.

С 1914 г. занятия на ВФ начинает посещать (параллельно с историко-филологическим) Карпез Дариспанович Дондуа, которому предстояло стать последним зав. кафедрой кавказской филологии в XX в.. С 1919 по 1944/45гг.. кафедра кавказской (армяно-грузинской) филологии, либо существовала на других факультетах, либо не существовала вовсе. С 1932г. К.Д. Дондуа возглавил кафедру кавказской филологии на факультете языкознания и истории материальной культуры. (С 1925 по 1929г. данную кафедру возглавлял И.А. Орбели.) Впервые кафедра стала готовить и выпускать не одиночек, а десятки специалистов. Сама же кафедра также расширялась: наряду с грузинской и армянской группами была организована горская. Как отмечает Г.Ф. Турчанинов, «никогда еще в истории кафедры ее состав не был столь многочисленным, а программа столь многопредметной. Читали: К.Д. Дондуа (введение в кавказскую филологию и грузиноведение), В.Д. Дондуа (история Кавказа), А.Н. Акулянц и К.Н. Григорян (армянский язык и литература), А.Н. Генко (общая фонетика горских языков), Р.М. Шаумян (лезгинский язык), А.А. Бокарев (аварский язык), Г.Б. Муркелинский (лакский язык), Г.Ф. Турчанинов (кабардинский язык и литература), Л.И. Лавров (этнография Кавказа) [23 стр:15].

С 1944/45 уч. г. кафедра кавказской филологии под руководством К.Д. Дондуа функционировала на вновь открытом Восточном факультете. Хотя восстановить работу на довоенном уровне уже не удалось, но кафедра продолжала интенсивно работать и выпускать кадры даже в малом своем составе и даже тогда, когда К.Д. Дондуа был тяжело болен. Последними его учениками в области грузиноведения были: Г.А.Климов, С. Ленцкий, Л. Шепелева, Н. Пашкина-Игнатьева, Б. Рейфер и другие.

Постепенно кафедра расширяла свой состав в связи с восстановлением горского цикла (Письмо Наркома Просвещения Кабард. АССР 1945г.) [24 стр 200].

Решением коллегии МВО (февраль 1949г.; приказ МВО №32 от 14 марта 1949г.) специализация по кавказоведению была передана на филологический факультет [24 стр: 206].

Как и во времена своего основания в первой половине XIXв., кафедра кавказской филологии была теснейшим образом связана с Академией Наук. Член-корреспондент АН Грузинской ССР с 1944г., зав. сектором кавказских языков ИЯМ АН СССР в Ленинграде с 1935г., К.Д. Дондуа сумел собрать и объединить в секторе лучшие кавказоведческие силы. В нем с успехом работали И.И. Мещанинов, С.Л. Быховская, Р.М. Шаумян, И.В. Мегрелидзе, А.А. Бокарев и другие. После войны, когда ставший малочисленным сектор был объединен с иранским кабинетом Института, в него вошли В.И. Абаев, И.И. Цукерман, В.С. Расторгуева и другие. Руководя таким широким диапазоном востоковедческих наук, сам К.Д. Дондуа как ученый оставался, прежде всего, картвелистом.

Большинство его работ посвящены грузинскому, мегрельскому, сванскому, чанскому (лазскому) языкам. Его излюбленной литературоведческой темой, неотделимой от языка, была тема Руставели [3, 4].

Органическая связь кафедры кавказской филологии с Академией Наук, обеспечившая ее расцвет, обернулась в 1950г. трагедией. Вот как пишет об этом Г.Ф.Турчанинов, которого с К.Д. Дондуа соединяла многолетняя дружба и совместная работа в кавказском секторе бывшего Института языка и мышления АН СССР и на существовавшей до начала 50-х гг. кафедре кавказской филологии ЛГУ: «1950-й год оказался трагичным для кафедры. Институт языка и мышления был ликвидирован, а его кавказский сектор, где работало большинство членов кафедры, переведен в Москву. Кафедра, лишившись большинства своих преподавателей, клонилась к упадку. Она пережила своего последнего руководителя всего на семь месяцев. К.Д. Дондуа умер 3 ноября 1951г., кафедра перестала существовать весной 1952г. За ее плечами было ни много, ни мало 107 лет жизни.» [23 стр: 15-16].

К этому остается лишь добавить, что до конца XX столетия во всей России не было ни отделения, ни кафедры кавказской филологии ни в одном вузе.

Литература:

1. Березин 1985 – И. П. Березин. Восточный факультет в Санкт-Петербургском университете // Библиотека для чтения. СПб., Т. 134, 1855, отд. 7, с. 29-34.
2. Гамкрелидзе 2000 – Т.В. Гамкрелидзе. Избранные труды по картвелологии. Тбилиси.
3. Дондуа 1967 – К.Д. Дондуа. Избранные работы. Тбилиси.
4. Дондуа 1975 – К.Д. Дондуа. Статьи по общему и кавказскому языкознанию. Л.
5. Ермолаева 2006 – Л.С. Ермолаева. О судьбах картвелистики в России (традиции и перспективы) // Язык и речевая деятельность. Вып. VI.
6. Кинцурашвили 1989 – К.К. Кинцурашвили. Деятельность грузинских ученых в Петербурге. Тбилиси.
7. Кипиани 1985 – Отношение Почетного Попечителя Тифлисской Губернской гимназии, Коллежского Советника Д.И. Кипиани к Попечителю Кавказского Учебного Округа, барону А.П. Николаи от 26 февраля 1854 года // А.А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. Вып. 3. СПб, 1894.
8. Кипшидзе 1911 – И.А. Кипшидзе. Грамматика грузинского языка. СПб.
9. Кипшидзе 1918 – И.А. Кипшидзе. Грузинская древнелитературная хрестоматия с древнегрузинско-русским словарем. Пг.
10. Куликова 1982 – А. А. Куликова. Становление университетского востоковедения в Петербурге. М.
11. Куликова 1994 – А.А. Куликова. Востоковедение в российских законодательных актах (конец XVII в. – 1917г.). СПб.
12. Марр 1903 – Н.Я. Марр. Грамматика древнеармянского языка. Этимология. СПб.

13. Марр 1908 – Н.Я. Марр. Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка. СПб.
14. Марр 1910 – Н.Я. Марр. Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже» Шоты из Рустави. СПб.
15. Марр 1910а – Н.Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. СПб.
16. Марр 1911 – Н.Я. Марр. Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского. СПб.
17. Марр 1913 – Н.Я. Марр. Извлечения из сванско-русского словаря. Пг.
18. Марр 1925 – Н.Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Л.
19. Материалы для истории факультета 1905, 1906, 1909 – Материалы для истории факультета восточных языков. Тт. I, II, IV. СПб.
20. Материалы по истории Санкт-Петербургского университета 1999 – Материалы по истории Санкт-Петербургского университета: 1917-1965. Обзор архивных документов. СПб.
21. Метревели 2003 – Р. Метревели. Выдающиеся картвелологи в системе образования Санкт-Петербурга (1837-1917гг.) // Свободная Грузия. Тбилиси. 2 апреля 2003г.
22. Самойлович 1925 – А. Н. Самойлович. И. Н. Березин как турколог // Записки Коллегии востоковедов при Азиатском музее Рос. АН (АН СССР), Л..
23. Турчанинов 1975 – Г.Ф. Турчанинов. К.Д. Дондуа – ученый и человек. // К.Д. Дондуа. Статьи по общему и кавказскому языкознанию. Л.
24. Цагарели 1872 – А.А. Цагарели. Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков. СПб, 1872; II изд.: Тбилиси, 1957.
25. Цагарели 1873 – А.А. Цагарели. О грамматической литературе грузинского языка. Критический очерк. СПб.
26. Цагарели 1880 – А.А. Цагарели. Мингрельские этюды. Ч. I-II. СПб.
27. Цагарели 1886-1894 – А.А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. Вып. I-III. СПб.
28. Чубинашвили 1887, 1984 – Д.И. Чубинашвили. Грузино-русский словарь. Тбилиси, 1887; II изд.: 1984.
29. Чубинов 1853 – Ответы автора Грузинской Грамматики, Д.И. Чубинова, на замечания, сделанные Грузинским Отделом Комитета для начертания учебных пособий; 5 августа 1853 года // А.А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. Вып. 3. СПб., 1894.
30. Шадури 1968 – В. Шадури. Ленинградский университет и деятели грузинской культуры. Тбилиси.

გიორგი ალიგეგაშვილი

წმ. ათანასე დიდის ლავრა და ქართველი წმ. მამები

ათას წელზე მეტია, ქრისტიანობისთვის ათონის წმიდა მთა ჭეშმარიტი საუფლო ტრადიციების საცავია. ერთი მხრივ, ის არის ღვთისმეტყველების, ფილოსოფიის, ისტორიის, ბიზანტიური და შემდგომბიზანტიური თუ აღმოსავლური მისტიციზმის საკვლევი „წმიდა ჭა“ და, მეორე მხრივ, უძვირფასესი ქრისტიანული საგანძურისა და მართლმადიდებელი ტრადიციების სიწმიდეთა უზარმაზარი მუზეუმი.

დღემდე ათონი, ბერ-მონაზონთა „ანგელოზთსწორი ქალაქი“, „წმიდა მამების მიერ დაწესებულ“ უცვლელ საზღვრებში იმყოფება. მართლმადიდებლობის ეს ურყევი სიმაგრე ეკლესიას ერესებისაგან თავგანწირვით იცავდა, მტკიცედ ინახავდა ჭეშმარიტ და ძველთაძველ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს. აქ ხმიანდება მრავალი ბიზანტიელი იმპერატორის – მაკედონელების, კომნენოსების, პალეოლოგებისა თუ ქართველ, სერბ, ბულგარელ, მოლდოველ, რუმინელ და რუს მეფე-დიდებულთა სახელები და ცხოვრებას აგრძელებს აღმოსავლური ქრისტიანობა: წმიდა მთაზე ყოფნისას ადამიანი თითქოს შუა საუკუნეებში, უძველეს „სულის სამზრუნველოში“ გრძნობს თავს; და რაოდენ საამაყოა, რომ ქართველები ათონზე მოსაგრეობის საფუძვლის ჩაყრის საწყისებთან დგანან და არა მხოლოდ ივირონის დაარსების (980-983 წ.წ.) გამო – ისინი პირველი სავანის, წმ. ათანასე დიდის ლავრის შექმნაშიც იღებდნენ ღვთივსათნო მონაწილეობას.

ათონის მონასტრებიდან „რანგით პირველი“ და ყველაზე დიდი სწორედ წმიდა ათანასეს ლავრაა. ის აგებულია სალი კლდის მოსწორებულ მოედანზე იმ ადგილას, სადაც ნახევარკუნძული მთავრდება და მრავალრიცხოვანი მწვანეგორაკებიანი ათონი თანდათან ზღვისკენ ეშვება. მონასტერი მცირე მანძილითაა დაშორებული (ფეხით 20 წუთამდე სჭირდება) სანაპიროდან, სადაც მისი ნავმისადგომიც მდებარეობს. XV საუკუნიდან ლავრა წმიდა ათანასე ათონელის მიძინების დღესასწაულს (5 ივლისს, ახ. სტ. 18 ივლისს) აღნიშნავს. მდებარეობს ზღვის დონიდან 160 მეტრზე.

ადრინდელ დოკუმენტებში მოხსენიებული სავანის სახელდებებია: „შაოსანთა ლავრა“, „დიდ წინამძღვარ ათანასეს ლავრა“, „წმიდა ათანასეს ლავრა“, „დიდი ლავრა“ და, უბრალოდ, „ლავრა“, რაც ამ შემთხვევაში მრავალრიცხოვან მოწესეთა სავანეს ნიშნავს [1. გვ. 35].

მონასტრის საფუძვლის ჩაყრა ათონზე მონაზვნური ცხოვრების წესის სისტემატიზაციას თანხვდება, რაც მთაწმიდელი განდეგილების არაო-

რგანიზებული ყოფის პერიოდის შემდეგ განხორციელდა. ლავრის დამაარსებელი ბერძენი მონაზონ-რეფორმატორი ათანასე (920-1000 წ.წ.) გახლდათ; წმ. მამა დაიბადა მცირე აზიის ტრაპიზონში, დედით იყო ქართველი (ლაზი), ერისკაცობის სახელით – აბრაამი; ათანასე ძალიან ადრე დაობლდა. 8 წლიდან განათლებას კონსტანტინოპოლში იღებდა. მისი სასულიერო მოღვაწეობა 953 წლიდან დაიწყო და დაკავშირებულია ნიკიფორე ფოკას, ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის არმიის სარდლის და 963-969 წლებში იმპერატორის, ბიძასთან – სახელგანთქმულ იღუმენ მიქაელ მალეინასთან. ახლადაღკვეცილი ათანასე მიქაელის ლოცვა-კურთხევით ბითვინიის ოლიმპზე ორი წელი (958-959 წწ.) მდუმარების აღთქმით მოსაგრეობდა. ოლიმპზე (ძველქართულად ულუმბოზე) მოღვაწეობისას წმ. მამა მხარს უჭერდა ნიკიფორე ფოკას, რომელმაც შესთავაზა კიდეც მას, დაეტოვებინა ოლიმპი და ათონზე დამკვიდრებულიყო, სადაც მოგვიანებით ჩასვლა თავადაც ჰქონდა განზრახული.

გარკვეული ყოყმანის შემდეგ, 963 წელს, ათანასემ დააარსა ლავრა. რასაკვირველია, ამ დროს ის იმედებს თავის მეგობარ იმპერატორზე ამყარებდა. მონასტრისათვის ათანასემ ის ადგილი შეარჩია, სადაც, ყველა მონაცემით, ერთ დროს ანტიკური ქალაქი აკროფოსი იყო გაშენებული. IX საუკუნით დათარიღებული წმიდა ბერის ცხოვრების აღმწერელი თხზულების თანახმად, მან მონასტრის ტერიტორიის გარშემო, უპირველეს ყოვლისა, სწორკუთხოვანი კედელი აღმართა, შემდეგ – ტაძარი, და მხოლოდ ამის მერე ააგო სენაკები. ამ კოლოსალური მშენებლობისა და მისი დასრულებისათვის იმპერატორი ნიკიფორე ფოკა სიცოცხლის ბოლომდე გამუდმებით აგზავნიდა თანხას, თუმცა, დაუცხრომელი სურვილის მიუხედავად, ვერ მოახერხა ათონზე ასვლა და განდეგილობა, რაზეც ათანასე და ნიკიფორე ადრევე იყვნენ შეთანხმებულნი. ამას გარდა, იმპერატორმა ლავრის პირველი 80 მონაზვნის შესანახი სახსრებიც გამოყო და სავანეს სხვადასხვა სამონასტრო ეკლესიაც („მეტოქი") უბოძა, მათ შორის, თესალონიკთან მდებარე პერისტერიასის ლავრაც გადასცა; გაგზავნა, აგრეთვე, უფლის ცხოველმყოფელი ძელის ჯვრის ნაწილები, წმიდა რელიკვიები და ხელოვნების მრავალი ქმნილება.

მატერიალური დახმარება ფოკას მემკვიდრე იოანე ციმისხიმაც გააგრძელა, რომელთანაც ათანასე ასევე მეგობრობდა. ციმისხიმ ახლადდაარსებული მონასტრისათვის გადასაცემი ყოველწლიური თანხა გააორმაგა და სავანის მშენებლობა დაასრულა. ეს სავანე გახდა ათონზე ნიმუში და საფუძველი ახალი მონაზვნური ცხოვრებისა [2. გვ. 407-410; 3. გვ. 288-302].

ამ საღვთო საქმით დაინტერესებულ სხვა იმპერატორთა წყალობით მონასტერს აღმავლობის ხანა დაუდგა – მონაზონთა რაოდენობამ ზემოხსენებულ 80 ღვთისმსახურს გადააჭარბა; ამავე დროს, დამკვიდრდა ერთად მოსაგრეობის წესი როგორც აქ, ისე მთელ ათონზე. მონასტერს განსაკუთრებით ბასილი მეორე ეხმარებოდა, რომელმაც სავანეს წმიდა ევსტრატიოსის კუნძული გადასცა, აგრეთვე, სხვა სამონასტრო ეკლესიები (მეტოქები) და აურაცხელი შესაწირავი უძღვნა. ათანასე დიდმა X საუკუნის მიწურულამდე იცოცხლა. მისი მემკვიდრე ლავრის წინამძღვრად ევსტრატიოსი შეიქნა, რომლის ხელმოწერაც 1016 წლის ერთ-ერთ დოკუმენტზე გვხვდება.

სწორედ აქ ჩნდება ქართველ ბერთა, კერძოდ, წმ. იოანე და წმ. ექვთიმე ათონელების განსაკუთრებული ღვაწლი ლავრის საფუძვლის ჩაყრაში.

პ. უსპენსკის მოჰყავს დიდი ათანასე ათონელის სიტყვები „იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის ცხოვრების" ბერძნული ტექსტის მიხედვით; ესაა წმ. ათანასეს ანდერძისა და მისივე „წყალობის წიგნების" სხვადასხვა ნაწილში დაცული უწყებანი; მოვიყვანთ ამ ცნობებს სრული სახით:

„მე, ათანასე, საწყალობელი ბერი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღვარი, ათონელი, უსაფრთხოებისათვის წინამდებარე „წყალობის სიგელს" ხელის მოწერით ვადასტურებ, რათა ჩემი წყალობა იყოს ჭეშმარიტი და მყარი.

არა რაიმე საჭიროების, ან დაცინვის, ან ფარისევლურად, ან კანონიერების უცოდინარობის გამო ვაკეთებ ამას, არამედ გონების ჩარევითა და საკუთარი ნებით, როგორც ამბობენ, აზრითა და მოსაზრებით და რჩეულ მამებთან შეთანხმებით, რომლებიც თვითონვე აწერენ ხელს და ადასტურებენ წყალობის ამ სიგელს, მიძღვნილს მართლმორწმუნე ბერისა და წინამძღოლის, იოანე ქართველისადმი, ხოლო მისი საშუალებით – კლიმენტოსად წოდებული უბრწყინვალესი მონასტრისადმი.

როცა უღვთისნიერესი იოანე მოვიდა ჩვენ მთაზე, შემომიერთდა მე, საწყალობელსა და ცოდვილს, და დამემორჩილა გლახაკს, – ღვთის ნებითაც და მისი საკუთარი თავმდაბლობისა და ღვთისნიერობის გამოც; ასრულებდა ქველი ცხოვრების მრავალსა და ნაირგვარ წესს და მისი სული ბრწყინავდა და ანათებდა, როგორც მზე. მიაღწია რა სრულყოფას, ბევრი და დიდი სამსახური გაგვიწია და თავისი შეხედულებებით გვწინამძღვრობდა.

მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ის სრულ მორჩილებაში იყო, ემსახურებოდა არა მარტო ღმერთს, არამედ მეც, საწყალობელს და სხვა ძმათა მიმართაც ისეთი მზრუნველი იყო, როგორც მანამდე არავინ ყოფილა. იგი თანაბარი ყურადღებით ეპყრობოდა მათაც, ვინც მიატოვა შთამომავლობა და იმათაც, ვინც იმთავითვე განუდგა ამას.

სანატრელმა იოანემ მრავალჯერ დიდი გაჭირვებით გადაცურა ზღვა სამეფო ქალაქისაკენ, ბევრ მეფეს წარუდგა და ებაასა.

დაწყებული მარადსახსენებელი უფალი ნიკიფორეს დროიდან ვიდრე დღევანდელობამდე, იოანე მიღებული იყო მეფეთა კარზე, მას პატივით ეპყრობოდნენ, რადგან ახსოვდათ ბრწყინვალე მეფეთაგან მისი დიდი სათნოების დაფასება, ამიტომ ასრულებდნენ მის სათხოვარს და წყალობდნენ ჩვენს მონასტერს.

იოანეს თხოვნით, უფალმა მეფე იოანემ გვიბოძა ქრისობული, რომლის ძალითაც კუნძულ ლემნოსს ყოველ წელიწადს უნდა მოეცა ორას ორმოცდაოთხი ნომიზმა, რომელსაც დღევანდლამდე ვღებულობთ.

მეფე ბასილიმაც, რომანოზის ძემ, მეორე ქრისობული მისცა სამგზის სანატრელ იოანეს, რომლითაც კუნძული ნეონი, ახლა ევსტრატიოსი რომ ეწოდება, მას დაემორჩილა. ამგვარად, ქრისობული და კუნძული ებოძა ჩვენს უძვირფასეს იოანეს, რომელმაც დაბრუნების შემდეგ ისინი ჩვენს მონასტერს გადმოსცა.

იოანე კეთილ საქმეს მარტო მაშინ კი არ გვიკეთებდა, როცა ჩვენ ლავრაში იმყოფებოდა, არამედ მაშინაც კი, როდესაც იგი წავიდა მონასტრიდან და ღვთის შეწევნით აღმართა და აღაშენა თავისი მონასტერი კლიმენტოსი. იგი არ წყვეტდა ჩვენს მწყალობლობას და, სახარების სიტყვებით რომ ვთქვათ, მსხვერპლად მოჰქონდა საკუთარი სული ჩვენთვის და ჩვენი მონასტრის აღდგენისათვის. მაშინაც და ახლაც იგი იღვწის, რათა შექმნას და გაამყაროს ჩვენი მონასტერი და როცა შეიტყობს ჩვენს გასაჭირს, ყოველთვის უხვად განგვიკითხავს ხოლმე".

და ისევ წმიდა ათანასეს ანდერძში წერია: „ეპიტროპად ვტოვებ უფალ იოანეს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ირჯებოდა დიდი დათმინებით, მორჩილებითა და სიმშვიდით, გვწინამძღვრობდა მეც და მთელ ძმობასაც.

მსურს, ჩემი სიკვდილის შემდეგ, თუ შესაძლებელია, მან ისევ ჩვენთან ერთად წინანდებურად იცხოვროს აქ, როგორც აქაური ძმობის მფრაველმა და წინამძღოლმა, რადგან იგი ჩვენი მწყალობელია და განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ წმიდა სულია, ყველასაგან გამოირჩევა და თანაც საცნაური გახადა ჩემთვის თავისი თავმდაბლობა და ჩვენი ძმობისათვის – უბადლო სიყვარული და ჭეშმარიტი რწმენა (ეს ყველაფერი გამოცდილებით ვიცი, რადგან ერთად განვვლეთ ცხოვრება, ერთად ვიღვაწეთ და ვიცხოვრეთ ამ მთაზე; იგი ხშირად მოდიოდა ჩვენ მონასტერში).

ხოლო სიკვდილის წინ, მანაც ისევე, როგორც მე, ეპიტროპად დატოვოს სულიერი მემკვიდრე უფალი ეფთვიმე – თავისი შვილი სულითაც და ხორცითაც.

ეფთვიმემაც აღსასრულის წინ იზრუნოს, რათა ჩვენი მონასტრის წინამძღვრად დაინიშნოს ისეთი პირი ჩვენსავე მონასტრიდან ან მთაწმიდის სხვა ადგილიდან, რომელსაც ღირსად სცნობს ასეთი საქმისათვის და რომელიც მთელ ძმობას ატარებს ქველი ცხოვრების გზით" [2. გვ. 406-407].

ათონის სხვა სამზრუნველოების მსგავსად, დიდმა ლავრამაც თავისი ისტორიის მანძილზე მრავალ განსაცდელს გაუძლო. სავანემ გადაიტანა აღმასვლის პერიოდიც და მნიშვნელოვანი დაცემის ჟამიც, როდესაც თითქმის სრულიად გაუკაცრიელდა. ასე, მაგალითად, XI საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც აქ დაახლოებით 700 მონაზონი მოღვაწეობდა, XIV ასწლეულამდე ლავრისთვის უდიდესი კეთილდღეობის ხანაა; თუმცა ამ საუკუნიდან, სხვადასხვა გამანადგურებელი ყაჩაღური თავდასხმის გამო, ეს აღორძინება შეწყდა, წმიდა ათანასეს მიერ დამკვიდრებული წესები და, საერთოდ, მონაზონთა ცხოვრება დაბრკოლდა და შეილახა.

მოწესეთა რიცხვი საგრძნობლად მცირდებოდა და XVI საუკუნის დასაწყისისათვის აქაურობას მხოლოდ რამდენიმე ღვთისმსახურიღა შემორჩა. ამ ვითარების გამო ლავრაში გარკვეული დროის მანძილზე იდიორითმული ცხოვრების წესი შემოიღეს; 1574 წლიდან კი ალექსანდრიის პატრიარქ სილვესტრისა და წმიდა საკრებულოს (შყნახის) მხარდაჭერით სავანე კვლავ ერთად მოსაგრეობის წესს დაუბრუნდა. მიუხედავად ამისა, მონასტრის დაქვეითება გრძელდებოდა – XVII საუკუნის დასაწყისში აქ 5 ან 6 მონაზონი იღვწოდა, ხოლო ლავრის მატერიალური მდგომარეობა 1655 წლის ჩათვლით სავალალო იყო. მაშინ მას

პატრიარქი დიონისე III ეწვია, რომელმაც სავანეს მთელი თავისი ქონება უბოძა, რითაც ის მატერიალურად გააძლიერა; თუმცა მონასტერი კვლავ იდიორითმული გახდა. XVIII საუკუნის დასასრულიდან, როდესაც პატრიარქმა პაისი II-მ ძველი პრივილეგიებიდან ზოგიერთი მათგანი დაადასტურა, ლავრის ისტორიაში მხოლოდ უმნიშვნელო სასიკეთო ძვრები შეინიშნება.

ზემოხსენებული პატრიარქების გარდა, ოსმალოთა ბატონობის ჟამს, მონასტერს სხვადასხვაგვარად ეხმარებოდნენ დუნაისპირა სათავადოების მმართველები და რუსეთის მონარქები.

დღესდღეობით ლავრა გარეგნულად მრავალსართულიანი შენობების კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც ოთხმხრივი დაგეგმარებისაა – შუაში დიდი ეზოთი, სადაც მთავარი ღვთისსახლი, სამლოცველოები, სატრაპეზო და სხვა ნაგებობები მდებარეობს. მთელი ამ კომპლექსის თავზე იმპერატორ იოანე ციმისხის ძველი, დიდებული კვადრატული კოშკია აღმართული. სამონასტრო სენაკები კი ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია აგებული.

ოთხსვეტიანი პორტიკი შემოსაზღვრავს მონასტრის მთავარ შესასვლელს. მის გარდა, სამხრეთის მხარეს, მომცრო ჭიშკრებიცაა. მრავალი შენობა და მთლიანი ნაგებობების მკლავები გვიან შუა საუკუნეებში აღადგინეს, რასაც კედლებზე მიწერილი თარიღებიც ადასტურებენ: სამხრეთით – 1769 წელი, აღმოსავლეთით – 1862 წელი და ა.შ.

ათონზე აგებულ ტაძრებს შორის ლავრის ღვთისსახლი უპირველესად აშენდა (X ს). ესაა ნიმუში წმიდა მთის მონასტრების ყველა დანარჩენი საყდრისა. საუბარია შედგენილი ტეტრასტილური (ოთხსვეტიანი) ბიზანტიური ეკლესიის შესახებ ორი გვერდითი აბსიდით მგალობელთათვის განკუთვნილ ქოროებზე, ორივე მხრიდან წყვილი სამლოცველოთი ლიტის კარიბჭიდან და ორმაგი ნართექსით, ანუ შიდა (ლიტის) და გარე ბჭეებით. ტაძარი დაახლოებით დიდი ეზოს ცენტრში მდებარეობს; მას პატივს მიაგებენ (შესაძლოა, XV საუკუნიდან) როგორც ადგილს წმიდა ათანასე ათონელის მიძინებისა, რომელმაც ააგო ეს ღვთისსახლი და თავდაპირველად ღვთისმშობლის ხარებას უძღვნა.

ტაძარი დიდი კრეტელი ფერმწერის, თეოფანეს მიერ 1535 წელს მოიხატა. ეს ფრესკები უკვე ჩამოყალიბებული ხელოვანის საუკეთესო ნამუშევრებად ითვლება და ათონის ყველაზე მნიშვნელოვან საგანძურთა ნუსხაში შედის.

ლიტის კარიბჭის მარჯვნივ და მარცხნივ ორი სამლოცველოა – წმიდა ნიკოლოზისა და 40 სებასტიელი მოწამისა. პირველი შემკულია ფერმწერ ფრანკო კატელანის მიერ შესრულებული ფრესკებით (1560 წ.); ის, შესაძლოა, დიდი კრეტელი ხელოვანების თანამედროვე ან მოწაფეც კი იყო, თუმცა მისი ნამუშევრების სტილი კრეტული სკოლის მანერისგან საგრძნობლად განსხვავდება. 40 მოწამის სახელზე აგებულ სამლოცველოში კი მდებარეობს ლუსკუმა, იგივე აკლდამა, ღირსი ათანასე ათონელის წმიდა ნაწილებით. ამავე სამლოცველოში ორი ძვირფასი სალიტანიო ხატია დაბრძანებული – მაცხოვრისა და ღვთისმშობელი ეკონომისისა. სამლოცველოს XVI საუკუნეში შექმნილი ფრესკები 1854 წელს ფერწერის ახალი ფენით დაიფარა.

ტაძრის ამ ორ სამლოცველოს გარდა, ლავრა კიდევ 15-ს ფლობს, რომლებიც მონასტრის ტერიტორიაზე მდებარეობენ. მათგან ერთ-ერთი

წმიდა გიორგის სახელზეა აშენებული და ფრესკებითაა მოხატული. სხვა ეგვტერთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი საეკლესიო შესამოსლისა და სიწმიდეთსაცავის გვერდით აგებული ღირსი ათანასეს სახელობისაა, სადაც მისი რკინის სამწყსო კვერთხი და რკინისავე მასიური ჯვარი ინახება; აგრეთვე, აქვეა კუკუზელისის ღვთისმშობლის ამავე სახელწოდების დედაღვთისას ხატის სამლოცველო. ამათ გარდა, ლავრას კიდევ 19 ეგვტერი, 5 კათიზმა (მცირე ზომის სამლოცველო) და 40 სენაკი ეკუთვნის კესარიის, მორფონის, პროვატისა და კარეასის დასახლებებში.

ტაძრის მთავარ შესასვლელთანაა ათონის მთის ყველაზე დიდი აიაზმის ანუ ნაკურთხი წყლის ფიალა. ის სვეტებითაა გარშემორტყმული, რომელთა შორის სივრცეც შესანიშნავად გამოკვეთილი პარაპეტითაა გადაკეტილი. ჭფიალა სიუჟეტურად წყლის კურთხევასთან დაკავშირებული ახალი დროის ფრესკებითაა დამშვენებული. გადმოცემის თანახმად, მის გვერდით აღმართუ-ლია თითქოსდა თავად ათანასეს მიერ დარგული ათასწლოვანი კიპარისი.

დასავლეთით, ზუსტად ტაძრის შესასვლელში, საერთო სატრაპეზოა, ასევე კრეტელი ფერმწერების საუცხოო ფრესკებით მოხატული. მათგან გამოსაყოფია საიდუმლო სერობა, ზეცადაღმყვანებელი კიბე, განკითხვის დღე, „ძირი იესესი" და ჰიმნ აკათისტოს (დაუჯდომლის) 24 სტროფი; ასევე, ღვთისმშობლის, მრავალი წმიდანისა და ასკეტის ცხოვრებათა ამსახველი სცენები. გარდა ამისა, ხაზგასასმელია, რომ აქ გამოხატულნი არიან ბერძენი ფილოსოფოსები: ფილონი, სოლონი, პითაგორა, სოკრატე, არისტოტელე, თალესი, გალენი, პლატონი და პლუტარქე.

არაჩვეულებრივად მდიდარია მონასტრის სიწმიდეთსაცავი, რომელიც ეზოს აღმოსავლეთით ტაძრის უკანა ცალკე შენობაშია განთავსებული. სხვადასხვა მრავალრიცხოვან რელიკვიას შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ნიკიფორე ფოკას კუთვნილი გვირგვინი და საკოსი, ისრების ძველისძველი კაპარჭი, ბეჭდური სახარების მოჭედილობა, ცნობილი ხის ნაკეთობანი, წმიდა შესამოსლები და საეკლესიო სამკაულები, ძვირფასი თვლები, სახარების მოჭედილობა, ჯვრები, მედალიონები, საზიარებელი თასები, წმიდა პოტირე-ბი, ძალიან ძვირფასი სალიტანიო ხატები (მათ შორის, მოზაიკურიც) და სხვ., ხოლო ტაძარში უფლის ცხოველმყოფელი ძელის ჯვრის ნაწილები და მრავალი წმიდანის რელიკვია ინახება.

საეკლესიო სამოსლისა და საგანძურის საცავის მახლობლად ამავე შენობაშია განთავსებული ათონის მთის ყველაზე მდიდარი ბიბლიოთეკა; აქ დაცულია 2500-ზე მეტი ხელნაწერი, რომელთაგან 470, ისევე როგორც 50 გრაგნილი (ილიტარია), ეტრატზე არის შესრულებული. მათგან გამორჩეულია მდიდარი დეკორითა და სურათებით მოხატული, ილუსტრირებული რამდენიმე ხელნაწერი (მაგალითად, A 76, A 86, A 111, Ω 75) და ე.წ. ნიკოფორე ფოკას სახარება, რომელიც საკუთრივ საცავში ინახება. ამას გარდა, ბიბლიოთეკის სხვა განყოფილებაში მოთავსებულია 20 000-ზე მეტი ბეჭდური წიგნი, მათ შორის, მრავალი უნიკალური არქეტიპი [1. გვ. 36-40].

როგორც შეინიშნა, დაარსებიდან დღემდე დიდ ლავრას, ათონის 20 მონასტერს შორის, პირველი ადგილი უკავია. ის ერთად მოსაგრეობის

ცხოვრების წესის დაცვას აგრძელებს და ამჟამად 420 მონაზონს აერთიანებს; მათგან 50 საკუთრივ მონასტერში, ხოლო დანარჩენი 370 მის ფარგლებს გარეთ მრავალრიცხოვან ეგზარტიმაში მოღვაწეობს.

დიდ ლავრას ეკუთვნის, ასევე, სამი სკიტი – წმიდა ანასი, კოვსოკალივიასისა და იოანე ნათლისმცემლის, აგრეთვე, დასახლებები უდაბნოში – კერასიასი, ჰაგიოს-ბასილიოსი, მიკრა-ჰაგია-ანა, კატუნაკიასი და კარულიასი. ყველა მათგანი ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთის მხარესაა, ლავრის მიმართულებით წმიდა პავლეს მონასტრისა და ახალი სკიტის გადაღმა.

წმიდა ანას სკიტი. იდიორითმული ბერძნული სკიტი წმიდა მთის ყველაზე დიდი და ადრინდელია; მდებარეობს ათონის ნახევარკუნძულის დასავლეთ ქედის განტოტების უხვწყლიან და მცენარეებით მდიდარ კლდეზე – ახალი სკიტისა და უდაბნოსაგან მცირე მანძილის დაშორებით. მონაზონთა მოღვაწეობა აქ არსებითად XVII საუკუნეში იწყება, თუმცა მეუდაბნოეთა რამდენიმე სავანე უწინაც იყო. ამჟამად ამ მხარეში 51 კალივა (თუმცა ყველა არაა მოქმედი) და 1752-1755წლებში აგებული და 1757 წელს ფრესკებით მოხატული მთავარი ეკლესიაა (Kyriakon). საყდარში ინახება რელიკვია – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დედის, წმიდა ანას მარცხენა ფეხი. სკიტი ფლობს საკმაოდ მდიდარ ბიბლიოთეკას, შედარებით მოგვიანო პერიოდის დაახლოებით 100 ხელნაწერს – მათგან უმეტესობა ქაღალდზეა შესრულებული.

კავსოკალივი. ესაა ბერძნული 40-კალივიანი იდიორითმული სკიტი. კალივებიდან ზოგიერთს საკურთხეველი არ გააჩნია, ხოლო უმრავლესობაში არავინ ბინადრობს. სკიტი ლავრის გზად უდაბნოს გადაღმაა, ზღვის პირას აღმართულ კლდეებზე. სახელდება („დამწვარი კალივები“) სკიტმა **ბერ მაქსიმესგან** (XIV ს.) მიიღო, რომელმაც აქ კალივა ააგო და ყოველთვის, როდესაც მასთან ახლოს სხვა მონაზვნები სახლდებოდნენ, წვავდა თავის სადგომს და მთებში სულ უფრო და უფრო მაღლა ადიოდა. სკიტის მთავარი ეკლესია (კყრიაკონ) 1745 წელს, ხოლო ნართექსი – 1804 წელსაა აგებული, ფრესკებით კი 1820 წელს არის მოხატული. სკიტში ახალი დროის დაახლოებით 50 მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდზე შესრულებული ხელნაწერი ინახება.

იოანე ნათლისმცემლის სკიტი. უწინ აქ იოანე ნათლისმცემლის სახელზე აგებული ბერძნული სენაკი იყო, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებში ორ მოლდოველ ბერს მიჰყიდეს. ჯსენაკი 1857 წელს სკიტად გადაკეთდა და მისი მონაზვნების ეროვნების გამო, რუმინულად ცნეს. მდებარეობს კავსოკალივიასსა და წმ. ათანასე დიდის ლავრას შორის აზიდულ არცთუ მაღალ გორაკზე (ზღვის დონიდან დაახლ. 250 მეტრზე). გარედან სკიტი სწორკუთხოვნად დაგეგმარებული და მტკიცედ ნაგები კომპლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს – ეზოში ეკლესიით, რომელიც 1866 წელს წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელზე აკურთხეს. სკიტი თანამოღვაწეობის წესს იცავს. ამჟამად იქ 10 რუმინელი მოსაგრეა.

უდაბნო. ათონის ამ მხარეში ზღვით მგზავრობისას წმიდა ანას სკიტის შემდეგ უდაბნო ჩანს; აქაა შემდეგი სამონაზვნო დასახლებები: კერასიასი, ჰაგიოს-ბასილიოსი, მიკრა-ჰაგია-აია, კატუნაკიასი და თვალწარმტაცი კარუ-

ლიასი. ეს სამონაზვნო გაერთიანებები ერთმანეთთან იმიტომ არაა დაკავშირებული,რომ აქაური ადგილები, უამრავი ციცაბო ფერდობის გამო, მიუვალია. ამდენად, ამ დასახლების კალივებამდე მიღწევა შეუძლებელია. აქ მოღვაწე მეუდაბნოები დღედაღამ ლოცულობენ და სულიერ ასკეზს იცავენ; გარესამყაროსთან მათ არანაირი კავშირი არ აქვთ და სხეულზე სრულიად არ ზრუნავენ. დაყუდებულნი განუწყვეტლივ განადიდებენ სამყაროს შემოქმედს, დაუცხრომლად ევედრებიან უფალს საკუთარი და ყველა ადამიანის სულის ხსნას [1. გვ. 40-41].

ლიტერატურა:

1. ს. კადასი, ათონის წმიდა მთა, ათენი, 2010 (რუსულ ენაზე).
2. ეპისკოპოსი პორფირი (უსპენსკი), ათონის ისტორია, ტ. I, მოსკოვი, 2007, (რუსულ ენაზე).
3. ივირონი – 1000, თბ., 1983.

GIORGI ALIBEGASHVILI

GREAT LAVRA (ATHOS) AND GEORGIAN HOLY FATHERS

Summary

For over a thousand years, Christianity and the Holy Mount Athos has been a storage vault of true traditions. Laying the foundation for joint activities of monks and nuns is related with the name of a great Greek Holy Father Athanasius the Athonite, founder of the first monastery on Mount Athos. According to Greek and Georgian sources, Georgian Fathers – John the Iberian and St. Euthimius of Athos took active part in construction of the "first-rank" lavra.

ГЕОРГИЙ АЛИБЕГАШВИЛИ

ВЕЛИКАЯ ЛАВРА СВ. АФАНАСИЯ И ГРУЗИНСКИЕ СВЯТЫЕ ОТЦЫ

Резюме

На протяжении более тысячи лет святая гора Афон являлась для христианства хранительницей истинных традиций. Основы монастырской жизни на Святой Горе были заложены одним из наиболее почитаемых византийских монахов Святой Горы св. Афанасием Афонским, который основал на Афоне первый монастырь. Согласно греческим и грузинским источникам, в основании «первой по рангу» лавры активное участие принимали грузинские святые отцы св. Иоанн и св. Евфимий Афонские.

დავით პაიჭაძე

საქართველო და დასავლური ცივილიზაცია – მითი და რეალობა

1993წ, ჟურნალში „Foreign Affairs“ ბატონმა სამუელ ჰანტინგტონმა გამოაქვეყნა წერილი „ცივილიზაციათა ჯახი?“, რომელსაც იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რომ უკვე 1996 წ. ცალკე წიგნადაც გამოიცა[1]. ჰანტინგტონი მართლმადიდებელ ერებს ერთ სოციო-კულტურულ სივრცედ განიხილავს და ერთ „ევრაზიულ ცივილიზაციად“ წარმოუდგენია. ძირითადი განმსაზღვრელი, მისი შეხედულებით, ის ნიშანია, რომ მათ არ შეხებიათ რენესანსის, რეფორმაციისა და განმანათლებლობის გავლენა.

რიგი დასავლელი და ქართველი მეცნიერები კი საქართველოს ევროპული ოჯახის წევრობის დამადასტურებელი არგუმენტების ძიებისას ძირითადად მითოლოგიას ეყრდნობიან და მართლაც, ის გარემოება, რომ საქართველო უძველესი დროიდან ელინისტური ცივილიზაციის გავრცელების არეალში იმყოფებოდა, შესანიშნავად დასტურდება არქეოლოგიურად. ამ საკითხს მიეძღვნა 2005 წ. 25 ოქტომბერს ჰუმბოლდტის ფონდის ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო სიპოზიუმი თბილისში, რომლის მასალებმა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ იხილა დღის სინათლე.

თუმცა უძველესი ქართული ენისა და კულტურის ე.წ. „მედიტერანული“ ენობრივი და კულტუტული სივრცისადმი კუთვნილება მეცნიერებაში დღემდე დავის საგანია[2].

ჩვენს ამოცანას აღნიშნული საკითხის სოციალურ-პოლიტიკური ასპექტების გაანალიზება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ჰანტინგტონის შეხედულება ამ თვალსაზრისით ნაკლებად საკამათოა, საკმაოდ განზოგადოებულია და მოკლებულია კონკრეტული შემთხვევების ანალიზს. საქართველოს შემთხვევა **ისტორიულად** ამ სივრცეში გამონაკლისს წარმოადგენს და შეიძლება ითქვას, რომ ჰანტინგტონისეულ „ევრაზიულ ცივილიზაციას“ მხოლოდ რეფორმაციის არარსებობის ნიშანი თუ აახლოვებს.

ჩვენი ამოსავალი მოსაზრება იმ საზოგადოდ ცნობილი პოსტულატიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმადაც ევროპეიზმი, ანუ ამ შემთხვევაში დასავლური ცივილიზაციის საწყისი, რამოდენიმე ძირითად პრინციპს ეფუძნება. ეს გახლავთ: **ანტიკური ფილოსოფია, ქრისტიანობა, ფეოდალიზმი და რომაული სამართალი[3]**. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ძირითადად რომაული სამართლის საკუთრებისადმი დამოკიდებულება იგულისხმება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროპული ფეოდალური ურთიერთობები ტიპოლოგიურად განსხვავდება ე.წ. აღმოსავლური ფეოდალიზმისაგან მიწისმფლობელობის ფორმებით.[4]

ამდენად ევროპული ფეოდალიზმის განხილვისას ბევრად უფრო მრავლისმომცველი მოვლენა უნდა წარმოვიდგინოთ, ვიდრე „ლენური ურთიერთობები" ანდა „ლენური სამართალი". ფეოდალიზმის, როგორც წმინდად ევროპული მოვლენის ძირითად მახასიათებლად „ლენური სისტემისა" და „ალოდიალური სისტემის" ურთიერთ თანაარსებობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება გახლავთ. ქართული შესატყვისით შესაბამისად საკარგავისა (იგივე ფეოდი, ბენეფიციუმი) და მამულის (იგივე ალოდი, ანუ აბსოლუტური საკუთრება).

„ალოდიალური თავისუფლება", ევროპაში იმთავითვე ცენტრალური ხელისუფლებისა და ლენური სისტემის ქმედით შეზღუდვად, ქალაქური თვითმმართველობის საყრდენადა და პიროვნების თავისუფლების, ანუ ინდივიდუალიზმის საფუძვლად აღიქმებოდა. ევროპელი მეცნიერების უმრავლესობა მესამე წოდების აღმოცენების წინაპირობად სწორედ „ალოდიალურ თავისუფლებებს" მიიჩნევს[5].

ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და ფორმის კვლევის შედეგები ნათლად ადასტურებს მიწის მფლობელობის ალოდიური (აბსოლუტური საკუთრება – მამული) ფორმისა და ბენეფიციუმის (ფეოდი, ქართულად საკარგავი) თანაარსებობას ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში[6]. უნდა ითქვას, რომ ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხს ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა (თუნდაც იმ მარტივი გარემოების გამო, რომ აღნიშნული სფერო ნაკლებად იდეოლოგიზირებული იყო და მკვლევარებიც შედარებით თავისუფალნი) და ამ თვალსაზრისით წარმოებული კვლევა ადასტურებს: ა) ქართული ვასალიტეტის ფორმების მსგავსებას ფრანგულ (კლასიკურ) ფეოდალურ ვასალიტეტთან. ბ) ფეოდალური დაშლილობის ხანაში ფეოდალური ლაშქრის ორგანიზების და გ) ერისთავის ინსტიტუტის უფლებრივი ტრანსფორმაციის მსგავსებას კურფიურსტის გერმანულ ფეოდალურ ინსტიტუტთან.

ერთი სიტყვით, ქართული ფეოდალური ცხოვრების წესი აღმოსავლური სამყაროსათვის გამონაკლისი და იმდროინდელი ევროპული სამყაროს ცხოვრების წესის ფაქტობრივი ანალოგია გახლდათ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი მეზობლების – ბიზანტიისა და რუსეთისთვისაც, საქართველოსაგან განსხვავებით, დამახასიათებელია ე.წ. „აღმოსავლური" ტიპის ფეოდალიზმი, რაც ძირითადად ლენური, ბენეფიციური ურთიერთობების მძლავრობასა და ალოდის ნიველირებაში გამოიხატება[7].

1054 წლის საეკლესიო განხეთქილებამ საქართველო წმინდა გეოგრაფიულად, გნებავთ, გეო-პოლიტიკურად, აღმოსავლეთ საქრისტიანოს უკიდურეს კულტურულ საზღვრად აქცია, რომლისთვისაც საკუთრების რომაული სამართლისეული გაგება ასევე მახლობელი იყო, როგორც დასავლეთისთვის.

საქართველოს ისტორია გამუდმებული ბრძოლის ისტორიაა საკუთარი სახელმწიფოსა და ცხოვრების წესის, იდენტობის შესანარჩუნებლად. ეს იდენტობა კი ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ქართულ ფეოდალურ ცხოვრების წესში მდგომარეობდა.

ქართული ფეოდალიზმის ისტორია საქართველოს ევროპული ცივილიზაციის ნაწილად წარმოაჩენს. თანამედროვე განვითარებული სამყაროს ძირითადი ღირებულებები რომაული სამართლისმიერი საკუთრების საკრალურად და ხელშეუხებლად აღიარებიდან იღებს დასაბამს*. ამ ღირებულებების რეალური გათავისება და მათთან კავკასიელთა ზიარება კი მხოლოდ კავკასიელთა ადათისა და მენტალობის მატარებელ, ევროპული ტიპის ფეოდალიზმის ისტორიის მქონე ხალხს ძალუძს. ამდენად, ქართველ ერს გააჩნია ის პოტენციალი, რომ კავკასიაში თანამედროვე ევროპული ცხოვრების წესისა და ღირებულებების გამტარებელის ფუნქცია შეასრულოს. მაგრამ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯერ თავად რეალურად ეზიარება მას, ეს კი შეუძლებელია იქამდე, სანამ ქართველის ცნობიერება არ განთავისუფლდება ე.წ. "Homo Soweticus"-ის სინდრომისაგან.

ქართველი ხალხის ისტორიულ ბრძოლაში ეროვნული იდენტურობის შესანარჩუნებლად ევროპული სახელმწიფოები ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ. საქართველოს პოლიტიკურ ლტოლვას დასავლეთისაკენ, ევროპული ცივილიზაციისაკენ თავისი ისტორია აქვს.

ალექსანდრე მაკედონელის ძლევამოსილი დარტყმების შედეგად დაეცა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების მთავარი ხელისშემშლელი ძალა – აქემენიდების სპარსეთი.

ჯერ კიდევ კეისრების – ავგუსტუსისა და ვესპასიანეს დროს ძლევამოსილ, კეთილად განწყობილ შორეულ რომთან კავშირის შედეგად იბერიის სამეფომ დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებელი ნახა, იგი კავკასიაში ყველაზე ძლიერსა და მდიდარ სახელმწიფოდ იქცა. ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება IV ს-ის შუა ხანებშიც ხომ ამ ორიენტაციის პოლიტიკური და კულტურული განხორციელება გახლდათ. იმდროინდელი ევროპის მოწინავე სახელმწიფოებთან – რომსა და ბიზანტიასთან პოლიტიკური კავშირის დადებითი გავლენა ლაზიკისა და იბერიის სამეფოებზე იმდენად აშკარა იყო, რომ ვერც VI ს-ის ცნობილმა მოვლენებმა ლაზიკის სამეფოში და ბიზანტიელი სტრატეგების მიერ ლაზთა

* ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ფილოსოფოსები: პლატონი, არისტოტელე, სოკრატე, ციცერონი და სენეკა საკუთრების საკითხს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისით გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი იმთავითვე ასხვავებდნენ კერძო საკუთრებისა (proprietas) და მფლობელობის (prossessio) ცნებებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ცნებების განსაზღვრებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ახსნის მცდელობები დაედო საფუძვლად ძირითად ფილოსოფიურსა და იურიდიულ მოძღვრებებს, მოგვიანებით კი სოციალურ-პოლიტიკურ თეორიებს სახელმწიფოს რაობისა და მისი მოწყობის შესახებ. ანტიკური ხანის საზოგადოების დამოკიდებულება საკუთრების მიმართ აისახა ძვ. წ. აღ. 450 წ. რომის სამართლის კრებულში, ე.წ. „თორმეტთავში" Leges duodecim tabularum, სადაც კერძო საკუთრება საკრალურად და ხელშეუხებლად არის გამოცხადებული.

მეფე გუბაზის ვერაგულად მოკვლამ ვერ ააღებინა ხელი ქართველ პოლიტიკოსებს დასავლურ ორიენტაციაზე.

ბიზანტიელთა და სპარსთა შორის ატეხილი პაექრობით ისარგებლა ვახტანგ გორგასალმა და ერთიანი ქართული პოლიტიკური ორგანიზმის შენება დაიწყო. იგივე ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ლავირების შედეგად მოახერხა დავით კურაპალატმა თავისი სამფლობელოების გაფართოება და საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას დაუდო დასაბამი.

X საუკუნე საქართველოში მძლავრი ინტეგრაციული პროცესებით ხასიათდება, რამაც ლოგიკური დასასრული ფეოდალური ერთეულების ერთი მმართველის – მეფის მიერ გაერთიანებაში ჰპოვა, ვინც ასევე ევროპული ფეოდალური სამართლის პრინციპით იქნა შერჩეული. ინტეგრაციულ პროცესებს სათავეში ქართველი ინტელექტუალები ედგნენ. გიორგი მერჩულეს განსაზღვრება „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითაი ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კვირიელეისონი ბერძნულად ითქუმის...“ – ევროპეიზმის საფუძვლებით მოაზროვნე ადამიანის ნააზრევია და თამამად შეიძლება გვიანდელი ევროპული განმანათლებლების წინამორბედად ჩაითვალოს. საზოგადოებრივი განვითარების შედეგებია: ჰუმანიზმის იდეების ქადაგება ქართველ ინტელექტუალთა მიერ; პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტური მონარქიის ჩამოყალიბება თავისი წმინდად ევროპული მახასიათებლით – ეპისკოპოსით, პირველი მინისტრის რანგში; წარუმატებელი და სუსტი, მაგრამ მაინც პარლამენტის მოთხოვნა, აშკარად მიუთითებს საქართველოში „მესამე წოდების“ – უფლებების აღიარების მცდელობაზე. ერთი სიტყვით საქართველოს თავისთავადი განვითარება ტიპიურად დასავლური სცენარით მიმდინარეობდა. რიგ სფეროებში საქართველოში მიმდინარე პროცესები კი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდნენ ევროპაში მოგვიანებით მომხდარ მოვლენებს. ინტეგრაციული პროცესების აღმავლობა მონღოლთა გამოჩენამ დაამუხრუჭა და მეტიც, ბიძგი მისცა დეზინტეგრაციულ პროცესებს.

ბიზანტიის დაცემის შემდეგ საქართველოს ერთიანი სამეფო საბოლოოდ დაიშალა. თუმცა ფეოდალური ერთეულების არსებობა კიდევ სამ საუკუნეს ითვლის. ეს ქართული ფეოდალიზმის სიცოცხლისუნარიანობის დასტურია. ირან-ოსმალეთს შორის მოქცეული საქართველო ვერ ახერხებდა პოლიტიკურად ფეხზე დადგომას, ვინაიდან შეუძლებელია ჩანდა გამაწონასწორებელი, თვისობრივად განსხვავებული ძალის ჩართვა კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამ გამაწონასწორებელი ძალის ძიებამ მიიყვანა ქართველი პოლიტიკოსები „მესამე რომის“ ჭიშკართან.

უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურად ეს ორი ალტერნატივა საქართველოსათვის ძირეულად განსხვავებული შინაარსისა იყო. აღმოსავლეთის ქვეყნების, როგორც უშუალო მეზობლების პოლიტიკა საქართველოში ტრადიციულად ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისაკენ იყო მიმართული, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი პირდაპირ კავშირს ამყარებდნენ პროვინციების გამგებლებთან, მხარს უჭერდნენ მათ სეპარატისტულ მისწრა-

ფებებს, ანდა თავად ნიშნავდნენ მათდამი მორჩილთ. მაშინ, როდესაც რომაელებიცა და ბიზანტიელებიც, როგორც შორს მდებარე სუბიექტები, ცენტრალურ ხელისუფლებაზე დაყრდნობას ამჯობინებდნენ. არ არის ძნელი გამოსაცნობი, რომ ასეთ ვითარებაში პოლიტიკური კავშირი დასავლეთთან საქართველოსათვის სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. ევროპელთა ამგვარი კეთილგანწყობის მიზეზი კი ალბათ იმაში უნდა ვეძებოთ, რომ საქართველო ტერიტორიულად შორს მდებარეობდა და ძლიერი, კეთილად განწყობილი მოკავშირე მათთვის ბევრად უფრო საჭირო იყო, ვიდრე სუსტი და მორჩილი ყმა, ე.ი. ისინი საქართველოს რომაულ-ბიზანტიური სამყაროს **პოლიტიკური და კულტურული ფორპოსტის მნიშვნელობას ანიჭებდნენ**.

ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. ხელმოწერილი ხელშეკრულება ნაწილობრივი კაპიტულაცია იყო შორსმდებარე ქრისტიანი მოკავშირის წინაშე იმ იმედით, რომ „მესამე რომი" თავისი წინამორბედების კავკასიური პოლიტიკის გამგრძელებელი და მემკვიდრე იქნებოდა, ე.ი. მხარს დაუჭერდა ცენტრალურ ხელისუფლებას საქართველოში. გეორგიევსკის ტრაქტატი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით თვალსაჩინო ძეგლია და დუალისტური მნიშვნელობისა გახლავთ. თუკი, ერთის მხრივ, სუვერენიტეტის გარკვეულწილად შეზღუდვას გულისხმობს, მეორეს მხრივ, იურიდიულად აფიქსირებს ქართულ სახელმწიფოებრიობას. პირველმა რიგ რუს და საბჭოთა მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს საშუალება მისცა, ყოვლად უსაფუძვლოდ, ელაპარაკათ საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების შესახებ, მეორე კი მთელი XIXს-ის მანძილზე ქართული ეროვნული მოძრაობის ქვაკუთხედად იქცა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1918-1921 წ.წ. საქართველოს ცნობის საქმეში ევროპის მოწინავე სახელმწიფოების მიერ.

ერთი შეხედვით, რუსეთი საქართველოსათვის თითქოსდა ევროპული პოლიტიკური ტრადიციების მატარებელ ძალად ჩანდა, რეალურად კი აღმოსავლური სახელმწიფოების პოლიტიკას დაადგა, ანუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფრონტაციისა და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ პროვინციების ამხედრების გზას. ქართველმა პოლიტიკოსებმა რუსეთის მოკავშირეობის გარეგანი ფორმის შინაარსთან შეუთავსებლობა მაშინ იგრძნეს, როდესაც ერეკლე II-ის გარდაცვალებისთანავე რუსეთის იმპერატორმა აშკარად გაილაშქრა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და 1801 წ. ოფიციალურად გააუქმა კიდეც.

ქართული სახელმწიფოებრიობა შეწყდა ფეოდალიზმის ხანაში და შეწყდა მართლმადიდებელი სახელმწიფოს ხელით. მოისპო ქართული არისტოკრატია და მასთან ქართული ფეოდალიზმიც. გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, აიკრძალა ქართული ღვთისმეტყველება, რომელიც თავისი შინაარსით ძირეულად განსხვავდებოდა რუსულისაგან და ბევრად უფრო დასავლური მოვლენა გახლდათ[8]. სახელმწიფოებრიობის შეწყვეტასთან ერთად ქართველებისათვის მოისპო იდენტობის ორიენტირებიც. მუსლიმან სახელმწიფოებთან ბრძოლის ეტაპზე ქრისტიანული სარწმუნოება იდენტობის

წარმმართველი ორიენტირი იყო ქართველთათვის, ვინაიდან საერთო იყო გლეხისა და ფეოდალისთვის. ეს აერთიანებდა მათ და ასხვავებდა მომხდურთაგან.

ზოგადად მართლმადიდებლობა და ზოგადად ფეოდალური წყობა (მხედველობაში გვაქვს საკუთრების ბენეფიციური ფორმა – ქართულად საკარგავი) კი ხელის შემშლელ ფაქტორად იქცა იდენტურობის დადგენის საქმეში რუსეთის იმპერიის წიაღში. მართალია, რუსეთის ბატონობამ საქართველოს ფიზიკური დასვენებისა და ამოსუნთქვის საშუალება მისცა, მაგრამ ამის საფასური პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დათმობა და ქართული მართლმადიდებლობის რუსულით შეცვლა გახლდათ, რაც ერისა და სახელმწიფოსათვის სიკვდილის ტოლფასია.

ამრიგად, ქართული სახელმწიფოებრიობა, იდენტურობა და ცხოვრების წესი ფეოდალიზმზე შეჩერდა.

ქართველი ინტელექტუალები XIX საუკუნის მანძილზე ქართველი ერისათვის იდენტურობის ახალი ორიენტირების ძიებას შეუდგნენ.

XIX ს-ის 60-იან წლებში ქართულ ეროვნულ მოძრაობაში ახალი ეტაპი დგება. რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში განათლებამიღებული თაობა სამშობლოში ბრუნდება. ისინი იმ პერიოდის ევროპაში მიმდინარე პროცესების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და თავიანთი მოღვაწეობის შთაგონებას ევროპელი ინტელექტუალების ნამოღვაწარში პოულობდნენ. XIX ს-ის პირველი ნახევარი ევროპის საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ლიბერალურ-ეროვნული მოძრაობის აღმავლობით ხასიათდება.

ეროვნული სახელმწიფო არ იყო თვითმიზანი. ერის უფლებები ადამიანის უფლებებიდან გამოჰყავდათ, რომელნიც ინდივიდუალურნი და უნივერსალურნი არიან. ჯერ კიდევ დევიდ ჰიუმი (1711-1776) ერს ინდივიდთა კრებულად მიიჩნევდა. ადამიანი აღარ აღიქმებოდა დინასტიური მბრძანებლის ქვეშევრდომად. დოქტრინამ – ხალხის სუვერენიტეტის სუბიექტის შესახებ ერი იმ ადამიანთა კრებულად მიიჩნია, რომელნიც ერთ სამართალს სცნობენ, რომელთაც ერთი საკანონმდებლო კრება წარმოადგენს და რომლის წინაშეც ერთი მთავრობაა ანგარიშვალდებული. ამრიგად, იგულისხმებოდა გადასვლა სამოქალაქო ეროვნულ სახელმწიფოზე. იქამდე აბსტრაქტულად არსებულ სახელმწიფო ინტერესების სანაცვლოდ, რაც დინასტიურ ინტერესებთან იგივდებოდა, ასპარეზზე გამოვიდა სახალხო-ეროვნული ინტერესები. სამოქალაქო საზოგადოება, (ბურჟუაზია) თავის თეორიულ მისწრაფებაში ყოველთვის ერთობისაკენ მოუწოდებდა, რამეთუ მოქალაქეთა ინტერესი კაპიტალის განკარგვისა ეროვნული გახლდათ. XIX ს-ის დასაწყისის ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული მოძრაობანი, უპირველეს ყოვლისა, იმედოვნებდნენ ეროვნულ სახელმწიფოში ხორცი შეესხათ თავისუფლების, დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის იდეალებისათვის. მათთვის ეროვნული სახელმწიფო დემოკრატიული საკონსტიტუციო სახელმწიფოს სინონიმი იყო, პარლამენტარიზმი კი ამ იდეალების განხორციელების ერთერთი საშუალება. ევროპის „რისორჯიმენტოს" გმირები იყვნენ პოეტები,

ენათმეცნიერები, ისტორიკოსები, რომელნიც სიტყვითა და ბეჭდვით იღვწოდნენ მათი ხალხების კულტურული გამოღვიძებისა და პოლიტიკური თვითგამორკვევისათვის ეროვნულ სახელმწიფოში. ასეთები იყვნენ: გერმანელებისათვის – იოჰან გოტფრიდ ჰერდერი, იოჰან გოტლიბ ფიხტე, ფრიდრიხ ლუდვიგ იანი, პუბლიცისტი ერნსტ მორიც არნდტი. ბერძნებისათვის – პოეტი რიგას ველესტინისი, ფილოლოგი და ენის რეფორმატორი ადამანტიოს კორაისი, ირლანდიელებისათვის – დანიელ ო'კონელი, პოეტი თომას დევისი, პოლონელებისათვის – ისტორიკოსი იოახიმ ლელეველი, მწერალი ადამ მიცკევიჩი, ჩეხებისათვის – ისტორიკოსი ფრანტიშეკ პალაკი, იტალიელებისათვის – ჟუზეპე მაძინი. მათი მოღვაწეობა მიმართული იყო ეროვნული ენის რეფორმისა და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისაკენ. ერის „გამომღვიძებლები" ამოდიოდნენ იქიდან, რომ ერი ერთ საერთო ენაზე უნდა მეტყველებდეს, ამრიგად, ენობრივი ერთობა ეროვნული სახელმწიფოს წინაპირობა გახლავთ. ენობრივ საზღვრებს სახელმწიფოს ბუნებრივ საზღვრებად მოიაზრებდნენ. ამიტომაც „გამომღვიძებლები" იღვწოდნენ შეექმნათ ლიტერატურა ეროვნულ ენაზე. ამ თვალსაზრისით კი არცთუ იშვიათად ენის რეფორმატორებად გვევლინებოდნენ[9].

ქართველი 60-იანელები სწორედ ამ მოძრაობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და მათი საუკეთესო წარმომადგენლის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაც ხომ ამ ყველაფრის თავმოყრაა. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის შექმნა, ანბანის რეფორმირება, ლოზუნგი – „მამული, ენა, სარწმუნოება" ქართველებისათვის ახალი, იმდროინდელი მსოფლიოსათვის აქტუალური, იდენტურობის ორიენტირების განსაზღვრის მცდელობა გახლავთ. ილია ჭავჭავაძე საერთო ევროპული მოვლენის – ლიბერალ-დემოკრატიული ნაციონალიზმის იდეალების თანამიმდევრულად გამტარებელია საქართველოში. ლიბერალიზმი ილიასთვის იყო გზა, გნებავთ საშუალება ეროვნული თავისუფლების მიღწევისა, მით უფრო, რომ იგი რუსულ მონარქიას უპირისპირდებოდა – პიროვნების თავისუფლების გზით ეროვნული თავისუფლებისაკენ. ილიას მშვენივრად ესმოდა, რომ არსებულ ვითარებაში საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი წარმოუდგენელი იყო, ამიტომაც თვითმმართველობის, ავტონომიის უფლების მოპოვებისთვის იღვწოდა დაუღალავად.

რუსეთის იმპერიაში მართლმადიდებლობა იდენტობის წამყვან ორიენტირად ვერ გამოდგებოდა. სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში ილია ჭავჭავაძისათვის წარმმართველი ტერიტორიის საკითხი – მამული გახლდათ. ქართული ცხოვრების წესი, ეროვნული თვითმყოფადობა რუსული კოლონიალიზმის ხანაში – ენასთან იყო გაიგივებული. ქართველ სამოციანელთა მოძრაობის ბიძგის მიმცემი სწორედ ქართული ენის აკრძალვა იყო სკოლასა და ეკლესიაში. დაბოლოს, სარწმუნოება – ქართველებისათვის საუკუნეების მანძილზე იდენტობის უპირველესი ორიენტირი, რაც საქართველოს აღმოსავლური სამყაროსაგან მიჯნავს და მას დასავლურ, ევროპულ სამყაროს მიაკუთვნებს.

ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობამ თავისი ლოგიკური გაგრძელება ვერ ჰპოვა.

რომანოვების იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოში ეროვნული იდენტობის ორიენტირების დამკვიდრების პროცესმა ადგილი დაუთმო სოციალური ორიენტირების ზოგად რუსულ პრობლემას. ხანმოკლე დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოს სათავეში აღმოჩნდნენ ძალები, რომელთაც სრული უუნარობა, რომ არ ვთქვათ სურვილის არქონა გამოავლინეს ქვეყნის მართვისა. პარადოქსია, მაგრამ მათ საქართველოს, ან თუნდაც კავკასიის, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა საერთოდ არ ჰქონიათ პროგრამაში, არც კი წარმოედგინათ.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა გარეშე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ნაკარნახევი აუცილებლობა გახლდათ და არა, როგორც ვთქვით, მმართველი პარტიის მოღვაწეობის შედეგი.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფალნი სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთის – „მენშევიკების", ასე ვთქვათ, ქართული ფრაქციის წარმომადგენლები გახლდნენ. ბუნებრივია, რომ პარტიული კუთვნილება ხელს უშლიდა მათ, ეფიქრათ და მოქცეულიყვნენ სახელმწიფოებრივად. რუსეთში ხელისუფლებაში მოსულ „ბოლშევიკებს" ქართველი სოციალ-დემოკრატები ძირითადად მარქსიზმის სწორ გაგებას ედავებოდნენ და სულმოუთქმელად ელოდნენ რუსეთში თავიანთ თანაპარტიელთა გამარჯვებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 1918-1921 წ.წ. საქართველოში მიმდინარე პროცესები იყო ფაქტობრივად შიდაპარტიული ბრძოლა რსდმპ „მენშევიკებისა" და „ბოლშევიკების" ფრაქციებს შორის, რასაც სრულიად „გაუთვალისწინებლად" მოჰყვა სახელმწიფოებრიობის აღდგენა საქართველოში.

მოცემული პერიოდის თანამედროვენი და რიგი მეცნიერებიც ვარაუდობენ, რომ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა პრინციპში დამაკმაყოფილებელი იყო, რომ ახალგაზრდა ჯან-ღონით სავსე დემოკრატია თანდათან ამყარებდა წესრიგს სახელმწიფოში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა საშინაო პოლიტიკის წარმოჩენა არ წარმოადგენს ჩვენს ამოცანას, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი შეხედულება ძალზე ზედაპირულია.

იმ პერიოდის თანამედროვე, ქართული ინტელექტუალური ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენელი ზურაბ ავალიშვილი ასე აფასებს მოვლენებს:

„საქართველოს მეთაურებს თავიანთი მთავრობა საბჭოთა წყობილებისგან გასარჩევად წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც დემოკრატიული.

ნამდვილათ კი საქართველო, რა თქმა უნდა, ჯერ სრულად ვერ აკმაყოფილებდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოთხოვნილებას. **უკანასკნელის გარეგანი ფორმები მხოლოდ ჰფარავდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიქტატურას. (კურსივი ჩვენია – დ.პ)**

ეს არ იქნებოდა უბედურება. იგი სასარგებლოც კი იყო, რადგან რევოლუციის დროს მთავრობას საშვალება ეძლეოდა პირველ ხანებში კარგად შეკავშირებულ გავლენიან პარტიას დაყრდნობოდა. მაგრამ მდგომარეობასთან

შედარებით საკმაოდ ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება პარტიულ დოქტრინისკენ მეტისმეტად იხრებოდა და ადვილად არღვევდა სახელმწიფოს მართვის, თუმცა დაუწერელს, ინტუიციით შესაგნებს, მაგრამ უჭეშმარიტეს წესებს...

ზევით ნათქვამი შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. რევოლუციის წიაღიდან გამოსული საქართველოს მთავრობა დარჩა ბევრად უფრო სოციალური დემაგოგიის, ვიდრე დემოკრატიისა და ეროვნული პოლიტიკის მთავრობად. იგი უნდა გამხდარიყო და შეეძლო კიდეც ასე გარდაქმნილიყო. მაგრამ ეს არ მოხდა.

უმთავრესათ მინის მფლობელების განიავება შეადგენდა ამ მთავრობის უღრმეს სურვილს და მისწრაფებას[10]...“

ავალიშვილის ძირითადი თეზისი ასე ჟღერს: „...საქართველოს დემოკრატია 1918-1921 წ.წ. იყო დიქტატურა სოციალ-დემოკრატიისა, ე.ი. მარქსიზმის მემარჯვენე ფრთისა და იგი იყო საქართველოში საბჭოთა დიქტატურის გამარჯვების მომმზადებელი ხანა[11].“

აგრარული რეფორმა, რომლის საჭიროებაც დრომ მოიტანა, ფაქტობრივად აჩანაგებდა მინის მცირე და საშუალო მესაკუთრეს, ნადგურდებოდა მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფები, ერის შედარებით განათლებული და საჭირო ნაწილი. მოკლედ, აგრარულმა რეფორმამ ზოგი დასცა და ბოგანოდ აქცია, ზოგიც დაასაჩუქრა მნიშვნელოვანი ფინანსური ან სამხედრო ბეგარის დაუკისრებლად. ამგვარმა პოლიტიკამ, პირველ რიგში, გლეხობაში გამოიწვია გულგრილობა პოლიტიკური წყობისადმი და მეორეც, ხელი შეუშალა ჯარის ორგანიზებას. კლასთა ბრძოლის მოძღვრება იყო საქართველოს მთავრობის შიშის საფუძველი საკუთარი შეიარაღებული ძალების წინაშე.

ერთი სიტყვით, აგრარული რეფორმაცა და სოციალური პოლიტიკაც საერთოდ, მთელი შინაარსით მიმართული იყო არა ევროპისაკენ და მისი სამოქალაქო კანონმდებლობისაკენ, არამედ მოსკოვისაკენ. ეს კი ძირითად ნინააღმდეგობას ბადებდა ევროპაზე ორიენტაციის საქმეში, რასაც საქართველო მიჰყვებოდა 1921 წლამდე. საგარეო და საშინაო პოლიტიკის ამგვარი კარდინალური შეუსაბამობა კი, რასაკვირველია, არ შეიძლება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებში ყოფილიყო, ვინაიდან ვერაფრით შეუწყობდა ხელს პოლიტიკური ორგანიზმის განმტკიცებას. პირიქით, სოციალური პოლიტიკის რუსულმა მოდელმა ბევრად გაუადვილა „ბოლშევიკებს“ საქართველოს ათვისების პროცესი. სამაგიეროდ პოპულიზმმა და დემაგოგიამ საშუალება მისცა ქართველ სოციალ-დემოკრატებს ხელისუფლებაში მოსვლისა...

მინისტრთა კაბინეტში და ხელისუფლების ქვედა ეშელონებში სუფევდა მექრთამეობა, ქურდობა, დაუდევრად ნიავდებოდა სახელმწიფო ქონება, თანამდებობის პირნი კი სამსახურეობრივ მდგომარეობას მხოლოდ პირადი საქმეების მოსაგვარებლად იყენებდნენ. საქართველოს მთავრობამ სამი წლის განმავლობაში ვერ მოიცალა, რათა მეზობლებთან სადავო საკითხები მოეგვარებინა და კავშირი შეეკრა. მართალია, გარეშე ძალების ზეწოლით

ამგვარი მუშაობა დაიწყო სომხეთთანაც და აზერბაიჯანთანაც, მაგრამ არ შეესატყვისებოდა გლობალური მოვლენების განვითარების ტემპს. ამრიგად, თითქმის ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი ღიად იყო დარჩენილი, რამაც ბოლშევიკებს საშუალება მისცა დაემყარებინათ საკუთარი წესრიგი ყველა ასპექტში ყოვლად უმტკივნეულოდ, ვინაიდან არ მოუწიათ არსებული სისტემისა და ურთიერთობების მსხვრევა. ერთი სიტყვით **„როდესაც საქართველო მიიყვანეს საბჭოთა რუსეთთან შეტაკებამდის,** (კურსივი ჩვენია. - დ.პ) თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ წითელ არმიელთა არც თუ მაინცა და მაინც დიდ ძალისათვის. ყველაფერი იყო ნამოქმედარი, რომ თავდამცემ საბჭოთა ლაშქარს წინ დახვედროდა არა „შეიარაღებული ხალხი", არამედ პარტიის მეთაურთა ჯგუფი, დიდი საზოგადოება პიროვნებათა, რომელიც სარგებლობდა სახელმწიფოებრივ ხელისუფლებით და მათთან მცირე წრე ერთგულ თავდადებულთა[12]."

იმ გარემოებამ, რომ საქართველოში არ არსებობდა სახელმწიფოებრივი სისტემის ჩანასახიც კი, ხალხი ინფანტილური და გულგრილი დატოვა ეროვნული პოლიტიკისადმი. დაბნეული მოსახლეობა გულგრილად შესცქეროდა წითელი ხიდის მხრიდან მომავალ მხედრობას, რომელთაც იგივე ქართველები, იმავე ლოზუნგებით მოუძღოდნენ და ხელში იგივე – „მენშევიკების" მიერ სულ ცოტა ხნის წინ გამოცვლილი წითელი დროშა ეჭირათ.

ზურაბ ავალიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „როდესაც 1921 წ. თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში საქართველო გაანვინეს მაგიდაზე და გამოცდილმა ქირურგმა – საბჭოთა ხელისუფლებამ – სასტიკი ოპერაცია გაუკეთა, მან იცოდა, რომ ავადმყოფი გააბრუა და ოპერაციისათვის უკვე მოამზადა მასზე არანაკლებ გამოცდილმა, თუმცა არა მასავით გამბედავმა ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ[13]."

საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ საქართველოში კარგა ხნით გაქრა ეფემერული დამოუკიდებლობაც და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობის ილუზიაც.

ილუზიამ საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე გამოიღვიძა.

დღეს საქართველო გზის გასაყარზე დგას, იგი ეს-ესაა იწყებს პოლიტიკურ ცხოვრებას. ჩვენის აზრით, საქართველოს უახლესი, პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის გააზრება ქართული ისტორიოგრაფიისათვის უაღრესად დროული და საჭირო საქმეა. დღეს, როდესაც ემოციური ტემპერატურა ნელ-ნელა კლებულობს და ქართული საზოგადოების წიაღში პრაგმატიზმს უთმობს ადგილს, სწორედ ახლა არის დრო, ემოციების გარეშე, მშვიდად გავიაზროთ განვლილი გზა, ვიპოვოთ შეცდომები და რეალურად გავუსწოროთ თვალი მომავლის პერსპექტივას, რასაც არსებული ვითარება გვიქადის.

ამოსავალ მოსაზრებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ისტორიული გარემოებების გამო, საბჭოთა კავშირის დაშლისას ქართველთა ისტორიული მეხსიერება რუსულ ანუ აღმოსავლურ ფეოდალიზმთან და მასზე აღმოცენებულ Homo Soveticus-ის მენტალობასთან იყო და კვლავაც არის დაკავშირებული.

საქართველოსა და ზოგადად, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის (ბალტიისპირეთის გამოკლებით) პოსტსაბჭოთა ისტორია, თუ მენტალურ თავისებურებებს არ გავითვალისწინებთ, უაღრესად ერთგვაროვანია. საბჭოთა ხანაში ამ ქვეყნების თავისთავადი განვითარების პროცესი გაყინული იყო. მათი ისტორია გაიყინა იქ, განვითარების იმ სტადიაში, სადაც გასაბჭოებამ მიუსწრო. და თუკი ბალტიისპირელებისათვის საბჭოთა სისტემის დემონტაჟი მათი ბურჟუაზიული (სამოქალაქო) გამოცდილების გამო ბევრად უფრო ადვილი აღმოჩნდა. იმ საზოგადოებებისათვის, რომელნიც ამგვარ გამოცდილებას ისტორიულად მოკლებულნი იყვნენ, საბჭოთა სისტემის დემონტაჟი, ალტერნატიული სისტემის ძიება, უკვე აპრობირებული ფორმის – ავტორიტარიზმის ჩამოყალიბებით დაიწყო. საქართველოს ბოლო წლების ისტორია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დიქტატურის, ანარქიის, ავტორიტარიზმის და ოლიგარქიის უახლესი გამოცდილების კლასიკური მაგალითია.

როდესაც ნიკოლო მაკიაველი თავის თხზულებებში დასკვნებს ადამიანთა მოდგმის ბოროტი ბუნების საფუძველზე აკეთებდა, იგი ცინიკოსად მონათლეს. მაგრამ მის კრიტიკოსთაგან ვერცერთი წარმოიდგენდა თუ რაოდენ ესადაგება შუა საუკუნეების გიგანტი მოაზროვნისა და პოლიტოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლის მოსაზრებანი საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესში მის პერიფერიაზე მიმდინარე პროცესებს.

მოკლედ შეგახსენებთ მაკიაველის პოლიტიკურ თეორიას, რომელიც მან თავის ცნობილ ნაშრომში „ფლორენციის ისტორია" ჩამოაყალიბა.

არისტოტელესა და პოლიბიუსის მოძღვრებები სახელმწიფო მმართველობის სამი ფორმის შესახებ მაკიაველისთან უფრო ღრმა და „ცინიკურ" შინაარსს იღებს. ანტიკური ხანის ავტორები სახელმწიფო მმართველობის შემდეგ ფორმებს გვაცნობენ:

1. მონარქია 2. არისტოკრატია 3. დემოკრატია. მაკიაველის მიხედვით მათ საპირისპირო, უარყოფითი ფორმები – ანტითეზები გააჩნიათ. ასე მონარქია დესპოტიაში გადაგვარდება, დესპოტიის დამხობის შემდეგ არისტოკრატია მყარდება, რომელიც თავის მხრივ ოლიგარქიად გვარდება, ოლიგარქიას ხალხი ამხობს და დემოკრატიას ამყარებს, რომელიც თავის მხრივ ანარქიად იქცევა. ამის შემდეგ სახელმწიფო უნდა დაემხოს, თუ არ მოხდა მისი განახლება. განახლებას კი იგი ძლიერი მმართველის გამოჩენაში ხედავს, რომელიც ახალ კანონებს დაამყარებს, როგორც მაგალითად – მოსე, ლიკურგე, სოლონი. თუმცაღა პოლიტიკური „ცინიკოსის" სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ აქვე სახელმწიფო მმართველობის მისთვის იდეალურ ფორმასაც გვისახავს. ეს, მისი თქმით, შერეული მმართველობაა, სადაც ხალხს – popolo გარკვეული უფლებები უნდა გააჩნდეს ეს გახლავთ უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნას, მმართველობის კონტროლისა და სასამართლოს უფლებები. ფეოდალურ არისტოკრატიას (ბენეფიციარებს) მაკიაველი სახელმწიფოს მტრად და დესპოტიის საყრდენად მიიჩნევს. მოქალაქეთა წარჩინებული ფენა – patritiat კი მისთვის პროგრესულ, განათლებულ და შემოქმედ ძალას

წარმოადგენს. მაკიაველის აზრით, სწორედ მისი წიაღიდან უნდა ირჩეოდნენ უმაღლესი თანამდებობის პირნი, რომელნიც სახელმწიფოს უნდა ემსახურონ. სახელმწიფოს მეთაური მისთვის თვით სახელმწიფოს წარმომადგენელია, როგორც მისი დროის ფლორენციაში „სამართლიანობის გონფალონიერი" გახლდათ.

თუ მაკიაველის ამ თეორიით ვიხელმძღვანელებთ, რუსეთის მონარქიის აღსასრულს იმ იმპერიის კრახად შევაფასებთ, რომელშიც თანაარსებობდა სახელმწიფოს მმართველობის ყველა ფორმა და ანტითეზა. დემოკრატიის popolo ხანმოკლე გამარჯვებამ ვერ გაუძლო ბოლშევიზმის plebs-ს შემოტევას და ქვეყანაში ანარქიამ დაისადგურა. სახელმწიფო უნდა დანგრეულიყო. სახელმწიფოს დანგრევა შეაჩერა სტალინის ფენომენმა, რომელიც სწორედ ამ plebs-ის სახელით საკუთარ დიქტატურას ამყარებს, აწესებს ახალ კანონებს. ისტორიული კანონზომიერება დაირღვა. რუსეთის ისტორიის ახალი ეტაპი პირდაპირ ანტითეზით იწყება. მონარქიის ნაცვლად რუსეთში პირდაპირ დესპოტია მყარდება. plebs-ის წიაღში დროთა განმავლობაში ახალი არისტოკრატია nobile sovetico ალმოცენდა, რომლის მოთხოვნილებები უკვე აღარ ემთხვეოდა plebs-ის პურიტანიზმს. საბჭოთა რუსეთში არისტოკრატია იმთავითვე ოლიგარქიის ფორმით ჩაისახა, რაც ასევე პირდაპირ ანტითეზის დამკვიდრებაა. ბრეჟნევის ეპოქა ამის ნათელი მაგალითია. ერთი ანტითეზა შეიცვალა მეორით და მისი დამხობა გარდაუვალი შეიქმნა.

ამრიგად, რუსეთის უახლესი ისტორია ძირითად ანტითეზების ცვალებადობაა, რაც ბუნებრივ განვითარებად ვერ ჩაითვლება. მართალია საბჭოთა იმპერიის რღვევა პერიფერიაში გარეგნულად კანონზომიერად წარიმართა – პერიფერიებს „დიადოხები" დაეპატრონნენ – კრავჩუკი, შევარდნაძე, ალიევი, ნიაზოვი, ნაზარბაევი – შინაარსობრივად კი ანტითეზების, ანუ მმართველობის ძირითადი ფორმების უარყოფითი მოვლენების გაგრძელებად დარჩა...

საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან (1991) საქართველომ სამი პრეზიდენტი გამოიცვალა. ნიშანდობლივია, რომ სამივე მათგანი, მიუხედავად პიროვნული და პოლიტიკური განსხვავებისა, მმართველობის ავტორიტარულ ფორმას ირჩევს. ეს საკმაოდ მარტივად აიხსნება: არც ერთი მათგანი არ იცნობს ხელისუფლების შენარჩუნების სხვა მოდელებს. სტალინის იმპერიაში აპრობირებული და სახელმძღვანელოებში ნასწავლი ბოლშევიკური მეთოდები მათთვის ადვილი და მოსახერხებელია. ქვეშევრდომნიც ხომ იგივე „Homo Soveticus"-ები არიან.

თუმცაღა სამივე მთავრობის მესვეურებმა შესანიშნავად უწყიან, რომ:

დემოკრატია პოლიტიკური თეორია არ არის, არც იდეოლოგიაა, ეს მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების მეთოდია. (ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი).

რომ: სახელმწიფოს შექმნის წინაპირობა საკუთრებაა, ის ყოველივე, რასაც ადამიანი ბუნებრივი შრომისა და ბრძოლის პირობებში მოიპოვებს, დაცვას უნდა ექვემდებარებოდეს. ადამიანები ამ ქონების დაცვას სახელმწიფოს ანდობენ. ამრიგად, სახელმწიფო ეფუძნება ინდივიდების კერძო საკუთრებას. (ჯონ ლოკი)

რომ: **თავისუფლების იდეა მხოლოდ საკუთრების იდეასთან ერთად ვითარდება და რომ ყველაზე ენერგიულ მოღვაწეობას ჩვენ მხოლოდ საკუთრებას ვუმადლით** (ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი).

ეს „ჩვენ" კი მხოლოდ მესაკუთრენი, ბურჟუაზია შეიძლება იყოს და არამც და არამც „Homo Soweticus"-ი.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან რასაც ევროპეიზმი და ზოგადად დასავლური ცივილიზაცია ეფუძნება, ისტორიულად საქართველო აკმაყოფილებდა ყველა პუნქტს. თუმცა რუსული და საბჭოთა იმპერიების შემადგენლობაში საკუთრებისადმი რომაული სამართლისმიერი დამოკიდებულება ბუნებრივია დავიწყებას მიეცა, „Homo Soveticus"-ის კომპლექსი კი ამ თვალსაზრისით ძირითად წინაღობას წარმოადგენს.

ასე, რომ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობის გზაზე „Homo Soveticus"-ის **კერძო მესაკუთრედ – ქართველ ბურჟუად ანუ მოქალაქედ გარდაქმნა აუცილებელ** წიმაპირობად გვესახება.

ლიტერატურა:

1. Samuel Phillips Huntington, The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. Simon & Schuster, New York, 1996.
2. რისმაგ გორდეზიანი, "ილიადა" და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბილისი, 1970, გვ. 217-253.
3. Meyers Hand-Lexikon, Vierte Auflage 1888, Bd 1, S. 3; Klaus von Beyme (Hrsg.), Die großen Regierungserklärungen der deutschen Bundeskanzler von Adenauer bis Schmidt, Hanser, München/Wien 1979, S. 53-73.
4. Wolfgang Reinhard, Geschichte der Staatgewalt. Eine vergleichende Verfassungsgeschichte Europas von den Anfängen bis zur Gegenwart, Oskar Beck, München, 1999, გვ. 14-22; იხ. აგრეთვე სტატია Allodium und Feodum, Staats-Lexikon oder Encyklopedie der Staatswissenschaften (Hrg. Carl von Rotteck & Carl Welcker), Bd. I Altona 1834. S.S. 468-492; Otto Bruner, სტატია Feudalismus, in: Otto Brunner, Werner Conze, Reinhard Koselleck (Hrg) Geschichtliche Grundbegriffe, Historisches Lexikon zur politisch-sozialen Sprache in Deutschland, Bd. 2, Stuttgart, 1998, S.S. 337-350; Marc Bloch, La societe feodale. vol. 3. Paris, 1939; Marc Bloch, Feodalite, Vassalite, Seigneurie: a propos de quelques travaux recents, კრებულში: Annales d'histoire economique et sociale, V. 3. Paris, 1931, გვ. 246-260; Michael Borgolte, Otto Hinzes Lehre vom Feudalismus in kritischen Perspektiven des 20. Jahrhunderts, კრებულში: Nathaly Fryde, Pierre Monnet, Otto Gerhard Oexle (Hrg), Die Gegenwart des Feudalismus, Göttingen, 2002, გვ. 247-270; Chris Wickham, The Uniqueness of the East, კრებულში: Feudalism and Non-European Societies, T.J. Byres und H. Mukhia (Hrg), London, 1985, გვ. 187.
5. იხ. Otto Bruner, სტატია Feudalismus, in: Otto Brunner, Werner Conze, Reinhard Koselleck (Hrg) Geschichtliche Grundbegriffe, Historisches Lexikon zur politisch-sozialen Sprache in Deutschland, Bd. 2, Stuttgart, 1998, S.S. 337-350.

6. ოთარ ლორთქიფანიძე, სამეფო მიწისმფლობელობის შესახებ ანტიკური ხანის იბერიაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე" ტ.21. 6, თბ. 1958, გვ. 759-766; ანრი ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობების ისტორიიდან, თბ. 1961, გვ. 42-70; მარიამ ლორთქიფანიძე, მიწათმფლობელობის ფორმების საკითხისათვის 9-10 საუკუნეების საქართველოში, კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34. თბ. 1962, გვ. 3-23;; Шота Месхия Города и городской строй средневековой Грузии в 17-18 вв. Тб. 1959; Мамука Думбадзе, Вассалитет в Грузии в 10-12 Веках, (кандидатская диссертация) Тб. 1982.
7. ბიზანტიის სოციალ-ეკონომიკური სისტემისათვის იხ. Carl Eduard Zachariä von Lingenthal, Zur Geschichte des römischen Grundeigentums in: Zeitschrift der Savigny-Stiftung für Rechtgeschichte. E.I. Bekker, A. Pernice, R. Schröder, H. Brunner, (Hrg). Bd. 9, (22), Weimar. 1888, გვ. 261-285; Warren Treadgold, A History of a Byzantine State and Society, Stanford, 1997, გვ. 103-149; 371-417; 667-709; Eleutheria Papagianni, Byzantine Legislation on Economic Activity Relative to Social Class. in: Angeliki E. Laiou (Hrg), The economic History of Byzantium from the seventh trough the fifteenth Century, Bd. 3. Washington, 2002, გვ. 1083-193; Peter Frankopan, Land and Power in the Middle and Later Period. in: John F. Haldon (Hrg) The Social History of Byzantium, Chichester, 2009 გვ. 112-143; John Haldon, Social Elites. Wealth and Power. in: John F. Haldon (Hrg) The Social History of Byzantium, Chichester, 2009, გვ. 168-212. რუსული ფეოდალური სისტემის ანალიზისათვის იხ. Michael Borgolte, Otto Hinzes Lehre vom Feudalismus in kritischen Perspektiven des 20. Jahrhunderts. კრებულში: Nathaly Fryde, Pierre Monnet, Otto Gerhard Oexle (Hrg), Die Gegenwart des Feudalismus, Göttingen, 2002, გვ. 268.
8. Guram Tevzadze, Ideologie und Kommentar im Mittelalterischen Georgien. (10.-12. Jahrhundert) in: Der Kommentar in Antike und Mittelalter. neue Beiträge zu seiner Erforschung, Bd. 2. Leiden, 2004. გვ. 163-177.
9. Hegel, G. W. F., Vorlesungen über die Philosophie der Geschichte. in: Sämtliche Werke. Hg. Moldenhauer E., und Michel, K.M., Bd. 12, Frankfurt, 1970 S. 56; Alter, P., Nationalismus. Frankfurt am Main, 1985, S. 65.
10. ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საგარეო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები, პარიზი, 1924 წ. გვ. 4.
11. იქვე, გვ. 6.
12. იქვე, გვ. 5.
13. იქვე, გვ. 7.

DAVID PAICHADZE

GEORGIA AND WESTERN CIVILIZATION; MYTHS AND REALITY.

Summary

The article is an attempt of comparative analyzes of basic aspects of European civilization with the peculiarities of historical development of Georgia. The starting point is a well-known thesis of Samuel Huntington that estranges nations of orthodox

faith as the so-called "Eurasian Civilization". According to Huntington, some features like the absence of cultural impact of Renaissance, Reformation, and Enlightenment make this culture alien to the West. However, as his general opinions are not disputed, we assume that the thesis in whole is rather generalized and does not take into consideration some special cases.

From our point of view, Georgia is exactly one of such cases.

From our pint of view, in spite of the absence of the impact of European Reformation, Georgia, historically is still exception from the so-called "Eurasian Civilization" and essentially is more close to the West, than any other orthodox states of the East.

We point at four conventional attributes of "Europeism" – that is, Antique philosophy, Christian Faith, Feudalism, and the Roman law.

The article focuses on the essence of European feudalism and attitude of the Roman law towards private property. Analyzes of feudal structures in Georgia (existence of feudal tenure and allodial systems), as well as presence of Roman law for property and impact of antique philosophy on Georgian theology, makes medieval Georgia part of European civilization.

Historical peculiarities made the processes of development of Humanism and Enlightenment in Georgia not always chronologically adequate and similar with the same processes in Europe, though the process of European Enlightenment of the XIX century still found some reflection in Georgia.

Under the Russia's domination, the Georgian Church, in fact, became just a branch of the Russian one - dogmatic, self-isolated and totalitarian in its nature. In such circumstances, there could not have been any talk of the impact of the Reformation.

In Russian Empire, even the feudal aristocracy couldn't stand the attitude of the Roman law to property as to the absolute and sacred category. The widespread understanding of the property form the standpoint of the Old Testament, perceived land as the property of God and a man was just its a temporary owner.

Thus, the main goal in context of Georgia's comeback into the realm of the European civilization is to overcome the Homo Sovieticus syndrome and to re-establish traditional Georgian attitudes towards property in the light of antique Roman law.

ДАВИД ПАИЧАДЗЕ

ГРУЗИЯ И ЗАПАДНАЯ ЦИВИЛИЗАЦИЯ. МИФЫ И РЕАЛЬНОСТЬ

Резюме

В работе предпринята попытка сравнительного анализа основных аспектов европейской цивилизации с особенностями исторического развития Грузии. В основе суждения лежит известный тезис Самюеля Хантингтона, в силу которого

он обособляет православные народы в так называемую «евроазиатскую цивилизацию». Характерные черты, которые, по его мнению, отдаляют эту культуру от западной цивилизации – это отсутствие культурного влияния ренессанса, реформации и просветительства. Несмотря на то, что воззрения Хантингтона в общем не подлежат сомнению и критике, в статье высказано мнение, что тезис слишком обобщающий и не предусматривает конкретные случаи.

В работе сфокусировано внимание на конкретном примере – истории Грузии.

Высказывается мнение, что исторически Грузия, несмотря на отсутствие влияния реформации, представляет исключение в так называемой «евразийской цивилизации» Хантингтона и по сути более близка к европейской цивилизации чем любое из православных государств востока.

Исходной тезой подобного суждения является общепризнанная характеристика «европеизма», это: античная философия, христианство, феодализм и римское право.

В статье концентрировано внимание на сущности европейского феодализма и отношении римского права к собственности. Анализ развития феодализма в Грузии (имеется в виду наличие ленной и аллодиальной систем), так же как и наличие римского права на собственность и влияние античной философии на грузинское богословие представляет средневековую Грузию частью европейской цивилизации.

В силу исторической особенности процессы развития гуманизма и просветительства, проходящие в Грузии, не всегда хронологически и адекватно совпадали с аналогическими процессами в Европе, хотя процесс европейского просвещения XIX века нашёл отражение и в Грузии.

В условиях российского владычества Грузинская церковь стала практически филиалом русской церкви, которая отличается догматизмом, самоизоляцией и тоталитаризмом. В таких условиях о влиянии реформации не могло быть и речи.

В российской империи даже для феодальной аристократии было чуждо понятие римского права собственности как абсолютной и сакральной категории. Распространённое ветхозаветное толкование собственности, в силу которого земля представлялась собственностью господа, а человек лишь распорядителем, было так же тоталитарно.

Таким образом, на пути возвращения Грузии в лоно европейской цивилизации главной задачей представляется нам преодоление синдрома Homo Soveticus-a и восстановление традиционного для Грузии отношения к собственности в духе древнеримского права.

გიორგი კუჭავა

ცივილიზაციათა ციკლურობის კონცეფცია არნოლდ ტოინბის „ისტორიის ფილოსოფიაში“

შესავალი

XXI საუკუნის დასაწყისში კაცობრიობის წინაშე ძალზე მწვავედ დადგა შემდეგი საკითხი: საით მიდის კაცობრიობა და როგორია დედამიწაზე არსებული ცივილიზაციების განვითარების პერსპექტივა. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ტემპები და ამის წყალობით ჩვენს წინაშე გახსნილი პერსპექტივები, მრავალი ქვეყნის პროგრესირებადი „ვესტერნიზაცია“, მათი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ასპექტები საშუალებას აძლევს ბევრ მკვლევარს, გამოიტანოს დასკვნა, რომ კაცობრიობა სწრაფი ნაბიჯებით უახლოვდება დასავლური დემოკრატიის იდეალებს. გამოითქვა კიდევაც მოსაზრება, რომ კაცობრიობის ისტორია აღსასრულს მიუახლოვდა. აი, მაგალითად, როგორ გამოეხმაურა ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი ფრენსის ფუკუიამა ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარე რეფორმებს: „შესაძლებელია, ის, რასაც ჩვენ თვალყურს ვადევნებთ, არის არა უბრალოდ „ცივი ომის“, ანდა ომისშემდგომი ისტორიის თავისებური პერიოდის, – არამედ ისტორიის, როგორც ასეთის დასასრული: ეს ნიშნავს ადამიანის იდეოლოგიური ევოლუციის მართვის უნივერსალურ, საბოლოო ფორმად გადაქცევას“[3.].

ეყრდნობიან რა ეკონომიკურ მაჩვენებლებს, პოლიტიკოსები და ეკონომისტები ახარისხებენ ქვეყნებს მათი „პროგრესულობის“ ხარისხის მიხედვით, სრულიად უგულებელყოფენ რა ადამიანური ყოფიერების ისეთ განუყოფელ მახასიათებლებს, როგორიცაა ზნეობა, კულტურის თვითმყოფადობა... ანდა, აპირობებენ რა მათი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებით, – არსებითად ყველაფერს, რაც კი არ “ეწერება” საშუალო ევროპელი (ან ამერიკელი) მომხმარებლის მსოფლმხედველობაში, ხსნიან „მესამე სამყაროს“ ხალხების „ველურობით“, რომელთამდეც ჯერ კიდევ ვერ მიაღწია დასავლური კულტურის შუქმა. მაგრამ როგორ შეიძლება სხვადასხვა კულტურების განუმეორებლობა და მრავალფეროვნება დავიყვანოთ ერთ სულზე საერთო წარმოებული პროდუქტის რიცხვობრივ მაჩვენებლებამდე? და, საერთოდ, რამდენად მიზანშეწონილია სხვადასხვა კულტურების შედარება და მათი ნებისმიერ იერარქიულ სტრუქტურაში განლაგება ყველასათვის საერთო

იდეალთან მიახლოებისდა მიხედვით? ძალიან ხომ არ გაიტაცა ბევრი პოლიტიკოსი (და, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, საქართველოშიც) ცალკეული კულტურებისათვის დამახასიათებელი ქცევების ყველა კულტურის მახასიათებლად აღქმამ?

მრავალი მეცნიერი არამართლზომიერად მიიჩნევს ისტორიის აღწერას როგორც ერთხაზოვანი, თანმიმდევრული მოძრაობისა ერთიანი მიზნისაკენ, რომლის დროსაც ყველა ხალხი ერთი მიმართულებით მოძრაობს, უსწრებენ ან ჩამორჩებიან რა ერთმანეთს. წინააღმდეგ ამისა, ისტორია მათთვის არის ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად ურთიერთმოქმედი ცალკეულ საზოგადოებრივ არსთა განვითარება, სადაც სიკვდილი სხვათა დაბადებას ემეზობლება. „ხაზოვანი მსოფლიო ისტორიის მონოტონური რუტინის ნაცვლად... მე ვხედავ მრავალი მძლავრი კულტურის ფენომენს, პირველყოფილი ძალით ამოზრდილთ მათი დამბადებელი ქვეყნის წიაღიდან... და ყოველ მათგანს თავისი საკუთარი იდეა, საკუთარი ვნებები, საკუთარი ცხოვრება, სურვილები და გრძნობები, და ბოლოს, საკუთარი სიკვდილი აქვს“ [4,29] – ასე წერდა XX ს-ის დასაწყისში ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი. ამ ტიპის თეორიებში კაცობრიობის, როგორც მთლიანის, უწყვეტი თანმიმდევრული მოძრაობა იცვლება ცალკეული ლოკალური ცივილიზაციების ციკლური განვითარებით. იმ მოაზროვნეთა რიცხვს, რომელნიც იზიარებენ ამგვარ მოსაზრებას ისტორიაზე, მიეკუთვნება XX ს-ის ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბიც. ჩვენს სტატიაში განხილული იქნება მისი ცივილიზაციათა ციკლურობის თეორია.

ცივილიზაციის განვითარების ციკლური გზა

გამოკვლევის მეთოდიკა – ემპირიული ანალიზი

მანამ, სანამ უშუალოდ შევეხებით ტოინბის თეორიას, ორიოდე სიტყვით გვსურს ვთქვათ კვლევის მისეულ მეთოდზე. როგორც თავად ტოინბი წერს შპენგლერის ცივილიზაციის თეორიისაგან მისი ციკლების თეორიის ზოგიერთი განსხვავების აღწერისას, „თუ გერმანულმა აპრიორულმა მეთოდმა წარუმატებლობა განიცადა, ღირს ვცადოთ, რისი მიღწევა შეიძლება ინგლისური ემპირიზმის დახმარებით.“[2,25] თავის ძირითად შრომაში – „ისტორიის აღქმა” – ტოინბი მთლიანად მისდევს თავის მეთოდიკას. მის მიერ შემოტანილი ნებისმიერი ცნება არა აპრიორულადაა მოცემული, არამედ წარმოიშვება აუცილებლობით განპირობებული, მრავალი შერჩეული მაგალითიდან გამომდინარე. ბევრ არსს, რაც ტოინბის შემოაქვს, არ გააჩნია მკაფიო ფორმულირება, და გასაგები ხდება მხოლოდ ისტორიული მაგალითების დიდი რაოდენობის შესწავლის შემდეგ. ასე მაგალითად, ტოინბის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნება – „გამოწვევა-პასუხი“ – მოცემულია არა ფორმალურად, არამედ აგებულია უამრავ კონკრეტულ მაგალითზე. გადმოცემის ამგვარ მეთოდს აქვს როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლიც. ერთის მხრივ, დიდი ფაქტობრივი მასალა ტოინბის თეორიის პოსტულატების განმტკიცებაა, მეორეს მხრივ კი – ფორმულირებათა ნაკლები

სიცხადე უშვებს ინტერპრეტაციის არაერთგვაროვნებას და ხშირად მისი თეორიის ზოგიერთი დებულების გაგებასაც აძნელებს.საბოლოო პუნქტს, დასავლური ლიბერალური დემოკრატიის კაცობრიობის

განზომილების ერთეული – ცივილიზაცია

მანამ, სანამ საუბარს დავიწყებთ ცივილიზაციათა ციკლის თეორიაზე, აუცილებელია გავარკვიოთ, რას გულისხმობს ტოინბი ტერმინში „ცივილიზაცია“, ანუ, სხვა სიტყვებით – რა არის ისტორიული არსებობის „განზომილების ერთეული“.

გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერი ქვეყანა, პოლიტიკური კავშირი თუ სხვა, უნდა განიხილებოდეს არა ცალკე, თავისთავად, არამედ გამომდინარეობდეს "ისტორიული კონტექსტიდან", – ტოინბი მიდის დასკვნამდე „ატომის შესახებ, რომელზედაც ისტორიკოსმა მთელი თავისი ყურადღება უნდა მოაქციოს“:

1) ცივილიზაციები „წარმოადგენენ... საზოგადოებებს უფრო მეტი გაწელილობით როგორც სივრცეში, ისე დროში, ვიდრე ნაციონალური სახელმწიფოები, ქალაქი-სახელმწიფოები ან ნებისმიერი პოლიტიკური კავშირი“ [1,40];

2) სწორედ ცივილიზაციებს უნდა განიხილავდნენ ისტორიკოსები;

3) ცივილიზაციები ერთმანეთთან შედარებითია;

4) არც ერთი ცივილიზაცია არ მოიცავს მთელ კაცობრიობას;

5) ცივილიზაციათა განვითარებაში გაცილებით ნაკლები მემკვიდრეობითობაა, ვიდრე ერთი ცივილიზაციის განვითარების ფაზებს შორის.

აკეთებს რა ისტორიის ანალიზს, ტოინბი გამოყოფს 21 ცივილიზაციას, რომელსაც ოდესმე უარსებია დედამიწაზე (ეს ციფრი წიგნში იცვლება). დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ ხუთი:

1. დასავლურ-ქრისტიანული;
2. მართლმადიდებლურ-ქრისტიანული;
3. მაჰმადიანური;
4. შორეულაღმოსავლური;
5. ინდუისტური.

ზოგიერთ ამ ცივილიზაციათა შორის არსებობს ნათესაური კავშირი. მაგალითად, დასავლურ-ქრისტიანულსა და მართლმადიდებლურ-ქრისტიანულს შორის, რომელნიც ელინური ცივილიზაციიდან წარმოიშვნენ. ცივილიზაციები ურთიერთკავშირში არიან და შესაძლებლობა აქვთ, იმოქმედონ ერთმანეთზე. ამგვარი თვალთახედვა ძირფესვიანად ეწინააღმდეგება შპენგლერის თვალსაზრისს, რომლის თანახმად ცივილიზაციები თავის თავში ჩაკეტილი არსებია, რომელნიც ერთიმეორისაგან არ გამომდინარეობენ და რომელთაც ერთურთის გაგება არ ძალუძთ.

მიუხედავად ამისა, ტოინბი არ იღებს არც „ცივილიზაციათა ერთობის“ კონცეფციას და, შპენგლერის მსგავსად, ხსნის მას თანამედროვე ისტო-

რიკოსების ევროცენტრიზმის ჰიპერტროფირებული გრძნობით: „დასავლეთელი ისტორიკოსები თელიან... რომ ახლანდელ დროში მსოფლიოს უნიფიკაცია დასავლეთის ეკონომიკურ საფუძველზე მეტ-ნაკლებად დასრულებულია; შესაბამისად კი, როგორც ისინი ვარაუდობენ, დასრულდება უნიფიკაცია სხვა მიმართულებებითაც. მეორეც, – ისინი ერთმანეთში ურევენ უნიფიკაციასა და ერთობას, ზედმეტად აფასებენ რა სიტუაციის როლს, რომელიც ისტორიულად სულ ახლახანს ჩამოყალიბდა და ჯერჯერობით არ იძლევა საშუალებას, ვილაპარაკოთ ერთიანი ცივილიზაციის შექმნაზე, და მით უფრო – გავაიგივოთ ის დასავლურ საზოგადოებასთან."[1,81]

ციკლის სტადიები

როგორია ტოინბის კონცეფციაში ცივილიზაციის სიცოცხლის ციკლი? მათი სიცოცხლის ვადები წინასწარაა მოზომილი, თუ ცივილიზაციათა განვითარებას მათი სურვილისდა მიხედვით არაფერი არ უშლის ხელს? ყოველი ცივილიზაცია თავისი არსებობისას გადის შემდეგ სტადიებს:

1) ჩასახვის სტადიას - გენეზისს. ცივილიზაცია შესაძლოა წარმოიშვას პრიმიტიული საზოგადოების მუტაციის შედეგად ან „მშობლიური" ცივილიზაციის ნანგრევებზე;

2) შემდეგ მოდის ზრდის სტადია, როდესაც ცივილიზაცია ჩანასახიდან ვითარდება სრულყოფილ სოციალურ სტრუქტურად. ზრდისას ცივილიზაციას მუდამ ემუქრება ბზარის სტადიაში გადასვლის საშიშროება, რომელიც, როგორც წესი (მაგრამ ეს არაა სავალდებულო) იცვლება დაშლის სტადიით.

3) თავისი დაშლისას ცივილიზაცია ან ქრება დედამიწის ზურგიდან (მაგალითად – ეგვიპტური ან ინკების ცივილიზაციები), ანდა სანყისს აძლევს ახალ ცივილიზაციებს (მაგალითად, ელინური ცივილიზაცია, რომელმაც მსოფლიო ეკლესიის მეშვეობით წარმოშვა დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანობა).

უნდა აღინიშნოს, რომ ტოინბისეულ ცხოვრების ციკლში არაა განვითარების ის ფატალური წინასწარგანსაზღვრულობა, რასაც ჩვენ შპენგლერის ცივილიზაციის ციკლში ვხედავთ. თუ შპენგლერისთვის ცივილიზაცია ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც აუცილებლობით იზრდება, მწიფდება, ჭკნება, და ბოლოს, კვდება – ტოინბი სცილდება ცივილიზაციის, როგორც რაიმეგვარი განუყოფელი არსის, განსაზღვრას, რადგან თვლის, რომ „საზოგადოება არაა და არც შეიძლება იყოს რაიმე სხვა, თუ არა შუამავალი, რომლის დახმარებითაც ცალკეული ადამიანები ურთიერთმოქმედებენ. პიროვნებები, და არა საზოგადოებები, ქმნიან ადამიანთა ისტორიას."[1,251] ამგვარი ინტერპრეტაცია საშუალებას იძლევა, ავხსნათ განვითარების წინასწარგანსაზღვრულობა: თუ მოცემული საზოგადოების შემადგენელი ინდივიდუმები შეძლებენ, გადალახონ ბზარი სულში, მაშინ მთლიანად საზოგადოებაც შეძლებს ბზარის სტადიიდან თავდაღწევას. „ცივილიზაციის ბზარი არ შეიძლება ადამიანური კონტროლის გარეთ მყოფი ძალების

განმეორებადი ან თანმიმდევრული მოქმედებების შედეგი იყოს."[1,300] აქედან გამომდინარეობს, რომ ტოინბი უარყოფს ბედს ცივილიზაციის განვითარების საკითხებში და თვლის, რომ უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის ადამიანს რჩება.

გამოვყავით რა ცივილიზაციის განვითარების ძირითადი სტადიები, აუცილებელია პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: ვინაა ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა, რამ აიძულა პრიმიტიული საზოგადოება, ერთ მშვენიერ დღეს „გაეღვიძა" და წამოეწყო უწყვეტი, თანამიმდევრული მოძრაობა; არსებობს თუ არა რაიმე ერთიანი, რაც ცივილიზაციის განვითარების ყველა სტადიის უკან დგას? ვერ მოიძია რა ცივილიზაციის ჩასახვისა და განვითარების დეტერმინირებული, „უსულო" მიზეზები, ტოინბის შემოაქვს ბიბლიური თქმულება ეშმაკის მიერ ღვთის ქმნილების ცთუნებისა და ღვთისმიერი შესაქმის მეშვეობით ცდუნებულის შემდგომი ფერისცვალების შესახებ, – როგორც წინააღმდეგობა, – ისტორიის ძირითადი მამოძრავებელი მექანიზმი. პირველ ეტაპზე ეშმაკს სისტემა გამოჰყავს გაწონასწორებული და პასიური „ინ" მდგომარეობიდან („გამოწვევა") და მოჰყავს ის აგზნებულ და აქტიურ „იან" მდგომარეობაში. გამოწვევაზე პასუხი უნდა იყოს ან ზრდა – „გადასვლა უფრო მაღალ და სტრუქტურული სირთულის მიხედვით უფრო სრულყოფილ"[1,120] მდგომარეობაში, ანდა – დამარცხება და სიკვდილი. ახალ საფეხურზე ასული სისტემა კვლავ გამოდის წონასწორობიდან და ასე შემდეგ, მანამ, სანამ ადექვატურ გამოწვევას ადექვატური პასუხი არ გაეცემა. გამოწვევები შეიძლება იყოს როგორც გარეგანი (ცივილიზაციის გენეზისისათვის აუცილებელი სტიმულები), ისე შინაგანი (მეცნიერების განვითარება, გენიოსის შემოქმედებითი აღმაფრენა). ამასთან, სისტემას ესაჭიროება მხოლოდ გარე სტიმულების პირველსაწყისი არსებობა, რომლებიც შემდეგ, სისტემის განვითარების კვალობაზე, შიდა გამოწვევებად გადაიქცევა. სწორედ ასეთი, დინამიური და პროგრესირებადი წინააღმდეგობა არის კიდეც ცივილიზაციისა და მისი შემადგენელი ინდივიდუმების განვითარების საწინდარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთმა გამოწვევას შესაძლოა ღირსეული პასუხი გაეცეს, იმ დროს, როდესაც სხვები შესაძლოა პასუხის გარეშე დარჩნენ. თუ გამოწვევის სიმკაცრე უსასრულობამდე გაიზრდება, იქნება კი გარანტირებული, ამისდა მიხედვით, შესაბამის პასუხში ჩაქსოვილი ენერგიის უსასრულო ზრდა? ტოინბი ამ კითხვას, ჩვენის აზრით, სავსებით ლოგიკურად პასუხობს: ყველაზე მასტიმულირებელი ზემოქმედება საშუალო სიძლიერის გამოწვევას მოაქვს; სუსტ გამოწვევას არ ძალუძს, აიძულოს სისტემა, ხარისხობრივად ახალ დონეზე გადავიდეს; ხოლო ზომაზე ძლიერ გამოწვევას შეუძლია, უბრალოდ დაანგრიოს ის.

როგორი სახე აქვს გამოწვევისა და პასუხის კონცეფციას ცივილიზაციასთან და მისი განვითარების ანალიზთან მიმართებაში? ვის ეკუთვნის გამოწვევა – მთლიანად საზოგადოებას თუ ყოველ ცალკეულ ადამიანს? როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოინბის სისტემა ანთროპოცენტრულია,

იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოებას მასში მოქმედების ასპარეზის ადგილი ეთმობა და არა აღმშენებლობითი ძალის მატარებლისა. ამდენად, გამონვევებიც უპირველესად ადამიანებს ეკუთვნით. აქ ტოინბი დგას ფრანგი ფილოსოფოსის, ანრი ბერგსონის პოზიციაზე: „ჩვენ არ გვწამს ისტორიის „არაცნობიერი" ფაქტორისა, ეგრეთ წოდებული „აზრის დიადი მიწისქვეშა დინებებისა", რაზეც ასე ხშირად უთითებენ, – შესაძლოა, მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხის დიდი მასები ვინმე ერთით, საერთო რიცხვიდან დაწინაურებული პიროვნებით აღმოჩნდნენ გატაცებულნი. საჭირო არაა, გავიმეოროთ, რომ სოციალურ პროგრესს უწინარესად საზოგადოების სულიერი გარემო განაპირობებს. ნახტომი ხდება მაშინ, როცა საზოგადოება ექსპერიმენტზე წასვლას გადაწყვეტს; ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება ან Aდაარწმუნეს, ან შეიძრა ვინმეს მიერ, – სწორედ ვინმეს მიერ."[1,254]

თუმცა საზოგადოების წევრთა უმეტესობა ინერტული და პასიურია და არ შესწევს უნარი, სათანადო პასუხი გასცეს ბედის საჩუქარს. საზოგადოებამ რომ შეძლოს, სათანადოდ უპასუხოს გამონვევას, აუცილებელია, რომ მასში არსებობდნენ ძლიერი პიროვნებები, ზეადამიანები. მხოლოდ მათ შესწევთ უნარი, პასუხი გასცენ გამონვევას და აიყოლიონ მასები. მაშ, ვინ არიან ეს ზეადამიანები? ტოინბი აღნიშნავს, რომ ისინი შესაძლოა იყვნენ როგორც ცალკეული პიროვნებები (იესო, მუჰამედი, ბუდა), ისევე სოციალური ჯგუფები (ინგლისელი ნონ-კონფორმისტები). ნებისმიერ შემთხვევაში საზოგადოება იხლიჩება ორ ურთიერთმოქმედ განატოტად – პოტენციალის მატარებელ უმცირესობად და ძირითად, ინერტულ მასად.

რანაირად გადაიქცევა შემოქმედებითი უმცირესობის უნარი, უპასუხოს გამონვევას, მთელი საზოგადოების პასუხად? ბერგსონის მტკიცებით, „საჭიროა ორმაგი ძალისხმევა. უპირველესად – ნოვატორობის გზაზე მიმართული ცალკეული პიროვნებების მხრიდან და, ამასთან ერთად, იმათი მხრიდან, ვინც მზადაა, მიიღოს ეს ნოვაცია და მიესადაგოს მას. მხოლოდ იმ საზოგადოებას შეიძლება ვუწოდოთ ცივილიზებული, რომლის წიაღშიც ეს შემხვედრი ერთმანეთს შეერწყა. არსებითად, მეორე პირობა უფრო რთულია, სრულდებოდეს. საზოგადოებაში შემოქმედებითი პიროვნების არსებობა აუცილებელი და საკმარისი ფაქტორია პროცესის ჩასახვისათვის... თუმცაღა, ნანატრი მოძრაობისათვის საჭიროა გარკვეული პირობებიც, რომელთა არსებობისას შემოქმედებითი პიროვნება შეძლებს ყველა დანარჩენის გაყოლიებას."[1,260]

როგორია ამ შემთხვევაში შემოქმედებითი უმცირესობისა და პასიური უმრავლესობის ურთიერთობის მექანიზმი? ტოინბიმ ამ მექანიზმს უწოდა „მიმესისი" – სოციალური მიბაძვა. მისი აღმოჩენა შესაძლებელია როგორც პრიმიტიულ საზოგადოებაში, ასევე განვითარებულ ცივილიზაციებში. თუმცა „მიმესისის" მოქმედება ამ ორ შემთხვევაში სრულიად საპირისპიროა: თუ პრიმიტიულ საზოგადოებებში „მიმესისი" გამოიხატება ზნე-ჩვეულებებითა და ბელადებისადმი მიბაძვით, საზოგადოების ცივილიზაციის გზაზე დადგომისას ის ძირითადად მიმართულია შემოქმედ უმცირესობაზე და, ამგვარად,

წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს საზოგადოების აქტიურ და პასიურ წევრებს შორის.

აქედან გამომდინარე, გამოწვევაზე სათანადო პასუხის გაცემისათვის აუცილებელია, რომ საზოგადოებაში არსებობდეს შემდეგი ფაქტორები:

1. საზოგადოებაში უნდა იყვნენ ადამიანები, ვისაც ძალუძთ გამოწვევის გაცნობიერება და მასზე პასუხის გაცემა;

2. უმრავლესობა მზად უნდა იყოს ამ პასუხის მისაღებად, ანუ, თუ უფრო მარტივად ვიტყვით – საზოგადოება უნდა „მომწიფდეს“ პასუხის გაცემისათვის.

გენეზისი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოინბი გამოყოფს ცივილიზაციის წარმოშობის ორ გზას: პრიმიტიული საზოგადოების სიტუაციით და ადრე არსებული ცივილიზაციების მმართველი უმრავლესობისაგან პროლეტარიატის გაუცხოებით. როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე შემთხვევაში ტოინბი გენეზისს ხსნის „გამოწვევა-პასუხის“ კონცეფციის მეშვეობით, უარყოფს რა იმავდროულად როგორც რასობრივ თეორიებს, რომლებიც აყალიბებენ სხვადასხვა რასების განსხვავებული „სახელმწიფოთწარმომქმნელი“ ძალის პოსტულატებს, ისე – ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს, რომლებიც თითქოსდა ცივილიზაციის წარმოშობის საწინდარია. შენიშნავს რა, რომ ბუნებრივმა პირობებმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ცივილიზაციის ხასიათზე, იგი იქვე გამოყოფს ხუთ ძირითად წარმატებულ გამოწვევა-სტიმულს, რომელთაც დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ცივილიზაციის წარმატებულ გენეზისზე:

ბუნებრივი გარემოს სტიმულები:

1) უნაყოფო მიწის სტიმული;

2) ახალი მიწის სტიმული;

გარემოცვის სტიმულები:

1) დარტყმის სტიმული (რეაქცია თავდასხმაზე);

2) ზეწოლის სტიმული („ფორპოსტი“);

3) ჩაგვრის სტიმული (სიღარიბე, მონობა, ეროვნული დისკრიმინაცია).

როგორც ზემოჩამოთვლილიდან ჩანს, სტიმულები შესაძლოა იყოს როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური. სწორედ მასტიმულირებელი ზემოქმედების გაჩენას ბუნების ან გარემომცველი ხალხების მხრიდან შეუძლია გამოიყვანოს პრიმიტიული საზოგადოება სტაციონალური მდგომარეობიდან და აიძულოს იგი, განვითარება დაიწყოს. ამტკიცებს რა საკუთარ მოსაზრებას, ტოინბი აანალიზებს სხვადასხვა ცივილიზაციებს და ყოველ შემთხვევაში პოულობს ასეთ სტიმულს.

ყველა სტიმულს შორის ჩვენ გვსურს, გამოვყოთ „ახალი მიწის“ სტიმული, უფრო ზუსტად კი – მისი ნაირსახეობა – ზღვისიქითა მიგრაციის სტიმული. ის არა მხოლოდ აღძრავს საზოგადოებას განვითარებისაკენ, არამედ –

აღძრავს პრინციპულად ახალ საფუძველზე: „სხვა დადებითი ეფექტი, რაც ზღვისიქითა მიგრაციით გამოცდისას წარმოიშვება, პოლიტიკის სფეროს მიეკუთვნება: ყალიბდება პოლიტიკური სისტემის პრინციპულად ახალი ტიპი – რესპუბლიკა, – რომელშიაც შემაკავშირებელი ელემენტი არა ნათესაობა, არამედ ხელშეკრულებაა“ [1,136].

რაც შეეხება ცივილიზაციის წარმოშობას „მშობლიური" ცივილიზაციის წიაღიდან, აქ ტოინბი იყენებს გამოწვევა-პასუხის კონცეფციას. მმართველ უმცირესობას, რომელიც უკვე აღარაა შემოქმედებითი უმცირესობა, აღარ შესწევს უნარი, პასუხი გასცეს გამოწვევას, რომელიც საზოგადოების წინაშე დგას და არღვევს მას. მაშინ პროლეტარიატის წიაღში იშვება ახალი შემოქმედებითი უმცირესობა, რომელსაც შეუძლია უპასუხოს გამოწვევას. თანდათანობით მასების „მემისისი“ მიემართება ახალ შემოქმედ უმცირესობას, რაც იწვევს ახალი ცივილიზაციის წარმოშობას. აქედან გამომდინარე, არსებული ტიპის ცივილიზაციის წარმოშობა გამოწვეულია ძველი უმცირესობის უუნარობით, წარმატებული პასუხი გასცეს გამოწვევას.

ზრდა

სანამ შევუდგებით ცივილიზაციის ზრდის ანალიზს, აუცილებელია გავარკვიოთ, თუ რას მიიჩნევს ტოინბი ზრდის კრიტერიუმად. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიული ექსპანსია არაა ცივილიზაციის განვითარების მაჩვენებელი. ტოინბის აზრით, ტერიტორიულ გაფართოებას თან სდევს სისხლისმღვრელი ომები და ეს არა ზრდის, არამედ რეგრესის მაჩვენებელია. სხვისი ტერიტორიების დაპყრობა მეტყველებს საზოგადოების უძლურებაზე, გაუმკლავდეს შიდა გამოწვევას. „საზოგადოება, რომელიც რღვევას განიცდის, ცდილობს გადასწიოს თავისი აღსასრულის დღე და მთელ თავის სასიცოცხლო ენერგიას წარმართავს გიგანტური გაქანების მატერიალურ პროექტებზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა ცდა, მოატყუოს აგონირებადი ცნობიერება, რომელიც საკუთარი არაკომპეტენტურობის წყალობით დასაღუპადაა განწირული.“[1,224]

ტოინბი ასევე არ იღებს ზრდის ნიშნად ბუნებაზე ძალაუფლების ზრდას. პროგრესი ტექნიკასა და ტექნოლოგიებში ხშირად გამოწვეულია არა საზოგადოების ზოგადი განვითარებით, არამედ სამხედროთა შეკვეთით, რაც ისევ და ისევ ბზარზე მიუთითებს. გარდა ამისა, ტექნიკურმა პროგრესმა შეიძლება გამოინვიოს მისი გაკერპება, როგორც ცივილიზაციის განვითარების ერთადერთი კრიტერიუმისა, და ადამიანის სულიერი სფეროს განვითარების უგულვებელყოფა. რა პროგრესზე შეიძლება ვილაპარაკოთ, თუკი მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები თავისივე მსგავსთა მოსასპობად გამოიყენება? „ადამიანის გავლენა სიკეთისა და ბოროტების ძალებზე გაიზარდა ენერგიის ახალი წყაროების წარმოუდგენელი ათვისებით; მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ადამიანისათვის არც სიბრძნე და არც სათნოებები არ მოუმატებია, არ

დაურწმუნებია ის, რომ ადამიანთა სამეუფოში გულმოწყალეობა უფრო ფასეულია ვიდრე საათის მექანიზმი."[1,227]

პროგრესის არსი ტოინბის მიხედვით მდგომარეობს პროგრესირებადი პატიების კანონში – ეთერიფიკაციაში. მისი დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ პროგრესირებადი სისტემა უნდა გადადიოდეს „სულ უფრო და უფრო ელემენტარულ, ნატიფ ენერგიებზე, რომლებიც მხოლოდ აბსტრაქტული კატეგორიების დახმარებით აღიქმება." ეთერიფიკაციის კანონი არაერთგვაროვნად გამოვლინდება. აქ, როგორც ნაწილი, ხვდება ტექნიკის და ხელოვნების განვითარებაც. თუმცა ტოინბისათვის, როგორც მორწმუნე ადამიანისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია რელიგიური ეთერიფიკაცია: „რელიგიის თანდათანობითი აღმასვლა ღმერთებთან სულ უფრო ცხადად გამოკვეთილი პიროვნებით და ერთმანეთს შორის უფრო მკაფიოდ განსაზღვრული ურთიერთობებით საბოლოო ჯამში ნიშნავს აბსორბციას რაღაც ერთიანი ღმრთაებრივი პიროვნების ცნებაში: და ეს, თავის მხრივ, იწვევს ღვთის შესახებ გარეგანი წარმოდგენის შინაგანით შეცვლას, სტატიკიდან დინამიკაზე გადასვლას."[1,138] ეთერიფიკაციას გარდუვალად მივყავართ „არსებობისის გადატანასთან" – გადასვლასთან მაკროკოსმოსიდან მიკროკოსმოსში. წინააღმდეგობა „ადამიანი-ბუნება" თანდათან გადაიქცევა წინააღმდეგობად „ადამიანი-ადამიანი", გარე გამოწვევა გარდაიქმნება შინაგანად. თუ ცივილიზაციის განვითარების დასაწყისში ადამიანს ძირითადად ბუნების გამოწვევებზე პასუხის გაცემა უწევს, განვითარების კვალდაკვალ ძირითადი ხდება სოციალური წინააღმდეგობები, ბრძოლა კლასთა შორის, რელიგიური და ეროვნული საკითხები. ადამიანურ დონეზე ზრდა ნიშნავს ფიზიკურ მოთხოვნილებებზე სულ უფრო მცირე დამოკიდებულებას და ზნეობრივი პრობლემების სულ უფრო პროგრესირებად გავლენას. „ზრდა ნიშნავს, რომ მზარდი პიროვნება ან ცივილიზაცია ისწრაფვის თავისი საკუთარი მოქმედების ველის შექმნისაკენ. სხვა სიტყვებით – ზრდის კრიტერიუმი არის პროგრესული მოძრაობა თვითგამორკვევის მიმართულებით."[1,250]

მაგრამ როგორ მიმდინარეობს ცივილიზაციის გზა პროგრესის მიმართულებით? მიიჩნევს რა მიკროკოსმოსს პირველად ფაქტორად, ტოინბი ამბობს, რომ ცივილიზაციის ზრდა განპირობებულია ცვლილებებით ინდივიდუმის შინაგან სამყაროში. მაგრამ ეს ცვლილებები არ მოხდება ნებისმიერი ადამიანის სულში, არამედ მხოლოდ შემოქმედებითი უმცირესობის სულში. ამ შემთხვევაში პასუხი გამოწვევაზე არის პიროვნების გადასვლა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. თუმცა, საზოგადოების უმეტესი ნაწილი რჩება იქ, სადაც იყო. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში წარმოიშობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა: „უმცირესობა-უმრავლესობა". უმრავლესობას შეუძლია მიუახლოვდეს უმცირესობას „მიმესისის" მექანიზმის მეშვეობით. თუმცა, აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ეს მოხდება. ამის გამო წარმოიქმნება ერთი სოციალური ჯგუფის მეორისაგან მოწყვეტის საშიშროება. ცივილიზაციის ზრდასთან ერთად ეს უფსკრული სულ უფრო და უფრო იზრდება, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა მიგვიყვანოს

ცივილიზაციის ბზარამდე: გამოწვევამდე, რომელზეც უმცირესობას შესაბამისი პასუხის გაცემის უნარი აღარ შესწევს.

ზრდის შედეგად ყოველი ცივილიზაცია გადის განვითარების მისეულ უნიკალურ გზას. ამასთან, ყოველი ცივილიზაციის მიერ დაგროვილი გამოცდილებაც ასევე უნიკალურია. ამით ტოინბი ხსნის ცივილიზაციათა სხვაობას. რაც უფრო განვითარებულია მოცემული ცივილიზაცია, მით უფრო განუმეორებელი და უნიკალურია მის მიერ გავლილი ცხოვრებისეული გზა, და მით უფრო არ ჰგავს იგი სხვებს. აქედან გამომდინარე, ცივილიზაციის ზრდასთან ერთად ნარმოიშვება მათი დიფერენციაცია, რაც აისახება ინდივიდუმების მსოფლმხედველობაზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე. შპენგლერისაგან განსხვავებით, რომელიც ცივილიზაციათა სხვაობას (ოღონდ შპენგლერი ცივილიზაციის ნაცვლად იყენებს ტერმინს „კულტურა") ხსნის პრაფენომენების, ანუ ყოველი ცივილიზაციის საფუძველში მდებარე პირველადი სიმბოლოების განსხვავებით (რაც გამონვეულია ყოველი ცივილიზაციის განუმეორებელი ცხოვრებისეული გზით), – ტოინბი შენიშნავს, რომ „ადამიანურ ბუნებაში, ადამიანთა ცხოვრებაში და სოციალურ ინსტიტუტებში წარმოდგენილი მრავალფეროვნება ხელოვნური ფენომენია და ის მხოლოდ ნიღბავს შინაგან ერთობას" [1,293].

ბზარი

ოსვალდ შპენგლერის ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატის მიხედვით, საზოგადოებები არსებითად ცოცხალი ორგანიზმებია. და რადგან ასეა, ყოველი საზოგადოება გადის სტადიებს, რაც აუცილებელია ნებისმიერი ორგანიზმისთვის: დაბადება, ზრდა, დაჭკნობა და სიკვდილი. თუმცა, როგორც ვაჩვენეთ, ტოინბი უარყოფს ამ თვალსაზრისს, განიხილავს რა საზოგადოებას მხოლოდ როგორც ინდივიდუმების მოქმედების ასპარეზს.

მაშ სად უნდა ვეძებოთ ცივილიზაციის ბზარების მიზეზი? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცივილიზაციის ზრდის პროცესი მუდმივი ბრძოლაა. ერთის მხრივ, ეს არის ურთიერთკავშირი გამოწვევასა და შემოქმედებით უმცირესობას შორის; მეორეს მხრივ, ესაა წინააღმდეგობა უმცირესობასა და ინერტულ მასას შორის. ბზარი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით ნარმოიქმნას. შესაძლოა მორიგ გამოწვევაზე აქტიურმა ნაწილმა ადექვატური პასუხი ვერ გასცეს. სხვა მიზეზი შესაძლოა „მიმესისის" ბუნებაში იმალებოდეს. „მიმესისი", მიმართული მომავლისაკენ, ნიშნავს ჩვეულებებზე უარის თქმას. ამგვარად, სისტემა ხდება ნაკლებად დაბალანსებული და კატაკლიზმებისაკენ მიდრეკილი. ტოინბის მოჰყავს ბზარის ბევრი მაგალითი, რომელთაგან შეიძლება რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა:

1) უმრავლესობის მიერ „მიმესისზე" უარის თქმა. კატაკლიზმების დროს უმრავლესობამ შესაძლოა დაკარგოს იდეალების რწმენა და, არა აქვს რა შემაკავებელი ტრადიციები, აღმოჩნდება „ჰაერში გამოკიდებულ" მდგომარეობაში, რასაც გარდუვალად მივყავართ ქაოსამდე;

2) უმცირესობის შეცდომა, რაც გამოიხატება პასიურობით რიგი გამარჯვების შემდეგ. საზოგადოება, სადაც ასეთი უმცირესობაა, არსებობს

პირველ კატაკლიზმამდე, რომელსაც სისტემა „მძინარე" ნონასწორობიდან გამოჰყავს;

3) მმართველი უმცირესობის იზოლაცია საზოგადოებიდან და, როგორც ამის შედეგი – გადაგვარება;

4) კერპთაყვანისმცემლობა – „ინტელექტუალურად და მორალურად საზიანო, ბრმა გაღმერთება: ნაწილისა – მთელის ნაცვლად, ქმნილებისა – შემოქმედის ნაცვლად და დროისა – მარადისობის ნაცვლად."[1,310] ამ კატეგორიაში ბზარების ძალიან ფართო სპექტრი ხვდება, მათ შორის – თანამედროვე დასავლური ტექნოგენური ცივილიზაცია, ანდა – სპარტანული ცივილიზაცია, რომელმაც საკუთარი თავი ომის სამსხვერპლოზე მიიტანა.

როგორც ვხედავთ, საშიშროებათა სპექტრი, რაც ცივილიზაციას მისი განვითარების გზაზე უსაფრდება, ძალზე ფართო და მასშტაბურია. თუმცა, ბზარის გაჩენა და აღსასრული გარდაუვალი არაა. ჩიხიდან გამოსვლის გზა ყოველთვის არსებობს.

დაშლა

დაშლის სტადია ტოინბის მიხედვით წარმოადგენს ნარუმატებელი პასუხების სერიას ერთსა და იმავე გამოწვევაზე, რომელმაც ცივილიზაციის ბზარი გამოინვია. სოციალურ პლანში დაშლის სტადიაზე ხდება საზოგადოების გახლეჩა სამ შემადგენელ ნაწილად:

1. მმართველი უმცირესობა, რომელიც აღარ წარმოადგენს საზოგადოების შემოქმედებით ძალას, მაგრამ მეტი დაჟინებით ებღაუჭება ხელისუფლებას. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ის ქმნის უნივერსალურ სახელმწიფოს;

2. შიდა პროლეტარიატი, რომელიც აღარ ენდობა მმართველ უმცირესობას. მისი საპასუხო რეაქცია მსოფლიო ეკლესიის შექმნაა;

3. გარე პროლეტარიატი, რომელიც თავს იჩენს დასუსტებულ ცივილიზაციაზე ბარბაროსული თავდასხმებისას.

სულიერ სფეროში საზოგადოების დაშლა იწვევს დაშლას სულში. „სულში დაშლა სრულიად სხვადასხვაგვარ ფორმებში გამოვლინდება. ის შეეხება ქცევას, გრძნობებს. საზოგადოების დაშლის პერიოდში ყოველი გამოწვევა ადამიანთა სულებში სრულიად საპირისპირო გამოძახილებს ჰპოვებს – აბსოლუტური პასიურობიდან აქტიურობის უკიდურეს ფორმებამდე... სოციალური დაშლის გამძაფრების კვალობაზე ალტერნატიული გადაწყვეტილებები ხდება სულ უფრო გახევებული პოლარული და უფრო მნიშვნელოვანი თავისი შედეგების მიხედვით."[1,358]

საზოგადოების დაშლას თან ახლავს მმართველი ზედაფენის სრული გახრწნა და პროლეტარიატიდან გამოსული ახალი შემოქმედებითი უმცირესობის გაჩენა. სწორედ მას ძალუძს ახალი ცივილიზაციის წარმოქმნა. ერთადერთი დადებითი გამოსავალი არის „ფერისცვალება", ესე იგი პროლეტარიატის მიერ ახალი რელიგიის შექმნა, რომელიც ფასეულობათა პრინციპულად სხვა სისტემას ეყრდნობა, ვიდრე ხრწნადი ცივილიზაცია. შიდა პროლეტარიატი,

რომელიც აღარ ენდობა მმართველ უმცირესობას. პროლეტარიატის მიერ შექმნილი მსოფლიო ეკლესია ის „თოჯინაა“, რომლისგანაც მომავალში ახალი ცივილიზაცია წარმოიშობა.

თანამედროვე სიტუაცია

როგორ ეჩვენება თანამედროვე სიტუაცია ინგლისელ ისტორიკოსს? მიღწევებმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში თანამედროვე დასავლური საზოგადოება ვერ გახადა უფრო მდგრადი. ალბათ არ შევცდებით, თუ აღვნიშნავთ, რომ ის კერპთაყვანისმცემლობის ხაფანგში მოხვდა, სადაც კერპის ადგილი ე. წ. „დასავლურ დემოკრატიას“ უკავია. „XX საუკუნის სეკულარიზებულ დასავლურ სამყაროში სულიერი ჩამორჩენის სიმპტომები აშკარაა. ლევიათანისადმი თაყვანისცემის აღორძინება რელიგიად იქცა და ყოველმა მცხოვრებმა თავისი წვლილი შეიტანა ამ პროცესში. ელინისტური სამყაროს ტომობრივი რელიგიის თანამედროვე დასავლური რენესანსი პირწმინდად კერპთაყვანისმცემლობას წარმოადგენს.“[1,530] ეკლესიის სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებით საზოგადოება, არსებითად, ნეონარმართული გახდა. როგორც რელიგიური პიროვნება, ტოინბი ხსნას ეძებს მსოფლიო ეკლესიაში, რელიგიაში, როგორც დედამიწის ყველა მცხოვრების შერიგების საშუალებაში. „უმაღლესი რელიგიით გაცისკროვნებულ სულს უფრო მეტის მიღწევა შეუძლია მიწიერი ცხოვრების კეთილმოწყობისას, ვიდრე წარმართულ სულს. უმაღლესი რელიგიების შუქით სულთა გაცისკროვნება განაპირობებს ადამიანის სულიერ პროგრესს.“[1,540]

დასკვნა

ამ მოკლე წერილში ჩვენ ვცადეთ, გადმოგვეცა არნოლდ ტოინბის ძირითადი დებულებები ცივილიზაციათა ციკლურობის შესახებ. ეს თეორია არის ციკლური იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ განიხილავს ისტორიას როგორც ყველა ხალხის ერთიან თანმიმდევრულ მოძრაობას საერთო მიზნისაკენ. ამავდროულად, ის არ განმარტავს ისტორიას, როგორც სხვადასხვა კულტურებისა და ცივილიზაციების უმიზნო წრებრუნვას. წინააღმდეგ შპენგლერის კულტურების ცხოვრებისეული ციკლისა, ტოინბისეული ცივილიზაციების ციკლი არ წარმოადგენს ასეთს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ცივილიზაციის ცხოვრება უფრო უწყვეტი, თანმიმდევრული მოძრაობაა სულიერი განვითარების გზაზე, რომელზედაც მუდმივად ჩნდება ხაფანგები, რომელთაც შეუძლიათ გაბზარონ ცივილიზაცია და დაანგრიონ კიდეც იგი. ამ გზაზე მოძრაობა რთულია, თუმცაღა ყოველთვის არის ყველაფრის გვერდის ავლის შესაძლებლობა და ამ შანსის გამოყენება მოცემული საზოგადოების შემადგენელი ინდივიდუმების ამოცანაა. სწორედ ადამიანია პასუხისმგებელი თავისი საზოგადოების ზრდაზე. „სანამ არის სიცოცხლე, არის იმედი... რომ ღვთის შეწევნით, თუნდაც ნაწილობრივ, თუნდაც რაიმეში, ადამიანი თავისი ბედის პატრონია.“[2,40]

ლიტერატურა:

1. Арнольд Тойнби. «Постижение истории». М. «Прогресс», 1990.
2. Арнольд Тойнби. «Цивилизация перед судом истории». С-Пб. «Ювента», «Прогресс», «Культура».
3. Френсис Фукуяма. «Конец истории»// США: экономика, политика, идеология. 1990, № 5.
4. Освальд Шпенглер. «Закат Европы: очерки морфологии мировой истории. Т. 1. Образ и действительность». Минск, «Попурри», 1998.

GIORGI KUCHAVA

THE CONCEPT CYCLING OF CIVILIZATIONS IN "HISTORIES OF PHILOSOPHY" ARNOLD TOINBI

In the beginning of the XXI-century, the humanity faced the acute question: where is mankind going and what's the prospect of the development of civilization.

Taking into account the development of modern technologies there is the process of "Westernization" of many countries.

They're economical and political development enables the venous analysts to make the following deduction: The mankind by the ulcerated rates comes to its end.

Many scientist consider, that the development of makind, as unite varies with cycling development, separately taken from the local civilizations.

The Famous English Historian Arnold Toinbi shares the samoe opinion.

In the sectional article his theory of cicling of civilizations is in detail analyses.

ГЕОРГИЙ КУЧАВА

КОНЦЕПЦИЯ ЦИКЛИЧНОСТИ ЦИВИЛИЗАЦИИ В «ИСТОРИИ ФИЛОСОФИИ» АРНОЛЬДА ТОИНБИ

В начале XXI века перед человечеством встал острый вопрос: куда движется человечество и какова перспектива развития цивилизаций. Учитывая развитие современных технологий идёт процесс «вестернизации» многих стран. Их экономика и политическое развитие даёт возможность различным аналитикам сделать следующий вывод: человечество ускоренными темпами приближается к своему концу. Многие учённые считают, что развитие человечества, как единого целого, меняется с цикличным развитием отдельно взятых, локальных цивилизаций. Этой точки зрения придерживается знаменитый английский историк XX века Арнольд Тоинби.

В данной статье подробно проанализирована его теория цикличности цивилизаций.

გონელი არახამია

სასისხლო სიგელთა შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები

ქართულ დიპლომატიკაში სასისხლო სიგლის სახელწოდებით ცნობილია მეფის მიერ ცალკეული პიროვნებისადმი ბოძებული იურიდიული აქტი, სადაც განსაზღვრულია საბუთის მიმღების მიმართ ჩადენილი ამა თუ იმ დანაშაულის მატერიალური საზღაური ანუ სისხლის ფასი (ვერგელდი). დღეისათვის მოღწეულია ორმოცდაორი ასეთი სიგელი. მათ შორის ყველაზე ძველი XIII საუკუნით, ყველაზე გვიანდელი – XVII საუკუნით თარიღდება.

სხვადასხვა დროს სასისხლო სიგელთა ჯგუფში მოაქციეს რამდენიმე ისეთი დოკუმენტი, რომლებიც თავიანთი მიზანდასახულობითა და ფუნქციით დოკუმენტური წყაროების სულ სხვა სახეობას მიეკუთვნება. ე.წ. მიქელაძეთა სიგელი, რომელიც მისმა გამომცემელმა ე. თაყაიშვილმა განსაზღვრა როგორც „სიგელი სისხლის ზღვევისა მიქელაძისადმი" (19: 33-34), ს. კაკაბაძემ (13: 57) და ჯ. ოდიშელმა (19: 210) სასისხლო სიგელად მიიჩნიეს. დოკუმენტი, რომელსაც მისმა პირველმა პუბლიკატორმა ე. თაყაიშვილმა „სიგელი დავით მეფისა" უწოდა (21: 34-35), ს. კაკაბაძემ (13: 57) და ივ. ჯავახიშვილმა (31: 503-504) სასისხლო სიგელთა ჯგუფში მიუჩინეს ადგილი. მათი შინაარსი კი ამგვარი სახეობრივი დეფინიციის საფუძველს არ იძლევა. საქმე ისაა, რომ ორივე საბუთი მეფის სასამართლოს მიერ სასისხლო საქმის გარჩევის, მიღებული გადაწყვეტილებისა და მისი შესრულების შესახებ მოგვითხრობს, რაც აღნიშნულ საბუთებს დოკუმენტური წყაროების სრულიად დამოუკიდებელ, სასისხლო საბუთებისაგან განსხვავებულ სახეობას, სახელდობრ, სასისხლო საქმის გარდაწყვედილობის სიგელთა ჯგუფს მიაკუთვნებს (3: 41-47). სასისხლო სიგელთა რიგებში მოათავსეს ს. კაკაბაძემ (10: 9-11; 13|: 44-45) და ივ. ჯავახიშვილმა (31: 504) ე.წ. კოტრიძეთა სიგელი. ეს საბუთი საურმაგ კაკაბაძემ, სავსებით მართებულად, განსაზღვრა როგორც „სასამართლო გადაწყვეტილება" (33: 193) ან „იმერეთის მეფის ვახტანგ გორგასლის გადაწყვეტილება კოტრიძის სასისხლო საქმეზე" (34: 139). სასისხლო სიგელთა ჯგუფიდან უნდა გამოირიცხოს, აგრეთვე, ე.წ. ფალავანდიშვილების (13: 23-25) და ჯაფარიძეების (24: 112) საბუთები, რომელთაგან პირველი, მ. სურგულაძის აზრით, სასისხლო განაჩენია (25: 162), მეორე კი, ვ. სილოგავას კვალიფიკაციით, სასამართლო გადაწყვეტილება (24: 112). ქვემოთ სასისხლო სიგელთა შორის აღნიშნულ საბუთებს არ განვიხილავთ.

სასისხლო სიგელთა ხელნაწერები და გამოცემები.

სასისხლო სიგელთა თავმოყრა მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებში XIX ს. 80-იანი წლებიდან დაიწყო: 1879 წლიდან – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, 1888 წლიდან – საეკლესიო მუზეუმის, 1907 წლიდან – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდებში, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან – შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებში. დღეისათვის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება თვრამეტი სასისხლო სიგელი. ესენია: ყიფიანის (Sd 731), ცირღილაძის (Ad 9019/9022), იაკობიძის (Sd 723), თულაძის (Sd 796), ელიოზიძე-სეფიშვილის (Sd 2887), ვაჩნაძის (Ad 7588), გამყრელიძის (Hd 10149), ჟურულის (Qd 7118), ორალელიძე-კვიტაშვილის (Qd 9021), ხელხელიძე-სარმანიშვილის (Qd 6935), მაღლაქუელისძის (Qd 7877), თაელისძის (Hd 1537), გედეონ მაღალაძის (Ad 1588), აფაქიძის (Ad 1767), შერგილაძის (Qd 1317), გირგილაძის (Qd 6937), ავჟანდაძის (Sd 521) და გორგაძის (Ad 932) სასისხლო სიგელი.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია გურალიძის (ცსსა 1448-5039), არეშიძის (ცსსა1448-8914), მაღნარაძის (ცსსა 1448-5040), ტყავაძის (ცსსა 1448-5007), გუგუნბერიძის (ცსსა 1448-5035), კალანდაძის (ცსსა 1448-5036) და გუფავას (ცსსა 1448-5151) სასისხლო სიგელი.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება ნიქაბაძის (ქმ 1604), მიქაბაძის (ქმ 1605), გუგუნავას (ქმ 1607), კაპანაძის (ქმ 607), თოფურიძის (ქმ 1608), ქეროხიძის (ქმ 1026), მაჭავარიანის (ქმ 875), თოდოძის (ქმ 591) და გაბელიძის (ქმ 1633) სასისხლო საბუთები.

ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცულია თოდოძის სიგლის პირი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბუგის განყოფილებაში დაცულია გურალიძისა და გუგუნავას სასისხლო სიგელთა პირები (H 91 ფ. 1b-2a; H 91 ფ. 4b-5a), რომლებიც 1868 წ. გადააღებინა ა. ბერჟემ და გაუგზავნა მ. ბროსეს სანქტ-პეტერბურგში.

დღეისათვის დაკარგულად ითვლება რვა სასისხლო სიგლის ხელნაწერი, თუმცა მათი ტექსტები გამოქვეყნებულია. ესენია: ასათიანის, გელოვანის, გერგეტის საყდრისშვილების, ერისთავ ქვენიფნეველის, ბაქრაძის, ფონჯავიძის და პაპუა მაღალაძის (1675წ.) სასისხლო სიგლები. დაკარგული ხელნაწერების მაგივრობა, ბუნებრივია, გამოცემებს ეკისრება (იხ. ქვემოთ).

სასისხლო სიგელის გამოცემას მ. ბროსემ დაუდო სათავე, მაგრამ ეს იყო თარგმანების და არა ორიგინალების პუბლიკაცია. სასისხლო სიგელი დედნის ენაზე პირველად 1869 წ. გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში" (№№V-VI). ეს იყო ფონჯავიძის სიგელი. 1886 წ. „ივერიაში" (№124) დაიბეჭდა ჟურულის სიგელი. ამავე საბუთის პალეოგრაფიული პირი გამოქვეყნდა 1887 წ. რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების V ყრილობის შრომებში. 1891 წ. ე. თაყაიშვილმა „ივერიაში" (№213) გამოაქვეყნა თოფურიძის სიგელი.

აღნიშნული საბუთების პუბლიკაციამ გეგმაზომიერი და ინტენსიური ხასიათი შეიძინა XIX ს. მიწურულიდან. თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა და ს. კაკაბაძემ 1897-1924 წლებში გამოაქვეყნეს სასისხლო სიგელთა დიდი უმრავლესობა.

თ. ჟორდანიამ თავის ცნობილ „ქრონიკებში" დაბეჭდა თოფურიძის, ჟურულის, ქვენიფნეველ ერისთავის, ავშანდაძის, შერგილაძის და გორგაძის სასისხლო სიგელი (28: 233-235, 278-280, 265-266, 397-398).

ე. თაყაიშვილმა სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა იაკობიძის, თულაძის, გამყრელიძის, თოფურიძის, ქეროხიძის, ბაქრაძის (22: 371-374, 13-14, 17-18, 35-37, 516-517, 22-23), ჟურულის (21: 3-7), ცირღილაძის და ორალელისძე-კვიტაშვილის (23: 434-438) სასისხლო სიგელი.

ს. კაკაბაძემ 1912-1924 წლებში გამოაქვეყნა ცხრამეტი სასისხლო სიგელი, მათ შორის თოთხმეტი – პირველად. ესენია: ნიქაბაძის, მიქაბაძის (13: 2-7), გირგალიძის (12: 1-3), გურალიძის (10: 11-13; 13: 60-62), გუგუნავას (9: 18-19; 11: 299-300), კაპანაძის, ვაჩნაძის, ელიოზიძე-სეფიშვილის, მაღნარაძის, თოდოძის, გაბელიძის, კალანდაძის, ტყავაძის და გუფავას (13: 9-10, 40-44, 16-191, 45-47, 34-39, 254-255) სასისხლო სიგელი. ს. კაკაბაძემ რამდენიმე, უკვე გამოქვეყნებული სასისხლო სიგელი ხელმეორედ დაბეჭდა. ესენია: ციღრილაძის (11: 4-6), იაკობიძის (15: 2-3), თულაძის (8: 3-5), ფონჯავიძის (13: 66-67) და თოფურიძის (12: 73-75) სასისხლო საბუთები.

ი. ცინცაძემ 1927 წელს გამოაქვეყნა გუგუნბერიძეთა სასისხლო სიგელი (20: 16-19). 1955 წ. ე. ფუთურიძემ დაბეჭდა გედეონ მაღალაძის სასისხლო სიგელის ქართულ-სპარსული ორენოვანი ტექსტი (27: 45-47). საბუთის ქართული ტექსტი მეორედ გამოაქვეყნა ი. დოლიძემ (25: 205-206).

სასისხლო სიგელთა ერთი ნაწილი, როგორც ითქვა, ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა მ. ბროსემ. ესენია: ავშანდაძის, თულაძის, აფაქიძის, ჟურულის (36: XC, XCI-XCIII, XCIV, XCV-XVX) და ერისთავ ქვენიფნეველის (35: 84) სასისხლო სიგელი. 1887 წ. გამოქვეყნდა ჟურულის საბუთის რუსული თარგმანი (იხ. Кавказское обозрение, 1887, №4). გუგუნავას და გურალიძის სასისხლო სიგელთა რუსული თარგმანი გამოაქვეყნა საურმაგ კაკაბაძემ (34: 117-120, 143-145).

გამოუქვეყნებელი რჩება ხელხელიძე-სარმანიშვილის, მაღლაქუელიძის, აფაქიძის, თაელისძის და მაჭავარიანის სასისხლო სიგელი.

სასისხლო სიგელთა ნამდვილობა-ნატყუარობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ნამდვილია თუ ნატყუარი – ეს კითხვა სასისხლო სიგელს იმთავითვე, სამეცნიერო მიმოქცევაში გამოჩენის დროიდანვე დაჰყვა და დღემდე აქტუალური რჩება. მ. ბროსემ, მის მიერვე პირველად გამოქვეყნებული (ფრანგულ ენაზე) ხუთი სასისხლო სიგელიდან ორის (თულასძის და ავშანდაძის) ნამდვილობა საეჭვოდ ჩათვალა (36:. XC, XCIII). ნაყალბევად მიიჩნია თ. ჟორდა-

ნიამ თოფურიძის სიგელი (28: 232) და, ბროსეს კვალდაკვალ, ავშანდაძის (28: 264) საბუთი.

ივ. ჯავახიშვილმა თავის სპეციალურ მონოგრაფიაში („ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, რომელზე მუშაობაც 1922 წელს დაამთავრა და 1926 წ. გამოაქვეყნა) ვრცლად და დაწვრილებით განიხილა 1922 წლამდე გამოცემული ყველა სასისხლო სიგელის სტრუქტურული კომპონენტები: სიგელის თავი, თხრობა, განგებულება, ბრძანებულება, სათვალავი და ხელრთულობა, მათი აგებულება და შინაარსი, შეადარა ისინი ნამდვილი საბუთების შესაბამის ნაწილებს და დაასკვნა, რომ სასისხლო სიგელთა არც ერთი აღნიშნული კომპონენტი აგებულებით და შინაარსით არ პასუხობს საქართველოში გაბატონებულ, ხანგრძლივი ტრადიციით მტკიცედ ჩამოყალიბებულ სიგელთდაწერილობის წესებს, რომელთა სრული დაცვით არის შედგენილი XI-XVII სს. ნამდვილი, სახელდობრ, მეფეთა საბუთები. აღნიშნული დიპლომატიკური შეუსაბამობების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა უკლებლივ ყველა სასისხლო სიგელი ნატყუარად მიიჩნია (ვრცლად იხ. 31: 502-523), მათთან ერთად ისინიც, რომლებიც 1922 წლის შემდგომ, კერძოდ, 1924 წ. გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ (31: 506). ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოვლენილ ნატყუარობის მაჩვენებელ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ი. ცინცაძემ ნაყალბევად მიიჩნია კიდევ ერთი, ახალგამოვლენილი სასისხლო სიგელი, რომელიც გუგუნბერიძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა (18: 16-18).

იმთავითვე სრულიად საპირისპირო პოზიციას იკავებს ს. კაკაბაძე, რომელიც ჯერ 1912 წლიდან, ივ. ჯავახიშვილის დასახელებული გამოკვლევის გამოქვეყნებამდე შეუდგა სასისხლო სიგელთა ტექსტების პუბლიკაციას და კომენტირებას. ივ. ჯავახიშვილის მიერ თავისი თვალსაზრისის საჯაროდ გამოტანამდე (1923 წლის ნოემბერში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე) ს. კაკაბაძისათვის სასისხლო სიგელთა დიპლომატიკური გამართულობის საკითხი არც დასმულა. თუ აქამდე მ. ბროსეს და თ. ჟორდანიას ეჭვებს ზოგიერთი სიგელის ნამდვილობის მიმართ ს. კაკაბაძე ამ მკვლევართა ხელთ არსებული ასლების ნაკლოვანებებით ხსნიდა და არა ნაყალბეობით, ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილის მიერ დეტალურად აღნუსხული დიპლომატიკური გაუმართაობების ნაწილს ს. კაკაბაძე საბუთების გადამწერთა შეცდომების ნაყოფად მიიჩნევდა, ნაწილს – საერთოდ არ თვლიდა დიპლომატიკური წესების დარღვევად (13: 1-2, 49-57, 70-107; 11: 97). ასე რომ, ს. კაკაბაძემ ყველა სასისხლო სიგელი, ორიოდე დაუკონკრეტებელი გამონაკლისის გარდა, ნამდვილ საბუთებად აღიარა (იხ. 8-15).

პრობლემის შემდგომი კვლევა ამ ორ ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებათა მიჯნაზე, შუალედურ კალაპოტში წარიმართა. თანდათანობით იცვლება სასისხლო სიგელის მიმართ როგორც ჰიპერკრიტიკული, ისე უკრიტიკო დამოკიდებულება. ამა თუ იმ ცალკეული სასისხლო სიგელის ნამდვილობა-ნატყუარობის დადგენის პროცესი ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოვლენილი დიპლომატიკური „ცდომილებების" საფუძველზე წაყენებულ „ბრალდებათა"

შემოწმების გზით წარიმართა. ამის შედეგად ზოგიერთ სასისხლო სიგელს „ბრალდებები" საერთოდ მოეხსნა. ამავე დროს, ზოგი მათგანის ნატყუარობის ახალი ნიშნებიც გამოვლინდა.

სასისხლო სიგელთა ნატყუარობის შესახებ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს მაშინვე გამოეხმაურა ს. კაკაბაძე. მან საგანგებოდ განიხილა ზოგიერთი არგუმენტი, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ საბუთების ნაყალბეობას თვალსაჩინოს ხდიდა. ერთ-ერთ ასეთ არგუმენტად მას მიაჩნდა სასისხლო სიგელში ისეთი ფულის ერთეულების დასახელება, რომელთაგან ზოგი (ცხუმური, კირმანეული, ბოტინატი და ყაზანური) სასისხლო სიგელთა შექმნის დროს უკვე აღარ იყო მიმოქცევაში. ამავე რიგის მოწმობად მიაჩნდა მკვლევარს სისხლის ფასების უპრეცენდენტოდ დიდი ოდენობა (31: 516-517). ს. კაკაბაძემ ივ. ჯავახიშვილთან პოლემიკაში ამ საკითხს შედარებით ვრცელი ადგილი დაუთმო. მისი ვარაუდით, ფულის ერთეულის, ცხუმური თეთრის წარმოშობა ქალაქ ცხუმთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (13: 72; 11: 8). მკვლევრის ეს ვარაუდი მოგვიანებით სავსებით დადასტურდა: XIV-XV სს-ის იტალიურ წყაროებში „ცოცხალ" ფულის ერთეულად დასახელებულია „სებასტოპოლისის ასპრი" – ცხუმური თეთრის ზუსტი შესატყვისი, რაც ამ უკანასკნელის რეალობას დოკუმენტურად ცხადყოფს (32: 111-115). ს. კაკაბაძემ ნუმიზმატიკური ფაქტების მოხმობით თვალნათლივ აჩვენა, რომ კირმანეული თეთრი რეალური ფულის ერთეული იყო XIII ს-ის 30-იანი წლებიდან XV ს-ის შუა ხანებამდე და დროის ამ მონაკვეთში მისი თანხვედრა სასისხლო სიგლებთან სრულიად აშკარაა (13: 71-73; 14: 8). ს. კაკაბაძემ სცადა „გოგაური თეთრის" რაობის დადგენაც. ეს უკანასკნელი მან ერთ ნასყიდობის საბუთში (1508 წ.) დასახელებულ ფულის ერთეულს „გიორგაულ თანგას" გაუიგივა და ცალსახად გამორიცხა XIV ს-ის ბოლოს შედგენილი სამართლის წიგნის შესავალში აღბეჭდილ ათაბაგის მიერ მოხსენიებულ „მეფის გიორგის ჟამის თეთრთან" მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობა (13: 91). საკითხის შემდგომმა კვლევამ ნუმიზმატი ც. ღვაბერიძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „გოგაური თეთრი" სწორედ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნიდან მოხვდა სასისხლო სიგელში და აღბუღა ათაბაგისეული „მეფის გიორგის ჟამის" ანუ გიორგი V ბრწყინვალის (1318-1346) დროს ილხანთა მიერ მოჭრილ ვერცხლის ფულს გულისხმობს (29: 118). ს. კაკაბაძის და ც. ღვაბერიძის აზრით, „ყაზანური თეთრიც" სასისხლო საბუთებში ბექა-აღბუღას სამართლის წიგნიდან არის გადმოღებული (13: 92; 29: 119), ხოლო XV ს-ის მეორე ნახევრისა და XVI ს. სასისხლო სიგელში ფულის ამ ერთეულის დასახელების ანაქრონისტულობა ჯ. ოდიშელმა სასისხლო სიგელის შედგენის საქმეში დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული ტრადიციით ახსნა (19: 128), მ. სურგულაძის აზრით, ფულის ერთეულს სასისხლო სიგელში სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა (25: 163-165).

შემდგომი ხანის ნუმიზმატიკურმა კვლევა-ძიებამ კირმანეულის ემისიისა და მიმოქცევის რეალურობა სწორედ აღნიშნულ პერიოდში (დაზუსტდა მიმოქცევაში ყოფნის ზედა ზღვარი – 1550-იანი წლების ბოლო)

საბოლოოდ დაამტკიცა (იხ. 1: 33-44). ამ ფაქტის სხვაგვარი ახსნის შესაძლებლობაზეც ითქვა: აღნიშნულ საბუთებში დასახელებული სხვადასხვა სახელწოდების ფულს საანგარიშო ერთეულის ფუნქცია აკისრია და, შესაბამისად, მხოლოდ მეტროლოგიური (წონითი) შინაარსით გამოიყენება და გადახდის საშუალებად არ განიხილება. აქედან გამომდინარე, სისხლის ფასის განსაზღვრა მიმოქცევიდან გასული, ე.წ. „მკვდარი" ფულის ერთეულითაც შესაძლებელი იყო (იხ. 4: 63-72; 6: 100-107).

რაც შეეხება სისხლის საზღაურის დიდ ოდენობას, ეს ს. კაკაბაძის (13: 71-79), ჯ. ოდიშელის (19: 218-219] და ილ. ანთელავას აზრით (2: 65), არა სასისხლო საბუთების ნაყალბეობით, არამედ XIV-XV საუკუნეებში ფულის გაუფასურებით იყო განპირობებული. მოიპოვება განსხვავებული ახსნაც. როგორც ირკვევა, სისხლის საზღაურის ოდენობის განსაზღვრისას მოცემულ მომენტში მიმოქცევაში მყოფი ფულის სრულფასოვნება თუ არასრულფასოვნება საერთოდ არ მიიღებოდა მხედველობაში. მაღალი სისხლის ფასები როგორც სასისხლო სიგელში, ისე მათ თანადროულ ნამდვილ საბუთებში რომ დასტურდება, შეიძლება დანაშაულის პრევენციითაც აიხსნას (5: 25-32).

განხილვის საგანი გახდა ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი არგუმენტი, რაშიც სასისხლო საბუთებში ქალის გაუპატიურების აღსანიშნავად ვულგარული სიტყვის გამოყენება იგულისხმება. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ასეთი უწმაწური სიტყვა „არამც თუ ქართულ მწერლობაში, ჩვეულებრივ საუბარშიც კი უხსენებელ გამონათქვამად ითვლებოდა და ითვლება. ეს უხსენებელი სიტყვა არც ძველი ქართული სამართლის ძეგლში, სადაც კანონი ამნაირ ბოროტმოქმედებაზე ლაპარაკობს, ნახმარი არ არის და მორიდებით არც ჩვენ სახელოვან ლექსიკოგრაფს საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეუტანია. რა დასაჯერებელია, რომ ასეთი ჩვეულებრივ საუბარსა და მწერლობაში უხმარ-უხსენებელი სიტყვის შეტანა მდივან მწიგნობარს ეკადრა და გაებედა მეფის სახელით ბოძებულსა და მისი ბრძანებით დაწერილ სიგელში! ცხადია, რომ ეს გარემოება ამ სასისხლო სიგელების ნატყუარობის უეჭველი საბუთია" (31: 514).

ს. კაკაბაძემ და მოგვიანებით ზ. ჭუმბურიძემ ეს არგუმენტი არ გაიზიარეს. ს. კაკაბაძე ჟან შარდენის (XVIIს.) ცნობებზე მითითებით შენიშნავს, რომ ჩვენში „ანალოგიურ უხსენებელ სიტყვებს ძლიერ თავისუფლად ხმარობდნენ ბაასის დროსაც კი". იქვე დაიმოწმა მსგავსი სიტყვის შემცველი სტრიქონი „ვეფხისტყაოსნიდან". სასისხლო საბუთებში ამგვარი სიტყვის გამოყენების აუცილებლობას ს. კაკაბაძე ძირითადად მაინც იმით ასაბუთებდა, რომ იურიდიულ აქტებში, როგორიც იყო სასისხლო სიგელები, უხსენებელი სიტყვის ხმარების საჭიროებას განაპირობებდა დანაშაულის კონკრეტიზაცია (11: 98). ზ. ჭუმბურიძე შენიშნავს, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ავტოგრაფულ ხელნაწერებში ქალის გაუპატიურების აღმნიშვნელი ვულგარიზმი შეტანილი იყო, მაგრამ ეს სიტყვა ამოღებული იქნა მისი პირველი გამოცემის ტექსტიდან, რომლითაც სარ-

გებლობდა ივ. ჯავახიშვილი (მომდევნო გამოცემებში მსგავსი სალექსიკონო ერთეულები ყველა თავ-თავის ადგილზეა). ზ. ჭუმბურიძემ ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ შუა საუკუნეების სამკურნალო წიგნებში (დავით ბაგრატიონის „იადიგარ-დაუდი", ზაზა ფანასკერტელის „უსწორო კარაბადინი") აღნიშნული ვულგარიზმი არც თუ იშვიათად გვხვდება. თუ რომელიმე სიტყვა, აღნიშნავს მკვლევარი, თავისი უცენზურობის გამო არ შეიძლებოდა მეფის ნამდვილ სიგელში მოხვედრილიყო, მით უფრო არავინ გამოიყენებდა მას ნატყუარ სიგელში, რათა მაშინვე ეჭვი არ გაჩენილიყო მისი ნაყალბეობის შესახებ. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, რჩება ორგვარი ახსნის შესაძლებლობა: ან საჩოთირო სიტყვა საბუთის შედგენის ხანებში ევფემიზმს წარმოადგენდა ანდა მისი ხმარება განსაზღვრულ შემთხვევებში დასაშვებად იყო მიჩნეული. ასეა თუ ისე, ასკვნის ზ. ჭუმბურიძე, ორივე შემთხვევაში ყალბი და ნამდვილი სიგელის გარჩევა ამ ნიშნის მიხედვით შეუძლებელია (30: 368-370).

სასისხლო სიგელთა თხრობის ნაწილში ნატყუარობის მაჩვენებელ ნიშნებზე საუბრისას ივ. ჯავახიშვილი, სხვათა შორის, აბჟანდაძის სიგელის ერთ ცნობასაც განიხილავს, რომელიც დავით აღმაშენებლის გელათის ხარაჩოებიდან გადმოვარდნისა და დაშავებული მეფის ირმის რძეში ბანაობით განკურნების ამბავს მოგვითხრობს, რაც მკვლევარმა ნამდვილ ქართულ ზღაპრად მიიჩნია (31: 265). ამის საპირისპიროდ, ს. კაკაბაძისათვის გაუგებარია, თუ რატომ არ შეიძლებოდა XV საუკუნის სიგელში შეეტანათ აბჟანდაძეთა გვარში დაცული გადმოცემა – ასეთი გადმოცემის სარწუნოობა სრულიად დასაშვებია შუა საუკუნეების საზოგადოებისათვის და სიგელში მისი შეტანაც შესაძლებელი (11: 99); ასეთ მიდგომას იზიარებს ზ. ჭუმბურიძეც (30: 370).

ჟურულის სიგელის სათვალავსა და ხელრთულობაში ივ. ჯავახიშვილის მიერ ნატყუარობის ნიშნებად მიჩნეული ორი ფაქტი, აგრეთვე, იქცა მკვლევართა კრიტიკის ობიექტად. ივ. ჯავახიშვილმა ჟურულის სიგელის თ. ჟორდანიასა და ე. თაყაიშვილის გამოცემებს შორის უპირატესობა პირველს მიანიჭა, სადაც ბაგრატ მეფის მიერ საბუთის განახლების შესახებ მინაწერში თარიღად იკითხება „ქრონიკონი რო" (1582 წ.), ხოლო მეფობის ინდიქტიონად ციფრი „ზ" (7). ვინაიდან თარიღი მცდარია, ეს გარემოება ივ. ჯავახიშვილმა სიგლის ნატყუარობის მაჩვენებლად ჩათვალა (31: 521).

ამ მტკიცების საწინააღმდეგოდ ს. კაკაბაძე დაეყრდნო საბუთის დედანს, სადაც გარკვევით იკითხება „ქრონიკონი რი" (1572 წ.), თ. ჟორდანია კი შეცდომაში შეუყვანია „ი" და „ო" ასონიშნების გრაფიკულ მსგავსებას. დედნის თარიღი და ბაგრატის მეფობის ინდიქტიონი კი სავსებით ზუსტია (11: 98). ეს მოსაზრება მთლიანად გაიზიარა ჯ. ოდიშელმა (19: 217). მეორე ფაქტი – საბუთის ხელრთვაში გიორგი მეფის მიერ საკუთარი თავის „დიდად" მოხსენიება, ნამდვილი სამეფო სიგელისათვის შეუფერებლად მიაჩნდა ივ. ჯავახიშვილს, რაც ჟურულის საბუთის ტექსტის გამოცემაში (იხ. 21: 3-7) გაპარული შეცდომა აღმოჩნდა – გიორგი მეფის ხელრთვაში ეპითეტი „დიდი" არ იკითხება – საბუთის ხელნაწერში აღნიშნავს ჯ. ოდიშელი (19: 217].

სიგელთდანერილობის წესების სრული დაცვა და ფაქტობრივი მონაცემების სიზუსტე იყო ის მყარი საფუძველი, რამაც ჯ. ოდიშელი ოთხი სასისხლო სიგელის, კერძოდ, ვაჩნაძის (1455 წ.), ჟურულის (1460 წ.), გედეონ მაღალაძის (1592 წ.) და პაპუა მაღალაძის (1675 წ). საბუთების ნამდვილობის დადასტურებამდე მიიყვანა. მისი დაკვირვებით, აღნიშნული დოკუმენტების დიპლომატიკური კომპონენტების აგებულებასა და შინაარსში არაფერია ისეთი, რაც მათ ნაყალბეობაზე მიანიშნებდეს (19: 215-222). ერთ-ერთი მათგანის, ჟურულის სიგელის შესახებ მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ივ. ჯავახიშვილის მიერ შემჩნეული და სპეციალურად განხილული სიგელის საეჭვო ცნობები ამ საბუთის გამომცემელთაგან საბუთის ტექსტის არასწორი წაკითხვიდან მომდინარეობს" (19: 216). ამავდროულად ჯ. ოდიშელმა გაიზიარა და ახალი არგუმენტებითაც გაამაგრა გორგაძის, ცირღილაძის, აბჟანდაძის, ერისთავ ქვენიფნეველის, ორალელისძე-კვიტაშვილის და მაჭავარიანის სასისხლო სიგელების ნატყუარობა (19: 211 და შემდეგ).

ილ. ანთელავამ განიხილა ცირღილაძისა და ორალელისძე-კვიტაშვილის საბუთების ნამდვილობა-ნატყუარობის საკითხი. საკონტროლო წყაროების მონაცემთა მოხმობით მან აჩვენა აღნიშნულ სასისხლო სიგელში მოხსენიებული პირების და ფაქტების რეალურობა, რაც, მისი აზრით, ნაყალბევ საბუთში მოულოდნელია (2: 63-65).

აღნიშნული საკითხი განიხილა მ. სურგულაძემ. მისი აზრით, სასისხლო სიგლის ნამდვილობის დასამტკიცებლად საკმარისი არ არის რომელიმე ერთი მახასიათებლის, ვთქვათ, მასში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენება, როგორც ამას ცდილობს ილ. ანთელავა, რადგანაც, აღნიშნავს მ. სურგულაძე, შესაძლებელია ასეთი იდენტიფიკაცია მოხერხდეს ყალბი სიგელის მონაცემებითაც. მას შეუძლებლად მიაჩნია, რომ დიპლომატიკური წესების უხეში დარღვევით შესრულებული სამეფო სიგელი ნამდვილი იყოს, თუნდაც მასში მოხსენიებული პირები და ფაქტები სხვა წყაროებითაც დადგინდეს. ამის გათვალისწინებით მკვლევარს ცირღილაძეს სიგელის ნამდვილობა საეჭვოდ მიაჩნია. ამავდროულად, მისი აზრით, უდაოა ვაჩნაძისა და ორალელისძე-კვიტაშვილის სიგელთა ნამდვილობა. მან არ გაიზიარა უკანასკნელი საბუთის ნატყუარობის თაობაზე ჯ. ოდიშელის არგუმენტები (25: 161-162).

ივ. ჯავახიშვილის მიერ ყველა სასისხლო სიგლის ნატყუარად გამოცხადება იმთავითვე მკვეთრად უარყო ს. კაკაბაძემ. მისი აზრით, „ყველა სასისხლო საბუთის უარყოფით არ არსებობს უკვე გამოსავალი წერტილი ნამდვილის გასარჩევად ყალბისაგან" (13: 71). ცოტა მოგვიანებით ის კვლავ მიუბრუნდა ამ საკითხს და აღნიშნა, რომ, „ყალბის მქნელს ყოველთვის აქვს გარკვეული მიზანი, ის ცდილობს ნამდვილი საბუთის მიმბაძველი იყოს. ამიტომ ყალბი სასისხლო სიგელების დამზადებას აზრი არ ექნებოდა, თუ ანალოგიური თავისი შინაარსით და ფორმით საბუთები ცხოვრებაში მიღებული არ ყოფილიყო და საერთო მსვლელობაში არ იქნებოდა." ამავდროულად, ს. კაკაბაძე მეტად ანგარიშგასაწევ გარემოებად მიიჩნევს ასეთი დიდი რაოდენობით შემონახულ

სასისხლო სიგელთა ერთნაირ აგებულებას, რაც თავისთავად უარყოფს ყველა ამ საბუთის ნაყალბეობას. (11: 97). ს. კაკაბაძის ეს მოსაზრება ფრიად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და მას იზიარებს ყველა, ვინც საგანგებოდ თუ გაკვრით შეხებია სასიხლო საბუთებს. მათ შორის აღსანიშნავია მ. სურგულაძის პოზიცია. მკვლევარი ფიქრობს, რომ შეუძლებელია თავისთავად მოვლენა – სასისხლო სიგელი – ნატყუარად ჩათვალოთ. მათი დიდი ნაწილი – აღნიშნავს ის – მართლაც ნატყუარია, მაგრამ ცალკეულ საბუთთა ნატყუარობა ვერ აგვიხსნის თავისთავად სასისხლო სიგელების, როგორც დოკუმენტური წყაროების სახეობის „გამოგონების" ფაქტს. ნატყუარი სასისხლო სიგელის არსებობა – განაგრძობს მკვლევარი – დასტურია იმისა, რომ არსებობდა ნამდვილი სასისხლო სიგელები, რომელთა მიბაძვით იქმნებოდა ნატყუარები (25: 158-159).

მ. სურგულაძემ წარმოაჩინა სასისხლო სიგელთა წარმოშობის სოციალური საფუძვლები და შესაბამისად, მათი, როგორც იურიდიული აქტების, სოციალური ფუნქცია. სასისხლო საბუთების შინაარსი (დანაშაულთა კოდიფიკაცია, სრულ სისხლის ფასთან ცალკეულ დანაშაულთა საზღაურის შეფარდების წესი) ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ფიქრობს, რომ სასისხლო სიგელები ემყარებოდა საჯარო კანონმდებლობის უფრო ძველ ძეგლს, ვიდრე დღეისათვის მოღწეული სამართლის წიგნებია (25: 165 და შემდ.).

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, ბუნებრივია, უფრო და უფრო დომინირებული ხდება აზრი, რომ სასისხლო სიგელების ერთიანად ნატყუარ, ან უკლებლივ ნამდვილ საბუთებად გამოცხადება უკვე გაუმართლებელია.

სასისხლო სიგელის როგორც ისტორიული წყაროს შეფასების საკითხი ქართული ისტორიოგრაფიაში

ისტორიოგრაფიაში იმთავითვე გამოიკვეთა აზრი, რომ სასისხლო სიგლის, როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობა ნაკლებად არის დამოკიდებული იმაზე, ისინი ნატყუარია თუ ნამდვილი. ნატყუარიც და ნამდვილიც თანაბრად საინტერესოა სწორედ წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით ფრიად ანგარიშგასაწევი მოსაზრება გამოთქვა ჯ. ოდიშელმა – „ყველა სასისხლო სიგელი ნატყუარიც რომ იყოს, მათში დაცული ცნობები მაინც გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, გარკვეული სიფრთხილით. რამდენადაც, ხელის მიხედვით მაინც, სასისხლო სიგელები ძველადვეა შექმნილი და საბუთში მოცემული ყველა მომენტი არასწორად რომ იყოს წარმოდგენილი, მაშინ თვით ყალბისქმნელობა ყოველგვარ აზრს დაკარგავდა". ისტორიული მეცნიერებისათვის ფასეული ცნობები შეიძლება ნაყალბევ საბუთებშიც გამოირჩეს, რამდენადაც ყალბი საბუთების შემდგენელნი ახლოს იყვნენ ხანასთან, რომლის შესახებაც საბუთს ქმნიდნენ (19: 208-210).

სასისხლო სიგელთა ცნობებს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის (მეფეთა გენეალოგია – ქრონოლოგია), სახელმწიფო წყობილების, ქართული ნუმიზმატიკის (ფულის ერთეულები და მიმოქცევა XIII-XV საუკუნეებში) საკითხების კვლევაში ფართოდ გაუღო კარი ს. კაკაბაძემ (იხ. 8-15).

დიდი სამსახური გაუწია სასისხლო სიგელთა მონაცემებმა XIII-XVსს. ქართული ნუმიზმატიკის მკვლევართ, კერძოდ, მათ საფუძველზე დადგინდა XIII-XV საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვერცხლის ფულის ერთეულების სახელწოდება (კირმანეული და ცხუმური თეთრი) და ეტიმოლოგია (1: 42-44).

ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც აღნიშნული საბუთების წყაროთმცოდნეობით ღირებულებას ცალსახად უარყოფდა, კონკრეტული საკითხის, სახელდობრ, ალექსანდრე I-ის (143-1446) გენეალოგიის დადგენაში, როგორც სანდო მასალა, ცირღილაძის სასისხლო სიგელის ცნობაც მოიხმო.

ცალკეული საკითხების გასაშუქებლად სასისხლო საბუთების მონაცემებს მიმართავენ დ. მუსხელიშვილი (17: 220-221), კ. კახაძე (16: 45-58], დ. ნინიძე (18) და სხვ.

სასისხლო სიგელთა წყაროთმცოდნეობითი კვლევის დღეისათვის არსებული მდგომარეობა საშუალებას იძლევა ერთგვარად შეჯამდეს პოზიტიური შედეგები და დაისახოს შემდგომი პერსპექტივა.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ზოგადი ხასიათის დებულება, რომ სასისხლო სიგელი, როგორც მოვლენა, ისეთივე რეალობაა, როგორიც სხვა, ვთქვათ, შეწირულობის, წყალობის ან ნასყიდობის საბუთები და დოკუმენტური წყაროების ერთ-ერთ სახეობას ქმნის. გამოიკვეთა ამ სახეობის წერილობითი ძეგლების სოციალური ფუნქცია – აზნაურთა ფენის დაცვა. ამის კვალობაზე გადაისინჯა ერთიანად ყველა სასისხლო სიგელის ნატყუარობის შესახებ თვალსაზრისი, ისევე, როგორც მოსაზრება ყველა მათგანის ნამდვილობის თაობაზე. ამავდროულად ნამდვილობა-ნატყუარობის თვალსაზრისით, მეტი უპირატესობა მოიპოვა თითოეული სასისხლო სიგელის საგანგებო და ყოველმხრივი შესწავლის აუცილებლობამ. ასეთი მიდგომით არაერთი სასისხლო საბუთის ნამდვილობა დადასტურდა. ამასთანავე დამაჯერებლობას იძენს აზრი, რომ სასისხლო საბუთები – ნამდვილიც და ნატყუარიც, როგორც ისტორიული წყარო, თანაბრად ღირებულია და საყურადღებო, რასაც სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკა სავსებით ადასტურებს.

მიღწეული შედეგების ფონზე კარგად იკვეთება სასისხლო სიგელთა წყაროთმცოდნეობით შესწავლაში ჯერ კიდევ არსებული ე.წ თეთრი ლაქები, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს კიდეც ამ მიმართულებით შემდგომი კვლევის ამოცანებს.

კარგა ხანია მომწიფდა სასისხლო საბუთების კორპუსის გამოცემის აუცილებლობა წერილობითი წყაროების პუბლიკაციის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. ცნობილია, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში აღნიშნული საბუთების ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ჯ. ოდიშელმა. მაგრამ ის დღემდე გამოუქვეყნებელია (ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) და ელის დღის სინათლეს.

ივ. ჯავახიშვილის მიერ აღნიშნული სასისხლო საბუთების ნატყუარობის მაჩვენებელი ნიშნების ერთი წყება, კერძოდ, ისეთი დიპლომატი-

კური „ცთომილებები" სხვადასხვა თემატურ კომპონენტებში, როგორიცაა, შეცდომები მეფეთა ტიტულატურაში (სიგლის თავი), გამონათქვამების უაზრობა და შეუსაბამობა (კომპონენტი თხრობა), მეფის მოხელეთა დასახელების წესის დარღვევა (ბრძანებულება) კვლავაც ძალაშია და მათკენ მიბრუნება ქართული დიპლომატიკის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით მომავლის ამოცანად რჩება. ამ პრობლემის კვლევის შედეგები, თავისთავად აღებული, დამოუკიდებელი მნიშვნელობისაა, და, ამასთან ერთად, ხელს შეუწყობს ნამდვილი და ნა-ტყუარი საბუთების გასამიჯნავად საიმედო კრიტერიუმების შემუშავებას, რაც, ასევე, სასისხლო სიგელთა წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ლიტერატურა:

1. თ. აბრამიშვილი. XIII-XIV სს დასავლურ – ქართული ფული, თბ., 1959.
2. ილ. ანთელავა. XI-XV სს. საქართველოს სოციალურ – პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980.
3. გ. არახამია. ქართული დიპლომატიკის შესწავლისათვის. – ქართული წყაროთმცოდნეობა, XII, 2010.
4. გ. არახამია. სასისხლო სიგელების შესწავლისათვის. – წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2010.
5. გ. არახამია. ვერგელდის ოდენობის საკითხისათვის სასისხლო სიგელებში - საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა II კონფერენციის მასალები, თბ., 2010.
6. გ. არახამია. ვერგელდის საკითხისათვის XIV-XVIII სს. საქართველოში – ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, X-XI, თბ, 2012.
7. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XVს. საქართველოში, თბ., 1964.
8. ს. კაკაბაძე. ბაგრატ მეფე, XV საუკ. რაჭა-არგვეთის მფლობელი, ტფ., 1913.
9. ს. კაკაბაძე. გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფ., 1913.
10. ს. კაკაბაძე. ვახტანგ, უცნობი XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი, ტფ., 1912.
11. ს. კაკაბაძე. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926 – საისტორიო კრებული, II, ტფ., 1928.
12. ს. კაკაბაძე. კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფ., 1920.
13. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. – საისტორიო მოამბე, II, ტფ., 1924.
14. ს. კაკაბაძე. საფასის ისტორიისათვის საქართველოში. – საისტორიო მოამბე, II, ტფ., 1925.
15. ს. კაკაბაძე. უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II, ტფ., 1913.
16. კ. კახაძე. დასავლეთ საქართველოს „უცნობი მეფეები. – ისტორიული ალმანახი "კლიო", №11, 2001.

17. დ. მუსხელიშვილი. თბილისის ამირთ-ამირობის ინსტიტუტისათვის. – საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
18. დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები" XIV-XV სს. საქართველოში, თბ., 1995.
19. ჯ. ოდიშელი. ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან. – მაცნე, 1966, №4 (31).
20. საქართველოს არქივი, ნ. II, ტფ., 1927.
21. საქართველოს სიძველენი, I, (მეორე გამოცემა), ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1920.
22. საქართველოს სიძველენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909.
23. საქართველოს სიძველენი, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1910.
24. სვანეთის ნერილობითი ძეგლები, I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამეცნიერო – საცნობარო აპარატურა დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1988.
25. მ. სურგულაძე. ქართული საისტორიო აქტები. XI-XVსს., თბ., 2006.
26. ქართული სამართლის ძეგლები, II, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965.
27. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გამოცემული ვ. ფუთურიძის მიერ, თბ., 1955.
28. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და განმარტებული თ. ჟორდანიას მიერ, ტფ., 1897.
29. ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირიანთა სახელმწიფოსთან, თბ., 1986.
30. ზ. ჭუმბურიძე. ნატყუარია თუ არა აბჟანდაძეთა სასისხლო სიგელი.-კრ. „შოთა მესხია – 90", თბ., 2006.
31. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად, ტ. IX, თბ.,1996.
32. T. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб, 1989.
33. С.С. Какабадзе. Грузинские документы института народов Азии АН М., СССР, 1967.
34. С.С. какабадзе. Грузинские документы IX-XV вв,М., 1982.
35. M. Brosset. Rapports sur un voyage archeologique dans en Georgie et dans l.'Armenie execute en 1847-1848, I. St.-Pb, 1849.
36. M. Brosset. Histoire de la Georgie. Inſoduction et Tables des materies, St.-Pb., 1858.

GONELI ARAKHAMIA

THE PERSPECTIVES OF STUDY VERGELD DOCUMENTS (XIV-XVII) IN GEORGIA

Summary

The Vergeld document represents a certificate given by king for establishing of property penalty. There are about 40 such documents. In the twentieth of the XX century active source study research began and from the point of view of historiography apart from authentity of their origin , they are historical sources containing important information about history of Georgia, and in particular, Georgian diplomatic of the XIV-XVII centuries.

ГОНЕЛИ АРАХАМИА

СОСТОЯНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ ИЗУЧЕНИЯ ГРУЗИНСКИХ ГРАМОТ О ЦЕНЕ КРОВИ XIV-XVII ВВ.

Резюме

В грузинской дипломатике грамотой о цене крови называется документ выдаваемый царем конкретной личности и устанавливающий имущественный штраф, который должен получить адресат в том случае если против него будет совершено любого рода преступление. До сегодняшнего дня сохранилось более сорока таких грамот. В 20-х годах XX века началось интенсивное источниковедческое исследование этих документов и появились два противоположных мнения относительно их подлинности. Дальнейшие исследования названных грамот показали, что оба эти мнения односторонние, поскольку подтвердилось подлинность определенного количества этих документов. В последующем в историографии сформировалась точка зрения на то что, независимо от подлинности происхождения грамот они все, как исторический источник, заслуживают должного внимания, поскольку в них содержатся важные сведения по различным вопросам истории Грузии и, в частности, грузинской дипломатики XIV-XVII вв. В статье также наметились задачи последующих источ-никоведческих исследований этих грамот.

ფარნაოზ ლომაშვილი

პოლიტბიუროს საიდუმლო არქივიდან

სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად კომუნისტური პარტიის ისეთი ისტორიის შექმნა გამოცხადდა, რომელიც „პიროვნების კულტისაგან“ თავისუფალი იქნებოდა. ეს ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეესრულებინა პარტიის ისტორიის მრავალტომეულს, რომელიც ინგლისურ და სხვა უცხო ენებზეც უნდა გამოცემულიყო.

მრავალტომეულის პირველი სამი ტომი მთლიანად მოსკოველმა სპეციალისტებმა დაწერეს, რის გამოც რესპუბლიკური ორგანიზაციების ისტორია მათში ძლიერ მკრთალად აისახა. ნაშრომის მეოთხე ტომის მზადების დროისათვის (1965 წ.) რესპუბლიკების ასეთი იგნორირება მოუთმენელი შეიქმნა. ამიტომ ავტორთა კოლექტივში ერთი ადგილი საქართველოსთვისაც გამოიყო. კანდიდატურის საკითხი გამოცემის მთავარ რედაქციას კონკურსის საშუალებით უნდა გადაეწყვიტა. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ა. სურგულაძემ და გრ. ჟვანიამ. რედაქციამ არჩევანი რატომღაც ჩემზე შეაჩერა.

ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მკვლევარისათვის, ეს დავალება მეტად მძიმე ჩანდა. მაგრამ მე ის მაინც ვიკისრე, რადგან რედაქციის მიერ შემოთავაზებულ თემაზე, კერძოდ, მთელი კავკასიის რეფორმის – შემდეგდროინდელ აგრარულ განვითარებაზე და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე, თბილისის, ბაქოსა და ერევნის საისტორიო არქივების სათანადო მასალები მე უკვე საკუთარი ხელით ამოწერილი მქონდა.

სამწუხაროდ, სწორედ ამ ხელნაწერმა მასალებმა გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაგდო. საქმე ისაა, რომ მოსკოვში მატარებლით გამგზავრების წინ ჩემოდანში ამ მასალების გვერდით სამგზავროდ ღვინის ორი ბოთლიც ჩავდე. საუბედუროდ, ერთ-ერთ მათგანს საცობი მოხსნია და ჩემი ხელნაწერების ამოკითხვა შეუძლებელი შეიქმნა.

როცა მეოთხე ტომის კურატორმა ვ.ი. კასიანენკომ ამის შესახებ მრავალტომეულის მთავარ რედაქტორს პ.ნ. პოპსელოვს მოახსენა (იგი სკკპ ცკ ერთ-ერთი მდივანიც იყო), ამ უკანასკნელს თავდაჯერებით უთქვამს: არა უშავს, ავტორს უკეთეს მასალებს თვით პოლიტბიუროს საიდუმლო არქივიდან მივცემთო.

მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. საქმეს განსაკუთრებით ართულებდა ის, რომ მე იმ რესპუბლიკიდან ვიყავი, რომელიც 1956 წლის მარტის ამბების შემდეგ სტალინის კულტის წინააღმდეგ მებრძოლი იმპერიული ცენტრის დიდ ნდობას აღარ იმსახურებდა. ამიტომ პოლიტბიუროს სხდომათა ოქმებზე და სხვა საიდუმლო მასალებზე ჩემს დაშვებაზე დიდხანს თავს იკავებდნენ. ავტორთა კოლექტივის სხვა წევრები კი ამ დოკუმენტებით თავისუფლად სარგებლობდნენ. ჩემი ექვსთვიანი სამეცნიერო მივლინების დროის ნახევარზე მეტი წმინდა წყლის ბიუროკრატიულ მიწერ-მოწერას მოუნდა.

პოლიტბიუროს „სრულიად საიდუმლო" მასალებზე სამუშაოდ ბოლოს მაინც დამიშვეს, თუმცა ფირზე გადაღებული ტექსტების გაცნობა მხოლოდ საპროექციო აპარატის დახმარებით შემეძლო. სამაგიეროდ აპარატის ეკრანზე ჩემს თვალწინ თანმიმდევრულად გაიარა უზარმაზარი იმპერიის დიქტატორული მართვის მთელმა ისტორიამ 1929-1939 წლების ურთულეს პერიოდში, რომელსაც ქვეყნის სახალხო მეურნეობის „სოციალისტური რეკონსტრუქციის" პერიოდი ეწოდებოდა. სინამდვილეში კი, სწორედ ეს იყო ქვეყანაში პარტიული და პიროვნული დიქტატურის ჩამოყალიბების გადამწყვეტი პერიოდი. მართალია, ზოგადპოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის მასალების ამოღების უფლება არ მომცეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემს თემაზე, კერძოდ, აგრარულ საკითხზე, პოლიტბიუროს საიდუმლო ოქმებიდან ამონაწერების მთელი ტომი სახლშიც გამომატანეს.

ახლა, როცა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და პარტიული არქივების მასალები თითქმის მთლიანად „განსაიდუმლოებულია", ალბათ სრული მორალური და იურიდიული უფლება მაქვს, მათი ნაწილი მაინც გამოვაქვეყნო.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელსაც 20-იანი წლების მეორე ნახევარში და 30-იანი წლების პირველ ნახევარში პოლიტბიუროს მრავალი საიდუმლო დადგენილება მიეძღვნა, ეს იყო ე.წ. „პურის კრიზისი" და „საკოლმეურნეო მშენებლობა".

„ოტტეპელის", „უძრაობის" და თვით „პერესტროიკის" ეპოქათა საბჭოურ ისტორიკოსებს „პურის კრიზისი" სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მხოლოდ ერთ-ერთ რიგით მიზეზად მიაჩნდათ. პოლიტბიუროს ოქმებში მოხვედრილი მასალების გაცნობამ კი საბოლოოდ დამარწმუნა, რომ მისი დაძლევა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის შენარჩუნებისა და გახანგრძლივების ერთადერთი საშუალება იყო.

საქმე ისაა, რომ ე.წ. „ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ" ("ნეპმა") მხოლოდ 20-იანი წლების პირველ ნახევარში „იმუშავა". მრავალმილიონიანი არმიის შექმნამ, ქალაქის მოსახლეობის ზრდის დაჩქარებამ, თვით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ (ტექნიკისა და ტექნოლოგიის შეძენა მხოლოდ საზღვარგარეთ მარცვლეულის გატანის ხარჯზე შეიძლებოდა), საბჭოთა ხელისუფლება აიძულა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარდა, მარცვლეულის თითქმის უფასოდ ჩაბარებაც დაეწესებინა. ამ დამატებითი გადასახადისგან თავის დაღწევის მიზნით, გლეხობამ არა მარტო მის ხელთ არსებული მარცვლეული გადამალა, არამედ მისი მოყვანაც შეამცირა. ეს

ფაქტობრივად ნეპის გაუქმებას და ე.წ. „სასურსათო გაწერის“ აღდგენას ნიშნავდა, რაც ქვეყანას კრახით ემუქრებოდა.

ასეთ პირობებში არა მარტო ქალაქის, არამედ თვით სოფლის მოსახლეობაც უპუროდ დარჩა. საბარათო სისტემის შემოღებამ საქმეს ვერ უშველა, დაიწყო დამშეული მოსახლეობის მასობრივი ანტისაბჭოთა გამოსვლები. საბჭოთა ხელისუფლებას ან თავის არსებობაზე უნდა ეთქვა უარი, ანდა „პურის კრიზისი“ დაეძლია.

გავრცელებულია აზრი, თითქოს საბჭოთა ხელმძღვანელობამ ამ პრობლემის გადაჭრა 1930 წლის იანვარში გამოცხადებული „მთლიანი კოლექტივიზაციით“ დაიწყო და კულაკობის ლიკვიდაციაზეც მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდა. პოლიტბიუროს მასალებიდან კი ჩანს, რომ ქვეყნის უმაღლესმა სადირექტივო ორგანომ „ნეპი“ უკვე 1929 წლის მეორე ნახევარში გააუქმა და პრაქტიკულად კულაკობის ლიკვიდაციასაც შეუდგა.

1929 წლის 15 აგვისტოს მარცვლეულის რაიონების ყველა პარტორგანიზაციას გაეგზავნა პოლიტბიუროს დირექტივა მარცვლეულის დამზადების საქმეში დამსჯელ ორგანოთა „რეპრესიების გადაჭრით გაძლიერების“ შესახებ, ხოლო 20 სექტემბრიდან „ურჩი“ კულაკების წინააღმდეგ დაწესდა მარცვლეულის ჩაუბარებლობისათვის „ხუთმაგი ჯარიმის“ სისტემა, რომელსაც ვერც ერთი გლეხური მეურნეობა ორ წელსაც ვერ გაუძლებდა. 3 ოქტომბრიდან კი პოლიტბიურომ პურის ჩაბარებაზე უარის თქმა „კონტრრევოლუციად“ მონათლა და „დამნაშავეთა“ ადმინისტრაციული წესით დასჯა შემოიღო.

სახელმწიფოს დამსჯელ ორგანოებს კულაკთა არა მარტო გაუსამართლებლად დაპატიმრებისა და გადასახლების, არამედ „ადგილზე დახვრეტის“ უფლებაც მიენიჭა. ეს უკვე გაუგონარი „მკრეხელობა“ იყო. ასეთი თვითნებობა მეფის რუსეთისთვისაც კი უცხო იყო. ყოველ შემთხვევაში, თვითმპყრობელობა ასეთ უსამართლობას ბატონყმობის გაუქმებისა და 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ ფაქტობრივად აღარ მიმართავდა.

„სოციალიზმის მშენებელი“ პარტიის შვიდკაციანი უზურპატორული პოლიტბიურო კი დამსჯელ ორგანოებს ასეთ დირექტივას აძლევდა: „რუსეთის რფსრ და უკრაინის სსრ მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველოებმა (ასე ეწოდებოდა მაშინ ყოფილ „ჩეკას“ და მომავალ „კაგებეს“ – ფ.ლ.) და იუსტიციის სახალხო კომისარიატებმა მიიღონ გადამჭრელი და სასწრაფო ზომები, თვით ადგილზე დახვრეტამდე, იმ კულაკთა წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა და პარტიულ მუშაკებზე ტერორისტულ აქტებს აწყობენ და, ქვემო ვოლგისპირეთის კულაკთა და კადრის ოფიცერთა მსგავსად, შეიარაღებულ ორგანიზაციებს ჰქმნიან. სათანადო ზომები, როგორც წესი, სასამართლოს საშუალებით გაატარეთ, მაგრამ, იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა განსაკუთრებული სისწრაფე, ეს ზომები უშუალოდ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებმა განახორციელონ“.

ამრიგად, ქვეყანაში სტალინის ერთპიროვნული დიქტატურის დამყარების თარიღად მიჩნეულ უნდა იქნას არა ე.წ. „მემარცხენე-ტროცკისტული“ და

„მემარჯვენე-ბუხარინული“ გადახრების დაძლევა, ან 1931 წლის 7 აგვისტოს „უკანონო კანონი“, არამედ 1929 წლის სექტემბერ-ოქტომბერი, როცა „პურის კრიზისის“ დაძლევის მიზნით, კანონიერება ფაქტობრივად გაუქმდა, ხოლო დამსჯელ ორგანოებს ისტორიაში გაუგონარი უფლებები მიეცა.

ქვეყნის მმართველობის სისტემაში მომხდარ გადატრიალებას და რეპრესიების გაძლიერებას გლეხობამ 1930 წლის საგაზაფხულო ხვნა-თესვის კამპანიის ბოიკოტით უპასუხა. ხელისუფლებისთვის ეს უფრო მძიმე დარტყმა იყო, ვიდრე გლეხობის მიერ პურის „ჩალის ფასად“ ჩაბარებაზე უარის თქმა. გადამალული, მაგრამ რეალურად არსებული მარცვლეულის ძალდატანებით ჩამორთმევა, ასე თუ ისე, მაინც შესაძლებელი იყო. ხვნა-თესვის შემცირება კი, ცხადია, დაუძლეველ სიძნელეებს შექმნიდა.

მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად პოლიტბიურომ გლეხურ მეურნეობათა დაუყოვნებლივ კოლექტივიზაცია მიიჩნია, რაც კულაკობის, ე.ი. გლეხობის ყველაზე შეძლებული ნაწილის, ლიკვიდაციასაც გულისხმობდა. ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის პირობებში კულაკობის ლიკვიდაცია უმტკივნეულოდ ჩაივლიდა, და თვით საკოლმეურნეო წყობილებასაც მყარ ეკონომიკურ ბაზას შეუქმნიდა. მაგრამ კულაკობის ლიკვიდაციისათვის აუცილებელი წინაპირობები აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა.

როგორც ცნობილია, პოლიტბიუროს გადაწყვეტილება მასობრივი კოლექტივიზაციისა და კულაკობის ლიკვიდაციის შესახებ 1930 წლის 5 იანვარს გამოქვეყნდა. საორგანიზაციო ბრიგადების მომზადებას თითქმის 20 დღე დასჭირდა. ასე რომ, ე.წ. მარცვლეულის „პირველი რიგის“ რაიონებში მთლიანი კოლექტივიზაცია 25 იანვარს გაჩაღდა. სულ რამდენიმე დღეში ცხადი გახდა, რომ ამ ბრიგადებმა საქმე დაიწყეს არა თვით კოლმეურნეობების შექმნითა და განმტკიცებით, არამედ განკულაკებულ გლეხთა ქონების კონფისკაციითა და მათი „გაციმბირებით“. ციმბირი და ჩრდილოეთის სხვა რაიონები მათი სიცოცხლის შენარჩუნებისთვისაც კი სრულიად მოუმზადებლები აღმოჩნდა. 1930 წლის 30 იანვარს, ე.წ. მთლიანი კოლექტივიზაციის დაწყებიდან 5 დღის შემდეგ, პოლიტბიურო იძულებული გახდა, მიეღო შემდეგი დადგენილება: „იმის გამო, რომ ციმბირი მოუმზადებელი აღმოჩნდა გადასახლებულ კულაკთა ოჯახების მისაღებად... მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს წინადადება მიეცეს, გაწელოს კულაკთა ოჯახების გადასახლების ვადები და ოპერაცია დაყოს სამ თანრიგად ისე, რომ პირველმა რიგმა მოიცვას პირველი და მეორე კატეგორიების კულაკთა არა უმეტეს 60 ათასი ოჯახისა და დამთავრდეს აპრილის ბოლოსათვის. მეორე და მესამე კატეგორიის კულაკთა გადასახლების საკითხის განხილვა „გადაიდოს შემდეგისათვის“.

მიუხედავად ასეთი მწარე გამოცდილებისა, ქვეყნის ხელმძღვანელობამ დაპატიმრებული და გადასახლებული კულაკების სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფა „საკოლმეურნეო მშენებლობის“ შემდგომ ეტაპზეც ვერ შეძლო, რამაც თითქმის 5 მილიონი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლიტბიუროს 1933 წლის

8 მაისის დადგენილება. ამიტომ თავს უფლებას მივცემ, ეს დოკუმენტი მთლიანად გადმოგცეთ: „სოფლად ჩვენი მუშაობის ბოლო სამმა წელმა კლასობრივი მტრის განადგურებამდე მიგვიყვანა. კავშირის ძირითად რაიონებში ინდივიდუალურ მეურნეობის ოპოზიცია დაძლეულია. დადგა დრო, როცა კულაკების წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიები ჩვენ აღარ გვჭირდება. ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოში კი შემოსულია განაცხადებები 100 ათასი მეურნის გადასახლების შესახებ. ზოგ ადგილას გლეხებს აპატიმრებენ ყველა, ვისაც ეს სურს (კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, თვით მმართველობის წევრს და ა.შ.). ეს იმაზე მეტყველებს, რომ ადგილებზე ვერ გაიგეს ახალი ეტაპის დადგომა, ახალი ვითარების შექმნა. არ ვანელებთ რა ბრძოლას ნამდვილი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო გთავაზობთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ გლეხთა ყოველგვარი მასობრივი გადასახლებები. გადასახლება დაშვებულ იქნას მხოლოდ ინდივიდუალურად და კერძო წესით, მხოლოდ იმ მეურნეობების მეთაურებისა, რომლებიც კოლმეურნეობების წინააღმდეგ იბრძვიან, ხვნა-თესვაზე და პურის ჩაბარებებზე უარს ამბობენ... დასაშვებია გადასახლება (ინდივიდუალურად) სულ 12000 მეურნეობისა, მათ შორის 500 მეურნეობისა ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან. დაპატიმრება აეკრძალოს ყველას, გარდა პროკურატურისა და მთავარი პოლიტიკური სამმართველოებისა, აგრეთვე მილიციისა (თუ ეს 48 საათის განმავლობაში დამტკიცებულია პროკურორის ან პოლიტსამმართველოს რწმუნებულის მიერ). დაპატიმრებულთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 400 ათასს, ამჟამად კი 800 ათასია. განტვირთულ იქნას! ის კულაკები, რომლებსაც 3-დან 5 წლამდე ვადა აქვთ მისჯილი, მათ კმაყოფაზე მყოფ პირებთან ერთად, გადაყვანილ იქნან შრომით დასახლებებში.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვი
ცენტრალური კომიტეტის მდივანი სტალინი“.

ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში ასეთი „შრომითი დასახლებები“ ლენინისა და ტროცკის ინიციატივით ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შეიქმნა. კოლექტივიზაციის პროცესში კი ისინი ნამდვილ „საკონცენტრაციო ბანაკებად“ იქცა. რაც მთავარია, მათმა „მშენებლობამ“ მასობრივი ხასიათი მიიღო და ე.წ. „კულაკობის“, ფაქტობრივად კი შეძლებული გლეხობის, ლიკვიდაციის მთავარ საშუალებად იქცა. გადასახლებულ გლეხთა აბსოლუტური უმრავლესობა პირველსავე წლებში ამოწყდა.

ბუნებრივია, რომ ამ გაუგონარ ძალადობას გლეხობამ მასობრივი საპროტესტო გამოსვლებითა და შეიარაღებული აჯანყებებით უპასუხა. სულ კოლექტივიზაციის პერიოდში 25 ათასამდე ასეთი გამოსვლა და აჯანყება მოხდა. მათ შორის ერთ-ერთი უდიდესი იყო კახეთის გლეხთა 1930 წლის იანვარ-თებერვლის აჯანყება, რომლის ჩასახშობად ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე შალვა ელიავა ი. სტალინს ავიაციის გამოყე-

ნების ნებართვასაც კი სთხოვდა. სტალინს ასეთი ნებართვის მიცემა არ დასჭირდა, რადგან აჯანყება მილიციისა და წითელი არმიის ნაწილებმა სწრაფად ჩაახშვეს, მაგრამ ის იძულებული გახდა ელიარებინა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ბედი „ბეწვზე ეკიდა“.

ოფიციალურ განცხადებებში კი სტალინი და მთელი პოლიტბიურო ასეთ ფაქტებს „დროებით სიძნელეებად“ მიიჩნევდნენ და საკოლმეურნეო მშენებლობაში მიღწეული „წარმატებებისაგან თავბრუდახვევად“ და პარტიის „ლენინური გენერალური ხაზიდან გადახრებად“ ასაღებდნენ. რაც მთავარია, ისინი ყველაფერ ამას ადგილობრივ ორგანიზაციებს აბრალებდნენ. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტბიუროს იმ საიდუმლო დოკუმენტებს, რომლებიც უფრო გულახდილ დასკვნებს შეიცავენ. 1930 წლის 2 აპრილის დადგენილებაში, მაგალითად, აღიარებულია, რომ დაშვებული „შეცდომებისა“ და „გადახრების“ მთავარი მიზეზი და „საფუძველი“ იყო „ძალდატანების მეთოდის“ მასობრივად გამოყენება და თვით საშუალო გლეხთა განკულაკება მხოლოდ მათი „ქონების დანაწილების“ მიზნით. ამიერკავკასია და სხვა რეგიონები, ნათქვამია დოკუმენტში, მთლიან კოლექტივიზაციაზე გადავიდნენ და კოლექტივიზაციის ტემპების ისეთი „მახინჯი ფორსირება“ დაიწყეს, რომ შეიქმნა ვითარება, რომელსაც „არ შეიძლება ეწოდოს სხვა რამ, თუ არა საშიში“. სერიოზული საშიშროების ქვეშ აღმოჩნდა არა მარტო საკოლმეურნეო მშენებლობა, არამედ აგრეთვე „მთელი ჩვენი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობაც“. „ცენტრალურ შავნიადაგიან და მოსკოვის ოლქებში, ციმბირში, ამიერკავკასიასა და შუა აზიაში მომხდარი ანტისაკოლმეურნეო მასობრივი გამოსვლების დიდი რაოდენობა, რომლებიც კულაკობის გავლენით ანტისაბჭოთა გამოსვლებში გადაიზარდა, გადახრების დაუყოვნებლივ და გადაჭრით ლიკვიდაციას მოითხოვს. ადგილებზე კი ადგილი აქვს ქარაფშუტულ დამოკიდებულებას წითელი არმიის ნაწილების გამოყენებისადმი, რასაც შეუძლია არმიაში დისციპლინას ძირი გამოუთხაროს. საშიშროების ქვეშ დგას საშუალო გლეხობასთან კავშირის შენარჩუნება, მაშასადამე, სოციალისტური მშენებლობა“.

ამავე დოკუმენტში ხაზგასმული იყო, რომ საკოლმეურნეო მშენებლობას მხარს არ უჭერდა თვით „ღარიბ და საშუალო გლეხთა უდიდესი უმრავლესობა“. „ჯერჯერობით, ნათქვამია დადგენილებაში, - კოლექტივიზაციის გზას დაადგა საშუალო და ღარიბ გლეხთა მხოლოდ უმცირესობა, კერძოდ, მათი მხოლოდ ერთი მეოთხედი“.

მიუხედავად ამისა, გლეხობის ანტისაკოლმეურნეო და ანტისაბჭოთა გამოსვლების ყოველ დროებით შენელებას პოლიტბიურო ძალდატანების გაძლიერებით პასუხობდა. მან ჯერ კიდევ 1930 წლის ივლისში განაახლა საკოლმეურნეო მშენებლობის „საკონტროლო“ ციფრების „ზემოდან“ დადგენის პრაქტიკა, რაც 6 თვის წინ თვითონვე დაგმო. ამავე წლის სექტემბერში კი პოლიტბიურომ მიიღო შემდეგი დადგენილება: „საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობაში გლეხთა ახალი მილიონები რწმუნდებიან, რაზეც ახალი მოზღვავება მოწმობს. მაგრამ ზოგიერთმა ორგანიზაციამ ეს საქმე თვითდინებაზე მიაგდო. მოზღვავებისადმი პასიური

და ფრთხილი დამოკიდებულება ჭარბობს. კულაკზე შეტევა შესუსტებულია. კოლმეურნეობები ინდივიდუალურ მეურნეობებს გაემიჯნენ. ცენტრალური კომიტეტი გთავაზობთ: დაუყოვნებლივ მიღწეულ იქნას გადამწყვეტი ძვრა საკოლმეურნეო მოძრაობის ახალ მძლავრ აღმავლობაში. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, მომავალ წელს უნდა მივაღწიოთ კოლექტივიზაციის ასეთ დონეს: ა) ძირითად მარცვლეულის რაიონებში – 65-75% (ჩრდილოეთ კავკასია), უკრაინა (სტეპი), ქვედა ვოლგა (კალმიკიისა და ასტრახანის გამოკლებით), შუა ვოლგა (მარცხენა ნაპირი); ბ) მარცვლეულის დანარჩენ რაიონებში – 35-45%; გ) დანარჩენ მხარეებში – 15-20%-მდე".

1931 წლის 4 მარტს აღმოსავლეთ ციმბირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის – ლეონოვის თხოვნაზე, რათა ამ ჩამორჩენილი რეგიონისთვის ეს საკონტროლო ციფრები ნაწილობრივ მაინც შეემცირებინათ, სტალინმა ასეთი ცინიკური პასუხი გასცა: „4/III-ის დეპეშაზე, აღმოსავლეთ ციმბირის მდივანს განემარტოს, რომ ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი კოლექტივიზაციის პროცენტები მინიმალურია და პარტიის ადგილობრივ ორგანიკულებს კი არ ეკრძალებათ, არამედ, პირიქით, რეკომენდაცია ეძლევათ, ეს დავალებები გადაჭარბებითაც კი შეასრულონ ცალკეული რაიონების თავისებურებათა გათვალისწინებით. 14/III-31 ცენტრალური კომიტეტის მდივანი სტალინი".

გლეხობაზე და ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე ძალადობის გაძლიერებამ, ცხადია, სამართალდარღვევათა ახალი ტალღა გამოიწვია. შეიქმნა ვითარება, როცა, არა მარტო საშუალო და ღარიბი გლეხები, არამედ ქალაქში მცხოვრები სამეცნიერო, სამედიცინო, სამხედრო და სხვა კადრებიც კი „კულაკობის" ყალბი ბრალდებით განუკითხავად ნადგურდებოდა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართველი ინტელიგენცია. მარტო 1930 წლის 4-5 თებერვლის ღამეს ამიერკავკასიის ქალაქებში კულაკობის ბრალდებით გაუსამართლებლად დახვრიტეს 3000 კაცი, რომელთა უმრავლესობა თბილისელი ინტელიგენტი იყო და კულაკობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

ასეთ ვითარებაში პოლიტბიურო იძულებული გახდა, მიეღო 1931 წლის 10 ივლისის დირექტივა „დამსჯელი ორგანოების უფლებათა შესახებ", რომელშიც ნათქვამი იყო:

„1. აიკრძალოს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში მომუშავე კომუნისტების დაპატიმრება საკ.კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ნებართვის გარეშე.

2. აიკრძალოს სპეციალისტების (სამეცნიერო-ტექნიკური მუშაკების, სამხედრო პირების, აგრონომების, ექიმების) დაპატიმრება სათანადო სახალხო კომისრის თანხმობის გარეშე.

3. პოლიტიკურ საქმეზე დაკავებულთა დაკითხვა გაგრძელდეს არა უმეტეს 2 კვირისა, ხოლო დაპატიმრებულთა საქმის ძიება არა უმეტეს 3 თვისა, რის შემდეგაც საქმე ან სასამართლოს გადაეცეს, ან პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიამ გადაწყვიტოს.

4. მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ყველა გადაწყვეტილებას სასჯელის უმაღლესი ზომის თაობაზე საკ.კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ამტკიცებს".

ეს დადგენილება მთლიანად აქარწყლებს გავრცელებულ აზრს, თითქოს კოლექტივიზაციისდროინდელი რეპრესიები მხოლოდ ადგილობრივ მუშაკთა „ინიციატივით" ხდებოდა და მათ შესახებ ხელისუფლების ცენტრალურმა ორგანოებმა, პირადად სტალინმა, არაფერი იცოდა.

კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგე გლეხობისადმი დამოკიდებულების ერთგვარი „ლიბერალიზაცია" 1932 წელსაც გრძელდებოდა. 25 ივლისს პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება „რევოლუციური კანონიერების შესახებ", რომელიც მოითხოვდა:

„...ცალკეულ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა განკულაკებისა და სხვა საკითხების თაობაზე საბჭოთა ხელისუფლების კანონთა დარღვევით ზემოდან დაშვებული მტკიცე დავალებები გაუქმდეს. კულაკურ ელემენტთა მიმართ საბჭოთა კანონების შესაბამისად დასახული ღონისძიებები კი თანმიმდევრულად განხორციელდეს... საბჭოთა და პროკურატურის ადგილობრივმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ მკაცრ პასუხისგებაში მისცენ ყველა ის თანამდებობის პირი, რომლებიც დამნაშავენი არიან საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი პრინციპების დარღვევაში". 1 სექტემბრის დადგენილებით კი პოლიტბიურო განმარტავდა, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის მთავარ პრინციპად მას „ნებაყოფლობა" მიაჩნდა.

მაგრამ მალე დადასტურდა, რომ აღნიშნული „ლიბერალიზაცია" თვალთმაქცური იყო. 1932 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით პოლიტბიურომ გადაჭრით უარყო ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილება საქართველოში მოუსავლიანობის გამო მარცვლეულის დამზადების ზემოდან დაშვებული გეგმის 430 ათასი ფუთით შემცირების შესახებ. ამავე დადგენილებით უარყოფილი იქნა სამხარეო კომიტეტის თხოვნა მთელს ამიერკავკასიაში მარცვლეულის დამზადების გეგმის ორნახევარი მილიონი ფუთით შემცირების შესახებ. რაც მთავარია, პარტიის სამხარეო და რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, „სრულიად დაუშვებელი თვითნებური მოქმედებისათვის" პოლიტბიუროს საყვედური დაიმსახურეს.

ასეთ პირობებში აშკარად აბსურდული და საბედისწერო ხასიათი მიიღო თვით გლეხთა იმ კატეგორიისათვის დამახასიათებელი ნიშნების დადგენამ, რომლებსაც „კულაკები" უწოდეს. თავდაპირველად კულაკის დამახასიათებელ ნიშნებად აღიარეს დაქირავებული შრომის ექსპლუატაცია, მეურნეობაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, წისქვილის ან ნებისმიერი კუსტარული „საწარმოს" ქონა. მაგრამ ამ ნიშნების მქონე გლეხურ მეურნეობათა ლიკვიდაციამ 1930-1932 წლებში ვერც „პურის კრიზისი" დაძლია და ვერც კოლმეურნეობათა ეკონომიკური განმტკიცება უზრუნველყო. ამიტომ 1933 წლისთვის საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლიტბიუროს ინიციატივით, კულაკური მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ნიშნად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის „ყიდვა-გაყიდვით სისტემატური სპეკულაცია"

ჩაითვალა. პოლიტბიურომ წინასწარ განიხილა დადგენილების პროექტი, რომელიც სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს სახელით უნდა გამოქვეყნებულიყო: „აღინიშნოს, რომ რესპუბლიკებისა და მხარეების უმრავლესობაში კულაკურ მეურნეობათა ნიშნებად, რომელთა საფუძველზეც სასოფლო-სამეურნეო და სხვა გადასახადებით კულაკთა ინდივიდუალური დაბეგვრა ხორციელდება, მიჩნეულია: დაქირავებული შრომის სისტემური გამოყენება, მეურნეობაში წისქვილის ან სხვა საწარმოს არსებობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაქირავება, მიწის არენდით გაცემა და სხვა. დღეისათვის ეს ნიშნები ვერ მოიცავს ყველა კულაკურ ელემენტს, რომლებიც ინდივიდუალურად უნდა დაიბეგროს. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახკომსაბჭო ადგენენ: 1. წინადადება მიეცეს საბჭოთა ორგანოებს, რათა ინდდაბეგვრისას გაითვალისწინონ: ა) მეურნეობები, რომლებიც სისტემატურ სპეკულაციას (ყიდვა, გაყიდვა) ეწევიან და მუშათა და გლეხთა ხარჯზე მდიდრდებიან; ბ) მეურნეობები, რომლებიც თესვის გეგმებსა და კანონით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს აბსოლუტურად არ ასრულებენ, თუ ისინი აშკარად ღარიბ მეურნეობებს არ ეკუთვნიან".

პოლიტბიუროს სწორედ ეს ინიციატივა იქცა იმის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, რომ გლეხობის უმნიშვნელო „ექსპლუატატორულ" ფენასთან ერთად, ფაქტობრივად ლიკვიდირებულ იქნა მშრომელი გლეხობის ძირითადი ნაწილი. ეს იყო ის საბედისწერო ტრაგედია, რომელიც საბჭოთა წყობილებამ ველარ დაძლია. თვით საკოლმეურნეო გლეხობაც უსაფუძვლო სოციალურ ფენად იქცა. კოლმეურნეობათა უმრავლესობა ბოლომდე არარენტაბელური დარჩა. ამ „ინიციატივათა" გენერატორი კი იყო ის შვიდკაციანი უზურპატორული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ისტორიაში გაუგონარი დიქტატორი სტალინი ედგა.

PARNAOS LOMASHVILI

FROM THE SECRET ARCHIVES OF THE POLITBUREAU

Summary

The work includes some comments made by the author to different secret directives of the Politbureau of the Central Committee of the Communist Party of the Soviet Union of 1929-1933. The scientific value of these comments consists first of all in enabling to interpret in a new way a number of fateful issues in the history of 'Socialist Building' in the USSR.

Firstly: New Economic Policy (NEP), which had provided for rapid rehabilitation of national economy, has been abolished not after developing of the total collectivization process, but before it. In particular, it took place in the end of twenties.

Secondly: such an abrupt turn in the economic policy has been planned by the narrow circle of the party leaders heading by Stalin, and not by the governing state bodies of the country.

Thirdly: for the suppression of any kind of resistance to such violence, the local power bodies have been authorized with the power of deportation to Siberia in 'administrative order', i.e. out of court and investigation. In 'special cases' they were empowered with the right to punish the 'guilty persons', 'including execution at place'. As a result of such policy the jails were overloaded, and to unload them it was decided to start building the concentration camps.

Taking into account all mentioned above, the author suggests identifying the end of 20s as the date of establishing of the sole dictatorship of Stalin (abolishment of the NEP and increasing of lawless repressions), instead of middle 30s, as it is widely acknowledged in contemporary historiography (killing of Kirov, defeat of anti-Leninist deviations, etc.).

ПАРИАОЗ ЛОМАШВИЛИ

ИЗ СЕКРЕТНОГО АРХИВА ПОЛИТБЮРО

Резюме

Настоящая работа содержит некоторые авторские комментарии к различным директивам Политбюро Центрального Комитета Коммунистической Партии Советского Союза от 1929-1933 гг. Научная ценность этих комментариев состоит, прежде всего, в том, что они позволяют по-новому интерпретировать ряд судьбоносных вопросов в истории "Социалистического Строительства" Советского Союза.

Во-первых: Новая Экономическая Политика (НЭП), обеспечившая быструю реабилитацию национальной экономики, была отменена не после развития процесса всеобщей коллективизации, а до нее. В частности, это произошло в конце двадцатых годов.

Во-вторых: такой резкий поворот в экономической политике планировался в узком кругу партийных лидеров под руководством Сталина, а не правящими государственными органами страны.

В-третьих: для подавления малейшего сопротивления такому насилию, местные органы правления были наделены полномочиями ссылки в Сибирь "в административном порядке", т.е. без суда и следствия. В "особых случаях" они были уполномочены наказывать "виновных", включая "расстрел на месте". В результате такой политики тюрьмы были переполнены и для того, чтобы разгрузить их, было решено начать строительство концентрационных лагерей.

Принимая во внимание все вышесказанное, автор предлагает определить конец двадцатых годов, как дату установления единоличной диктатуры Сталина (отмена НЭП и усиление незаконных репрессий), вместо середины тридцатых, как это было широко признано в современной историографии (убийство Кирова, ликвидация анти-Ленинских отклонений, и т.д.).

ლია მელიქიშვილი, გურამ ლორთქიფანიძე

შემოგრუნება სულიერებისაკენ

ასე განისაზღვრა II საერთაშორისო კონფერენციის თემატიკა, რომელიც 2012 წლის 14-15 დეკემბერს, უწმინდესა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. (კონფერენციის ორგანიზატორი: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი").

ამ კონფერენციაზე ჩვენც მიგვიწვიეს.

არ გამკვირვებია ასეთი დასახელება.

არც ის მიფიქრია, რომ ეს ფრაზა ისე, დიდი დაფიქრების გარეშე მოარგეს ამ მნიშვნელოვან კონფერენციას.

აბა ამას რა მაფიქრებინებდა ამ სულიერი კრიზისის დროს.

„შემობრუნება სულიერებისაკენ" – გამოგვივა კი ეს?!

ვინ უნდა მიუბრუნდეს სულიერებას? ის ვინც აქედან გამოვიდა თუ ვინც არასდროს არ ყოფილა მასში?!

არა!!! – ის ვინც არ ყოფილა იქ – სულიერებაში, ის ვერ მიუბრუნდება. ის უნდა თავისი მრწამსით მივიდეს მასთან. მაგრამ ვისაც მისაბრუნებლად აქვს საქმე, იმას მეტი სიფრთხილე მართებს, მას ბევრ სირთულე აქვს გასავლელი: – ჯერ უნდა გააანალიზო, რატომ აქციე ზურგი და მერე დაფიქრდე, თუ შემობრუნდები, დარჩები კიდეც?! ვფიქრობ, მისი ერთგული არ შეაქცევ ზურგს ისევ.

ეს ძნელი განსახორციელებელია, მითუმეტეს, თუ ამის ნება და სურვილი არა გაქვს. დღეს გვიჭირს ამის მობილიზაცია.

რატომ?

ვფიქრობ, ამაზე პასუხს კონფრენციაზე წარდგენილი წიგნი მიგვითითებს.

სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა) მართებულად აღნიშნავს, რომ აქამდე ქართული საზოგადოებისათვის უცნობი იყო სამშობლოს მგზნებარე პატრიოტისა და მეცნიერის, წმ. მღვდელმოწამე არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. მხოლოდ დღეს გახდა შესაძლებელი ამ დიდებული პიროვნების გაცნობა – მონაზონი, მოძღვარი, მკვლევარი, პუბლიცისტი, უნივერსიტეტის პროფესორი. გრიგოლ ფერაძის ღვაწლი შეიძლება ისეთი მოღვაწეების გვერდით დავაყენოთ, როგორებიც იყვნენ: წმ. კათალიკოს-პატრიარქი კირიონი, ძმები კარბელაშვილები, წმ.



ექვთიმე ღმრთისკაცი (თაყაიშვილი) და სხვები. ამ დიდებული პიროვნების ცხოვრებისა და სამეცნიერო საქმიანობის კვლევა წილად ხვდა ჩვენს თანამემამულეს, ევროპაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური ცენტრის ფუძემდებელს, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორს, დავით ყოლბაიას. სწორედ მისი ხანგრძლივი შრომის შედეგია ნაშრომი – წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი ნერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავის უნივერსიტეტი, ვარშავა 2012.

წიგნი შეიცავს მეტად საინტერესო მასალას. მასში შესულია დ. ყოლბაიას გამოკვლევა – „წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა";' წმ. გრიგოლ ფერაძის ავტობიოგრაფიული წერილები; გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო ნაშრომი – „ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში, ქართული ეკლესიის უძველესი ისტორია"; დამატება (დოკუმენტები, კრებულში შემავალი გამოცემები და მათი თარგმანები, შემოკლებული სიტყვების განმარტება, პირთა საძიებელი). ნათელია, რომ მონაცემები გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფიის შესახებ და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა ძალზე საყურადღებოა, როგორც ქართული სამეცნიერო საზოგადოების, სასულიერო წრეებისა და სტუდენტებისათვის, ასევე ქართველოლოგიით დაინტერესებული უცხოელი მკვლევარებისთვისაც.

ბოლო ათწლეულის სამეცნიერო ლიტერატურაში ქვეყნდებოდა გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო ნაშრომები და ცნობები მისი მოღვაწეობის შესახებ. წინამდებარე გამოცემა ამ მიმართებით ერთგვარ შემაჯამებელ ეტაპს წარმოადგენს, რომელსაც თან ერთვის დღემდე უცნობი სააარქივო დოკუმენტები. შემდეგ ტომებში დაგეგმილია – ლიტურგიის, პატროლოგიის, ლიტერატურის კვლევების, დღიურების, ქადაგებების წერილებისა და პოეზიის გამოცემა.

ვფიქრობთ, ეს წიგნი დახმარებას გაუწევს ქართულ საზოგადოებას სულიერებისკენ მობრუნების საქმეში, ხოლო ამ წიგნის გაცნობაში დავით ყოლბაია დაგვეხმარა.

დავით ყოლბაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1990წ.). ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართველოლოგი. მან 1991 წელს ვარშავაში დაარსა ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალი „პრო გეორგია", („Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies"). რომელიც 1998 წლამდე გამოდიოდა პოლონურ ენაზე. 2002 წლიდან სტატიები იბეჭდება პოლონურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ჟურნალი გამოდის ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის ეგიდით.

დიდი და მდიდარი ტრადიცია აქვს ქართული ისტორიისა და კულტურის შესწავლას ვარშავის უნივერსიტეტში. ნინასწარ შემუშავებული პროგრამის საფუძველზე იმართება ლექციები საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესახებ, ისწავლება ქართული ენა. 2002 წლიდან სემინარის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს წმინდა მღვდელმოწამის გრიგოლ ფერაძის სახელობის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები. ქართველოლოგიური სემინარის წიაღში განთავსებულია წმ. გრიგოლ ფერაძის მემკვიდრეობის შესწავლის სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც იკვლევს და აქვეყნებს მის სამეცნიერო შრომებს.

დავით ყოლბაია აქვეყნებს ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ეთნოლოგიური, ისტორიული) ხასიათის გამოკვლევებს. მან შემოიკრიბა პოლონეთსა და ევროპაში მოღვაწე ქართველოლოგები. ბეჭდავს აგრეთვე ქართველი, ებრაელი, სომეხი მეცნიერების სტატიებს. უნდა ითქვას, რომ ჟურნალი პრო გეორგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. დავით ყოლბაია რეგულარულად აქვეყნებს ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებს, გამოკვლევათა ვრცელ მიმოხილვებს, ბიბლიოგრაფიებს, ანოტაციებსა და სამეცნიერო სიახლეებს. მისმა სამეცნიერო მოღვაწეობამ ხელი შეუწყო პოლონური ქართველოლოგიის განვითარებას, ქართული ენის, მწერლობის, განსაკუთრებით ქართული ეკლესიის, ისტორიის შესწავლას. სწორედ ჟურნალის მიერ განისაზღვრა ამ მიმართულებების ზოგადი ხასიათი და გამოიკვეთა პრობლემები.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა დავით ყოლბაიას მიერ ვარშავაში ქართულ ენაზე წმ. გრიგოლ ფერაძის თხზულებათა კრებულის პირველი წიგნის გამოცემა. დავით ყოლბაია ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის საკითხების მართებულად გაშუქებაში დღესაც დიდ მუშაობას ეწევა. ძველქართულიდან პოლონურ ენაზე ითარგმნა „მოქცევაჲ ქართლისაის" შატბერდული და ჭელიშური რედაქციები შენიშვნებითა და კომენტარებით. ნიგნი ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სავალდებულო საისტორიო წყაროდ ითვლება. ითარგმნა ქართული ჰიმნოგრაფიის (გალობანი სინანულისანის, ზურაბ ჭავჭავაძის მიერ დადგენილი ტექსტის მიხედვით), რომელმაც პოლონურ სამეცნიერო წრეებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. თარგმნა ქართული ჰაგიოგრაფიის (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება), საისტორიო მწერლობის – ლეონტი მროველის მეფეთა ცხოვრების, ჯუანშერის – ვახტანგ მეფის ცხოვრება, მატიანე ქართლისაის და სხვა უძველესი ქართული საისტორიო მწერლობის ნიმუშები.

დავით ყოლბაია დიდ ადგილს უთმობს ქართულ-პოლონურ ისტორიულ ურთიერთობებს. სპეციალური გამოკვლევა (2008 წელს) მიეძღვნა ქართველი იუნკრების ისტორიას პოლონეთის არმიის სამსახურში 1922-1944 წლებში, რომელსაც წინ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის წინასიტყვაობა აქვს დართული. უნდა ითქვას, რომ ქართული რეალიები

და თემატიკა ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე ფიგურირებდა პოლონელ მემატიანეთა და ჟამთააღმწერელთა, დილპომატთა და მოგზაურთა, კათოლიკე-მისიონერთა და მწერალთა ნაშრომებში. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ურთიერთობათა კვლევამ ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიურ სემინარზე სისტემატიური ხასიათი მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ წამოწყებული ქართველოლოგიური კველევები ხელს უწყობს ვარშავის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგად და სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბებას.

ვფიქრობთ, ჩვეულებრივი ადამიანების ძალისხმევა ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტების გამოვლენაში სწორედ სულიერებისკენ შემობრუნების საუკეთესო მაგალითია.

მაგდანა გურგულიანი

მნიშვნელოვანი გამოკვლევა შუა საუკუნეების აზერბაიჯანის შესახებ

ჩვენი რეცენზია გვინდა დავიწყოთ კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტისა და მისი დირექტორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრის ელდარ ისმაილოვის სასიკეთო საქმეების აღნიშვნით. განსაკუთრებით გვინდა ხაზი გაუსვათ საგამომცემლო საქმიანობას. ელდარ ისმაილოვის თაოსნობითა და დიდი მცდელობით არაერთი ფრიად საინტერესო წიგნი გამოვიდა. ამას ემატება ის ჟურნალები („კავკასია და გლობალიზაცია" და „ცენტრალური აზია და კავკასია"), რომლებიც საზღვარგარეთ გამოიცემა.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს რუსულ ენაზე გამოიცა ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი" და პოლემიკური წერილები „ქართლის ცხოვრება", აზერბაიჯანულ ენაზე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" (სამედ ვურღუნის თარგმანი), ვ. ველიჩკოს „კავკასია" და სხვა მრავალი.

2012 წელს გამომცემლობა „კავკაზმა" ელდარ ისმაილოვის რედაქტორობით რუსულ ენაზე გამოსცა მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნის მამედალი ხალილ ოღლი შარიფლის მონოგრაფია „აზერბაიჯანის ფეოდალური სახელმწიფო IX (მეორე ნახევარი) – XI საუკუნეებში".

პროფესორი მ.შარიფლი გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან აზერბაიჯანის ისტორიული მეცნიერების შექმნა-განვითარების ავანგარდში იდგა. მან თავისი ორმოცწლიანი მოღვაწეობის პერიოდში მრავალი მნიშვნელოვანი მონოგრაფია მისცა საზოგადოებას, რომელთაგან გამორჩეულია „აზერბაიჯანის ათაბეგების სახელმწიფო (1136-1225 წწ.)'', „ელდეგიზიდები", „XII საუკუნის აზერბაიჯანის ფეოდალური სახლმწიფოები" და სხვა.

სარეცენზიო მონოგრაფიაში ავტორმა გამოიკვლია IX-XI საუკუნეების აზერბაიჯანის ფეოდალური სახელმწიფოების წარმოშობა, განვითარება; ხაზი გაუსვა, რომ ეს ხდებოდა არაბთა ხალიფატისა და სულჯუკთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში. გამოკვლება მნიშვნელოვანია არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ საერთოდ კავკასიის, შუა აზიის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისათვის.

მ. შარიფლიმ სისტემურად წარმოადგინა აზერბაიჯანის ფეოდალური სახელმწიფოების წარმოქმნისა და განვითარების ეტაპები. ავტორმა გამოიყენა მანამდე უცნობი არაბული, სპარსული, თურქული, სირიული, ქართული, ცალკეული დასავლური წყაროები ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე, რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურა, არქეოლოგიური

და ნუმიზმატიკური მასალები და მათი გაანალიზების საფუძველზე მოგვცა აღნიშნული პერიოდის აზერბაიჯანის ისტორია, განსაზღვრა მისი ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა. მოახდინა პოლიტიკური რეალიების რეკონსტრუქცია. მეცნიერმა ჩამოაყალიბა აზერბაიჯანის ფეოდალური სახელმწიფოების – მაზიადიდი შირვანშახების, საჯიდების, სალარიდების, შადადიდების, რავადიდების, მარანდის სამფლობელოებისა და ნახჭევანის — ჩამოყალიბებისა და განვითარების წანამძღვრები.

სარეცენზიო ნაშრომი პირველად 1978 წელს გამოიცა. ამ დრომდე მონოგრაფიაში განხილული საკითხების შესახებ იმდროინდელ ისტორიოგრაფიაში არ იყო არავითარი მონაცემი.

აზერბაიჯანის ისტორიული გეოგრაფიისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ავტორის მიერ შემოხაზულ რუკებს. მ. შარიფლიმ აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოხაზა აზერბაიჯანული სახელმწიფოს პოლიტიკური და ეთნიკური საზღვრები. მეცნიერმა წარმოაჩინა IX-XI საუკუნეების აზერბაიჯანის ბუნებრივი სიმდიდრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, ქალაქები, სავაჭრო გზები, ეკონომიკა და ხალხის ყოფა.

მ. შარიფლიმ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მეზობელ სახელმწიფოებთან კავშირში ხდებოდა. აზერბაიჯანული ქალაქები ვაჭრობდნენ ირანთან, ბიზანტიასთან, საქართველოსთან, ხაზარებთან და რუსებთან.

მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ხალიფატის ნგრევის პირობებში, IX-X საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობდა ფეოდალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი. განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ მიმდინარეობდა, გარკვეულ შედეგს აჩვენებდა - ცალკეული რეგიონები პოლიტიკურ დამოუკიდებლობას აღწევდნენ. ფეოდალური სახელმწიფოები შინა ომების ფონზე ვითარდებოდნენ. ეს კი ხელს უშლიდა ერთობლივი ბრძოლისათვის მათ გაერთიანებას. მეცნიერი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ისტორიულ პროცესში პროგრესული მომენტებიც იყო. კერძოდ, ჯერ საჯიდების და შემდეგ სალარიდების სახელმწიფომ აზერბაიჯანული მიწების გაერთიანება შეძლო დერბენტიდან მარაგამდე, დროდადრო კი ჰამადანიდან ყაზვინამდე ტერიტორიასაც აკონტროლებდა. ამასთან მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ საჯიდების სახელმწიფო ობიექტურად ეხმარებოდა ხალიფატის ძალების წინააღმდეგ გამათავისუფლებელ მოძრაობას; მეტად მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი იბრძოდა აზერბაიჯანული ენის გავრცელებისათვის.

სტრუქტურულად მონოგრაფია მოიცავს თავებს, რომლებიც ასეა დაყოფილი:

1. მაიზიდი შირვანშახების სახელმწიფო (შირვანის ტერიტორია, მოსახლეობა, ისტორია);

2. საჯიდების სახელმწიფო:

3. სალარიდების სახელმწიფო, (აღმოცენება, რუსების ლაშქრობა ქ. ბარდაზე, ამაღლება და დაცემა);

4. შადიდების სახელმწიფო;

5. რაბადიდების სახელმწიფო (ადრეული პერიოდი, სახელმწიფოს აღმავლობა, ოგუზებისა და თურქ - სელჩუკების შემოსევები, სელჯუკთა მმართველობის პერიოდი);

6. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (სოფლის მეურნეობა,სოციალური და აგრარული ურთიერთობები, ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა). მონოგრაფიას დართული აქვს XI-XII სს. აზერბაიჯანის რუკები შედგენილი თვით ავტორის მიერ.

მ. შარიფლის მონოგრაფიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიოგრაფიაში და მისი მეორედ გამოცემა სრულიად გამართლებულია. წიგნი ხელმისაწვდომი გახდება დაინტერესებული მკითხველისათვის.

გვინდა მადლობით მოვიხსენიოთ კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი მამედალი ხალილ ოღლი შარიფლის წიგნის გამოცემისათვის.

MAGDANA GURGULIANI

AN IMPORTANT RESEARCHES ABOUT MIDDLE CENTURIES AZERBAIJAN

Summary

The book Mammadali Khalil Ogli Sharifli "feudal states of Azerbaijan the second half of IX-XI centuries", described the history of medieval Azerbaijan: Maziad, Sadjids, Salaris and Shaddadids.

The work was based on the study of many different-language sources and analysis of historiographic materials.

For the publication of this interesting book should thank the Caucasian Institute for Strategic Studies, which conducts many useful study.

МАГДАНА ГУРГУЛИАНИ

ЦЕННОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ИЗ ИСТОРИИ СРЕДНЕВЕКОВОГО АЗЕРБАЙДЖАНА

Резюме

В книге Мамедали Халил оглы Шарифли "феодальных государств Азербайджана во второй половине IX-XI веков», рассказал об истории средневекового Азербайджана: Мазиад, Саджидов, Саларидами и Шаддадидов.

Работа основана на изучении различных языков источников и анализа историографических материалов.

Для публикации этой интересной книги должны благодарить Кавказского института стратегических исследований, который проводит много полезного исследования.

გთავაზობთ რუსეთის ევანგელისტურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ვალენტინ ნიკიტინის, ჩვენი აზრით საინტერესო ინტერვიუს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის შესახებ.

ინტერვიუ, რომელიც „www.portal-Credo.ru"-ს საიტზე მოვიძიეთ, იბეჭდება შემოკლებით.

Как Вы относитесь к признанию независимости Южной Осетии и Абхазии со стороны Российской Федерации?

В. Н. Так же примерно, как к недавнему признанию независимости края Косово со стороны заапдноевропейских государств. С неизбежным сожалением. Явления эти логически закономерны, как звенья одной цепи. Хочется пожелать, чтобы удар этой цепи оказался не столь болезненным, как этого следует ожидать, был бы смягчен благоразумной реакцией хотя бы некоторых государств.

Как Вы оцениваете новый статус Южной Осетии и Абхазии?

В. Н. Конечно, эти новые республики (до сегодняшнего дня имевшие статус самопровозглашенных) не могут считаться в полном смысле суверными государствами со всеми атрибутами и структурами полноценной государственной власти. Следующий этап в их самоопределении легко прогнозировать – это референдумы о вхождении этих республик в состав Российской Федерации, исход которых тоже нетрудно предугадать. И здесь Россия должна проявить чрезвычайную ответственность. Надо дать шанс Грузии. Нельзя окончательно потерять в лице единоверной страны стратегического союзника на Кавказе. Хотя Грузия уже несколько лет фактически перестала быть таковой (не без нашей вины), но это еще не означает, что она всегда будет занимать одностороннюю (проамериканскую) позицию.

Что Вы можете сказать о позиции Грузии в нынешней ситуации? Об изменение политической конфигурации в мире?

В. Н. Надо задуматься, сделать выводы о причинах и возможных последствиях столь серьезного изменения геополитической ситуации на Кавказе. Набраться терпения... Исторические процессы обратимы, мы это наблюдали хотя бы на примере Германии. В апреле 1989 года, находясь в ФРГ, я был свидетелем

того, что "западные немцы" фактически смирились с утратой восточных земель и не надеялись на воссоединение своей страны. А через несколько месяцев, в ноябре того же года рухнул "железный занавес", пала Берлинская стена! – "accidit in puncto, quod non speratur in anno" (в один миг случается то, что не надеешься и годами, лат.). Грузия, конечно, никогда не смирится с утратой исконно грузинских земель. Для неё, однако, не все потеряно, пока эти республики вне состава России. Но грузинское руководство должно уяснить в полной мере, что силовой вариант решения проблемы неприемлем и контр-продуктивен. Новое руководство Грузии вряд ли сможет изменить курс, заявить об отказе от вступления в НАТО.

В условиях глобальных угроз мировому сообществу со стороны международного терроризма вся мировая конфигурация, однако, может внезапно измениться, как это было в сентябре 2001 года. Не случайно не так давно (в декабре 2006 г.) духовный лидер буддистов Далай-лама XIV предложил принять Россию в состав Европейского Союза, а штаб-квартиру НАТО перенести из Брюсселя в Москву. Такое перемещение, по его мнению, "снизит уровень страха, пронизывающий отношения между Россией и Западом". Исключение важно и, безусловно, нужно созидать сознание того, что мы являемся единым человечеством, проживающим в одном доме, на планете Земля. Окажется ли цивилизованный мир в едином стане просвещенных и культурных государств, следующих нравственным идеалам, или это утопия?! Тогда нет альтернативы Второму Пришествию и Страшному Суду, которого мы заслужили, ибо слишком долго испытываем долготерпение Божие.

სამეცნიერო კონფერენციები

2012 წლის 21-27 ნოემბერს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ კ. კეკელიძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში მოეწყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ ილია აბულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მოსმენილ იქნა 20-მდე სამეცნიერო მოხსენება, მათ შორის აღსანიშნავია „ტაო-კლარჯეთის ეპიკური ძეგლები" (ბ. კუდავა), „ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ოსმალთა ბატონობის პერიოდში" (მ. სურგულაძე), „ქართველი ქალის უფლება-მოვალეობები და საქმიანობა შუა საუკუნეების საქართველოში" (გ. მჭედლიძე), „პეტრიწონის ტიპიკონის ზოგიერთი ადგილის განმარტებისათვის" (ვ. კეკელია), „მსოფლიო ბიპოლარიზაციის დასაწყისი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია" (შ. მურუსიძე), „გიორგი ლეონიძის უცნობი ჩანაწერები" (ნ. თარგამაძე), „მარტვილის სახარებისათვის" (დ. ჩიტუნაშვილი) და სხვა.

* * *

2012 წლის 6 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მიერ მოწვეულ იქნა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90 წლისთავს. შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ. მ. ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენების შემდეგ მოხსენება „მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა" წაიკითხა აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა. მოგონებებითა და საიუბილეო მისალმებებით გამოვიდნენ აკად. ო. ჯაფარიძე, აკად. მუსხელიშვილი, პროფ. ნ. ხაზარაძე. საღამოს დასასრულს დამსწრე საზოგადოებას სამადლობელი სიტყვით მიმართა თვით იუბილარმა მარიამ ლორთქიფანიძემ.

* * *

2012 წლის 30 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის 300 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენცია. შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის პრინციპების, მიზნებისა და შედეგების შესახებ ისაუბრა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი არაბულმა. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მიმოხილვა მოახდინა პროფესორმა მ. ქავთარიამ. „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგ მეექვსესეული თარგმანი და თანამედროვე მედიევისტიკა – ასეთი იყო პროფესორ მ. კარბელაშვილის მოხსენების თემა. საგამომცემლო პროექტი „ვეფხისტყაოსანი“ – განიხილა პროფესორმა პ. მარგველაშვილმა. დასასრულს გაიმართა „რუსთაველის კომიტეტის“ ახალი გამოცემების პრეზენტაცია.

ახალი წიგნები

1. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ 1, უძველესი დროიდან VI საუკუნემდე, თბილისი 2012, 370 გვ.

ნაშრომში საინტერესოდაა ნაჩვენები ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორია, მისი კავშირები როგორც სხვა ქვეყნების ქრისტიანულ ეკლესიებთან, ასევე მისი ადგილი ხმელთაშუაზღვისპირეთისა და საქართველოს ისტორიაში.

2. ჯ. გამახარია, წმიდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია – 150-ე წლისთავისათვის, თბილისი, 2012, 550 გვ.

მონოგრაფიაში გაშუქებულია წმ. ამბროსის ცხოვრება-მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები. მასში შეტანილია აგრეთვე წმინდანის ცალკეული შრომები და დოკუმენტური მასალა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

3. ჯავახეთის ეპიგრაფიული კორპუსი, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვ. სილოგავამ, ლ. ახალაძემ, მ. ბერიძემ, ნ. სულავამ და რ. ყავრელიშვილმა, რედაქტორი ზ. ალექსიძე, თბილისი, 2012, „ნეკერი“ 506 გვ.

წიგნში შესწავლილია საქართველოს ერთ-ერთი მხარის – ჯავახეთის ლაპიდარული წარწერები, რომელთა ქრონოლოგია მოიცავს VI-XIX საუკუნეებს. წიგნის დამატებაში შესულია ძიებანი ჯავახეთის ტოპონიმიიდან და ნარკვევი ჯავახეთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრის შესახებ. წიგნს ერთვის ჯავახეთის ეპიგრაფიული წარწერების, ტოპონიმიის შედგენილი ბიბლიოგრაფია და წარწერათა ფოტოები.

4. ქართული მატერიალური კულტურისა და ეთნოგრაფიის ლექსიკონი, პროექტის ავტორი და სამეცნიერო რედაქტორი ე. ნადირაძე, რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, „მერიდიანი“, 2011, 610 გვ.

ლექსიკონი წარმოადგენს ხანგრძლივი შრომების შედეგს, რომლის მსგავსი ქართველოლოგიის სფეროში აქამდე არ განხორციელებულა. ლექსიკონში მოცემულია ქართველი ხალხის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ყოფის ვრცელი სპექტრი მისი ისტორიული ცხოვრების მთელ მანძილზე, რაც ასეთი მთლიანობით აქამდე არ ყოფილა წარმოდგენილი. ლექსიკონის დანიშნულება ბევრად სცილდება წმინდა მეცნიერულ მიზნებს, განსაკუთრებით ფასეულია მისი ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობა და დიდად წაადგება ქართული ეთნოკულტურის გაცნობა-პოპულარიზაციას საერთაშორისო მასშტაბით.

5. ლ. ფრუიძე, „გვარი და გვარიშვილობა“, თბილისი, „მწიგნობარი“, 2011, რედაქტორი: დ. კვარაცხელია, 152 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს გვარიშვილთა სამახსოვროს, რომელიც მიზნად ისახავს მკითხველ საზოგადოებას გააცნოს საგვარეულო მოძრაობის არსი და 2003 წელს დაარსებული კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ საქმიანობა.

6. მ. ხომერიკი, იმერეთის დე იურე მეფე გახტანგ ბაგრატიონი, თბილისი, „უნივერსალი", 2012, რედაქტორი: ა. დაუშვილი, 44 გვ.

ნაშრომში მოთხრობილია იმერეთის 1819 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, გახტანგ ბატონიშვილის შესახებ, რომელის აჯანყებულთა ნაწილმა მეფედ გამოაცხადა. ნაშრომში გამოყენებულია ავტორის მიერ ოსმალურ არქივში მოძიებული მასალები.

7. კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი მიძღვნილი ზ. ალექსიძის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი), თბილისი, 2012, 570 გვ., მთავარი რედაქტორი: დ. ჩიტუნაშვილი, სარედაქციო ჯგუფი: ნ. ალექსიძე, მ.სურგულაძე.

8. ქართული ხელნაწერი წიგნი, V-XIX საუკუნეები, ალბომი, რედაქტორი ნ. ჩხიკვაძე, თბილისი, 2012, 190 გვ.

ალბომში წარმოდგენილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული V-XIX სს-ის ქართული ხელნაწერი წიგნები და უცხოეთის (სინას მთა, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო) ქართული კოლექციების ფოტოასლები. ალბომი გამიზნულია ქართული წერილობითი კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

9. ტაო-კლარჯეთი, ხელნაწერი მემკვიდრეობა, თბილისი-ბათუმი, 2012, რედაქტორი: ბ. კუდავა.

ნაშრომი წარმოადგენს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ ერთიან კატალოგს, სადაც პირველად არის თავმოყრილი ინფორმაცია ტაო-კლარჯული წარმომავლობის დღეისათვის ცნობილი ყველა ხელნაწერის შესახებ.

10. ამბავი ერთი ხელნაწერისა, XV-XVI საუკუნეების ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი სანქტ-პეტერბურგის კოლექციიდან, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2012, 100 გვ.

11. ე. მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვ. II, თბილისი, „ლოგოსი", 2012, 370 გვ., რედაქტორი თ. ოთხმეზური, თ. ცერაძე.

კრებულში შესულია ცნობილი ქართველი მეცნიერის, ძველი ქართული მწერლობის მკვლევარის ელენე მეტრეველის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ძველი ქართული ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი დარგის – ლიტურგიკის კვლევას. კრებულში შეტანილის ასევე ე. მეტრეველის მოგონებები მასწავლებლებისა და კოლეგების შესახებ.

12. ჟ. ფეიქრიშვილი, ი. ეაშაკიძე, მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისთვის, წგ. 1, „უნივერსალი", 2012, რედაქტორი: რ. ზექალაშვილი.

წიგნში წარმოდგენილია უცხოეთის 11 ქვეყანაში (სადაც ქართული კულტურით საგანგებო დაინტერესება უფრო ხანგრძლივი და ტრადიციულია) ქართველოლოგიური კვლევის გზა მეოცე საუკუნის ბოლომდე, წარმოჩენილია იქაურ ქართველოლოგთა ღვაწლი. წიგნი კეთილ მეგზურობას გაუწევს მკითხველთა ფართო წრეს ქართველოლოგიის ისტორიის საიტერესო ფურცლების გასაცნობად.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა
თბილისი – 2013
რუსთაველის გამზ. 52